ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

სარკე

ფასი: 1 ლარი

№30

24-30.VII 2013

მთაწმინდის პარკი – დასვენებისა და გართობის ადგილი მთელი ოჯახისათვის

გვ.39

გვ.71

ნინი ბადურაშვილის გოგონა სამშობიაროდან მამის გვარით გამოიყვანეს

„დათო ცოტა ნასვამმა შემომთავაზა ცოლობა... მის გვერდით სრულყოფილი ქალი ვარ!“

„პრეზიდენტის ვეტოც დავძლიე და კიდეც გავთხოვდი!“

გვ.10

ლელა წურწუმიას და მამულიჩას რუსეთში არ უშვებენ

„აგვიხსნან, რა მიზეზით შეგვიყვანეს შავ სიაში!“

ელისო ჩაფიძის ორთვიანი რომანი ქორწინებით დაგვირგვინდა

გვ.8

გვ.20

ჟურნალისტი ახალ პოლიტიკურ ტოქ შოუს ამზადებს

შალვა რამიშვილი: „ივანიშვილის ხელისუფლების გაკრიტიკება გამიჭირდება“

გვ.34

რეზიკო დიდებაშვილის გაჩენას კინაღამ დედამისი შეეწირა

„არ ვიცით, ამერიკაში რეზიკო ჩვენ გარეშე როგორ გაძლებს“

გვ.9

ლევან ჯიბღაშვილი ძველ შეყვარებულზე უკეთეს გოგოს ეძებს

ISSN 1987-9369

„იმპოზენტმა მეუღლემ ახალგაზრდობა წამართვა, ახლა კი სიბერეს მიმწარებს“ გვ.12

თვეში 5 ლარიდან

ლიცენზირებული ანტივირუსი
სილქნეტისგან

Find us on: facebook

2 100 100
silknet.com/antivirus

KASPERSKY lab

eset NOD32 antivirus system

ნომერში

ბედნიერების დღე

ელისო ჩაფიძის ორთვიანი რომანი ქორწინებით დაგვირგვინდა 8

ეტაპი

ლეგან ჯიბღაშვილი ძველ შეყვარებულზე უკეთეს გოგოს ეძებს 9

უპასუხო კითხვა

ლელა წურწუმიას და მამულიჩას რუსეთში არ უშვებენ 10

გახმაურებული საქმე

მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობის მიზეზი ისევ ბუნდოვანია 10

გულახდილი საუბრები 12-13

ცხოვრების გაკვეთილები

„მე ამისგან გავაკეთებ!...“ — შალვა შავგულიძის წარსულში დარჩენილი ოცნება 14

პოლიტიკა

- სოსო ცინცაძე: „საერთოდ დაიყოწყეთ საპრეზიდენტო კანდიდატი — მარგველაშვილი!“ 16
- მამუკა კაციტაძე: „თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ შანიაშვილის კანდიდატურა გადაწყვეტილი არ არის“ 17
- ნინო ლომჯარია: „არ ვიზიარებ ყველა მოთხოვნას, რაც ოპოზიციას დაფინანსებაზე აქვს“ 18

ტელესახე

შალვა რამაშვილი: „ივანიშვილის ხელისუფლების გაკრიტიკება გამიჭირდება“ 20

შოუს მიღმა

ნონა გიუნაშვილი: „ჩემს კარიერას პოლიტიკური ცვლილებები ცუდად შეეხო“ 21

ცოლ-ქმრის კლუბი

ვანო ბიჭიკაშვილი: „ვანო ჯავახიშვილს უნდა ვუთხრა, ჩემს ცოლს ხელფასი დაუნიშნოს!“ 24

მოზარდები 28-29

ცვლილებების დრო

მაიკო კაჭკაჭიშვილი: „რატი დურგლიშვილის გარეშე კიეკში ძალიან მიჭირს“ 30

ფავორიტი

აჩიკო ნიკარაძე „სლავიანსკი ბაზრიდან“ მე-2 ადგილით და 3000 დოლარით დაბრუნდა 31

ნაცნობი სახე

- ქეთევან კანტიძე: „შეცდომა დავუშვი, რომ დროულად არ გავთხოვდი და შვილები არ გავაჩინე“ 32
- ჩელე: „ბინა „სარკის“ წყალობით მაქვს“ 33

მათი მშობლები

რეზიკო დიდებაშვილის გაჩენას კინაღამ დედამისი შეეწირა 34

სარკის წინ

ნინო თარხან-მოურავის მოკლე თმამ თემიკო ჭიჭინაძე შოკში ჩააგდო 36

მეორედ დაბადება

გვანცა ქაჯაია: „ავარიის შემდეგ არ მახსოვდა, შვილი მყავდა თუ არა“ 37

ავტომოყვარული

გიორგი ნაზღაიძე: „ტყუილია, რომ ძვირადღირებულ მანქანებს საცოლე მჩუქნის“ 38

ცხოვრება ჩემოდნებზე

გუგა კუზანოვი: „ჰოლანდიელი ქალების ფონზე თავი ყველაზე დაბალი მეგონა“ 43

მეგზური

ვატიკანი — 800 კაციანი სახელმწიფო რომის შიგნით 44

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

ჩემი მშვენიერი ლედი

გელეგან ფოფხაძე: „ტაძარში თავსაბურავით მდგარი მანდილოსანი ჩემთვის ყველაზე რომანტიკულია“ 50

სპორტის მიღმა 51

ადამიანის ინსტიტუტი 52

ჭრელაჭრელა 53

შეშლილი. შეშლილი. შეშლილი მსოფლიო 54-55

ეროსი მანჯგალაძემ ელენე ყიფშიძის სიყვარული სამარეში ჩაიტანა

„ჩემს ძმას მხოლოდ ერთხელ უყვარდა, ამიტომ ცოლის მოყვანაზე აღარ უფიქრია“

მსახიობი ეროსი მანჯგალაძე ქართულ თეატრსა და კინოში გამორჩეული იყო თავისი გარეგნობით, ხმის ტემბრით, გარდასახვის საოცარი უნარით... 57 წლის ასაკში გარდაიცვალა გულის შეტევით. მიუხედავად წარმატებული კარიერისა, მისი ცხოვრება ეკრანსა და სცენის მიღმა უიღბლო აღმოჩნდა. ტრაგედიები ბავშვობიდან თან სდევდა. ჯერ დედამისი დაინვალიდდა, მერე 18 წლის ძმა მეორე მსოფლიო ომში დაკარგა, შემდეგ მამა დაუპატიმრეს. 17 წლის ეროსის ოჯახის რჩენა თავად უწევდა. ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ქორწინება მსახიობ ელენე ყიფშიძესთან. ამის შემდეგ ცოლის მოყვანაზე აღარც უფიქრია.

მსახიობის ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდებზე „სარკეს“ მისი და, ბელა მანჯგალაძე ესაუბრა.

გვ.26

სახალისო 56-57

იყავით ჯანმრთელი 58-59

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (დასასრული) 66
- ლელა ცუცქირიძე — „არაფერი“ 68

წმინდანები

თუ ღმერთს ვეძებთ, ის ყოველთვის გამოგვიცხადებს თავის თავს 72

კითხვები მოძღვარს

„შეიყვარეთ უფალი და ის თავის გულრდით გიბოძებთ ადგილს ანგელოზთა შორის!“ 73

გზა ტაძრისაკენ

მამა გიორგი: „იყო დღეები, როცა მე და ჩემი ფეხმძიმე ცოლი ულუკმაპურობდ ვიყავით“ 74

ხელსაქმე 78

№30(796) 24 — 30 ივლისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 22.07.2013, 21.00 სთ-ზე.

ახალი თაობა
Akhali Taoba

გაზეთი „ახალი თაობა“ 20 წლისაა!

22 ივლისს უნდა დაბადებულიყო. ყველაფერი დაგეგმილი, გაწერილი იყო, მაგრამ... უცებ შუქი ჩაქრა. გეგმა არ შეცვლილა, უბრალოდ ერთი დღით დაიგვიანა. პირველი ნომერი 23 ივლისს გამოვიდა და მას შემდეგ 20 წელია, არც ერთხელ დაუგვიანია, არ უმტყუნია, მართალი სიტყვისთვის არ უღალატია. პრინციპები ბოლომდე დაიცვა, მაშინაც კი, როცა ეს თითქოს შეუძლებელი იყო; ზომიერება და გონიერება არაფერში გაუცვლია... ქართულ მედიაში თავისი სიტყვა თქვა.

„სარკის“ რედაქცია ულოცავს „ახალ თაობას“ იუბილეს და დღეგრძელობას უსურვებს სიმართლის ეკლიან გზაზე.

ზაზა პაპუაშვილი ამომრჩევლებისგან შენდობას ითხოვს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაზა პაპუაშვილი ამომრჩევლებს მიმართავს. ტექსტში, რომელიც მან „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა, წერს, რომ ამ გზით სურს, თავისი ფიქრი და დარდი საზოგადოებას გაუზიაროს და ასევე მოუბოდიშოს მათ, ვისაც მისმა რომელიმე ინტერვიუმ, ქცევამ, გამოსვლამ, აზრის გამოხატვის ფორმამ გული ატკინა.

„ალბათ ხშირად ადევნებთ თვალყურს პარლამენტის პლენარულ თუ საკომიტეტო სხდომებს. მესმის, ბევრი ისეთი რამ ხდება, რისიც ბოლომდე კმაყოფილები არ ხართ, რაღაც (ვიღაც) მოგწონთ ან კატეგორიულად ეწინააღმდეგებით, განსხვავებული აზრი გაგაჩნიათ. ჩემი მხრივ, იმას ვიტყვი, რომ მაქსიმალურად ვცდილობ, გულწრფელად ვაკეთო ის საქმე, რასაც ვემსახურები, რათა საკუთარ თავს და პრინციპებს არ ვუღალატო. რა ვქნა, ასე მეთქმევინება, ასე მტკივა, ასე მიმაჩნია. შეიძლება ზოგჯერ აზრის გამოხატვის ფორმა ემოციური იყოს, მაგრამ გარწმუნებთ, როდესაც ასეთ უტიფრობას, დემაგოგიას, ცილისწამებას და ცინიზმს თითქმის ყოველდღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდები, ურთულესია წონასწორობის შენარჩუნება და ემოციების მოთოკვა.

რასაკვირველია, მოთმენა სჯობს, ხშირ შემთხვევაში გაცლაც განზრახ დაგეგმილი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად. კარგია მშვიდ გონებაზე ასეთი ანალიზის გაკეთება, მაგრამ ხშირად არ გამოდის და თითქმის შეუძლებელიცაა. სახლში ტელევიზორის პულტის ღილაკზე თითის ერთი დაჭერით გადართავ სხვა არხზე, სულაც არ მოუსმენ და არ შეხედავ ამ სახეებს, მაგრამ იქ, პარლამენტში ასეთ შესაძლებლობას მოკლებული ვართ. ნეტავ კი მქონდეს ასეთი ჯადოსნური პულტი, საერთოდ გამოვთიშავდი ამათ. რა გითხრათ, არანაირი სიკეთის, მადლის, ადამიანობის არ სწამთ. სურვილი აქვთ, გააფუჭონ, ავნონ, შეურაცხყონ, ცილი დასწამონ ყველას, ყველაფერს, ყველგან. ერთი კია, გეთანხმებით, ასეთ ადამიანებს არც თავი უნდა გაუყადრო და არც უსაგნო, უნაყოფო დებატებში შეჰყვე.

როდესაც ისინი ლაპარაკობენ ზეწოლაზე, პოლიტიკურ დევნასა თუ დაკავებებზე, აი, ეს აცოფებთ და აღაშფოთებთ ადამიანებს, ამიტომ ვერ ვიღებ მათგან ვერანაირ არგუმენტებს. ასე რომ, ჩემი აზრით, ბრძოლა არ დამთავრებულა. ბრძოლა უფრო რთულ ფაზაში შევა, გამწვავდება, პიკს მიაღწევს და ღვთის წყალობით, ბოროტებასთან ეს ჩვენი ჭიდილი ჩვენივე გამარჯვებით დამთავრდება. ჩემს თავსაც შევახსენებ მოთმინებას. ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დამიშვია, ცდუნებას ავყოლილვარ, გულიც მიტკენია სხვისთვის, მაგრამ განცდა, ფიქრი, სინანული არ დამიკარგავს... ქვეყნის სიყვარული, გადარჩენა, მოვლა უფრო რთული ყოფილა, ვიდრე მეგონა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავიღალე, გული გამიცივდა. პირიქით, უფრო იმედიანი და ბრძოლისუნარიანი გავხდი.

თუ ჩემმა რომელიმე ინტერვიუმ, ქცევამ, გამოსვლამ, აზრის გამოხატვის ფორმამ გული გატკინათ, შემინდეთ! ღმერთია მოწამე, ავი არავისთვის მინდა. ბედნიერება, სიმშვიდე, ულამაზესი საქართველო კი ძალიან... ცოტა სევდიანი წერილი გამოვიდა, თუმც იყოს... მიყვარს შემოდგომა, სიმშვიდე და სევდა“... — წერს ზაზა პაპუაშვილი.

დავით ბაქრაძის პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებიც არსებობს

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი და ნაციმოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ მასაც უსმენდნენ და მისი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებიც არსებობს.

— როგორც გადმოცემით ვიცი, ჩემზეც არსებობს ჩანაწერები, რაც ჩემს სიტუაციას სრულიადაც არ ამარტივებს და კარგად არ აჩენს. ძალიან ცუდია, როცა ქვეყნის მეორე პირს უკანონოდ გიღებენ. არ ვიცი, რა, მაგრამ ვიცი, რომ რაღაცეები არის. ეს ინფორმაცია კომისიის წევრებისგან მივიღე, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ამ ფირებთან, — აცხადებს ბაქრაძე.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერების არსებობის შესახებ არ იცოდა, მისი მხრიდან მხოლოდ ამის განცხადება საკმარისი არ არის და „არცოდნა არცოდვას არ ნიშნავს“.

შალვა ნათელაშვილის სახლის გაძარცვა სცადეს

ევიბორისტული პარტიის ლიდერის ბინის გაძარცვა 60 წლის მამაკაცმა სცადა. შალვა ნათელაშვილის მეუღლის, ბელა ალანიას თქმით, მას სახლის კარი ღია დარჩა. სამზარეულოში იმყოფებოდა, როცა ხმაური შემოესმა. დერეფანში გასულმა კი მის ბინაში 60 წლამდე მამაკაცი დაინახა, რომელიც გაიქცა. მან დაცვასთან დაკავშირება მოასწრო და მძარცველი სადარბაზოში დააკავეს.

— ვთხოვე, ეთქვა ჩემთვის, რა უნდოდა ბინაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიციაში დავრეკავ-მეთქი. მიპასუხა, როგორც კი დარეკავ, ყელს დანით გამოგჭრი და საკუთარ სისხლს დაგანახვებო, — აცხადებს ალანია.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კეკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი – იზა ბარბაქაძე.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

ზუგდიდი და ბათუმი ნაციონალებს კვერცხებით დახვდა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაიმერიზის მე-4 და მე-5 ტურში, რომელიც ზუგდიდსა და ბათუმში ჩატარდა, ისევე, როგორც წინა სამ ტურში, დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა. ბაქრაძის განმარტებით, მისასალმებელია, რომ პარტიის წევრთა უმეტესობა შერიგებისა და გამთლიანების პოლიტიკას უჭერს მხარს.

— ჩემი, როგორც კანდიდატის ხაზი, დღესაც და მომავალშიც იქნება საზოგადოების გამთლიანებაზე, შერიგებაზე და იმაზე ორიენტირებული, რომ ჩვენ ყველამ ერთად ვიმუშაოთ უკეთესი მომავლის მისაღწევად. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ მიმართულებას პარტიის უმრავლესობა იზიარებს, — აცხადებს ბაქრაძე.

წინა სამისგან განსხვავებით, ნაციონალების პრაიმერიზს ზუგდიდში პროტესტით შეხვდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქციის მონაწილეებმა ნაცმოძრაობის წევრებს სირცხვილის კორიდორი მოუწყვეს, წყლიანი ბოთლები, ქვები, კვერცხები ესროლეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. აცხადებდნენ, რომ სამეგრელო შელახულ ღირსებას იცავდა და ნაციონალებს იქ ჩასვლის მორალური უფლება არ აქვთ. შეხლა-შემოხლის დროს რამდენიმე მოქალაქე, სამართალდამცავი და ჟურნალისტი დაზარალდნენ. აქციაზე განვითარებული მოვლენების გამო 9 პირია დაკავებული.

მოგვიანებით ბათუმში, რომელიც ასევე კვერცხებით დახვდა ნაციონალებს, კიდევ ერთი მოქალაქე, მერაბ ღოღობერიძე დაკავეს, რომელიც ნაცმოძრაობის პრაიმერიზის დაწყებამდე სასტუმრო „შერატონთან“ არსებული პოლიციის კორდონის გარღვევას ცდილობდა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა შემაჯამებელ პრაიმერიზს 27 ივლისს გამართავს. დასკვნითი პრაიმერიზი სხვა ფორმატით წარიმართება და წინა ტურებისგან განსხვავებით კანდიდატები ერთმანეთს დებატებში აღარ შეეჯიბრებიან.

ქალების სიმრავლისთვის პარტიას მეტს გადაუხდიან

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა პარტიების საქმიანობაში არსებული შეზღუდვების მოხსნასა და დასაბუთებული ხარჯების დამატებით ანაზღაურებაზე პარლამენტს წინადადება წარუდგინა.

დეპუტატის ინფორმაციით, პარტიებისთვის საჯარო ღონისძიების მოწყობის შედეგად ნებადართული შემოსავლების ოდენობა 60.000 ლარიდან 300.000 ლარამდე იზრდება, ხოლო შემოწირულობის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს იმ აუცილებელი პირობის დაცვით უბრუნდება, რომ მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ.

— შემოდის ახალი შეზღუდვები, შემომწირველი არ შეიძლება იყოს ის იურიდიული პირი, რომელსაც წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15 %-ზე მეტი გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით აქვს მიღებული. შემომწირველი არ შეიძლება იყოს ის იურიდიული პირი, რომლის პარტნიორი სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოა (თუნდაც 1 % წილობრივი მონაწილეობით), მოქალაქისგან მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60.000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისგან 120.000 ლარს.

4-დან 3 პროცენტამდე მცირდება საპარლამენტო არჩევნებში პარტიების დაფინანსების ბარიერი. ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას აიღებს ის პარტია, რომელიც უკანასკნელ საპარლამენტო ან უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში 3 პროცენტიან ბარიერს გადალახავს. პარტიას უფლება ენიჭება, ყოველ კალენდარულ წელს თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად აიღოს კრედიტი 1 მილიონი ლარის ოდენობით. ორჯერ მცირდება პარტიის საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში დასაშვები ხარჯის საერთო ოდენობა. ის აღარ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,1 პროცენტს, — განმარტავს ქუცნაშვილი.

პარტიისთვის რიგგარეშე ფინანსური აუდიტის ჩატარებისთვის აუდიტის სამსახური ვალდებული ხდება, ნებართვის მისაღებად სასამართლოს მიმართოს. ამასთანავე, სახელმწიფო მზადაა, ხელი შეუწყოს ქალის როლის გაძლიერებას პოლიტიკაში. დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, პოლიტიკური პარტია დაფინანსებაზე 30%-იან დანამატს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ ათ კაცში ქალები, სულ მცირე, 30%-ით იქნებიან წარმოდგენილი.

ბაჩო ახალაია ირაკლი ალასანიას კორუფციაში ადანაშაულებს

თავდაცვისა და შს ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია „ფეისბუქის“ საკუთარ ოფიციალურ გვერდზე განცხადებას ავრცელებს, სადაც ირაკლი ალასანიას სამარცხვინო მინისტრს უწოდებს.

„დღეს საქართველოს მისი ისტორიის მანძილზე ყველაზე სამარცხვინო თავდაცვის მინისტრი ჰყავს. ირაკლი ალასანია არის ადამიანი, რომელიც საჯაროდ აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ ჩემი მინისტრობის პერიოდში 30-მდე გამორჩეულმა სამხედრო მოსამსახურემ, ადამიანებმა, რომლებიც იცავდნენ ქვეყანას და არ ჰქონდათ საკუთარი საცხოვრებელი, ბინები მიიღეს საჩუქრად მადლიერების ნიშნად და ნიშნად იმისა, რომ არც ერთი სამხედრო მოსამსახურე არ დარჩებოდა ყურადღების და პატივისცემის გარეშე ქვეყნის, ხალხის და მთავრობის მხრიდან. მე გული იმაზე მწყდება, რომ მინისტრობის პერიოდში ვერ შევძელი და უფრო მეტ სამხედრო მოსამსახურეს ვერ ავუშენეთ ბინები. ნებისმიერი ნორმალური მინისტრი, უბრალოდ, წესიერი ადამიანი სწორედ ამაში უნდა ეჯიბრებოდეს მის წინამორბედს და სამხედრო მოსამსახურეების პირობების გაუმჯობესებაზე უნდა ზრუნავდეს. ამის ნაცვლად ირაკლი ალასანიამ შეაჩერა პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულება და ბინების გადაცემა სამხედრო მოსამსახურეებისთვის. სწორედ ამიტომ ორი ჯარისკაცი, რომლებმაც ავღანეთში დაკარგეს ქვედა კიდურები და მათთვის გადაწყვეტილი იყო ბინების გადაცემა, დღემდე უიმედოდ ელოდება დახმარებას.

ალასანიამ ააწყო კორუფციაზე დაფუძნებული სისტემა, კანონის უხეში დარღვევით ტენდერებში მის საახლობლოს გაამარჯვებინა, სწორედ ამიტომ ცხრა თვის მანძილზე რამდენჯერმე მოიწამლა ასობით ჯარისკაცი გაფუჭებული საკვებით და ამ დროს იგი იმ დონემდეც კი გათავხედდა, რომ 2008 წლის გმირებს აქილიკებს და სახელმწიფოსგან საჩუქრად გადაცემულ ბინებს ამადლის. მოვა დრო და ირაკლი ალასანია პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის ქართული ჯარის წინაშე“, — ნათქვამია ბაჩო ახალაიას განცხადებაში.

„მინდა, ვიყო ერთი კენჭი, ბავშვებისთვის პრეზიდენტი!“

ოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი ნიკოლოზ გორგიჯანიძე გაპრეზიდენტების შემთხვევაში მის გუნდში მუშაობას პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ეკა ბესელიას, კობა დავითაშვილს და ზურაბ ტყემალაძეს შესთავაზებს. საპრეზიდენტო კამპანიისთვის სლოგანი უკვე აქვს: „მინდა, ვიყო ერთი კენჭი, ბავშვებისთვის პრეზიდენტი“, პოლიტიკურ პარტიას კი უახლოეს მომავალში ჩამოაყალიბებს სახელით „მათხოვრის ხელი“.

— არც ერთი პოლიტიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატს კონკურენტად არ აღვიქვამ. ჩემი კონკურენტი მხოლოდ სატანაა. ყველა მათხოვარი და ღარიბი მე დამიჭერს მხარს და დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ. თუ არ გავიმარჯვეთ, ესე იგი საქართველოში ყველა მდიდარი ყოფილა და ეს კარგია, — აცხადებს ნიკოლოზ გორგიჯანიძე.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

Apifito PHARM

ბალზამი 100% ნატურალური პროდუქტი !

პრომიოდი

როცა თვით ბუნება კურნავს...

ბალზამი „პრომიოდი“ — ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით მოცული კარპატის მთები, რომელსაც უმღერიან ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არამხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. კარპატის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.

ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში, მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა — ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ კარპატებში. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომიოდი“. იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.

ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია თავისთავად.

მის შემადგენლობაში შედის: თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი. პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს“.

მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაპატენტებული ტექნოლოგიით ურთულესი დამუშავების გავლის შემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაოგნებელ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს თავიანთ დაავადებებთან გამკლავებაში.

მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმების დროს.

ბალზამი „პრომიოდი“ ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორიცაა იშემია, არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის ხტომების დროს. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავის ტკივილს, სტაბილურს ხდის წნევას, შველის სახსრებში ტეხვისას და, მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მრავლობითი დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტი, მალთაშორისი თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომიოდი“ არბილებს სისხლძარღვთა კედლებს. ხდის მათ უფრო ელასტიკურს და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომიოდი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის — თავის ტრავმის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ. კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), შაქრიანი დიაბეტი.

„პრომიოდი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრიპი, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰიმორიტი, პაროდონტოზი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასთმა, ბრონქიტი, პნევმონია, პროსტატიტი და ა.შ.) დროს.

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალზამისა, რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი.

მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკრმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინავდნენ ყვავილიდან ყვავილზე. მზრუნველმა ხელებმა თაფლის კომპოზიციას დაუმატა სამკურნალო ზეთები იმ მცენარეებისა, რომლებიც დედამიწის წვენებს და სტიქიის ენერგიას შეიწოვენ.

შეიგრძენით „პრომიოდ“-თან ერთად კარპატების მაცოცხლებელი სუნთქვა.

მაწუხებდა სახსრები,სიარული მიჭირდა და აუტანელი ტკივილებიც მქონდა და პროსტატაც მაწუხებდა, რის შედეგაც ღამის განმავლობაში რამოდენიმე ჯერ ადგომი მიწევდა. ბალზამ „პრომიოდიტ“ მკურნალობის შემდეგ ტკივილები აღარ მაქვს,სიარული აღარ მიჭირს და ღამეც მშვიდად მძინავს. ახლა თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ და სიტკვები არ მყოფნის რომ გამოვთქვა ჩემი მადლიერება!

ვერძაძე ხასან. 80 წ.ქ. ბათუმი.

მაქვს რთული ქრონიკული კანის დაავადება-ფსორიაზი. კანი მექერცლებოდა და მექავებოდა. რომ შევიტყვე ბალზამ „პრომოიდის“ შესახებ მისი მიღება გადავწყვიტე.ვიღებდი შინაგანად და გარეკანზე(დაზიანებულ ადგილებზე) ვისმევდი. მკურნალობის 3 დღის შემდეგ ქავილი მომეხსნა,ორი კვირის შემდეგ კი გამონაყარიც გაქრა. მიღებული შედეგით გაოცებული ვარ.ბალზამის მიღება ახლაც ვაგრძელებ!

მაია კუკულაძე. 43წ.ქ. რუსთავი.

ძალიან მაწუხებდა ტკივილები სახსრებში, ამის გამო თითქმის ყოველდღე ტკივილგამაყუჩებელს ვღებულობდი, გარდა ამისა მაღალი წნევა,უძილობა და რინიტი (ქრონიკული სურდო) მაწუხებდა,რის გამო სუნთქვა მიჭირდა. ბალზამ „პრომიოდის„ პირველი კურსის შემდეგ ტკივილებმა სახსრებში გამიარა, საერთო მდგომარეობა გამიუმჯობესდა, ხოლო მეორე კურსის მიღების შემდეგ არტერიული წნევა დამირეგულირდა 120/70,ძილი გამიუმჯობესდა და ქრონიკულმა სურდომ გამიარა. მიღებული შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ! უღრმესი მადლობა თქვენ და ბალზამ „პრომიოდს„!

აბურჯანია რუსუდანი 57 წ. ქ.ფოთი.

ერთი წლის წინ დამიდგინეს დიაგნოზი-გლაუკომა. პერიოდულად თვალის წნევა მიწევდა ხოლმე.საოპერაციო ვიყავი,მაგრამ არ დავთანხმდი და ჟურნალში წავიკითხე ბალზამ პრომიოდზე, შინაგანად მიღება დავიწყე თვალის ირგვლივ და საფეთქლებზე ვისმევდი.4 ქილის მიღების შემდეგ შევატყვე,რომ თვალის წნევამ დაიწია,ექიმი კი გაოგნებული იყო შედეგით,რადგან საოპერაციო ვიყავი,ეხლა კი ოპერაცია არ მესაჭიროება! დიდი მადლობა თქვენ და ბალზამ პრომიოდს!!!



დავიდ ლაფიაშვილი 73წ.თბილისი.

Cyan Magenta Yellow Black

ძალიან შეუძლოდ ვიყავი, მდგომარეობა იმდენად გაუარესებული მქონდა რომ სიცოცხლის ხალისიც კი არ მქონდა.ნერვოზი,გაღიზიანობადობა,სახსრებში ტკივილები მაწუხებდ,ამის გარდა 2010 წელს გადავიტანე 1 ინფარქტი, 3 მიკროინფარქტი და 1 ინსულტი, მქონდა ხშირი, აჩქარებული გულისცემა და საერთო სისუსტე, სახეზე ფერიც კი არ მქონდა იმდენათ დასუსტებული ვიყავი,ძალა არ

მქონდა.ერთ თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ, სიარული დავიწყე,სახსრებში ტკივილები მომეხსნა, გაღიზიანობადოდა მომეხსნა,ძალა,ენერგია მომემატა,გულის რითმი დამირეგულირდა, აჩქარებული და ხშირი გულისცემა მომეხსნა,ეს ხომ საოცრებაა,ეხლა კი სიცოცხლის ხალის ვგრძნობ,თქვენმა ბალზამმა ფეხზე დამაყენა და უღრმეს მადლობას მოგიხდით ასეთი სასწაულისათვის!

ნარგიზი როსტიაშვილი 61წ.წეროვანი.

ბალზამ პრომიოდის 4 ქილა შევიძინე, მომეხსნა ტკივილები ხერხემალში, ასთმური შეტევაც კი არ მქონია,რომელიც ხშირად მაწუხებდა. მკურნალობამდე კი ძლიერი ტკივილები ხერხემალში მქონდა,რის გამოც გადაადგილება ძალიან მიჭირდა.ეხლა კი საერთო მდგომარეობა გამიუმჯობესდა და თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ, თქვენი უღრმესი მადლობელი ვარ!

ლეილა ბრეგვაძე.65წ. ქ.თბილისი

ბალზამის მიღების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა გამიუმჯობესდა.მაქვს ჩიყვი და ქვედა კიდურების ართროზი,ტკივილების გამო სიარული ძალიან მიჭირდა.ახლა ვიღებ ბალზამ პრომიოდს და სულ მივიღე 7 ქილა,შევატყვე რომ სახსრები აღარ მტკივა და ჩიყვი დამიპატარავდა,ეს ხომ ჩემთვის არც ისე უმნიშვნელოა, გმადლობთ ბალზამი ნამდვილად დამეხმარა!

მაყვალა კვაჭაძე.74წ.თბილისი.

ჩემი მდგომარეობა გამიუმჯობესდა 4 ქილის მიღების შემდეგ.მაქვს შაქრიანი დიაბეტი,ართროზი, ოსტეოქონდროზი,რომელიც 35 წელი მაქვს და ნაღველაც მაწუხებს.ბალზამის წყალობით შაქრის დომენ სისხლში დაიწია,მკურნალობამდე 400 მქონდა ,მთელი ზამთარი ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი,ეხლა კი ვდგები და ნელ-ნელა დავდივარ ,როგორც ადრე.ტკივილები სახსრებში აღარ მაქვს,შაქრის დონემ სისხლში დამირეგულირდა და ნაღველაც არ მაწუხებს. დიდი მადლობა !

ელგუჯა გოგატიშვილი.78წ.საჩხერე.

რამოდენიმე წლის წინ დამიდგინეს დიაგნოზი-ჰიპერტონია.წამლების მიღება დავიწყეამის გარდა ვარიკოზიც აღმომჩნდა,ქვედაკიდურებში სიმძიმის შეგრძნება მქონდა.გაზეთში ამოვიკითხე ინფორმაცია პრომიოდის შესახებ,მისი შემადგენლობა ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე მიღება.ბალზამს ვღებულობდი შინაგანად და გარეკანზე ანუ ვენებზეც ვისმევდი თხლად. რამოდენიმე კვირაში(8 ქილა მივიღე) სიმსუბუქე ვიგრძენი ქვედაკიდურებში და არტერიული წნევამ დამირეგულირდა.ამის ფონზე წამლების მიღება შეუცყვეტე.დიდი მადლობა თქვენ და ყველას ვურჩევ ბალზამის მიღებას,რადგან ის ნამდვილად შედეგიანია!

მურანაშვილი ზურაბი. 52წ.ქ.თბილისი.

ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი წერილები, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ბალზამ „პრომიოდ“-ს კეთილისმყოფელი მოქმედება.

ჩემი ახლობლებისგან გავიგე ბალზამის თაობაზე , მეც მირჩიეს ეს პროდუქცია და გადავწყვიტე თქვენს ლეკციაზე მოსვლა და ბალზამის შეძენა.უკვე დიდი ხანია როგორც მაწუხებს ოსტეოონდროზი,ვერ დავდიოდი,კოლიტი ,თირკმელების პრობლემები და ჰაიმოროტი მაქვს,ამის გამო სუნთქვა მიჭირდა და ცხვირიდან გამონადენი მქონდა.2,5 თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ(10 ქილა) შევატყვე,რომ წელის და ფეხების ტკივილმა გამიარა,თირკმელებიც აღარ მაწუხებს ,კუჭის მოქმედება დამირეგულირდა,ცხვირიდან ჩირქოვანი გამონადენი მქონდა და გამისუფთავდა , სუნთქვაც აღარე მიჭირს,არ მჯერავს,რომ ამის საშველი დადგა! უღრმეს მადლობას მოგიხდით თქვენ ყველას!

თამარი ტყეშელიაძე.

„პრომიოდი“-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

ყურადღება!!! განრიგში ცვლილებებია!!!

თბილისი, 24, 25, 26, 27, 28, 29 ივლისი, 6, 7, 8, 9, 10, 11 ,12 აგვისტო მის.: ბახტრიონის 22. 15.00-17.00 სთ.
ვარკეთილი – 3, 2 მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის 1. 167-ე მარშრუტკის ბოლო გაჩერება, „ავერსის“ აფთიაქის თავზე. ყოველდღე, 10.00-20.00 სთ.

თელავი, 27 ივლისი, 10 აგვისტო. მის.: 26 მაისის ქ. 5. ჭადრაკის სახლი. 11.00-12.00 სთ.

მარნეული, 28 ივლისი, 11 აგვისტო. მის.: რუსთაველის 24. რესტ. „თეთრი სახლი“, 12.00-13.00 სთ.

რუსთავი, 29 ივლისი, 12 აგვისტო. მის.: შარტავას 13 მიმდ. ტერ. „ბაო“, 10.00-11.00 სთ.

კასპი, 29 ივლისი, 12 აგვისტო. მის.: კოსტავას 1. კულტურის სახლი, 13.00-14.00 სთ.

გორი, 29 ივლისი, 12 აგვისტო. მის.: სტალინის გამზ. 26. სასტუმრო „ჯორჯია“. 15.00-16.00 სთ.

ბათუმი, 30 ივლისი, 13 აგვისტო. მის.: ზუბალაშვილების 18. სასტუმრო „თიკო“, 10.00-12.00 სთ.

ოზურგეთი, 30 ივლისი, 13 აგვისტო. მის.: იოანე პეტრიწის 1. რეტორანი „ეზაბელა“. 11.00-12.00 სთ.

ქობულეთი, 30 ივლისი, 13 აგვისტო. მის.: აღმაშენებლის გამზ. 388. სასტუმრო „რივიერა“, 13.00-14.00 სთ.

ფოთი, 30 ივლისი, 13 აგვისტო. მის. 9 აპრილის 10. „ბალუ“. 15.00-16.00 სთ.

ზუგდიდი, 30 ივლისი, 13 აგვისტო. მის. გამსახურდიას 26. „ატრიუმი“. 17.00-18.00 სთ.

სამტრედია, 31 ივლისი, 14 აგვისტო. მის.: შ. რუსთაველის 21. რესტორანი „ჭურტავა“, 10.00-11.00 სთ.

ქუთაისი, 31 ივლისი, 14 აგვისტო. მის.: კოსტავას 25. სასტუმრო „ლია“. 12.00-13.00 სთ.

ზესტაფონი, 31 ივლისი, 14 აგვისტო. მის.: ჭანტურიას 42. ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, 14.00-15.00 სთ.

ჭიათურა, 31 ივლისი, 14 აგვისტო. მის.: აღმაშენებლის 91. სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“. 16.00-17.00 სთ.

ახალციხე, 1 და 15 აგვისტო. მის.: კოსტავას 4/24. ბარი „სტუმრად ნუკისთან“. 12.00-13.00 სთ.

ბორჯომი, 1 და 15 აგვისტო. მის.: რუსთაველის 101. სასტუმრო „ოლიმპი“. 14.00-15.00 სთ.

ხაშური, 1 და 15 აგვისტო. მის.: კოსტავას 6. აფთიაქი. 16.00-17.00 სთ.

ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი
მინიმალურ შეკვეთა — 2 შეფუთვა
არ წარმოადგენს მედიკამენტს. მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია, საქონელი სეთიფიცირებულია.

www. apifito.net

გამოსცადე ბალზამის სამკურნალო თვისება. ბუნების საჩუქარი.

საინფორმაციო:
571 22 98 98

Cyan Magenta Yellow Black

ელისო ჩაფიძის ორთვიანი რომანი ქორწინებით დაგვირგვინდა

„პრეზიდენტის ვეტოც დავძლიე და კიდეც გავთხოვდი!“

■ სიძე-პატარძალი

„ქართული ოცნების“ წევრმა და ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, წარსულში ჟურნალისტმა, 38 წლის ელისო ჩაფიძემ თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიყვარული ქუთაისში იპოვა. ორიოდე თვის წინ დაწყებული ურთიერთობა ქორწინებით დაგვირგვინდა. ელისოს რჩეული ქუთაისში მცხოვრები 42 წლის ბიზნესმენი დავით მიქაბერიძეა. მათ ერთმანეთი რამდენიმე თვის წინ მამუკა ჩარკვიანის კონცერტზე გაიცნეს, ურთიერთობაც და მოვლენებიც ძალიან სწრაფად განვითარდა.

წყვილმა 20 ივლისს გელათში დაიწერა ჯვარი. ცერემონიალს მთელი პოლიტიტბლიშმენტი ესწრებოდა თავისი ბრწყინვალებით. ჯვრისწერამდე ნახევარი საათით ადრე ლამაზი თაიგულით ხელში პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილიც მივიდა, რომელმაც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე წარადგინა ელისო ჩაფიძე, როგორც სასურველი საპატარძლო. ჯვრისწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, ვახტანგ ხმალაძე, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი, ეკა ბესელია, ანი მიროტაძე, მანანა კობახიძე და სხვა სამთავრობო სახეები. ყოფილი ნაციონალებიდან კი მხოლოდ მარიკა ვერულაშვილი იყო მეუღლესთან ერთად.

ჯვრისწერის შემდეგ ნეფე-დედოფალმა სტუმრები ქუთაისის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში მიიპატიჟა. შემდეგ ხელის მოწერის ცერემონიალიც გაიმართა, სადაც ელისო ჩაფიძემ გამოაცხადა, რომ მეუღლის გვარზე გადავიდა. ბიძინა ივანიშვილმა წყვილს კიდევ ერთხელ მიულოცა გაბედნიერება და სუფრა ბიზნესმენ ჯონი გიგანს ჩააბარა. ქორწილში ჯანსულ ჩარკვიანი ოჯახთან ერთად იმყოფებოდა. ის სიძის ახლო ნათესავია.

წყვილი თაფლობისთვეს ჯერჯერობით საქართველოში ატარებს. ისინი უახლოეს დღეებში ზღვისპირეთში გეგმავენ წასვლას. ცხოვრებას კი, სანამ პარლამენტის შენობა ქუთაისშია, იქ აპირებენ.

— ელისო, პირველ რიგში, გილოცავთ გაბედნიერებას! ვკითხავთ, სად და როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე?

— ერთმანეთი რამდენიმე თვის წინ მომღერალ მამუკა ჩარკვიანის კონცერტზე გავიცანით. დათო მამუკას ნათესავი აღმოჩნდა. საღამოს დასრულების შემდეგ მეგობრებმა რესტორანში დამპატიჟეს. ჩვენი ურთიერთობაც სწორედ იქ დაიწყო.

— შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

— თავიდან დათო აქტიურობდა, ბოლოს კი — მე. სიმართლე გითხრათ, პირველად მის მიმართ დიდი ინტერესი არ გამომიხატავს, რადგან ზოგადად აქტიური ადამიანი არ ვარ, მით უმეტეს, მამაკაცებთან ურთიერთობაში. მგონია, რომ ასეთ დროს პირველი ნაბიჯები ყოველთვის კაცმა უნდა გადადგას. ამის შემდეგ ხან მიზეზით და ხან უმიზეზოდ დათო ჩემთან შეხვედრებს ცდილობდა. ერთმანეთში ძალიან ბევრი საერთო აღმოვაჩინეთ, ერთად ყოფნა გვსიამოვნებდა. გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების მხრიდან აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ფარგლებში ბერლინსა და პარიზში მიწვევა მქონდა. როცა იქ წავედი, ჩვენი ურთიერთობა უკვე ისეთ სტადიაზე იყო, თითქმის ყოველდღე ტელეფონზე ვსაუბრობდით. იქ ყოფნისას აღმოვაჩინე, რომ ერთმანეთს ძალიან შევეჩვიეთ და ერთად ყოფნის სურვილი გვქონდა.

— სიყვარული გაცნობიდან რამდენ ხანში გაუჩნდათ?

— ურთიერთობის დაწყებიდან დაახლოებით ერთ თვეში. ეს რომ გავაცნობიერეთ, ერთი თვის შემდეგ უკვე დავქორწინდით.

— ამ მცირე დროის განმავლობაში ერთმანეთში ალბათ ისეთი რამ აღმოაჩინეთ, რამაც ეს სერიოზული ნაბიჯი გადადგადგმეინთ. რითი მოგხიბლათ დათომ?

— დათოს შეუძლია ყველაზე ლამაზ, ყველაზე ჭკვიან და სასურველ ქალად მაგრძნობინოს თავი. მისთვის მე ვარ პრინცესაც, დედოფალიც, მსახიობიც... მის გვერდით სრულყოფილების შეგრძნება მაქვს და როცა ამას ვამბობ, ცოტა მეშინია. რაც შეეხება თვითონ დათოს, მიკვირს, როგორ შეიძლება ადამიანი 42 წლის იყოს და ასეთი სუფთა, ვაჟკაცი დარჩეს. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ცოტაა ასეთი პიროვნებები, რომ არ იცვლებიან და ღირებულებები არ ეცვლებათ. დათო გარეგნულადაც არაჩვეულებრივი ბიჭია. შესანიშნავად ცეკვავს, მღერის, გვარიშვილობაც კარგი აქვს და ყველაფერი. რითაც შეიძლება ადამიანი შემკული იყოს, მას აქვს. დათოს ერთ-ერთი სასახელო ოჯახი ჰყავს. გელოვანების შთამომავალია. ერთი სიტყვით, ძალიან კარგი და დიდი ტრადიციების მქონე ოჯახიშვილია, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, საოცრად სუფთა ადამიანია, თავისი ქვეყანა, მეგობრები ძალიან უყვარს, თავგანწირულია ყველაფრისთვის. მე მგონი, რა ღირსებაც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, მას ყველაფერი გააჩნია.

— როგორ მიიღეთ დაქორწინების გადაწყვეტილება, რა ვითარებაში მოხდა ეს?

— დაქორწინებამდე რამდენიმე კვირით ადრე ცოტა ნასვამმა შემომთავაზა ცოლობა. სახლში ტაქსით მაცილებდა და მითხრა, ერთად სადმე ხომ არ წავსულიყავითო, ჩვენი ურთიერთობის გადაწყვეტას გულისხმობდა. სიმართლე გითხრათ, ამაზე რეაქცია არ მქონია. მაშინ ის თბილისში იყო. შემდეგ ქუთაისში საგანგებო სესია დაინიშნა და წავედი. დათო იმდენად დამაკლდა, მეორე დღეს მე თვითონ დავურეკე, ვკითხე, შენი წინადადება ისევ ძალაში თუა-მეთქი. კიო, მიპასუხა. მაშინ ქუთაისში ჩამოდი-მეთქი.

„მიკვირს, როგორ შეიძლება ადამიანი 42 წლის იყოს და ასეთი სუფთა, ვაჟკაცი დარჩეს. დათო გარეგნულადაც არაჩვეულებრივი ბიჭია. შესანიშნავად ცეკვავს, მღერის, კარგი ოჯახიშვილია“.

„დათომ ცოტა ნასვამმა შემომთავაზა ცოლობა... მის გვერდით სრულყოფილი ქალი ვარ!“

■ სტუმრებთან და მეჯვარეებთან ერთად

პარლამენტში პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემდეგ გადაწყვეტილება მივიღეთ, ერთ კვირაში ხელიც მოვაწერეთ და ჯვარიც დავიწერეთ.

— ეს ყველაფერი ტრადიციულად მოხდა: დათო თქვენს ოჯახში მოვიდა, თქვენი ხელი ითხოვა და ასე შემდეგ?

— კი, ჩვენს ოჯახში მოვიდა. სამწუხაროდ, მამა არ მყავს, ძალიან დიდი ხნის წინ გარდამეცვალა. დათომ ჩემი ხელი დედაჩემს სთხოვა. სხვათა შორის, ქორწინებამდე ერთი კვირით ადრე ბატონი ბიძინაც გავაცანი. დათო ჩემ გარშემო ყველას იცნობდა, ჩემს ოჯახშიც იყო ნამყოფი, ჩემს ძმასთანაც კი. ამიტომ ამ გადაწყვეტილების ახსნა-განმარტებები არ დაგვჭირვებია.

— თქვენი მეჯვარეები ვინ იყვნენ?

— ჯვარი გელათში დავიწერეთ. დათოს მეჯვარე მისი ბავშვობის მეგობარი ალეკო დვალიშვილი იყო, არაჩვეულებრივი ქუთაისელი კაცი, ქველმოქმედი, ერუდირებული ადამიანი. მეორე მეჯვარე ასევე მისი უახლესი მეგობარი და ნათესავი,

Cyan Magenta Yellow Black

ზვიად ყიფიანი გახლდათ. ჩემი მეჯვარე ტყიბულელი მარეხ სირბილაძე იყო. ის ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია, წინასაარჩევნო პერიოდში მეხმარებოდა, მთელი მისი ოჯახი, როგორც საკუთარი, ისე მედგა გვერდით. მეორე მეჯვარე მარიამ ყაყიჩაშვილი იყო, იურისტი. „ქართული ოცნების" ცენტრალურმა ოფისმა მიავლინა ტყიბულში. ჩვენ არჩევნებმა დაგვამეგობრა.

„დათოს შეუძლია, ყველაზე ღამაზ, ყველაზე ჭკვიან და სასუქიანი ქალად მაგიძნობინოს თავი. მისთვის მე ვარ ჰინცესაც, ღეღოფალიც, მსახიობიც...".

— თქვენი ქორწილი ამით იყო გამორჩეული, რომ პოლიტიკოსიტა ესწრებოდა — ბიძინა ივანიშვილი, დაკით უსუფაშვილი...

— დათო უსუფაშვილი ჩემი ძალიან დიდი ხნის მეგობარია და, სხვა-

„დათომ იცის, თუ ოგორი ოისკიანი ჰოფესიაა ვეინალისტიკა, ამიტომაც პატივს მცემს. მას საწინააღმდეგო ოიაფეი ექნება, თუ ვეინალისტიკაში დავბრუნდები".

თა შორის, გული ძალიან დამწყდა, რომ ქორწილში თინა ხიდაშელი ვერ მოვიდა, რადგან ამერიკაში იყო. მას ჩვენი ბედნიერება ძალიან გაუხარდა და მომილოცა.

— ბიძინა ივანიშვილმა მაყორიტარად რომ წარგადგინათ, მაშინ თქვა, სასურველი საპატარძლოა. მისი სიტყვები კარგად გაგიგდათ, დეპუტატიც გახდით და კიდეც გათხოვდით. პრემიერმა თქვენი ბედნიერების ამბავი რომ გაიგო, რა გითხრათ?

— ძალიან გაუხარდა. ვხუმრობ ხოლმე, ბატონი ბიძინა ასე და კიდევ უფრო უკეთესად ასრულებს ყველა დაპირებას, რაც წინასაარჩევნოდ გასცა-მეთქი.

— რას საქმიანობს თქვენი მეუღლე?

— ბიზნესმენია. ბიზნესის მართვის დიდი ხნის გამოცდილება აქვს. სხვადასხვა ტიპის საქმიანი შეხვედრები აქვს ხოლმე, ერთი სიტყვით, მომსახურების სფეროშია დაკავებული.

— თქვენს საქმიანობას, ასეთ აქტიურ ცხოვრებას რაგორ უყურებს?

— ამაზე ძალიან კარგი შეხედულებები და ჭკვიანური მოსაზრებები აქვს. როგორც მითხრა, მიცნობდა და ძალიან კარგი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, რასაც ადრე ვაკეთებდი. იცის, თუ როგორი რისკიანი პროფესიაა ჟურნალისტიკა, ამიტომაც პატივს მცემს. საწინააღმდეგო არაფერი ექნება, თუ ჟურნალისტიკაში დავბრუნდები.

— სად აპირებთ ცხოვრებას?

— ქუთაისსა და თბილისს შორის ვიქნებით, რადგან დათოს მშობლები ამჟამად თბილისში არიან. სანამ პარლამენტი ქუთაისში იქნება, ბუნებრივია, აქ ყოფნას ვაპირებთ. მშობლებსაც ყურადღება სჭირდებათ და ძალიან უხარიათ, როცა მათთან ჩავდივართ.

— თავლიობისთვეს საქართველოში ატარებთ?

— საქართველოს ზღვისპირეთში ვაპირებთ წასვლას, გარკვეული პატრიოტული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნამდვილად გვირჩევნია, ჩვენს ქვეყანაში დავისვენოთ. დათოს ზღვაზე მეტად მთა უყვარს, მაგრამ ჩემი სურვილი იყო, ზღვაზე წავსულიყავით. ამის შემდეგ ძალიან გვინდა, იტალია მოვინახულოთ, რადგან იქ არც მე ვყოფილვარ და არც ის. ოღონდ იქ წასვლა გადარბენით და დაძაბულ რეჟიმში არ გვინდა.

✓ ეკა ლემონჯავა

ლევან ჯიბღაშვილი ძველ შეყვარებულზე უკეთეს გოგოს ეძებს

„გამოხიცხელია, ქმრიან ქალთან ოომანი გავაბა!"

ვოპულარული მსახიობი ლევან ჯიბღაშვილი ჯერ-ჯერობით თავის ბიზნესზე, გართობასა და კარიერაზეა გადართული. როლებს მხოლოდ პირადი შეხედულებების მიხედვით ირჩევს, რადგან ფინანსურად ამ პროფესიაზე არ არის დამოკიდებული. 25 წლის მსახიობის ცხოვრებაში ყველაფრის დროა, გარდა სიყვარულისა. მხოლოდ ერთხელ იყო სერიოზულად შეყვარებული, მაგრამ დღეს წარსულში დარჩენილ გრძნობაზე ლაპარაკი არ სურს.

— ლევან, რა ეტაპია თქვენს ცხოვრებაში, დიდი სანია ეკრანზე აქტიურად აღარ ჩანხართ.

— სატელევიზიო სივრცეში ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ორი ფილმის გადაღებაზეა საუბარი, მაგრამ ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცი, გამოვა თუ არა. სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" ჩემი გმირი, ზუკა, ისევ გამოჩნდა. ბიზნესში ნორმალურად მიდის საქმეები. ბავშვთა გასართობი ცენტრების კომპლექსი მაქვს.

— ეკრანზე აშკათად გამოჩენა თქვენს ფინანსებზე ცუდად არ ასახება?

— სამსახიობო კარიერაზე არ ვარ ფინანსურად დამოკიდებული. საქართველოში პოპულარობა ძალიან ადვილად მოსაპოვებელი და ასევე ადვილად დასაკარგია. იმასაც გააჩნია, წარმატებას რითი მიაღწევ. შენ თუ რაღაც უმსგავსობას ჩაიდენ და ამის გამო ტოქ შოუების გმირი გახდები, პოპულარობა მაშინაც მოვა, მაგრამ ცოტა ხნით — ერთი კვირის შემდეგ აღარავის გაახსენდები. პროფესიონალი მსახიობი კი, არა მგონია, ხალხმა უცებ მიივიწყოს. ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს დავავიწყდი. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ადამიანების სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობ, განსაკუთრებით, რეგიონებში.

საქართველოში მსახიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი ხალხის სიყვარულია. ქართველი მსახიობები, რა, არ ვჯობივართ ბრედ პიტს ან ტომ კრუზს? ისინი რომ საქართველოში დაბადებულიყვნენ, ასეთი სახელგანთქმულები არ იქნებოდნენ. მათ უბრალოდ გაუმართლათ, რომ ჰოლივუდში არიან. ისინი თუ იქ დაცვის თანხლებით დადიან, ჩვენ ქუჩაში ვხვდებით ხალხს, რომლებიც თავიანთ სიყვარულს გვიზიარებენ.

„ქართველი მსახიობები, ხა, ხი ვჯობივართ ბრედ პიტს ან ტომ კრუზს? მათ უბრალოდ გაუმართლათ, რომ ჰოლივუდში ხარან... საქართველოში კი მსახიობების ანაზღაურება ისეთი მიზერულია, სჯობს, საერთოდ ხი გადაგვიხადონ".

— რიგორ როლებზე ამბობთ უარს?

— ისეთ როლებზე, რომლებიც არ მომიხდება. ცოტა ხნის წინ ღიპიანი კაცის როლი შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. მადლობა ღმერთს, რომ სხვა შემოსავალიც მაქვს. ბევრი მსახიობი კი მხოლოდ ამით ცხოვრობს და ვიღაცეები მათი მდგომარეობით სარგებლობენ, 30 ან 50 ლარს უხდიან, ამ დროს თავად ბევრ ფულს შოულობენ. ჩვენ გარდა ამ სფეროში ყველა ფულს შოულობს. ჩვენი, მსახიობების ანაზღაურება კი ისეთი მიზერულია, სჯობს, →71

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ეჭიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

Cyan Magenta Yellow Black

ლელა წურწუმიას და მამულიჩას რუსეთში არ უშვებენ

„აგვიხსნან, ხა მიზეზით შეგვიყვანეს შავ სიაში!"

ომოღერალ ლელა წურწუმიას მეუღლე და მისი პროდიუსერი კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა რუსეთის სახელმწიფოსთან შექმნილ პრობლემებზე ალაპარაკდა. 5 წელია, რაც ლელა წურწუმიას რუსეთში არ უშვებენ, ვიზის გაცემაზე ოფიციალურად უარს ეუბნებიან. ცოლ-ქმარი პოლიტიკურ ნიშნებს გამორიცხავენ, ვერც იმ კონკრეტულ პირებს ასახელებენ, ვისაც შეიძლება მათი მოსკოვური ვოიაჟები არ აწყობდეს. მამულიჩამ 5 წლიანი დუმილი „სარკესთან" დაარღვია.

— როდიდან შეგექმნათ ეს პრობლემები?

— 5 წელი ჩუმად ვიყავი, ახლა ხმა ამოვიღე, იქნებ რაღაც ითქვას. რუსეთის საელჩო წლებია ვიზას არ გვაძლევს. პირველად უარი 2008 წელს გვითხრეს, როცა ერთწლიანი ვიზის გაგრძელება გვინდოდა. მანამდე ყოველ წელს უპრობლემოდ გვაძლევდნენ ერთწლიან ვიზებს. ლელას ბიძაშვილის ქორწილი იყო რუსეთში, მოწვევა გამოგვიგზავნეს, მაგრამ აქ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უარი გვითხრეს. მანამდე მოსკოვში კორპორატიულ საღამოებზე ძალიან ხშირად დავდიოდით. ამ ამბებში მომღერალ ალსუს ქმარიც ჩაერთო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. შემდეგ ქეთა თოფურიას ქმარმაც სცადა დახმარება, მაგრამ ვერც მან შეძლო.

— ამ 5 წლის განმავლობაში უარის მიზეზი არასოდეს განუმარტავთ?

— არა. უბრალოდ, ამბობდნენ, უფლება გვაქვს, ქალბატონ ლელას ჯერჯერობით ვიზა არ მივცეთო და ეს „ჯერჯერობით" ამდენი წელი გაგრძელდა. მოსკოვში წასვლა კი არ მინდა, უბრალოდ მაინტერესებს, რატომ არ გვაძლევენ ვიზას. იქ წასვლის სურვილი ნამდვილად აღარ მაქვს. მიზეზი მითხრან, მეტი არაფერი მინდა!

— ალბათ ამ მიზეზით ბევრ შემოთავაზებაზე მოგიწიათ უარის თქმა, არა?

— კი. იქიდან რეალური შემოსავალი გვქონდა, რაც დავკარგეთ. მოსკოვში თვეში 3-4-ჯერ დავფრინავდით. ამას გარდა, ძალიან ბევრ მეგობარსაც ვეღარ ვნახულობთ. შემოთავაზებები კიდევ გრძელდება. ყველა გვეუბნება, აი, მე გავაკეთებ ამ საქმესო. ყველას ვპასუხობ, რომ ვიზას არ მოგვცემენ, მაგრამ არ სჯერათ. ყველა თავისი მხრიდან ცდილობს ამის მოგვარებას, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არავის გამოსდის.

— თქვენ რა ეერსიები გაქვთ?

— ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ეს პოლიტიკური მიზეზით შეიძლება ხდებოდეს, რადგან თავის დროზე სააკაშვილს ვუჭერდით მხარს, მაგრამ ბევრი მისი მხარდამჭერი, ხელოვანი და არახელოვანიც, რუსეთში ჩვეულებრივად მიდიოდა, ამიტომ ამას ვერ დავაბრალებ. რაღაცის ან ვიღაცის საწინააღმდეგო პოლიტიკური განცხადებები არც მე გამიკეთებია და არც ლელას, ამიტომ არ ვიცი, ვის დავაბრალო. ფაქტია, რომ ამაზე იმუშავეს. ალბათ ვიღაცეებს არასწორი ინფორმაციები მიაწოდეს. თუ ეს პოლიტიკური მიზეზითაა, დიდი პრობლემა გვქონია და ეგაა! მაგრამ რუსეთში 2008 წლამდე ხომ დავდიოდით?! ამ ქვეყნის საწინააღმდეგო განცხადება რომ გაგვეკეთებინა, ან ამაზე სალაპარაკოდ რომელიმე ეთერში დავმსხდარიყავით... ასეთი არაფერი ყოფილა. არასოდეს არაფერში გავრეულვართ.

— იქნებ ვინმეს პირადი ინტერესი ჰქონდა, რომ იქ კონცერტებზე არ ჩასულიყავით?

— შეიძლება ასეც არის. ქართველები კი არიან ასეთ საქმეებში ცნობილები, მაგრამ რა ვიცი. ვის დავაბრალო? ვარაუდით შეიძლება ბევრი რამ ვთქვა.

— რას ეარაუდობთ, რა უნდა იყოს მიზეზი?

— გვარების დასახელება არ მინდა, მაგრამ ამ საქმის მოგვარება ბევრმა ისეთმა ადამიანმა სცადა და არ გამოუვიდა, განცვიფრებული ვარ. იმ დღეს ვხუმრობდი, მგონი, ტერორისტების სიაში ვართ შეყვანილი-მეთქი. ვერაფერს ვხვდები. რუსეთი იმხელაა, არ ვიცი, ვის არ უნდა აწყობდეს ჩვენი იქ ჩასვლა და კონცერტების გამართვა. ვინმეს საქმეში რომ ვერეოდე, კიდევ ჰო! არა მგონია, თვეში სამჯერ მოსკოვში ლელას ჩასვლა ვინმეს რამეს აკლებდეს. შეიძლება ვიღაცეებმა, რომლებიც ამაზე მუშაობენ, რუსეთის საელჩოს ისეთი ინფორმაციები მიაწოდეს, რომ პრობლემები შეიქმნა.

— ამ წლების განმავლობაში ვისგან გქონიათ შემოთავაზებები და ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?

— ბევრმა ახლობელმა დაგვპატიჟა და გული დაგვწყდა, რომ ვერ ჩავედით. ალსუს მეუღლე 2 წელი გვირეკავდა, რა არ გააკეთა, რომ ჩავსულიყავით, მაგრამ ვერ მოახერხა. ის რომ ამას ვერ მოახერხებს, არ ვიცი... დღე არ გავა, ვიღაცამ არ დაგვირეკოს და რამე არ შემოგვთავაზოს.

— აქამდე რატომ არ იღებდით ხმას?

— ის ადამიანი არ ვარ, რაღაცეები ვილაპარაკო, მაგრამ მეც მაქვს ნერვები! არავის არაფერს ვეხვეწები, მე და ლელას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გვაქვს ვიზები, ამერიკაში — 10 წლიანი, ევროპაში — 3 წლიანი. ვიზას ყოველთვის უპრობლემოდ გვაძლევენ.

— აპირებთ, ოფიციალურ უწყებას მიმართოთ?

— არა. ეს ვთქვი და თუ ჩათვლიან საჭიროდ, პასუხი გაგვცენ. ალბათ ყველასთვის საინტერესო იქნება რეალური მიზეზის გაგება.

— დაბოლოს, რა გეგმები გაქვთ ამ ზაფხულს?

— ქუთაისში, თელავში გვქონდა კონცერტები, აგვისტოში ბათუმში გვაქვს დაგეგმილი. ძირითადად კორპორატიულ საღამოებს ვაკეთებთ. უკრაინაში ვაპირებთ წასვლას და, როგორც იცით, ისრაელში დავფრინავთ ხშირად. მხოლოდ რუსეთში ვერ მივდივართ. ლელას საახალწლოდ ამერიკის რამდენიმე ქალაქში უნდა კონცერტის ჩატარება. ალბომზე ვმუშაობთ, ახალ-ახალ სიმღერებს ვწერთ. რაც შეეხება დასვენებას, აგვისტოში წავალთ სადმე ათი დღით.

✓ ეკა ლემონჯავა

მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობის მიზეზი ისევ ბუნდოვანია

კახა კოჟორიძე:

„ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვები არ ამოწურულა!"

ჯერ კიდევ უცნობია, რას შეეწირა 39 წლის მამუკა მიქაუტაძის სიცოცხლე. ის 6 ივლისს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. ამ ტრაგედიის წინა დღეს მიქაუტაძე პოლიციაში იყო დაკითხვაზე. „სარკისთვის" მიცემულ ინტერვიუში მისი მეუღლე ზიზი ეიგვერაძე ყვებოდა, რომ მის ქმარს მეგობრის, გელა მანჯავიძის წინააღმდეგ ჩვენება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიაცემინეს. მან კი ღირსების შელახვა ვერ აიტანა და თავი ჩამოიხრჩო.

ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა არ ადასტურებს. შსს-ს მიერ გავრცელებული დასკვნის მიხედვით, ცხედრის დათვალიერებისა და შინაგანი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ კისრის არეში დაზიანების გარდა, რამაც სიკვდილი გამოიწვია, მამუკა მიქაუტაძეს სხვა ფიზიკური დაზიანება არ აღენიშნებოდა. გარდაცვლილის სხეულზე გამოხატულია მხოლოდ გვამური ლაქები.

ცოტა ხნით ადრე საპირისპირო დასკვნა დადო დამოუკიდებელმა ექსპერტმა ალექსანდრე გეჯაძემ. „ვადასტურებთ, რომ მამუკა მიქაუტაძეს სისხლნაჟღენთის სახით მარცხენა ნესტოს არეში დაზიანება ჰქონდა, მაგრამ რა ვითარებაში და დროის რა მონაკვეთში მიიღო, ამის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. ეს შეიძლებოდა 24 საათის მანძილზე დროის ნებისმიერ მონაკვეთში მიეღო. ტრავმა ბლაგვი საგნითაა მიყენებული და მსგავსი რამ ჩამოხრჩობის დროსაც შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთ საგანზე ცხვირის მირტყმით", — აცხადებს „სარკესთან" საუბარში ექსპერტი.

არასამთავრობოების ეჭვს იწვევს გელა მანჯავიძის მიერ ბოლოს მიცემული ჩვენება, რომელიც წინასგან განსხვავდება. გელას ჩვენების მიხედვით, საქმეში არსებული ნარკოტიკული საშუალება, მარიხუანა, მას ეკუთვნოდა და 5 ივლისს მამუკა მიქაუტაძეს საჩუქრად შესთავაზა, მაგრამ მისგან უარი მიიღო. სწორედ ეს ჩვენებაა საიას თავმჯდომარის, კახა კოჟორიძის ეჭვის საბაბიც.

კახა კოჟორიძე: გელა მანჯავიძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა, რომ მამუკა მიქაუტაძეს ნარკოტიკული ნივთიერება მიუტანა. მიქაუტაძის ჩვენებაშიც იგივე წერია, რაც მანჯავიძემ პირველი დაკითხვისას უარყო. მიქაუტაძე გარდაცვლილია, გელას მანქანაში მსხდომი ორი ქალი მის მიერ ნარკოტიკების ვინმესთვის გადაცემას არ ადასტურებს. ჩემი ინფორმაციით, გამოძიებას სხვა მტკიცებულება არ აქვს. იმ ვითარებაში, როცა მანჯავიძემ იცის, რომ მის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, გირაოთია გათავისუფლებული, მოულოდნელად რატომღაც აღიარებს იმას, რასაც აქამდე უარყოფდა. დამაჯერებლობას მოკლებულია, ადამიანი ასე ნებაყოფლობით მოიქცეს. ვერ გეტყვით, ვინმემ აიძულა თუ არა, მაგრამ ეს გონიერი ადამიანის ქცევაში არ ჯდება. საქართველოს

Cyan Magenta Yellow Black

კანონმდებლობა არავის ავალდებულებს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. შესაბამისად, მას უბრალოდ შეეძლო ეთქვა, რომ დუმილის უფლებას იყენებდა და ეს ყველაფერი მისთვის დაემტკიცებინათ.

ამას გარდა, მანჯავიძე ჩვენებაში ამბობს, დაინახა და გაიგონა, რომ მამუკასთვის არც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებიათ და არც — ფიზიკური. თუ მან ეს მართლაც გაიგონა და დაინახა, გამოდის, რომ ეს ორი ადამიანი ერთად იკითხებოდა, რაც ჩემთვის ასევე დაუჯერებელია. გამომძიებლები ასე არასდროს იქცევიან, პირიქით, ყოველთვის ცდილობენ, მოწმეები თუ ბრალდებულები ცალ-ცალკე დაკითხონ, რომ მათ ჩვენებებში ურთიერთსაწინააღმდეგო დაადგინონ და მსგავსი ჩვენებების ჩამოყალიბების საშუალება არ მისცენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ წერია, ბრალდებულის დაკითხვას ვინ უნდა დაესწროს. კანონი არ ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდებული და მოწმე ერთმანეთის დაკითხვას დაესწრონ. აქაც სერიოზული კითხვის ნიშნებია. არადა მანამდე მანჯავიძემ განაცხადა, რომ მიქაუტაძე და ის ცალ-ცალკე დაიკითხნენ.

— ორი ექსპერტის დასკვნაც არ ემთხვევა ერთმანეთს. ამაზე რას ფიქრობთ?

— სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაკეთებული დასკვნა და ჩვენი დაკვეთით დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარებული ექსპერტიზა ერთმანეთისგან მართლაც განსხვავდება. დამოუკიდებელი ექსპერტი, ალექსანდრე გეჯაძე, რომელსაც 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს, ცალსახად წერს, რომ მიქაუტაძეს ცხვირის არეში სისხლნაყლენთი დაზიანებები აღენიშნება. ეს გვამური ლაქა არ არის და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით აქვს მიყენებული. მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნებს შორის სხვაობა არ არის ის ერთადერთი მიზეზი, რაც მაფიქრებინებს, რომ ამ საკითხზე არსებული კითხვები არ ამოწურულა. ყველაზე თვალშისაცემი და ცალსახა არის ის, თუ ვის უნდა ეწარმოებინა ამ საკითხზე გამოძიება. თავიდანვე ვითხოვდით, საქმე პროკურატურას გადასცემოდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტური სამართლით დადგენილი პრაქტიკა არსებობს, რომლის თანახმადაც, როცა ერთი უწყების პირები ჩაიდენენ დანაშაულს, ობიექტურობის დაცვის მიზნით, ეს საქმე სხვა უწყებამ უნდა გამოიძიოს. სხვა შემთხვევაში, ეჭვი ამ გამოძიების ობიექტურობასთან დაკავშირებით იარსებებს. რაც მთავარია, საქართველოს კანონმდებლობით, ცალსახად არის განსაზღვრული, რომ პოლიციის მიერ ჩადენილი დანაშაული პროკურატურამ უნდა გამოიძიოს.

— შსს-მ ფოტოებიც გავაკეთეთ, სადაც მამუკა მიქაუტაძეს ცხვირზე დაზიანებები არ აღენიშნება.

— ჩვენი ინფორმაციით, ეს ფოტოები ნარკოლოგიური შემოწმების დროსაა გადაღებული. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ჯერ ნარკოლოგიური შემოწმება ჩატარდა და შემდეგ მოხდა მოწმის სახით დაკითხვა. შსს-ს გავრცელებულ ინფორმაციაში კი წერია, რომ მიქაუტაძე ჯერ მოწმის სახით დაიკითხა და შემდეგ ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება, რაც ასე არ ხდება ხოლმე. ჯერ ექსპერტიზის დასკვნა დგინდება და პირი შემდეგ იკითხება. თან, მამუკას თავისი მეგობრებისთვის ნათქვამი აქვს, ცემის შემდეგ მაშინვე ტაქსში ჩავჯექი და წამოვედიო. არ უთქვამს, მერე ნარკოლოგიურში გადამიყვანესო.

— მიქაუტაძის მეუღლე ნდობას უცხადებს ვამოძიებას, არადა სულ რამდენიმე ხნის წინ ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჰქონდა. თქვენი აზრით, შეიძლებოდა, რომ მასზე რაიმე სახის ზეწოლა მოეხდინათ?

— არ შემიძლია იმის თქმა, მასზე იყო თუ არა რაიმე სახის ზეწოლა. თუ გამოძიების ოფიციალური ვერსია იქნება ის, რომ მიქაუტაძე არავის უცემია და მეუღლე იტყვის, რომ გამოძიებას ენდობა, მაშინ გამოდის, რომ ის ქმრის მონაყოლს არ ენდობა. რა თქმა უნდა, ეს მისი გადასაწყვეტია.

■ მამუკა მიქაუტაძე

— იქნებ მართლა მიატყვა მიქაუტაძემ მეუღლე და მეგობრის წინააღმდეგ მიცემული ჩვენება ამით გაამართლა?

— გამორიცხული არაფერია. თუ ძალადობას არ ჰქონდა ადგილი, გამოდის, რომ მან ჩვენება ნებაყოფლობით მისცა. ყველა ადამიანი, ვისაც მიქაუტაძესთან დაკითხვის შემდეგ ჰქონდა შეხება, ამბობს, რომ მას წაშლილი სახე, გაფართოებული თვალები ჰქონდა. ამბობდა, მე რა კაცი ვარ, ასეთი ჩვენება რომ მივეცი, ჩემს ცხოვრებას რა აზრი აქვს, თავი უნდა მოვიკლაო და ა.შ. არ მგონია, ადამიანმა სრულიად გააზრებულად, თავისი ნებით მისცეს ჩვენება, შემდეგ კი თავი ასეთ მდგომარეობაში ჩაიგდოს.

— ჩვენთან ინტერვიუში მიქაუტაძის მეუღლე ამბობდა, რომ ვარდაცვლილს ვიღაცის ზარის ეშინოდა. იქნებ მანჯავიძის მეგობრები ემუქრებოდნენ?

— გამოძიებამ ყველა ვერსიაზე უნდა იმუშაოს. თუ მიქაუტაძე სხვებს ეუბნებოდა, ჩვენების მიცემა მაიძულესო, ამ არგუმენტით მანჯავიძის

„იმ ვითარებაში, როცა მანჯავიძემ იცის, რომ მის ნინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, მოულოდნელად ჩატომღაც აღიარებს იმას, რასაც აქამდე უარყოფდა. დამაჯერებლობას მოკლებულია, ადამიანი ასე ნებაყოფლობით მოიქცეს".

მეგობრებთანაც გაიმართლებდა თავს. არც ის მგონია, მანჯავიძის მეგობრები ასე ოპერატიულად ამოქმედებულიყვნენ. ასე სწრაფად გაიგეს, მამუკამ რა ჩვენება მისცა და რაღაცით დაემუქრნენ? თუ ნებაყოფლობით მისცა ჩვენება, გამოდის, რომ პოლიციასთან ითანამშრომლა და მაშინ შეეძლო სამართალდამცავებისთვის ისიც ეთქვა, რომ ემუქრებოდნენ.

— თქვენი კარგად, რას შეეწირა ეს ადამიანი?

— სწორი არ ვიქნები, ამ საქმეს კვალიფიკაცია მივცე. ფაქტია, რომ ამ საქმეში არსებული პასუხგაუცემელი კითხვა ბევრია. ის პასუხები, რაც აქამდე მოვისმინეთ, დამაჯერებელი არ არის. რატომ არ დაინტერესდა გამოძიება, როცა გარდაცვლილის მეუღლემ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში დარეკა, მათგან რა პასუხი მიიღო? ან პატრულის უმოქმედობაზე რატომ არაფერს ამბობენ? მათ ქმედებაში სამსახურებრივი გულგრილობის ნიშნები იკვეთება. სათანადო ზომები რომ მიეღოთ, შეიძლება საქმე აქამდე არ მისულიყო. ან განა რამდენი მაღაზია უნდაიყოს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, რომ ვერ გაარკვიონ, მიქაუტაძემ თოკი და არაყი სად შეიძინა, არც იმ ბავშვის პოვნაა ძნელი, ვინც მამუკას ტელეფონიდან მის მეუღლეს ესაუბრა.

დავუშვათ, მანჯავიძეს მამუკასთვის მართლაც მიჰქონდა მარიხუანა და მამუკაც მომხმარებელი იყო, ეს აბსოლუტურად არ ცვლის სურათს. კითხვები, რომლებიც გამოძიების მისამართით გვაქვს, არ იცვლება. 100 კილო ნარკოტიკული საშუალებაც რომ ჰქონოდათ, ჩვენი კანონმდებლობა საქმის ძიებას იმ ფორმით, როგორც ეს მოხდა, კრძალავს.

❖

„სარკე" მამუკა მიქაუტაძის მეუღლეს, ზიზი ეძგვერაძეს დაუკავშირდა. მან გვითხრა, რომ გამოძიებას ენდობა და პასუხებს მათგან ელოდება.

ზიზი ეძგვერაძე: ალბათ იყო მიზეზები, რის გამოც შეიძლებოდა მამუკას ჩემთვის ტყუილი ეთქვა.

— ანუ მამუკამ მოგატყუათ? ერთი კვირის წინ „სარკესთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობდით, რომ მას თავისი შეცდომაც კი არასდროს მოუტყუებია.

— არ ვიცი, მე თვითონაც ბევრი კითხვა მაქვს და პასუხებს გამოძიებისგან ველოდები. მამუკას ტყუილები ნამდვილად არ უყვარდა. შეიძლება სიმართლე ისეთი იყო, არ უნდა მცოდნოდა და ამით ჩემი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდო. კითხვები, რა თქმა უნდა, ისევ პასუხგაუცემელია, უბრალოდ გამოძიების შედეგებს ველოდები.

— უშვებთ თუ არა ვერსიას, რომ მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას არა მხოლოდ სამართალდამცავები, მანჯავიძის მეგობრებიც ახდენდნენ?

— მამუკა მათ სულ კარგად მოიხსენიებდა. არ მინდა, ეს დავუშვა, არადა სხვა რამესაც ვერ ვფიქრობ. ფაქტია, რომ ვიღაცის ზარის ეშინოდა. სამართალდამცავის ზარის რატომ შეეშინდებოდა, მათ სახლი და მისამართი იცოდნენ. ეს ყველაზე დიდი კითხვაა, რაც ბევრ რამეს ნათელს მოჰფენს.

— ინტერვიუში მითხარით, რომ თქვენს მეუღლეს ცხვირზე წისქილი დააჭარეს და ის დაზიანება ცხვირზე სწორედ ამის შედეგია.

— ეს თვითონ კი არ უთქვამს ჩემთვის, მისი მეგობრებისგან გავიგე და გავახმოვანე. იმ საღამოს დაზიანება არ შემინიშნავს, თან იმ ოთახში სიბნელე იყო.

— თქვენ ხომ დილის 6 საათამდე საუბრობდით, ამ დროის კი უნდა შეგეძჩნიათ.

— არც გალურჯებული, არც გაწითლებული ცხვირი არ შემიმჩნევია. ყველაფერი მტკივაო კი ამბობდა, მაგრამ ეს სულის ტკივილი იყო თუ მართლა ორგანოები სტკიოდა, ვერ გეტყვით... ვერ დავიჯერებ, რომ ის ამ უბრალო ჩვენების გამო წავიდოდა და თავს მოიკლავდა. ეს აბსურდია!

✓ ეკა ლემონჯავა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„იმპოტენტმა მეუღლემ ახალგაზრდობა წამართვა, ახლა კი სიბერეს მიმწარებს"

65 წლის ასაკში გადავწყვიტე, ვიყო ძალიან გულახდილი და ჩემს ცხოვრებაზე გიამბოთ. ამ ყველაფერს ვერავის მოვუყვები, რადგან ჩემი თაობის ქალებში ასეთ თემებს ტაბუ ადევთ. დარწმუნებული ვარ, ჩემნაირი პრობლემა ბევრს აწუხებს, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენ. მე კი ყელში ამომივიდა და უნდა ვთქვა ის, რაც წლებია გულში მაქვს.

27 წლის გავთხოვდი. ჩემი ქმარი 38 წლის იყო. ჩვენ შორის დიდი და მძაფრი გრძნობა არ ყოფილა. ოჯახის წევრებს მოსწონდათ ერთმანეთი, ვიღაცეებისთვის შესაფერისი წყვილი აღმოჩნდით და ჩვენი ქორწინებაც შედგა, ოღონდ მხოლოდ ქორწინება და არა — ოჯახი.

მოგეხსენებათ, ქალები ძალიან რომანტიკულები ვართ. მე კი ეს გრძნობა ყოველთვის გადაჭარბებულად მქონდა. რატომღაც ვფიქრობდი, რომ იდეალური ქმარი იქნებოდა, ძალიან მომიფრთხილდებოდა და ვეყვარებოდი. შეუღლებამდე ძალიან გულისხმიერად მექცეოდა. რომ მკოცნიდა, მეუბნებოდა, ისეთი სათუთი ხარ, მეშინია, უნებლიეთ არაფერი გატკინოო. მეც მეგონა, რომ ამქვეყანაზე ყველაზე მზრუნველი მამაკაცი მყავდა გვერდით. შეიძლებოდა თავდავიწყებითაც კი შემყვარებოდა, იმის მესამედი მაინც რომ ყოფილიყო, როგორიც ოცნებებში წარმომედგინა.

ჩემი წამება ქორწინების პირველივე დღეებიდან დაიწყო. თაფლობისთვის პირველივე ღამეს შარი მომდო, რომ მე სხვა მამაკაცზე ვფიქრობდი. მითხრა, ისე ამოიხვნეშე, ჩემთან ყოფნა არ გინდა და გული სხვისკენ მიგიწევსო. მაშინ სერიოზულად ვიჩხუბეთ. მეორე დღეს დედამთილმა დამამშვიდა, ჩემი შვილი ეჭვიანობს, ჯერ ერთი, თქვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა და მეორეც, ძალიან ლამაზი გოგო ხარო. მომეფერა, მანუგეშა და, რაც მთავარია, დამარწმუნა, რომ მის შვილს ასეთი რამ მეტისმეტი სიყვარულით მოსდიოდა და დიდი მოთმინება უნდა გამომეჩინა.

დედამთილს დავუჯერე, მორჩილი ცოლის როლი მოვირგე. ქმართან ჩემი პირველი სექსუალური კონტაქტი ქორწინებიდან ერთი თვის თავზე შედგა. მოგვიანებით მივხვდი, დედამთილ-მამამთილი იმ დღეს რატომ დადიოდნენ სახეგაბრწყინებულები. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, შვილს რაც სჭირდა, მაგრამ ქორწინება მაინც დაეძალეს. იმის ნაცვლად, რომ ჯერ ემკურნალათ, ცოლი მოაყვანინეს. ალბათ ფიქრობდნენ, რომ მისი განკურნება ლამაზ და ახალგაზრდა ქალს შეეძლო, მე ამიტომაც ამარჩიეს. ჩემი ქმარი მშობლებთან ნამდვილი დედიკოს ბიჭი იყო, „კაცობას" კი მხოლოდ

ჩემთან ამჟღავნებდა. მათთან ენაწყლიანი, თბილი ხდებოდა, ჩემთან კი — აგრესიული და სასტიკი.

ამ წერილს რომ წაიკითხავენ, დარწმუნებული ვარ, იტყვიან, ამ ხნის ქალი სექსუალურ ურთიერთობებზე როგორ ლაპარაკობს, რამ გააგიჟაო, მაგრამ არც ასეა საქმე. ცოლ-ქმრის ცხოვრება ღამით იწყება და დღე გრძელდება. ეს არის 24 საათიანი ურთიერთობა. არ შეიძლება ღამით უბედური იყო და დილით მხოლოდ მზის სხივმა გაგაბედნიეროს. ასეთი რამ არ არსებობს. ქმართან გატარებული ყოველი ღამე კი იყო უბედური და საშინელი. ჩემთან სექსუალურ კავშირს რომ ვერ ამყარებდა, მცემდა, მტკივნეულ ადგილებზე მჩქმეტდა, ზოგჯერ სიგარეტს ჩემს სხეულზე აქრობდა. დალურჯებული სხეულით და დაფლეთილი სულით დავდიოდი, სიკვდილს ვნატრობდი, რომ ეს ჯოჯოხეთი დასრულებულიყო.

იმაში მაინც გამიმართლა, რომ შვილი მეყოლა, მის მოვლაზე გადავერთე, მთელ ჩემს სიყვარულს მას ვაძლევდი. ქმარი კი ჩემს წამებას განაგრძობდა. მისგან ბევრჯერ გავიქეცი, მაგრამ მშობლებმა უკან დამაბრუნეს. მითხრეს, ასეთი ოჯახიდან როგორ გამორბიხარ, თუ ქმარი ხმამაღალ სიტყვას გეტყვის, მას ამის უფლება აქვსო. მშობლებს სიმართლეს ვერ ვეუბნებოდი. მრცხვენოდა, მათთვის ჩემი ჯოჯოხეთური ღამეების შესახებ მომეყოლა. ერთ ღამეს, როცა იმპოტენტმა ქმარმა მთელი სხეული დამისისხლიანა, სახლიდან გავიქეცი და მშობლებს ატირებული მივადექი. მამაჩემმა კარი არ გამიღო. მითხრა, საიდანაც მოხვედი, ისევ იქ წადი, აქ შენი სახლი არ არისო. ცხონებულ მამაჩემს სიცოცხლის ბოლომდე თავი იმით მოჰქონდა, რომ შვილს ოჯახი შეუნარჩუნა. ტრაბახობდა, მაშინ რომ ჩემი გოგოსთვის სახლის კარი გამეღო, ქმრის წინააღმდეგ გამექეზებინა, ახლა ოჯახი არ ექნებოდაო. მან ერთი მნიშვნელოვანი რამ არ იცოდა — მის შვილს ოჯახი არ ჰქონდა!

ჩემი გოგონა რომ წამოიზარდა, აგრესიას მერე მის მიმართაც ამჟღავნებდა. შვილი სულ მიცავდა, ეს კი აღიზიანებდა. ბავშვობა გაუმწარა, მის ცემასაც არ ერიდებოდა. 16 წლის გაგვითხოვდა, საბედნიეროდ, გამიმართლა, არაჩვეულებრივი მეუღლე და შვილები ჰყავს. ჩემი გოგონა მოგვიანებით გამომიტყდა, მამის სისასტიკეს გავექეცი და იმიტომ გავთხოვდი, თორემ ჩემი მომავალი ქმარი არ მიყვარდაო. ღვთის წყალობით, ახლა თავისი მეუღლე ძალიან უყვარს, ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ.

მე და ჩემი ქმარი ასე უსიყვარულოდ შევაბერდით ერთმანეთს. ახალგაზრდობა ხომ წამართვა, ახლა სიბერეს მიმწარებს. ხშირად ავადმყოფობს, თითქმის სულ მოსავლელია. ყოველ წუთში ყურადღებას ითხოვს, ჭირვეული ბავშვივით უნდა მიხედო, თუ არადა ყვირილს იწყებს. რამეს რომ ვუკეთებ, დავაყვედრი ხოლმე, ისიც თავჩაქინდრული მისმენს. იცის, რომ ჩემ წინაშე ბევრი რამ დაეშავა, თუმცა ბოდიში ერთხელაც არ წამოსცდენია. ძალიან მომწონს, დამოუკიდებელ ქალებს რომ ვუყურებ. ზუსტად ვიცი, ისინი ჩემი ქმრის მსგავს კაცებს თავს არ დააჩაგვრინებენ. შვილიშვილები გოგოები მყავს. მათაც სულ ვეუბნები, რომ ოჯახი თავიანთი უბედურების ხარჯზე არ შეინარჩუნონ.

„ხარკის" ერთგული მკითხველი

„ბავშვობის მეგობარმა ორი შვილის დედას სიყვარული ამიხსნა"

მორი შვილის დედა ვარ. ამას წინათ კაცმა, ვისთან ერთადაც სკოლაში ვსწავლობდი და ვმეგობრობდი, სიყვარული ამიხსნა. მითხრა, ყოველთვის მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ და ვერც ვერასოდეს დაგივიწყებო. ეს ამბავი ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. ამდენი წლის განმავლობაში აზრადაც არ მომსვლია, რომ მას შეიძლებოდა ჩემ მიმართ რაიმე გრძნობა ჰქონოდა.

ის ყოველთვის მესაუბრებოდა ვიღაც ქალზე, რომელიც ძალიან უყვარდა. მეუბნებოდა, რომ მისი საყვარელი ადამიანი გათხოვდა, შვილები ჰყავს და ქმართან ბედნიერია. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ის ქალი მე ვიყავი. თურმე ის სევდიანი ისტორიები მე მეკუთვნოდა.

თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. მას შემდეგ, რაც სიყვარულში გამომიტყდა, დაბნეული დავდივარ. მისი სიტყვები მუდმივად ყურში ჩამესმის. თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერაფერს მივხვდი...

„ხარკის" ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაგვეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
   1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. **ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„მულის ქმრის საყვარლობა დამპატრალეს"

ჩემს ცხოვრებას უამრავი ადამიანი განიკითხავს. ვისაც მეტი საქმე არ აქვს, ჩემზე ჭორაობს. სიმართლის მტკიცებისგან დავიღალე. ცილისწამებამ გამანადგურა, სული წამართვა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ უსულოდ დავდივარ.

კარგი ოჯახი მქონდა. მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი გვიყვარდა, პატივს ვცემდით. ერთ შვილს ორივე თან ვევლებოდით. ეს მანამდე გაგრძელდა, სანამ მული ქმარ-შვილით ჩვენთან არ ჩასახლდა. დედამთილთან პრობლემები შეექმნა და ჩვენთან გადმობარგდა. მან მთელი ოჯახი ჩემ წინააღმდეგ განაწყო. მისი შვილებიც კი სულ იმას ცდილობდნენ, ჩემთვის ისეთი რამ ეთქვათ, რაც გულს მატკენდა. მულმა შვილები გამოიყენა, რომ მე სახლიდან წამოვსულიყავი. ამისთვის კი უბინძურესი ჭორი მოიგონა. თავის პატარა გოგონას ათქმევინა, რომ თითქოს მე და მამამისი ერთმანეთს ვკოცნიდით. ბავშვმა ეს ყველას უთხრა, ჩემი მამამთილიდან დაწყებული ჩემი ქმრის ჩათვლით. ოჯახში ერთი ამბავი ატყდა. სიმართლე არც მე დამიჯერა ვინმემ და არც — მულის ქმარს. მამამთილი მეუბნებოდა, უცოდველი ბავშვი ასეთ ტყუილს ვერ მოიგონებდაო. მულმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. თქვა, დიდი ხანია ეჭვი მაქვს, რომ ქმარი ჩემს რძალთან მღალატობს. რამდენჯერმე ვნახე, ხელებზე როგორ ეფერებოდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს სულ თვალებში შესციცინებენო. ეს იყო ისეთი ტყუილი...

ის ბიჭი, ანუ ჩემი მულის ქმარი სახლიდან გაიქცა. მას მოსაკლავად დაედევნენ. მეც ძლივს გამოვასწარი. ჩემებმაც არ მიმიღეს და მეგობრის ოჯახს შევაფარე თავი. რაც ყველაზე საშინელია, ჩათვალეს, რომ დედობის ღირსი არ ვიყავი და შვილთან მიახლოებაც კი ამიკრძალეს, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი სული წამართვეს! მაშინ არავინ დამიდგა გვერდით, რომ ეს უსამართლობა აღეკვეთა. არავინ მომცა საშუალება, ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა. ის ბიჭი კი, ვისი საყვარლობაც დამწამეს, რუსეთში წავიდა სამუშაოდ, იქ ცოლი მოიყვანა და აქ არც ჩამოდის. მას არც უცდია სიმართლის დამტკიცება, ისედაც აპირებდა ჩემი მულისგან წასვლას, რადგან მასთან მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა.

მას შემდეგ წლები გავიდა, ჩემს ცხოვრებაში ერთი მამაკაციც არ ყოფილა. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ და თავს პატიოსანი შრომით ვირჩენ. დილიდან ღამემდე მაღაზიაში ფეხზე ვდგავარ, რომ ჩემი შემოსავალი მქონდეს. მიუხედავად ამისა, ყველას თვალში მაინც აღვირახსნილი ქალის სახელი მაქვს, რომელმაც თურმე მულის ქმართან გააბა რომანი. ყველაზე მეტად ის მტანჯავს, რომ ჩემს შვილსაც ალბათ ამას შთააგონებენ, რომ ცუდი დედა ჰყავს. როცა ვფიქრობ, ჩემს გოგონას მამიდა და ბებია ზრდიან, ქალები, რომლებიც დასანახად ვერ მიტანენ, ვგიჟდები, მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობ. ჩემს გოგონას შორიდან ვუყურებ, საჩუქრებს სხვისი ხელით ვუგზავნი. მობილური ვუყიდე, რომ დავლაპარაკებოდი, მესიჯები გამეგზავნა, მაგრამ წაართვეს. ყველანაირად ცდილობენ, ჩემთან კონტაქტი არ ჰქონდეს. არადა სრულიად უდანაშაულო ვარ. ღმერთი მოჰკითხავს ყველას, ვინც მე ასეთ მდგომარეობაში ჩამაგდო.

„სარკის" ერთგული მკითხველი

„ტელეჟურნალისტმა, რომელიც მიყვარს, მდაბიო მიწოდა"

ძვესალმები „სარკის" ერთგულ მკითხველს! იმედი მაქვს, ის ადამიანიც მათ რიცხვს მიეკუთვნება, ვისთვისაც ამ გზავნილს ვწერ. ის ტელეჟურნალისტი მამაკაცია. ჩვენ ერთი პერიოდი ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ის დღეები სასიამოვნოდ მახსენდება. მერე კი კარგი პერიოდი ნეგატიურით შეიცვალა. სულის სიღრმემდე შემძრა, როცა მდაბიო მიწოდა. ალბათ იმიტომ, რომ სოფელში ვცხოვრობ და ღარიბი ვარ. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ არ მაქვს უფლება, მიყვარდეს ის, ვინც მიყვარს; არ მაქვს უფლება, თავი მნიშვნელოვანი ადამიანი მეგონოს. არადა ყველაფერი ბუნებრივად აეწყო, ხელოვნური არაფერი ყოფილა...

სამწუხაროდ, არ მყოფნის შინაგანი ძალა, რაღაცეები შევცვალო. თუმცა რატომღაც მაქვს იმედი, რომ ჩემს საყვარელი ადამიანს ისევ ვნახავ.

„სარკის" ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

„ჩემი შვილების მამის დასატირებლად არ მიმიშვეს"

ჟურნალ „სარკის" 29-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ძმამ დედა არ დამატირებინა". ამ წერილმა სულით ხორცამდე შემძრა, რადგან ჩემთვისაც ნაცნობია ტკივილი, როცა საყვარელ ადამიანს უკანასკნელ გზაზე ვერ ემშვიდობები.

ქმარი ძალიან მიყვარდა. 18 წელია, რაც ჩემ გვერდით აღარ არის, მაგრამ ჩემი სიყვარული არ მომკვდარა. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მასზე ვიფიქრებ და მჯერა, რომ იმქვეყნად მაინც ერთად ვიქნებით.

იმ უბედურ დღეს ჩემს მშობლებთან წავედით. მამაჩემის დაბადების დღე იყო და ჩემებს სუფრის გაწყობაში ვეხმარებოდი. ჩემი ქმარი ღვინის მოსატანად გავგზავნეთ. უბედურება ამ დროს მოხდა. გზაში ავტოავარიაში მოყვა და დაიღუპა. იმ განცდებზე არაფერს გეტყვით, რასაც მაშინ ვგრძნობდი. ახლაც მგონია, რომ ჩემი სიცოცხლე იმ წუთში შეწყდა, როცა ეს ამბავი გავიგე. ჩვენი უფროსი შვილი 14 წლის იყო. მე და ჩემი ქმარი 15 წლის განმავლობაში ერთი დღეც არ ვყოფილვართ ერთმანეთის გარეშე. უცებ კი ეს ამბავი დამატყდა თავს.

ჩემი ქმრის ოჯახის წევრებმა ყველაფერში მე დამადანაშაულეს. იწყევლებოდნენ, შენ წაიყვანე და მამაშენის დაბადების დღეს შეეწირაო. ქმრის დასატირებლად არ მიმიშვეს. სახლთან რომ მივედი, ჩემი მული ქუჩაში გამოვარდა. სულ მკვლელი მიძახა, მერე კი თმაში მწვდა და ძირს დამაგდო. ვეხვეწებოდი, ქმრის ცხედარი მხოლოდ ერთხელ მაჩვენეთ-მეთქი, მაგრამ თხოვნა არ შემისრულეს. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ პირველ დღეებში საფლავსაც კი ყარაულობდნენ, რომ იქ არ მივსულიყავი. იმ ტრაგედიას მათი ასეთი დამოკიდებულება მიასმაგებდა. დღეს ქმრის ოჯახის წევრებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. შვილიშვილების გამო ჩემთან კავშირი ვერ შეწყვიტეს, მაგრამ მათ ვერაფრით ვპატიობ, რომ საყვარელი ადამიანი უკანასკნელ გზაზე არ გამაცილებინეს.

მკითხველი

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ექიმი. ქალბატონი დეა

Cyan Magenta Yellow Black

„მე ამისგან გავაკეთებ!..“ — შალვა შავგულიძის წარსულში დარჩენილი ოცნება

„ოჯახის სიმტკიცისთვის მთავარი სიყვარულია, შემდეგ — ღირებულებების ერთიანობა“

„ჩემი ცხოვრების პირველი ეტაპი იყო ბავშვობა, მეორე — აფხაზეთის ომი, რომელმაც უდიდესი გამოცდილება შემმინა, მესამე — ადვოკატობა“, — გვითხრა შალვა შავგულიძემ, რომელიც მეოთხე ეტაპს ახლა გადის — ის საქართველოს პარლამენტის დეპუტატია. აქამდე კი დიდი გზა გაირა. აუხდენელი ოცნებებიც დარჩა, მაგრამ ამბობს, რომ იცხოვრა ისე, როგორც უნდა ეცხოვრა.

მისი მეორე ნახევარი ცნობილი ტელეჟურნალისტი, ამჟამად „მეცხრე არხის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლუბა ელიაშვილია. 30 წელი სიყვარულით, საერთო ღირებულებებით და კამათითაც გამოიარეს. უფროსი შვილი, გიორგი, საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში გაუჩნდათ — გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. ის უკვე დიდია, მამის გზას დაადგა — იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, უმცროსი, ელენე, „გვიანი“ შვილია, 40 წლის ასაკში შეძენილი, განსაკუთრებული ბუნებით დაჯილდოებული გოგონა. ეს არის ის „ზურგი“, რომელიც ცნობილ ადვოკატს ოჯახიდან აძლიერებს.

— ბატონი შალვა, საუბარი ფესვებიდან დავიწყოთ. თქვენს მშობლებზე გვიამბეთ.

— ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ. მამა ახლა პენსიონერია, დედა, სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ექიმები იყვნენ ჩემი ნათესავების უმეტესობა — ბებია, მამიდა, მამიდაშვილები. მამას ბიძაშვილი, თამაზ შავგულიძე, შესანიშნავი იურისტი, ძალიან კარგი ადამიანი გახლდათ. მეც მისი პროფესია ავირჩიე და იურისტი გავხდი.

ჩვენს ოჯახს 1937 წლების რეპრესიებმა გვერდი არ აუარა. ბაბუა, რომლის სახელიც მქვია, 37 წლის ასაკში დახვრიტეს. ჩვენს ოჯახს ჩამოართვეს მისი აშენებული სახლი, რომელიც მრგვალ ბაღთან მდებარეობდა და ბებიას მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს. ბებია ექიმი იყო, მაგრამ ექიმობა აეკრძალა, მხოლოდ ექთნად მუშაობის უფლება ჰქონდა. ორ შვილს, მამაჩემს და მის დას ზრდიდა. როგორც მიყვებიან, იმ ერთ ოთახში იდგა დიდი კარადა, მის იქით სამზარეულო იყო, აქეთ — საცხოვრებელი ფართი. შემდეგ ბაბუას რეაბილიტაცია მოხდა და ის სახლიც დავიბრუნეთ.

მე და ჩემმა ძმამ 55-ე სკოლა დავამთავრეთ. თავის დროზე მამაც იქ სწავლობდა.

— ექიმობაზე არასოდეს ვიფიქრიათ?

— არა, უფრო ჰუმანიტარული საგნების მიმართ მქონდა მიდრეკილება. ვფიქრობდი ჟურნალისტიკაზე, ფილოსოფიაზე, მაგრამ ბოლოს არჩევანი იურიდიულზე შევაჩერე. ამ შემთხვევაში ბიძაჩემის რჩევა გავიზიარე. მან მითხრა, საგნებს, რაც ფილოსოფიურზე ისწავლება, იურიდიულზეც გაივლი, თუ სურვილი გექნება, მეცნიერებაშიც იმუშავებ და იურისპრუდენციაშიც. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩავბარე სისხლის სამართლის კათედრაზე, მაგრამ დისერტაცია ვერ დავასრულე. შემდეგ აფხაზეთის ომი დაიწყო და იქ წავედი. თან ბავშვი შეგვეძინა და სულ სხვა რეჟიმში გადავედით. საქართველოში რთული წლები დაიწყო, ოჯახს შენახვა სჭირდებოდა და უნდა მემუშავა, რომ ხელფასით ცოლ-შვილი მერჩინა. ისე ჩავეფლე ყოველდღიურ საქმეებში, თავი ვეღარ მოვაბი.

ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ალბათ გახსოვთ მთავარი გმირი, რომელსაც უნდა დიდი და კარგი ქანდაკება შექმნას, მაგრამ სინამდვილეში საფლავებზე ბიუსტების კეთება უწევს. მთელი ცხოვრება მეც ვოცნებობ, რომ ის ჩემი სადისერტაციო თემა დავამთავრო, მაგრამ ვერ შევძელი. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ცუდ ადვოკატად არ ვითვლებოდი, მაგრამ მაინც ყოველთვის ძალიან მინდოდა, სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის ცნებაზე მემუშავა. სამწუხაროა, რომ არ გამოვიდა.

— აფხაზეთის ომის მონაწილე ხართ. რისი გაკეთება შეძელით ამ ომში?

— მეგობრებმა ომში მოხალისედ წასვლა გადავწყვიტეთ, პირველივე დღიდან ვიღებდით მონაწილეობას ბრძოლაში. მაშინ ქართულ ჯარში 8 შენაერთი იყო, ჩვენ ზედმეტი ამბიციების გარეშე მეცხრე ნაწილი დავირქვით. ძალიან წარმატებული სადესანტო ოპერაცია განვახორციელეთ. ეს იყო 1992 წლის 15 აგვისტო. აფხაზეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენი სასაზღვრო ნაწილები და პოლიცია განდევნეს. რუსეთი აფხაზეთს ომის სანარმოებლად ამარაგებდა. ჩვენ ლესელიძის საზღვარი უნდა ჩაგვეკეტა და ეს შევძელით. ოთხი ადამიანი დაგვეღუპა, ორი — მოხალისეებიდან, ჩემი ძალიან ახლობლები — კოკა კლდიაშვილი და სანდრო ვაჩეიშვილი და ორი შავნაბადელი ბიჭი. ეს ომის დაწყების პირველივე საათებში მოხდა, დანარჩენები ომის ბოლომდე დავრჩით.

— ალბათ კარგად აცნობიერებდით, რომ იქიდან შეიძლებოდა ცოცხალი ვერარ დაბრუნებულიყავით, სახლში კი 3 წლის შვილი გყავდათ დატოვებული.

— ბავშვობიდან ისე გვზრდიდნენ, რომ კაცებს ჩვენი მიწა უნდა დაგვეცვა. სახლში ვერ გავჩერდით მაშინ, როდესაც ითქვა, რომ აფხაზეთი აღარ იყო საქართველო. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ეს რუსეთს უნდოდა და ფაქტობრივად 21-ე საუკუნის მიჯნაზე გვარომევდნენ იმ მიწას, რაც ჩვენმა წინაპრებმა ამდენი საუკუნის განმავლობაში უამრავი ომის ფასად მოგვიტანეს. ასე რომ, სახლში ვერ დავრჩებოდით, იქ წასვლა არავის გვეხალისებოდა, მაგრამ ვალდებულები ვიყავით.

ომის შემდეგ, ვინც ცოცხლები გადავრჩით, ყველა ჩვენს პროფესიებს დავუბრუნდით. ერთი ჩემი მეგობარი, მამუკა ლეკიაშვილი, ფილოსოფოსია, ჰაბიტუსითაც მწიგნობარია, თოფით ხელში ბრძოლის ველზე ძნელად წარმოსადგენი იყო, მაგრამ ყოჩაღი მებრძოლი აღმოჩნდა. აქ სამი პატარა შვილი ჰყავდა დატოვებული. მამუკა ორჯერ დაიჭრა. გაგრის მისადგომებთან თავში დაიჭრა, ჰოსპიტალში წასვლის ნაცვლად უკან შემობრუნდა, სათვალის ცალი შუშა ჩამტვრეული ჰქონდა. მის დანახვაზე სიცილი ამიტყდა. ჩვენს მეგობარს ვუთხარი, ასეთი მამის ხელში მისი შვილები რა ცოდოები არიან-მეთქი. ქართულმა ჯარმა ასეთი წესიერი ბიჭების ხარჯზე შეძლო რუსული ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

„ვეჰ ავიღებდი გაუპატიჟების საქმეს, ახ მიყვახს მოძალადეები, მით უმეტეს, ქალზე მოძალადეები. ვიცოდი, ჰომ ისეთ ჰიჩოვნებას გეღით ვეჰ დავიცავდი, ჰაც უნდა დიდი ჰონოჰახი შემოეთავაზებინათ. ამიღია ყაჩაღის, მკვლელის საქმეები, მაგჰამ უახი მითქვამს თაღლითების საქმეებზე“.

— ომიდან დაბრუნებულს ბიძა დავეხმარათ საადვოკატო კარიერის აწყობაში?

— მე რომ ომიდან ჩამოვედი, სამწუხაროდ, თამაზი ბიძია მალე გარდაიცვალა. ადვოკატობა ამის შემდეგ დავიწყე. სისხლის სამართლის თეორიაში ფაქტობრივად ის იყო ჩემი მასწავლებელი. ერთი წელი პროკურატურაში პროკურორად ვიმუშავე. ჯერ კიდევ მაშინ დავინიშნე ამ თანამდებობაზე, როდესაც ომში ვიყავი. ვხვდებოდი, რომ ყველა დასკვნას უფრო ადვოკატის თვალით ვწერდი და არა — პროკურორის. მივხვდი, რომ მერჩივნა, ადვოკატად მემუშავა. თან ხელფასიც არ იყო ისეთი, ოჯახის შესანახად რომ საკმარისი ყოფილიყო. ჩემი მეუღლე მაშინ გლდანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ფსიქოლოგად მუშაობდა. საბოლოოდ ადვოკატურაში წასვლა გადავწყვიტე, პროკურატურიდან ძალიან კარგი დახასიათებით გამომიშვეს.

„ძალიან ნახიმატებული სადესანტო ოპერაცია განვახორციელეთ. ეს იყო 1992 წლის 15 აგვისტო. აფხაზეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენი სასაზღვრო ნაწილები და პოლიცია განდევნეს. ჩუსეთი აფხაზეთს ომის სანაჰმოებლად ამაჰაგებდა. ჩვენ ღესელიძის საზღვაჰი უნდა ჩაგვეკეტა და ეს შევძელით. ოთხი ადამიანი დაგვეღუპა“.

— ახლა როგორ გასსენდებათ ადვოკატობის პერიოდი?

— იყო წარმატებები, ხანდახან არც ისე დიდი. თუ შენს საქმეს კეთილსინდისიერად აკეთებ, საკმაოდ მძიმე პროფესიაა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს ხშირად უთქვამთ, დღესაც ვიშუშებთ მორალურ ტკივილს და შენ როგორ უძლებ ერთდროულად რამდენიმე ოჯახის ტკივილის გაზიარებასო. ვალდებული ხარ, პატიმარს ძალა მისცე, გაამხნევო, რაც პასუხისმგებლობას უფრო გიზრდის. ვეუბნებოდი, ნუ დაიბრალებ იმას, რასაც გთხოვენ, ცოტაც გაუძელი-მეთქი. ამის შემდეგ ვხვდებოდი მისი ოჯახის წევრებს და მათაც ვაძლევდი იმედს. ადვოკატს ამიტომ უწევს იმ ოჯახთან ერთად რთული პერიოდის გადატანა. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში რომ გრძელდება, ბეჭებზე მძიმედ გაწვება. ერთი საქმე რომ

Cyan Magenta Yellow Black

■ ცოლ-ქმარი

მთავრდებოდა, თითქოს ვმსუბუქდებოდი, მაგრამ ახალ საქმეს რომ ვიღებდი, სიმძიმე ისევ მემატებოდა.

— საკუთარ საქმეზე შეცდარებულ ადვოკატს პოლიტიკისკენ რამ გიბიძგათ?

— ჩვენთვის, იურისტებისთვის, განსაკუთრებით კარგი პერიოდი იყო 1998-დან 2003 წლამდე, ანუ ვარდების რევოლუციამდე. მაშინ გავხდით ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა. სამართალწარმოება გაჯანსაღდა, გაჩნდნენ კარგი ადვოკატები, პროკურორები, იყო საინტერესო პროცესები. ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალიან ცუდი პერიოდი დაიწყო. სასამართლოები ახალმა პოლიტიკურმა ძალამ დაიქვემდებარა. ჩვენი კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებს დაშორდა, კანონი უსამართლო გახდა. ფაქტობრივად ძალაუფლება პროკურატურის ხელში გადავიდა. მას შეეძლო სასამართლოს ნება შეეზღუდა, რაც ყოვლად დაუშვებელია. მივიღეთ ის, რომ ადვოკატურამ დაკარგა შესაძლებობა, ეფექტურად განეხორციელებინა დაცვა. სწორედ მაშინ დავიწყე ფიქრი, რომ ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ პოლიტიკური გზით შეიძლებოდა. ხელისუფლებაში ის ძალა უნდა მოსულიყო, რომლის პოლიტიკური ნებაც იქნებოდა, მართლმსაჯულება ისევ თავის ფუნქციას დაბრუნებოდა.

■ ოჯახი — ლუბა, გიორგი და შალვა

„თავისუფალი დემოკრატები“ ავირჩიე, ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვიყავი. ირაკლი ალასანიამ პოსტი რომ დატოვა გაეროში, ჩვენ მის ჩამოსვლას ველოდით და მერე უკვე პარტიად ჩამოვყალიბდით. შემდეგ კი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლად კენჭი ვიყარე ვაკეში და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი გავხდი. ასე რომ, ჩემი ცხოვრების მეოთხე ეტაპი დეპუტატობაა. წინა ეტაპებზე მაინცდამაინც თავი არ შემირცხვენია. ახლა კი მინდა იმედი მქონდეს, რომ ამ საქმიანობაში რამე სარგებელს მოვუტან ქვეყანას.

— ვიდრე დღევანდელ ეტაპზე ვისაუბრეთ, მინდა გკითხოთ, როგორი შეგრძნებაა, როდესაც საქმეში ყველაფერს დებთ და პროცესიდან მაინც დამარცხებული გადიხართ?

— ხანდახან ძალიან ძნელია. მქონდა ერთი-ორი შემთხვევა, როდესაც უზენაესმა სასამართლომ აბსოლუტურად არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ორივეჯერ მარტო დავრჩი, არავისთან ლაპარაკი არ შემეძლო და ორი დღე დამჭირდა, რომ ამ პროფესიით მუშაობა გამეგრძელებინა. ძნელია, როცა იცი, რომ ყველაფერი სწორად გააკეთე, მაგრამ მცდარ გადაწყვეტილებას შეგნებულად იღებენ. სწორედ ამან მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ პოლიტიკური გუნდი უნდა შეცვლილიყო. მათი უსამართლო სამართალწარმოება უნდა დამთავრებულიყო.

„ათიდან ჰვა ადამიანი ბოდიშს მიხდიდა და მეუბნებოდა, ისე დამემუქრნენ, ჰომ ვეჰ გავბედავ, თქვენ იყოთ ჩემი ადვოკატიო. ეს, ჰა თქმა უნდა, მატეჰიალეჯჰად ძაღიან ცუდად აისახებოდა ჩვენზე“.

— რა გრძნობაა, როდესაც იცი, რომ ადამიანი დამნაშავეა და მაინც მის გამართლებას ცდილობთ?

— რა გრძნობა აქვს ექიმს, რომელიც ტყვედ ჩავარდნილ მტერს მკურნალობს? ის თავის პროფესიულ ვალს იხდის. ადვოკატი პასუხისმგებლობას იღებ პირის დაცვაზე, ეს კი ყოველთვის სრულ გამართლებას არ ნიშნავს. როცა ადამიანი მართალია, იქაც ძნელი მისაღწევია მისი სრული გამართლება. ვიდრე პასუხისმგებლობას აიღებ, მანამდე უნდა იფიქრო, შეძლებ კი მისი ინტერესების დაცვას. მაგალითად, ვერ ავიღებდი გაუპატიურების საქმეს, არ მიყვარს მოძალადეები, მით უმეტეს, ქალზე მოძალადეები. ვიცოდი, რომ ისეთ პიროვნებას გულით ვერ დავიცავდი, რაც უნდა დიდი ჰონორარი შემოეთავაზებინათ. ამიღია ყაჩაღის, მკვლელის საქმეები, მაგრამ უარი მითქვამს თაღლითების საქმეებზე. თაღლითობა ნიშნავს, რომ ვიღაცის ნდობას ბოროტად იყენებ, მხოლოდ ფულს კი არ ართმევ, ადამიანის რწმენას უკლავ კაცს. იმიტომ არ ვიღებდი ასეთ საქმეებს, რომ პროფესიას ვუღალატებდი, ჰონორარს კი ავიღებდი, მაგრამ საქმეს გულით არ გავაკეთებდი, მის გამო ღამეებს ვერ გავათენებდი, რაღაცას კი დავწერდი, მაგრამ ეს დაცვა არ იქნებოდა.

— უკვე რამდენიმე თვე გავიდა, რაც პარლამენტში ხართ. ამიტომ თამამად გკითხავთ, სად უფრო გულით ხართ — დეპუტატის საყარეულში თუ ადვოკატობა ჯობდა?

— შეიძლება სასაცილოდ ჩანს, მაგრამ დღემდე მივტირი და ძალიან მინდა სისხლის სამართლის საქმეში და დანაშაულის ცნებაში მუშაობა. ეს ალბათ უკვე ჩავლილი ამბავია, მაგრამ რეალურად ჩემს თავს ამ სფეროში ვხედავდი. დეპუტატობა — ეს უფრო სიახლეა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ აბსოლუტურად ახალ სფეროში ვარ. მაინც კანონებთან მაქვს შეხება. ერთადერთი, მუშაობის რეჟიმი სულ სხვაა. ადვოკატობის დროს შემოქმედებითად თავისუფალი ვიყავი. ზოგჯერ ერთი-ორი დღე არ ვმუშაობდი, სანადიროდ მივდიოდი და ვიცოდი, რომ ვიდრე საწერად დავჯდებოდი, ცოტა ხნით დასვენება მჭირდებოდა. მერე ერთი კვირა ოთახიდან გაუსვლელად ვმუშაობდი. პარლამენტში სულ სხვა რეჟიმია და ცოტა მიჭირს.

„მე და ლუბა ბევჰ ჰამეში ეჰთმანეთს აჰ ვეთანხმებით. ჰოცა ჯიუტად ჰაღაცას იჩემებს, ვეუბნები, ჰაც გინდა, ის გიქნია, თავი დამანებე-მეთქი. ღიჰებულებები ჯი ეჰთნაიჰი გვაქვს. ეს აჰის ის, ჰაც წყვილს საშუალებას აძლევს, ოჯახი შეინაჰჩუნოს“.

— თქვენმა ვაჟმა, გიორგიმ, წელს დაამთავრა ოერიდული ფაკულტეტი. თქვენი გზა ალარჩია. როგორი იყო თქვენი რჩევა, როცა ოერიდულზე ამბარებდა?

— ვფიქრობ, გიორგი კარგი ადვოკატი უნდა იყოს. გარდა ცოდნისა, ადვოკატს აზარტი, საომარი განწყობა სჭირდება. უსამართლობის მიუღებლობის განცდა უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, გიორგის ეს თვისებები აქვს. ვეუბნები, თუ გინდა, რაღაც საკითხები ერთად გავიაროთ-მეთქი. გიორგის მეტი თეორიული ცოდნა სჭირდება, რადგან უნივერსიტეტში ცოტა იზარმაცა.

— რა სასარეველზე დგას თქვენი და ლუბა ელიაშვილის 30 წლიანი ოჯახი?

— თავი და თავი სიყვარულია, შემდეგ — ღირებულებების ერთიანობა, ორივემ კარგად უნდა იცოდეს, რისი გაწირვა რისთვის შეიძლება. ჩვენ გვქონდა ძალიან ცუდი პერიოდები. ეს მაშინ იყო, როდესაც, როგორც ადვოკატი, ყველა იმ საქმეს ვიღებდი, რომელიც მმართველი პოლიტიკური ძალისთვის სასურველი არ იყო, ჩემი მხრიდან პრობლემებს ვუქმნიდი მათ. მოკლედ, სასურველი ადვოკატი არ ვიყავი. ლუბა კი სასურველი ჟურნალისტი არ გახლდათ. ყველა ტელეკომპანიას აკრძალული ჰქონდა მისთვის ეთერის დათმობა. იმ პერიოდში მატერიალურად ძალიან გვიჭირდა. ბოლო დროს, როდესაც ადამიანი თავისი საქმის აღებას მთხოვდა, ვეუბნებოდი, იცოდე, ბრძოლა მოგვიწევს, რადგან ხელისუფლებასთან შეთანხმების რეჟიმში ვერ ვმუშაობ-მეთქი. ათიდან რვა ადამიანი ბოდიშს მიხდიდა და მეუბნებოდა, ისე დამემუქრნენ, რომ ვერ გავბედავ, თქვენ იყოთ ჩემი ადვოკატიო. ეს, რა თქმა უნდა, მატერიალურად ძალიან ცუდად აისახებოდა ჩვენზე.

მაშინ ლუბა ლექციებს კითხულობდა ფსიქოლოგიასა და ჟურნალისტიკაში. მისი ხელფასით გაგვქონდა თავი. ამის მიუხედავად, ერთი წუთით არ გვიფიქრია, რომ უღირსობაზე ხელი მოგვეწერა. შვილები ჩვენგან სწავლობენ, რა არის კარგი და რა — ცუდი. მე და ლუბა ძალიან ბევრ რამეში ერთმანეთს არ ვეთანხმებით, ვკამათობთ და ზოგჯერ, როცა ჯიუტად რაღაცას იჩემებს, ვეუბნები, რაც გინდა, ის გიქნია, მე თავი დამანებე-მეთქი. პრინციპული ღირებულებები კი აბსოლუტურად ერთნაირი გვაქვს. ეს არის ის, რაც წყვილს საშუალებას აძლევს, ოჯახი შეინარჩუნოს.

→16

„ლიგა“ სამეცნიერო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

სოსო ცინცაძე: „საერთოდ დაივიწყეთ საპრეზიდენტო კანდიდატი — მარგველაშვილი!“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ვარაუდობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია, ხოლო ვინ გაიმარჯვებს, ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზეც, გლეხები თავის ყურძენსა და ციტრუსს დააბინავებენ თუ არა. „დღეს იცით, რა ხდება კახეთში? ატამი 10-15 თეთრი ღირს და არ იყიდება. გლეხები ხეზე ტოვებენ, თუ იგივე განმეორდა, სულ სხვა რეალობა იქნება“, — ამბობს პოლოტოლოგი. ბატონმა სოსომ „სარკესთან“ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ლიტერურ-პოლონურ ვიზიტზე, რუსეთსა და არჩევნებზე ისაუბრა.



— ბატონი სოსო, პრემიერმა თქვა, ჩვენი ხელისუფლების მიმართ კითხვები უკვე შემცირდა. ეს რას ნიშნავს, ახალმა მთავრობამ საგარეო ურთიერთობები დაალაგა?

— ჩვენი ხელისუფლება ჯერ-ჯერობით მხოლოდ თავდაცვის რეჟიმშია. საერთაშორისო ორგანიზაციების საყვედურებზე ისევ გვიწევს პასუხების გაცემა. ეს კი არ იძლევა იმის საშუალებას, ვთქვათ, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა წარმატებულია. არც ის მესმის, რატომ გახდა ნოემბრის ვილნიუსის თემა ასეთი საკრალური, რადგან, მაქსიმამუმი, ასოცირების ხელშეკრულება მივიღოთ.

„პუტინი მოტყუვდა, ახალდეკვატურად შეაფასა ივანიშვილის ნინასაარჩევნო განცხადებები. ეგონა, რომ საგარეო პოლიტიკური ვექტორი შეიცვლებოდა. პუტინი გაცოფდა და მიიღო გადაწყვეტილება, ისე გაამწვავოს სიტუაცია, რომ „ოცნებას“ უკან დასახევი გზა არ დაუტოვოს“.

— ასოცირების ხელშეკრულებისთვის ვკერდის ავლა და ნატო-ში პირდაპირ შესვლაც შეიძლებოდა, ითქვა.

— არ შეიძლება და თუ ასოცირება მივიღეთ, ესეც პერსპექტივა და დაპირებები იქნება, რითაც უკვე წლებია ვცხოვრობთ. ნატო-სა და ევროკავშირს შორის არჩევანის გაკეთება რომ გახდეს საჭირო, მე ნატო-ს ზურგს შევაქცევდი. ერთხელ პუტინმა ძალიან საინტერესო ფრაზა თქვა — მე საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ნატო-ში შესვლა არაფრად მიღირს, საშიში ევროკავშირიაო. დღეს უკვე აღარავინ ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლაზე, რადგან ეს ორგანიზაცია ნაკერებზე ირღვევა. ევროპას არ შეუძლია ზურგზე წამოიკიდოს საქართველოს დანგრეული ეკონომიკა.

რაც შეეხება ნატო-ს, სანამ რუსეთი არ იტყვის, არაფერი მაქვს საწინააღმდეგოო, მანამდე ალიანსში გაწევრებაზე არც უნდა ვიფიქროთ. რუსეთი მთავარი შემაფერხებელია, მაგრამ არა — ერთადერთი. რასმუსენი ბოლოს რომ იყო საქართველოში, მან პირველად თქვა ერთი საკვანძო სიტყვა, რომელიც მე პირადად უსიამოვნო განწყობაზე მაყენებს. ადრე რასმუსენიც ამბობდა და აპატურაიც, რომ საქართველოს კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, რომ ნატო-ში გაწევრდესო. ბოლო ვიზიტისას კი რასმუსენმა პირველად დაუმატა „ბევრს“ სიტყვა „ძალიან“. ანუ თუ გუშინ ბევრი გვქონდა გასაკეთებელი, დღეს ძალიან ბევრი გვაქვს. ეს ხომ დასკვნის საფუძველს იძლევა და რატომ ვხუჭავთ თვალს რეალობაზე? ვილნიუსში ასოცირების ხელშეკრულება კიდეც რომ მივიღოთ, ამას წარმოგვიდგენენ, როგორც ისტორიულ მომენტს, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის 100 პროცენტი-სათვის არაფერი შეიცვლება. ეს იქნება ერთი ნაბიჯი კომუნისტური ნათელი მომავლისკენ. როცა 10 ნაბიჯი გაშორებს მიზნამდე ერთი ნაბიჯი საზეიმოა, როცა — 10.000 ნაბიჯი, ერთი არაფერია.

— ბერძენიშვილი ვაკამეფებს, ფულემ თქვა, საქართველოს შანსი აქვსო.

— მიუხედავად ჩემი პატივიცემისა ბერძენიშვილისადმი, ბევრ რამეში ვერ დავეთანხმები, თუმცა ადრე ვეთანხმებოდი. ვერ დავეთანხმები იმაშიც, თვითკმაყოფილი ღიმილით 2-3 თვის წინ რომ გვითხრა, ჩვენ იმიტომ კი არ აგვირჩიეს, ტარიფები შევამციროთ, სამართლიანობა რომ აღვადგინოთო. ლევანი ჭკვიანი კაცია და არა მგონია, ამის მართლა სჯეროდეს. მაგრამ ის უკვე ჩადგა ხელისუფლების სამსახურში! სამაგიეროდ, არსებობს გამოკითხვები, რომლის მიხედვითაც, ხალხის პირველი მოთხოვნა სოციალური პრობლემების მოგვარებაა. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ეს უკვე სხვა თემაა. თუ ეს მართლა გვინდა, რატომ დავიწყეთ 2003 წლიდან და არა — გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან? მაშინ არ ირღვეოდა კანონი და უფლებები? სამოქალაქო ომამდე რომ მიიყვანა საქმე იმდროინდელმა ხელისუფლებამ, ეს არ უნდა გახდეს გამოძიების თუ არა,შეფასების საგანი? შევარდნაძის დროს სამართლიანობა არ ირღვეოდა? ნარკომანია რომ ავთვისებიანი სიმსივნესავით მოედო ქვეყანას, ეს შევარდნაძის კისერზეა. ამ საქმეში ძალოვანი სტუქტურები იყო ჩართული და ამით რატომ არავინ ინტერესდება? სააკაშვილმა რომ შევარდნაძეს აუფრიალა სასახლეები, რა, თვითონ დახატა? ის პერიოდი რატომ არის წაშლილი?

— დღეს კონკრეტულ სასჯელის სამართლის საქმეებზეა საუბარი.

— სისხლის სამართლის საქმე არ იყო, რომ ძალოვნებს შემოჰქონდათ ნარკოტიკი და ფულს აკეთებდნენ? ამიტომ, როცა სამართლიანობისთვის ბრძოლას მხოლოდ შენს პირად მოწინააღმდეგესთან იწყებ და არა — ქვეყნის მოწინააღმდეგესთან, რატომ გიკვირს, რომ კითხვები ჩნდება? სააკაშვილი იყო პირადი მოწინააღმდეგე ივანიშვილის, ივანიშვილიც ებრძვის სააკაშვილის ძალოვნებს — ახალაიას და მერაბიშვილს, შევარდნაძის ძალოვნები კი, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ ივანიშვილისთვის, მაგრამ დაუშავეს საქართველოს, არავის გახსენებია. რა, მაშინ არ იყო გაუხსნელი მკვლელობები? იგივე ე.წ. საძმოები გაიხსენეთ, დღეს მათი ბევრი ლიდერი პოლიტიკაშია. სწორედ ამიტომ იბადება დასავლეთში ეჭვი, ხომ არ არის ეს პირადი შურისძიება.

— აბა, რა ქნას, ვანო მერაბიშვილი, ახალაია გაუშვას, როცა ამდენი კითხვაა დაგროვილი?

— ივანიშვილიც ამ კითხვას ხშირად იმეორებს და ამატებს, ეს რომ არ გავაკეთო, ხალხი ქუჩაში გამოვაო. არადა კაცობრიობის ისტორიაში ხალხი მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ქუჩაში არასოდეს გასულა. ყველა რევოლუციას საფუძვლად ედო სოციალური საკითხი, სოციალური ფონის გაუარესება ორგანულად არის დაკავშირებული უსამართლობასთან — ანუ მდიდრები უფრო მდიდრდებიან და ღარიბები უფრო ღარიბდებიან. მე თუ მკითხავთ, სოციალური პოლარიზაცია ბოლო 9 თვეში უფრო გაძლიერდა, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო.

— პრემიერის ვილნიუსში ვიზიტზე რას ფიქრობთ?

— 8 თვეა ახალი ხელისუფლება მოვიდა და ჩამიჩუმი არ ისმის მთავარი სტრატეგიული მოკავშირე ქვეყანაში ვიზიტზე. ეს ნორმალურია?

— ამერიკაში ვიზიტისთვის უნდა მოგემზადოთ, თქვა.

— ამდენ ხანს არმსტრონგს არ ამზადებდნენ მთვარეზე გასაფრენად. ამიტომ თქვენს კოლეგებს ვუთხარი, ვიზიტებზე, რომელსაც არაფერი მოაქვს, კომენტარს არ ვაკეთებ-მეთქი.

— რუსეთზე რას ფიქრობთ, რომელიც საზღვრებს

— შვილებისთვის რიგორი მამა ხართ?

— მათთვის ძალიან ცოტა დრო მაქვს. გიორგი პატარა იყო, როდესაც ერთ ჟურნალისტს უთხრა, დედას ტელევიზორში უფრო ხშირად ვხედავ, ჩემთან სულ ბებიაა, მამა კი სულ ციხეშიაო. გიორგი უკვე დიდი კაცია, ელენე 13 წლის არის. ბოლო 2 წელია ხშირად მთხოვს, მამა, საღამოს სადმე ერთად გავისეირნოთო, მაგრამ ვერასოდეს ვახერხებ მასთან ერთად სადმე წასვლას, ვერც კინოში მივდივართ, ვერც ნაყინის საჭმელად. სულ ვპირდები და იქნებ მოვახერხო მათთან ერთად დასასვენებლად წასვლა. შვილებთან ერთად არასოდეს დამისვენია.

ერთხელ ამერიკელ ადვოკატებთან ერთად მომინია მუშაობა. ლუბა და გიორგი დასასვენებლად ჯერ ანტალიაში იყვნენ, იქიდან უნდა წასულიყვნენ პარიზში, შემდეგ — მადრიდში. პერიოდულად მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ხან ზღვაზე იყვნენ, ხან — პარკში. ჩემი პასუხები კი იყო, რომ ან სასამართლოში ვიყავი, ან ციხეში, ან მორგში. იმ ამერიკელებმა ამასთან დაკავშირებით კითხვა დამისვეს და მე ვუპასუხე, საქართველოში ასეა განაწილებული კაცის და ქალის ურთიერთობა — მე მორგიდან ვერ გამოვდივარ და ისინი პარიზში დასეირნობენ-მეთქი. მითხრეს, გვეგონა, საქართველო ისეთი ქვეყანა იყო, სადაც კაცები ქეიფობენ და ქალები მუშაობენ, სინამდვილეში პირიქით ყოფილაო.

— გაქვთ ისეთი შეცდომა დაშვებული, რომელიც საკუთარი თავისთვის ვერ გაპატიებიათ?

— არა, ან შეიძლება დავუშვი კიდეც, მაგრამ ვერ მივმხვდარვარ.

— იცხოვრეთ ისე, რიგორც გსურდათ, გეცხოვრათ თუ ისე, რიგორც ცხოვრებამ შემოგთავაზათ?

— ალბათ ორივე ერთად. ბევრი რამ გარემოებებმა მიკარნახა, მაგრამ არასოდეს წავმხდარვარ, ჩემი ღირსება ყოველთვის მქონდა. ღირსეულად სიკვდილიც შეიძლება და ცხოვრებაც. არ ვნანობ იმას, როგორც ვიცხოვრე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისე ვიცხოვრე, როგორც მინდოდა.

გარკვეული გამოცდილების შემდეგ მივხვდი, რომ ციხიდან ბრალდებულის მალე გათავისუფლება კი არ შედის მხოლოდ ადვოკატის ვალდებულებაში, არამედ ის, რომ ღირსეულად გამოიყვანო. ციხიდან გამოსულს უნდა ეტყობოდეს, რომ მისი სული გადაარჩინე.

სერგო კოტრიკაძე საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარე რომ გახდა, ბორია პაიჭაძემ უთხრა, ძალიან კარგი მეკარე ხარ, მაგრამ თუ გინდა, დიდი მეკარე გახდე, გახსოვდეს, შენ ზურგს უკან ფეხბურთის კარის ბადე კი არა, დარიალია და ის უნდა დაიცვაო. თუ გინდა, მართლა ადვოკატი იყო, უნდა შეძლო, პატიმრის სული გაჭირვებიდანღირსეულად გამოიყვანო.

✓ ქეთი დინოშვილი

თანდათან წავიდა. ნაადრევი ხომ არ იყო კრემლთან საუბრის დაწყება?

— ნაადრევი — არა, მაგრამ მოუმზადებელი კი ნამდვილად იყო. ისე დავიწყეთ ურთიერთობის დარეგულირება, რომ არ ვიცოდით, რა კომპრომისებზე შეგვეძლო წასვლა. მსოფლიოში გამოცდილი პოლიტიკოსები ისეთ დაპირებებს იძლევიან, მერე ტყუილში რომ არ გამოიჭირონ, კონკრეტულად არაფერს ამბობენ. 200-მდე საარჩევნო კამპანია მაქვს გაანალიზებული და არსად მინახავს, ვინმეს ეთქვას, ხორცს ან ტარიფებს 30 პროცენტით გავაიაფებო. რომ თქვეს, რუსეთთან ურთიერთობებს აღვადგენთო, ესეც წარმოუდგენელი იყო. გამოცდილი პოლიტიკოსი იტყოდა — მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ აღდგესო; უფრო გამოცდილი — მოგვიწევს არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმაო.

— ყოველდღე ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევა უკვე ჩვეულია თუ თამაში?

— ეს პუტინის პოლიტიკაა. ის მოტყუვდა, არაადეკვატურად შეაფასა ივანიშვილის წინასაარჩევნო განცხადებები. ეგონა, რომ კომპრომისებზე წავიდოდა და საგარეო პოლიტიკური ვექტორი შეიცვლებოდა.

— ივანიშვილმა ეს რომც მოინდომოს, ხალხის გაწყობიდან გამომდინარე, არ გამოუვა.

— რა თქმა უნდა, ეს ივანიშვილმაც დაინახა. პლუს ნაცმოძრაობაც, როგორც კახელი გვალვაში წვიმას ელოდება, ისე ელოდება ცოტა გრძელ ნაბიჯს რუსეთისკენ, რომ მერე ყველაფერი კისერზე მათ ჩამოჰკიდოს. ევროპაც ყალყზე დგას, ამიტომ თუ საკაშვილი დღეში სამჯერ გაიძახოდა, ნატო მინდაო, „ოცნება“ 30-ჯერ ამბობს. ამიტომ გაცოფდა პუტინი და მიიღო გადაწყვეტილება, ისე გაამწვავოს სიტუაცია, რომ „ქართულ ოცნებას“ უკან დასახევი გზა არ დაუტოვოს.

— ნუთუ ასე ცუდადაა საქმე?

— სამ ზვიგენზე იდგა ივანიშვილის წინასაარჩევნო კამპანია. პირველი — ტარიფები, სოფლის მეურნეობა; მეორე — სამართლიანობის აღგენა, მესამე — რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. სამართლიანობის აღგენა როგორ მიდის, ყველა ხედავს — ჭრაჭუნით; ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა რა დღეშია, ამასაც ყველა ხედავს და რუსეთთან ურთიერთობაზეც რომ ვთქვა, უნდა გავიაზრო-გამოვიაზროო, არ იყო ამის დრო. თან ეტყობა, ხედვაც არ იყო გუნდში. აბა, როგორ დავიჯერო, რომ პაატა ზაქარეიშვილმა იცოდა, ივანიშვილი წინააღმდეგი იყო რკინიგზის აღდგენის და თქვა, უნდა აღდგესო. ესე იგი, არ იცოდა, რას ფიქრობდა. ახლა ივანიშვილი ამბობს, ასე მარტივი არ არისო. ანუ საგარეო პოლიტიკაში საერთო ხედვა არ აქვთ. მე თედო ჯაფარიძის მიკვირს, მართლა მაღალი დონის პროფესიონალია. ეტყობა, არ უჯერებენ, თორემ გამოვრიცხავ, რომ მას ჩაეწერა წინასაარჩევნო პროგრამაში, რუსეთთან ურთიერთობებს აცილებლად აღვადგენთო.

— ახალი დაპირებებისთვისაც დადგა მშეენიერი დრო, რას ფიქრობთ მარგველაშვილის კანდიდატურაზე?

— საერთოდ დაივიწყეთ საპრეზიდენტო კანდიდატი — მარგველაშვილი! არჩევნები უნდა მოიგოს ივანიშვილმა და თუ წააგებს, ისევ ივანიშვილი წააგებს და არა — მარგველაშვილი. ან ეს „ლაღი არჩევნები“ საიდან მოიტანა! გამიგია სამართლიანი, უსამართლო, დემოკრატიული, ტოტალური, მაგრამ ლაღი არ გამიგია! სამაგიეროდ, გამიგია ლაღი ცხოვრება და მარგველაშვილისთვისაც პრეზიდენტობა ლაღი ცხოვრების ოქროს გასაღებია. მის უკან ივანიშვილი რომ არ იდგეს, მარგველაშვილი თავის კანდიდატურას მაისის ღამის სიზმარშიც ვერ ნახავდა. ისე, ძალიან ბევრს მივცემდი, იმ წუთებში რომ მენახა მისი სახე, როცა უთხრეს, შენ უნდა გახდე პრეზიდენტიო.

— ყველაფერი პირველი ტურით დამთავრდება?

— თუ ასე გაგრძელდა, მეორე ტური აუცილებლად ჩატარდება და მაშინ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, როგორი იქნება საგარეო და ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში.

მამუკა კაციტაძე: „თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ შიხიაშვილის კანდიდატურა გადაწყვეტილი არ არის“

6 აციონალებს თბილისის საკრებულოც გამოეცალათ ხელიდან. 19 ივლისს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი და 13 მოქმედი კომისიის თავმჯდომარეები გადააყენეს. აღნიშნული გადაწყვეტილება საკრებულოში ახალმა უმრავლესობამ მიიღო. მოთხოვნას მხარი 25-მა დეპუტატმა დაუჭირა. სხდომას ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ არც ერთი წევრი არ დასწრებია.

— ჩვენ არ ვეპოტინებით არც ერთ სკამს და არც ერთ თანამდებობას. ჩვენ ოპონენტებს შევთავაზეთ, ეს ყველაფერი მოქცეულიყო კანონიერ ჩარჩოებში, კანონის სრული დაცვით და ამის მერე მომხდარიყო ჩვენი გადაყენება და სხვა ადამიანების დანიშვნა... ასევე 26 ივლისს გამართულ სხდომაზე ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ბატონი ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურას, ვინაიდან ის არ შეიძლება იყოს საკრებულოს თავმჯდომარე, — აცხადებს მამუკა ახვლედიანი.

უმრავლესობის დეპუტატ მამუკა კაციტაძის თქმით კი, თბილისის საკრებულოს ცხოვრებაში ახალი — ინტერპარტიული ეტაპი იწყება.

— ბატონი მამუკა, ნაციონალები თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას არალეგიტიმურად მიიჩნევენ, თქვენ რას ფიქრობთ?

— როგორც წესი, არალეგიტიმურ და არასამართლებრივ პროცესებში მონაწილეობას არ ვიღებ, შესაბამისად, რადგან ჩართული ვარ, ნიშნავს, რომ სამართლიანია. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის, დედაქალაქის შესახებ სპეციალური კანონის და თბილისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, არსებობს ნორმა, რომ დეპუტატთა შემადგენლობის 1/3-ს აქვს უფლება, მოსთხოვოს საკრებულოს თავმჯდომარეს რიგგარეშე სხდომის მოწვევა. 11 ივლისს საკრებულოს 23 დეპუტატმა (თუმცა 17-იც საკმარისი იყო ამისთვის), მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, ზაალ სამადაშვილს, მოეწვია რიგგარეშე სხდომა. კანონი ამბობს, რომ მიმართვიდან ერთი კვირის განმავლობაში თავმჯდომარემ უნდა მოიწვიოს სხდომა. და იქვე წერია, რომ, თუ არ იწვევს, მაშინ დეპუტატებს, ვინც ინიციატივით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, აქვთ უფლება, თავად მოიწვიონ. 18 ივლისამდე დაველოდეთ საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებას. სამადაშვილმა კი სხდომა მოიწვია არა ერთ კვირაში, არამედ 24 ივლისს, მაშინ როცა 26 ივლისს ისედაც არის დანიშნული პლენარული სხდომა. რადგან ამოვარდნა მოხდა კანონის ჩარჩოდან, 19 ივლისს 25 დეპუტატმა მოიწვია საკრებულოს სხდომა კონკრეტული დღის წესრიგით.

— რატომ გახდა აუცილებელი რიგგარეშე სხდომის მოწვევა?

— 28 ივნისს ჩატარდა საკრებულოს ბოლო სხდომა, სადაც მნიშვნელოვანი საკითხები იხილებოდა, მათ შორის — მოვალეობის შემსრულებელი თანამშრომლების ვადის გასვლა და კონკურსის გამოცხადება, რაც რამდენიმე ათეულ ადამიანს ეხებოდა. ეს იყო მნიშვნელოვანი და სასწრაფოც, რადგან ყველაფერი უნდა დასრულდეს პირველ ოქტომბრამდე, ამას კანონი ითხოვს. კენჭისყრის დროს, რომელსაც სჭირდებოდა 24 ხმა, მხოლოდ 22 ხმა დაფიქსირდა, ანუ არასაკმარისი აღმოჩნდა, რაც იყო პირველი ნიშანი, რომ ნაცმოძრაობამ თბილისის საკრებულოში ხმათა უმრავლესობა დაკარგა. წარმოიქმნა პოლიტიკური კრიზისი, ანუ საკრებულო საკითხს ვეღარ წყვეტდა — იქით იყო 22 დეპუტატი და აქეთ — ყველა დანარჩენი.

ამის შემდეგ 25 დეპუტატი დავსხედით და ვიმსჯელეთ, რომ მოგვეწვია რიგგარეშე სხდომა კრიზისის თავიდან ასაცილებლად. მერე კი მოხდა ის, რაც მოხდა — რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიღების შედეგ გადავწყვიტეთ, ყველა დაკავებული თანამდებობიდან გაგვეთავისუფლებინა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, რადგან მათ უმრავლესობა დაკარგეს. ახლა საუბრობენ, რატომ უნდა გაგეთავისუფლებინათო. ვინც ეს არ იცის, ვურჩევდი, რომ პოლიტიკის ანაბანა წაიკითხოს.

— ჯობია, განუმარტოთ.

— როცა კონკრეტული ჯგუფი არის უმრავლესობაში, პასუხისმგებლობა სწორედ მასზეა. ამიტომ უმრავლესობა თვითონ აკომპლექტებს ყველა სტრუქტურას და საკადრო პოლიტიკასაც თვითონ წარმართავს. მაგრამ, იმის გამო, რომ არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ აქვს უმრავლესობა, საკრებულოს ყველა წევრი ინტერფრაქციულ რეჟიმში უნდა ჩაჯდეს, რომ დავიწყოთ ფიქრი,

→18

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორც საკადრო პოლიტიკაზე, ისე საკრებულოს მუშაობაზე.

ჩვენი ამ განცხადების შემდეგ ნაცმოძრაობა გამოვიდა ინიციატივით და თქვა, სურვილი გვაქვს, კონსულტაციებში ჩავერთოთო. ამიტომ ჩვენ შევცვალეთ რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი და მხოლოდ თანამშრომლები გავათავისუფლეთ, ხოლო ახალი კანდიდატურების არჩევა დღის წესრიგიდან მოვხსენით, რომ ერთი კვირის განმავლობაში, ანუ 26 ივლისის პლენარულ სხდომამდე კონსულტაციები გვქონოდა. ამით გავუგზავნეთ მესიჯი, რომ ნაციონალებს არ ექნებათ ერთპიროვნული მმართველობა თბილისის საკრებულოში, მაგრამ ეს იმას არ მიშნავს, რომ ისინი ამ კონსულტაციებიდან გვერდზე გასწიეს ან მათი იგნორირება მოახდინეს. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესი, რაც საქართველოში პირველად ხდება — კონკრეტულ წარმომადგენლობით ორგანოში ერთი კონკრეტული ძალის დომინანტობა ქრება და ცხოვრების გაგრძელება ინტერპარტიულ რეჟიმში აუცილებელი ხდება.

ჩემი და „ახალი მემარჯვენეების“ მიზანი იყო, რეალური მრავალპარტიულობა და პოლიტიკური ბალანსი შექმნილიყო წარმომადგენლობით ორგანოში. ამ ეტაპზე ეს მოხერხდა. ვისურვებდი, რომ ეს პროცესი გადამდები აღმოჩნდეს სხვა თვითმმართველობებისთვის და, გნებავთ, პარლამენტისთვისაც.

— მაგრამ ნაცმოძრაობა ბოიკოტს გიცხადებთ, გაჩიყეთ კიდეც

— მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გათავისუფლებით დავკმაყოფილდით, ნაცმოძრაობამ მაინც ბოიკოტი გამოაცხადა, უფრო მეტი, სხდომის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. ეს ჩვენს შემდგომ თანამშრომლობაზე გავლენას მოახდენს, მაგრამ ამის გამო ზურგს არ ვაქცევთ. ნაციონალები საკრებულოში 39 დეპუტატით შემოვიდნენ. 28 ივნისამდე იყვნენ უმრავლესობაში და 13-ვე კომისიის თავმჯდომარე ნაცმოძრაობის წევრი გახლდათ. სად იყო კონსულტაცია, შემოთავაზება, ოპოზიციისკენ გადმოდგმული ნაბიჯი ამ წლების განმავლობაში? თავიდან 2 კომისია დათმეს, მაგრამ, როგორც კი დაინახეს განსხვავებული მოსაზრებები, მყისიერად 13-ვეს დაეპატრონენ. თუ ამ ლოგიკიდან გამოვალთ, ნაცმოძრაობა არ იმსახურებს ამ ტიპის შეთავაზებას, მაგრამ პრობლემა და პრინციპი სწორედ ის არის, რომ არ უნდა დაემსგავსო მას, ვინც ასე მუშაობდა.

> **„მეჰია თავისი ფინანსებითა და სამსახეჰებით უკონტროლო ეჰ უნდა იყოს. ის ეჰ უნდა იყოს ჩამოკიდებული ეჰთ პოლიტიკუჰ ძალაზე და, მეთ უმეტეს, ეჰთ პიროვნებაზე. ჩვენი მიზანი ეს ეჰის და ამის მისაღწევად ის პრობლემები უნდა მოვაგვეჰოთ, ჰაც გზაზე გვხვდება“.**

— არასამთავრობები წინასაარჩევნოდ ასეთ აქტიურობებს არ იწონებენ. სალაპარაკოს კი მართლაც აძლევთ ნაციონალებს, რომ თაყვანი „ეპისტოლური შემოქმედება“ გააგრძელონ.

— სალაპარაკო იმდენი გვაქვს ნაცმოძრაობაზე, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, რომ... რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ! არჩევნების პერიოდი არ ნიშნავს, რომ 11 თვის განმავლობაში მათ უკონტროლოდ დავუტოვოთ ყველაფერი, მათ შორის — საკადრო პოლიტიკაც. ერთი წლის ბიუჯეტი არის 740 მილიონი და ეს თანხა ისევ დავუტოვოთ უმცირესობაში მყოფ ნაცმოძრაობას და 22 კაცმა მართოს 25 დეპუტატი? ვინც ამის წინააღმდეგია, ან ევროპარლამენტს გადახედოს, ან ნაციონალების იმ 9 წლიან უკონტროლო მმართველობას, ან ის გაიხსენოს, 2002 წელს სააკაშვილი 14 კაცით რომ შევიდა 50 კაციან საკრებულოში და მერე უცებ რომ გახდა 29. საიდან გაიზარდა მათი რიცხვი, თუ არა გადაჯგუფებებით? და თუ სააკაშვილისთვის და ნაციონალებისთვის შეიძლებოდა ეს, სხვისთვის არ შეიძლება?

— როგორ განაწილდება თანამდებობები?

— ეს ერთ კვირაში გაირკვევა, თანაც ჩემგან, მინიმუმი, არაკოლეგიალური იქნება ამაზე საუბარი. მაგრამ 26 ივლისს რომ დადგება საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი, ეს ფაქტია. შემდეგ კი უნდა მოვახერხოთ და ინტერპარტიულ რეჟიმში ვაწარმოოთ თანამდებობებზე დანიშვნის პოლიტიკა, ვითანამშრომლოთ მერიასთან. მერია თავისი ფინანსებითა და სამსახურებით უკონტროლო არ უნდა იყოს. არ უნდა იყოს ჩამოკიდებული ერთ პოლიტიკურ ძალაზე და, მით უმეტეს, ერთ პიროვნებაზე. ჩვენი მიზანი ეს არის და ამის მისაღწევად ის პრობლემები უნდა მოვაგვაროთ, რაც გზაზე გვხვდება.

— შიხაშვილის კანდიდატურამ დიდი აურზაური კი გამოიწვია...

— შიხიაშვილთან დაკავშირებით ჩვენ გადაწყვეტილება არ მიგვიღია, არც დღეს ვამბობთ, რომ მისი თემა გადაწყვეტილია. ამაზე 26 ივლისს ვისაუბრებთ. მის გარდა უამრავი კანდიდატია — ჯაბა სამუშია, გიორგი ტყემალაძე, გულიკო ზუმბაძე... ყველა „ქართული ოცნების“ ხალხია და ამ სიტუაციაში ისმის კითხვა — ყურით მოთრეული ხომ არ არის შიხიაშვილზე საუბარი? ან რა კავშირშია ის 19 ივლისის რიგგარეშე სხდომის უფლებამოსილების საკითხთან, ან კომისიის თავმჯდომარეების გადაყენებასთან?

2004 წელს სააკაშვილი გაიძახოდა, ოპოზიცია არ მჭირდებაო, მერე ივანიშვილმა თქვა, შუა უნდა გაიკრიფოსო. საბედნიეროდ, დღეს ეს სქემები არ არსებობს. მადლობა ღმერთს, თბილისის საკრებულოში ოპოზიციაც არის და არც შუა გაკრეფილა!

ნინო ლომჯარია: „არ ვიზიარებ ყველა მოთხოვნას, რაც ოპოზიციას დაფინანსებაზე აქვს“

საქართველოს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში სანიმუშო იქნება. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის ოპოზიციონერი წევრები კი ხელისუფლებას მოლაპარაკებების ჩაშლაში სდებენ ბრალს. ირწმუნებიან, რომ მმართველი კოალიციის შიგნით არსებული დაპირისპირების გამო ჩაიშალა 18 პარტიასთან მიღწეული შეთანხმება პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონსა და საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზე გადაწყდა, რომ „არ მოხდეს არც ერთი თეთრით დაფინანსების გაზრდა არც გამარჯვებული პარტიებისათვის და არც ბარიერის მიღმა დარჩენილი პარტიებისათვის“. იქვე აღინიშნა, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მოხდეს დაფინანსების საკითხის გადახედვა.

— 15 ივლისს ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე გაკეთდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის და პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის, ზაქარია ქუცნაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან უკვე შეთანხმებული ცვლილებების განხორციელებაზეც კი უარს ამბობს. ამ განცხადების პარალელურად შეინიშნება საარჩევნო გარემოს გაუარესების კუთხით სხვა შემაშფოთებელი სიგნალებიც — ამომრჩეველთა სიიდან რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების ამოღება, ადმინისტრაციული და პოლიციური რესურსების მობილიზება, საარჩევნო ადმინისტრაციის და მედიის მკაცრი კონტროლი და პოლარიზაცია. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ამ საკითხზე დღევანდელი ხელისუფლება კატეგორიულად უარს ამბობს ე.წ რვიანის წინადადებებზე, რომელთა შემუშავებაშიც თავად მონაწილეობდა წინა ხელისუფლების პერიოდში, — ნათქვამია ოპოზიციური პარტიების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ეს პარტიები პრემიერთან შეხვედრას ითხოვენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კომპრომისებზე წავიდეს.

— ქალბატონო ნინო, რატომ ჯერ მოსერხდა ინტერფრაქციულ ჯგუფში შეთანხმების მიღწევა?

— ჩვენი მხრიდანაც იყო გარკვეული გაუგებრობები და არასაპარლამენტო უმცირესობასაც გაუჭრდა თავისი მოთხოვნები, რამაც, საერთო ჯამში, ეს პრეტენზიები გააჩინა. გუშინ საღამოს (ინტერვიუ ჩაწერილია 19 ივლისს. ავტ.) გამოიგზავნა საბოლოო ცვლილებათა პაკეტი, სადაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი რეკომენდაციის მნიშვნელოვანი ნაწილია ასახული, თუმცა არის რაღაც საკითხები, რის ლობირებასაც ვაპირებთ.

> **„სამახთლებრივად ეთული, დაასაბუთო, ეატომ უნდა ნახვიდე პარტიასთან კომპრომისზე, ომელმაც არჩევნებზე 	e გადაღახა კანონით დადგენილი ბარიერი. ხელისუფლებამ უნდა ანონ-დანონოს, ამდენად მნიშვნელოვანია ეს საარჩევნო გარემოს თვალსაზრისით“.**

რაც შეეხება არასაპარლამენტო უმცირესობის თემას, მათი მხრიდან წამოწეული იყო დაფინანსების საკითხი. ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გვქონია, ჩვენი რჩევები კანონმდებლობის გაჯანსაღებას უფრო შეეხება. ეს თემა კი არის წმინდა პოლიტიკური და ალბათ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ოპოზიციური პარტიების გაძლიერება ქვეყანაში. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება გარკვეულ კომპრომისებზე წავა. თუმცა პირადად მე არ ვიზიარებ ყველა იმ მოთხოვნას, რაც ოპოზიციას აქვს.

— მაგალითად, რას არ იზიარებთ?

— იგივე საბიუჯეტო დაფინანსებას, რაც ძალიან ბევრია. დღეს არსებული კანონმდებლობით, რადგან არ არიან კვალიფიციური სუბიექტები, მათი დაფინანსება შეუძლებელია, ამიტომ რაღაც ახალი ნორმა უნდა შეიქმნას.

— რამდენადაც ეიკი, რამდენიმე კარიანტი განხილებოდა.

— კი, განიხილებოდა პროცენტის დაწევა, შუალედურ არჩევნებზე მიღებულ შედეგებზეც იყო საუბარი; ითქვა ისიც, რომ საპრეზიდენტი არჩევნებზე მიღებულ შედეგზე ყოფილიყო მიბმული... ხელისუფლებამ რომელიმეზე უნდა შეაჩეროს არჩევანი. სამართლებრივად ცოტა რთულია, დაასაბუთო, რატომ უნდა წახვიდე პარტიასთან კომპრომისზე, რომელმაც ვერ გადალახა არჩევნებზე კანონით დადგენილი ბარიერი. ხელისუფლებამ უნდა აწონ-დაწონოს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს საარჩევნო გარემოს

Cyan Magenta Yellow Black

თვალსაზრისით და ასევე, ამით შეიქმნება პრეცედენტი, რომ მმართველი პარტია გარკვეულ კომპრომისებსა და დათმობებზე მიდის არასაპარლამენტო პარტიებთან. ისიც ფაქტია, რომ მათ ადგილობრივ არჩევნებზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და მხარდამჭერებიც ჰყავთ.

— რა რეკომენდაციები მიეცით ხელისუფლებას, რამაც უნდა შეცვალოს და გააჯანსაღოს საარჩევნო გარემო?

— საარჩევნო გარემოზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. შარშან ყველაზე პრობლემური დაფინანსების კანონმდებლობა და ის პრაქტიკა იყო, რაც აუდიტის სამსახურს ჰქონდა. ჩვენ მივეცით რეკომენდაციები ამ კანონის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რომ უფრო მეტად გამჭვირვალე გამხდარიყო და ნაკლები შეზღუდვები ყოფილიყო. რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია.

მეორე საკითხია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. პრემიერმინისტრმა თავის პარტიას მოუწოდა, რომ ადმინისტრაციული რესურსი არ გამოიყენოს და სანიმუშო არჩევნები იყოს ამ თვალსაზრისით. ეს კარგია, ანუ პოლიტიკური ნება არსებობს, მაგრამ ცდუნება მაინც არის. თვითმმართველობებში ვნახეთ, რომ ადგილობრივი ინიციატივები არსებობდა. იყო პოლიტიკური ნიშნით ადამიანების გათავისუფლების და დანიშვნის ფაქტები. ამიტომ ეს პროცესი მაინც საჭიროებს კონტროლს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ რეგიონებში ოპოზიციის აქტიური კამპანიის დროს არ იყოს ძალადობები და დაპირისპირებები.

— სადავო გახდა არასამთავრობოების რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნიდან 20 მეტრის რადიუსში აგიტაცია აიკრძალოს.

— ჩვენ 50 მეტრს ვითხოვდით, მაგრამ მთავარია, რომ ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული იყოს. გვახსოვს, როგორ იდგნენ პარტიების აქტივისტები საარჩევნო უბნების შესასვლელთან და ეწეოდნენ ან აგიტაციას, ან აღრიცხვას პოლიტიკური ნიშნით. ეს გარკვეული ზეწოლაც იყო. გვინდა, რომ მსგავსი პრეცედენტები თავიდან ავიცილოთ. რაც შეეხება რადიუსის დადგენას, შეიძლება მონიშვნები მანამდე გაკეთდეს. ვფიქრობ, ეს ნამდვილად არ იქნება პრობლემა.

— ბოლოკის რიღზეც იყო საუბარი.

— პოლიციელის ყოფნა უბანზე, როცა არ არის ამის აუცილებლობა, ყოველთვის აღიქმება არასასურველად. კოდექსიც ზღუდავს იარაღიანი პირის შესვლას საარჩევნო უბანზე, თუ საჭიროება არ არსებობს. ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე მათი მობილიზება არაა რეკომენდებული, რადგან აღიქმება, როგორც ზეწოლა.

— რიგორ შეაფასებთ სასტარტო მდგომარეობას თუნდაც წინა არჩევნებთან შედარებით?

— ახლა უფრო დაბალანსებული სიტუაციაა. პირველი, მედია ხელმისაწვდომია, მეორე, სასამართლო არ არის ერთი პარტიის მიერ კონტროლირებადი; მესამე, არც საარჩევნო კომისიაა ერთი პარტიის მიერ დაკომპლექტებული. რაც შეეხება ძალადობრივ გარემოს, აქ არის ცოტა პრობლემა, მაგრამ არც კი შევადარებ იმას, რაც შარშან იყო. შარშან ყოველი დაკავება აღიქმებოდა, როგორც ზეწოლა ოპოზიციაზე და კარგი იქნება, სამართალდამცავები (თუ ამის აუცილებლობა არ იქნება) თუ თავს შეიკავებენ სამართლებრივი დევნის დაწყებისგან. მაგრამ თუ მაინც იქნება, იყოს დასაბუთებული.

— ვანი მერაბიშვილის თემა ალბათ კარგი მაგალითია. ისე უჭირს დასაკლეთს მისი ბრალეულობის დასახვა?

— როცა პოლიტიკოსს აკავებენ, მით უმეტეს, თუ ეს ხდება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, პოლიტიკურ დევნაზე ეჭვები ძლიერდება. თუმცა ამ შემთხვევაში მე ნამდვილად ვერ გავაკეთებდი ასეთ შეფასებას, რადგან წარსულიდან და იმ დარღვევებიდან გამომდინარე, რაც ხდებოდა, ვფიქრობ, საფუძველიარის, გარკვეული პრეტენზიები არსებობდეს შს ყოფილი მინისტრის მიმართ. თუ რამდენად დასაბუთებულია ეს, არ ვიცი, რადგან ამ პროცესში ჩართული არ ვართ. დასავლელი პარტნიორების მხრიდან ამ საქმის მიმართ დაინტერესება მართლაც ძალიან მაღალია და ხელისუფლებას მოუწევს, ყველა ბრალდება დაასაბუთოს.

— საკრებულოებში ვანკოთარებული მოვლენები რამდენად ძალიერებს მათ ეჭვს?

— ჩვენი ორგანიზაცია ამ საკითხის მონიტორინგს ახდენდა და ჩვენი დასკვნებიც ადასტურებს, რომ ხელმძღვანელი პირების 2/3 შეიცვალა. ეს პროცესი თბილისის საკრებულოში ახლაც მიმდინარეობს. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს არის პოლიტიკურ ძალებს შორის უპირატესობის დემონსტრირების შედეგი, მგონი, ორი აზრი არ არსებობს. თბილისის საკრებულოში სულ ცოტა ხნის წინ დაკარგა უმრავლესობა ნაცმოძრაობამ. მანამდე მათი მხრიდან იყო საუბარი, რომ მათი წევრების გადაბირება და დაშინება ხდებოდა. გვახსოვს დაკავებებიც. ეს მაინც არ არის ჯანსაღი პროცესები. იმედი მაქვს, თვითმმართველობის არჩევნებამდე მოესწრება თვითმმართველობის რეფორმა, რომლის გატარებასაც ხელისუფლება აპირებს. ჩვენ უნდა ჩავატაროთ ისეთი არჩევნები, რაც მაქსიმალურად დაახლოებს საზოგადოების განწყობას და შედეგებს ერთმანეთთან.

— სწორედ ამ მიზეზით დაიწყო საუბარი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. თქვენ რას ფიქრობთ, ასეთი არჩევნები აუცილებელია?

— არჩევნები უნდა ჩატარდეს ვადით განსაზღვრულ დროს, თუ არ არსებობს კონსტიტუციით გათვალისწინებული აუცილებლობები. ჩვენ ვაღიარეთ ის არჩევნები და ამიტომ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვიკისროთ. არჩევნების ყოველწლიურად ჩატარება არაჯანსაღი პროცესია.

— მამეკა მიქაუტაძის საქმესთან დაკავშირებით რამე ახალი დეტალები ხომ არ გამოიკვეთა?

— სამწუხაროდ, იმაზე მეტის თქმა არ შემიძლია, რაც ყველამ მოვისმინეთ. არსებობს ორი ექსპერტის დასკვნა, რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. არსებობს განცხადებები და ჩვენებები, რომლებიც მეუღლემაც და მეგობარმაც შეცვალეს. ამიტომ ბევრი კითხვა მიჩნდება და ვაპირებ, თვალი ბოლომდე მივადევნო. იმედია, ამ საქმეს არა მარტო შსს გენინსპექცია, პროკურატურაც გამოიძიებს.

— რას ფიქრობთ, რატომ შეიცვალა განცხადებები და ჩვენებები?

— ვერ გეტყვით, მეუღლემ რატომ შეცვალა, მაგრამ რაც შეეხება ბრალდებული მეგობრის გადაწყვეტილებას, შემიძლია, გარკვეული ეჭვები გამოვთქვა — ეს იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ მის მიმართ გამოძიება მიმდინარეობს და არ აწყობს შსს-ს დადანაშაულება. ეს მხოლოდ ვარაუდია.

— შს მინისტრს, რაკელი დარიბაშვილს, სანდრო გირგვლიანის საქმეს ნიშნად ახსენებენ ამ კონტექსტში.

— იმედი მაქვს, მოვლენები ასე არ განვითარდება. გამოძიებას უნდა დაველოდოთ და ისიც ფაქტია, რომ ოჯახს აკმაყოფილებს ის დასკვნა, რაც შსს-მ წარმოადგინა, განსხვავებით გირგვლიანის შემთხვევისგან.

„იმის ნაცვლად, მს მინისტმა უპასუხოს აღიარებით, ომ შეიძლება მის უწყებაში ახსებობდეს ჰომბლემები, მაგრამ გამოიძიებენ და იმ ჰიჩების მიმართ ჰასუხისმგებლობას დააყენებენ, ამაზე მძაფი ჩეაქცია აქვს, ჩაც ძალიან გასაკვირია".

— ბოლო დროს ძალიან გაძლიერდა საკუდურები სამართალდამცავების მიმართ. რა ხდება, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

— პირველი, ის, რომ ხალხმა ხმა ამოიღო. ჩვენ ვმუშაობდით ასეთ საქმეებზე და, დამიჯერეთ, ძალიან რთული იყო მოწმის მოძებნა, ან სახელის და გვარის გასაჯაროება. გარდა ამისა, ღარიბაშვილის მიმართ მოლოდინი არის ძალიან მაღალი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი შეცდომა თუ გადაცდომა მეტი კრიტიკის ქვეშ ექცევა, მათ შორის — ჩვენი მხრიდანაც, რადგან არ გვინდა, იგივე შეცდომები გავიმეოროთ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ იქ დასაქმებული რიგითი პოლიციელები არ შეცვლილან, შეიცვალნენ მხოლოდ მაღალჩინოსნები.

— მაგრამ მათთან ერთად ხომ შეიცვალა პოლიტიკური ნებაც

— კი, შეიცვალა პოლიტიკური ნება მათდამი დაქვემდებარებული პირების მიმართ, მაგრამ ის ადამიანები მაინც იქ რჩებიან. ვამბობთ, ამ ორგანოებში სისტემური პრობლემები არსებობდაო, მაგრამ მისი შემქმნელები თუ არა, აღმასრულებლები ჯერ კიდევ იქ მუშაობენ. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ იქ მართლაც იყოს დარღვევები. იმის ნაცვლად, რომ მინისტრმა უპასუხოს აღიარებით, რომ შეიძლება მის უწყებაში არსებობდეს პრობლემები, მაგრამ გამოიძიებენ და იმ პირების მიმართ პასუხისმგებლობას დააყენებენ, ამაზე მძაფრი რეაქცია აქვს, რაც ძალიან გასაკვირია.

— ოკანიშვილის ხელისუფლება ადეკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ნატაშვილის მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა. ამ საკითხთან დაკავშირებით რას გეტყვით?

— პრობლემები ამ მხრივ ნამდვილად არსებობს. სამწუხაროდ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უფრო მეტი უფლებები აქვს ბრალდებას, ვიდრე დაცვის მხარეს. მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებით ინიცირებული იყო ცვლილებები და დაკითხვა უნდა მომხდარიყო სასამართლოში. ეს ინიციატივა რომ სწორი იყო, მიქაუტაძის საქმეც ადასტურებს.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები: სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-ნსმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

შალვა რამიშვილი: „ივანიშვილის ხელისუფლების გაკრიტიკება გამიჭირდება“

ჟურნალისტი ახალ ტოქ შოუს ამზადებს

ტელეჟურნალისტ შალვა რამიშვილს ცხელი ზაფხული უდგას, ის ახალი პოლიტიკური ტოქ შოუსთვის ემზადება, რომელიც, სავარაუდოდ, ოქტომბერში „მეცხრე არხის“ ეთერში გავა და წამყვანი თავად იქნება. ამჟამად მისი ჟურნალისტური ცხოვრება მშვიდია, მაგრამ ტოქ შოუს წამყვანს სხვა რელსებზე გადაწყობა მოუწევს, მაყურებელი მას მწვავე კითხვების დასმასაც მოსთხოვს. გამოცდილმა ჟურნალისტმა ეს ყველაფერი კარგად იცის და ამბობს, რომ ივანიშვილის ხელისუფლების მიმართ დადებითი განწყობის მიუხედავად, მისი გაკრიტიკებაც მოუწევს. ჯერჯერობით კი წკიპურტებს ისევ ყოფილი ხელისუფლებისკენ ისვრის, ამას წინათ „ნანუკას შოუში“ პრეზიდენტის სტუმრობას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა სტატუსით — „უხდებიან ერთმანეთს“.

— სკანდალების მოყვარული, ხმაურიანი შალვა რამიშვილი რატომ არის ახლა შშვიდად?

— ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საქართველო, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე იყო და ახლა არის. რაც შეეხება ხმაურს და სკანდალს, ეს არ ყოფილა სკანდალი სკანდალისთვის, არც მხოლოდ საკუთარი თავის, ოჯახის, შვილების გადასარჩენად, არამედ ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის. ის ჩემთვის ჟურნალისტური საქმიანობა კი არა, ბრძოლა იყო, ძალიან დამღლელი და სახიფათო. ახლა სულ სხვა ცხოვრებაა, ინტენსიურ ჟურნალისტიკაში ნაკლებად ვარ და ეს ბუნებრივიცაა. არ მგონია, მომავალში ისეთი რამ კიდევ განმეორდეს და ეს მთავრობა ავტორიტარულ ხელისუფლებად ჩამოყალიბდეს. ამიტომ, ვფიქრობ, მაშინდელივით სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აღარ იქნება საჭირო.

შევარდნაძის დროს ადამიანები ცვლილებებს, სიახლეებს ითხოვდნენ, მაშინ ყველაფერი დაჭაობებული იყო, ყველგან კორუფცია მეფობდა. მკაცრ ხელს, მეტ ევროპულობას, ენერგიულობას ვითხოვდით. მერე კი ეს ყველაფერი რაშიც გადაიზარდა, ვნახეთ, ხელისუფლებაში მარგინალური ძალები მოვიდნენ... ეს ომი სახადივით იყო და მოვიხადეთ, მეორეჯერ არ განმეორდება, ამაზე აცრილები ვართ.

— პირდაპირობისთვის, ზოგჯერ უხეშობისთვის ხშირად გაკრიტიკებდნენ...

— ახლაც მაკრიტიკებენ!

— როგორი კრიტიკის მოსმენა ვიწყეთ?

— მრავალნაირის, რომ მექრთამე ვარ, არადა მექრთამე კი არა, გამომძალველი ვარ და ეს ხშირად ეშლებათ. ამას გარდა, ბევრი სხვა კრიტიკაც მესმის ხოლმე. პოპულარობისთვის რაღაც უნდა გადაიხადო. შეუძლებელია, ყველას უყვარდე. ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო გაგაკრიტიკებენ.

— ამ გადმოსახედიდან ხომ არ ნანობთ, რომ „მაესტრო“ დატოვეთ?

— არა, რადგან ჩემსა და მამუკა ღლონტს შორის რაღაც საკითხებში პრინციპული განსხვავება აღმოჩნდა. „მაესტროს“ რა მიდგომაც ჰქონდა, არ მომწონდა. მაგალითად, როცა ჩემი გადაცემა დახურეს, ითქვა, რომ ადამიანებს დილით ინფორმაციის მოსმენა არ სჭირდებოდათ და არხს გასართობი გადაცემებისკენ უნდა აეღო ორიენტაცია. მაშინ ეს არ გამიპროტესტებია, მაგრამ ახლა თქვენ თვითონაც ხედავთ „მაესტროს“ განვითარების ვექტორს. მხოლოდ ძველი შემადგენლობა, პოლიტიკური ტოქ შოუები დარჩა, რომლებიც ამ არხს „ქაჩავს“. ამ ტელევიზიის გასართობმა პროექტებმა წარმატება ვერ

> **„ქვეტექსტებიდან ჩანს, რომ „ხუსთავი 2“ მიხეილ სააკაშვილის ტელევიზიაა და ჯიტიჯელ სიტუაციაში მას დაუჭერს მხარს. ამის მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ „ნანუკას შოუს“ ის გადაცემა, სადაც სააკაშვილი იყო სტუმარი. ეს იყო მაიმუნობა!“.**

მოიპოვა, მარცხი განიცადა. მოკლედ, „მაესტროდან“ წამოსვლას არ ვნანობ. მე და მამუკა ღლონტს ტელევიზიასთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს.

— ბოლო პერიოდში „მაესტროს“ და „მეცხრე არხის“ რეიტინგმა ხომ არ დაიწია?

— „მეცხრე არხის“ რეიტინგი მაღალი არ იყო და ამას ბევრი მიზეზი აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მას გავრცელების არეალი არ აქვს. გარდა ამისა, ახალი სტუდია თითქმის ერთი წელი შენდებოდა. ეს არის ახალი ტელევიზია, ამიტომ მაღალი რეიტინგი არ აქვს. „მაესტროს“ რეიტინგი არჩევნების და იმ ცვლილებების შემდეგ, რაც ამ არხზე განხორციელდა, დაეცა.

— თქვენს კონკურენტ ტელეარხებზე რას იტყვით?

— „იმედმაც“ და „რუსთავი 2“-მაც პოლიტიკა შეცვალეს. „იმედის“ შემთხვევაში გასაგებია, რატომაც. „რუსთავი 2“-ს კი იგივე რომ გაეგრძელებინა, არავინ უყურებდა. არჩევნებამდე „მაესტროს“ რეიტინგმა იმიტომ აიწია, რომ იმ პერიოდში „რუსთავი 2“ და „იმედი“ ტოტალურ ტყუილებს ავრცელებდნენ და ზოგიერთ თემას საერთოდ არ აშუქებდნენ. „რუსთავი 2“-მა ეს პოლიტიკა შეცვალა, თუმცა ქვეტექსტებიდან ჩანს, რომ ის მიხეილ სააკაშვილის ტელევიზიაა და კრიტიკულ სიტუაციაში ისინი სწორედ მას დაუჭერენ მხარს. ამის მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ „ნანუკას შოუს“ ის გადაცემა, სადაც სააკაშვილი იყო სტუმრად. ეს იყო მაიმუნობა!

— „ფეისბუქის“ თქვენს გვერდზე გამოუხმაურეთ კიდეც „ნანუკას შოუში“ მიხეილ სააკაშვილის სტუმრობას. სტატუსზე გეწერათ, ერთმანეთს უხდებიანო. რას გულისხმობდით?

— სიყალბე, აფერისტობა, ძალით დაყენებული სახეები სასაცილო იყო. ჟორჟოლიანიც და სააკაშვილიც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხარისხით, დამრთგუნველი სისტემის ნაწილი იყვნენ. ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ ისინი ერთი და იმავე მანქანის ნაწილები არიან. უბრალოდ, სააკაშვილი ძრავია, ჟორჟოლიანი კი — „გლუშიტელი“. ერთი ჭკუის, ერთი გემოვნების ადამიანები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და მოთქვამდნენ იმაზე, თუ როგორ „დაერხათ“. სასაცილო იყო! ნანუკას გადაცემებიდან ერთიც კი არ მაქვს ბოლომდე ნანახი, ეს კი განსაკუთრებული იყო, სააკაშვილის დეგრადირება ძალიან მაინტერესებდა და ვუყურე.

— როცა ახალი ხელისუფლება სათავეში მოვიდა, აქტიურად ლაპარაკობდნენ, რომ ტელეკომპანიებს რამდენიმემილიონიანი დავალიანება ჰქონდათ. ახლა ეს ყველაფერი მიჩუმდა. ხომ არ იცით, სახელმწიფო რატომ არ სთხოვს მათ ვალის გადახდას?

— როცა მათ ეს დავალიანება ჩამოუწერეს, ჯერ კიდევ ვანო მერაბიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი. რა თქმა უნდა, ეს სწორი ქმედება არ გახლდათ.

— მამუკა ღლონტს თქვენი რჩევები არ დასჭირდა, „მეცხრე არხის“ ხელმძღვანელებს თუ უზიარებთ გამოცდილებას, რომ ტელევიზიის რეიტინგმა აიწიოს?

— მე და ლუბა ელიაშვილი („მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ავტ.) მეგობრები ვართ, ბევრ საკითხზე ვსაუბრობთ. ლუბა ისეთი ადამიანია, ვინც სხვის რჩევებს ითვალისწინებს. ჩვენ ბევრ საკითხზე ვმუშაობთ.

— როგორია თქვენი ხედვა, რა უნდა შეიცვალოს ამ არხზე?

— ამის თქმის საშუალება ლუბასთან პირადად მაქვს, ამიტომ სწორად არ მიმაჩნია, ხალხს გავაგებინო, აქ რა არის შესაცვლელი და რა — არა.

— რა გეგმები გაქვთ ახალი სატელევიზიო სეზონიდან?

— „მეცხრე არხის“ ხელმძღვანელობასთან ერთად ვმუშაობ, რამდენიმე ტოქ შოუს იდეა

> **„მე და ბიძინა ივანიშვილს თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. მისგან უამრავი რამ ვისწავლე. თუნდაც ის, რომ ჯიტიჯელ სიტუაციაში, როცა შეიძლება შენს გეგმებში, განცდებში აიხლართო, ერთადერთი და ყველაზე სწორი გამოსავალი არის, სიმართლეს დაუბრუნდე“.**

არსებობს და რომელიმეზე შევჩერდებით. ალბათ პოლიტიკური ტოქ შოუ იქნება, რომელსაც მე გავუძღვები. სავარაუდოდ, ოქტომბრიდან დაიწყება. ჯერ ამაზე საუბარი არ მინდა.

— რამდენადაც ვიცი, „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი თქვენი მეგობარია. რა შეგიძლიათ მასზე გვითხრათ?

— გიორგი მარგველაშვილის ფიგურა პრეზიდენტობისთვის ზედგამოჭრილია!

— ამაში შეიძლება ბევრი შეგედავოთ.

— კი, ბატონო, მაგრამ, პირველ რიგში, ვიტყვი, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ბატალიებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, ის ინტრიგების მხლართველი არასდროს ყოფილა. გიორგი არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ არის და ინტრიგების გამოცდილება არ აქვს, რაც პრეზიდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან ლაღი ადამიანია, იუმორის გრძნობა აქვს, რაც მის ინტელექტზე მიანიშნებს. მისი მტრებიც კი არ

Cyan Magenta Yellow Black

ამბობენ, რომ ინტელექტი არ გააჩნია. ძალიან უშუალო ადამიანია. გიორგი თბილისის ცენტრალურ უბანში, ინტელიგენტების ოჯახში დაიბადა და ცხოვრობს დუშეთში, იქაურ ადამიანებთან აქვს შეხება. ერთი ჩაკეტილი სოციალური წრის წარმომადგენელი არ არის, ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისთვის ღია და გახსნილია.

— მისი მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაშიც კი მასზე გავლენა ექნება.

— გიორგიმაც თქვა ინტერვიუში, რომ თვალთმაქცობა გამოუვიდოდა, თუ იტყოდა, რომ ბიძინას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ მის აზრს არ გაითვალისწინებს. გიორგისთვის დიდი პლუსია, რომ ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელი და მეგობარია. მისი მენეჯერობის უნარიც დასაფასებელია. „ჯიპა“-ს უნივერსიტეტი ნულიდან აეწყო, მხოლოდ ინტელექტუალური კადრები კი არ მოიზიდა, ფინანსურადაც წელში გამართა. ჩვენ მისი, როგორც მინისტრის, საქმიანობაც ვნახეთ. ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ ეს ადამიანი პრეზიდენტობისთვის ზედგამოჭრილია.

„ჩემსა და მამუკა ღლონტს შორის ხალაც საკითხებში ჰრინციპული განსხვავება აღმოჩნდა. ოცა ჩემი გადაცემა დახეჩეს, ითქვა, ომმ ადამიანებს დიღით ინფორმაციის მოსმენა აჰ სჭიდებოდათ... მაშინ ეს აჰ გამიჰოტესტებია, მაგრამ ახღა თქვენ თვითონაც ხედავთ „მაესტროს“ განვითარების ვექტორს“.

— რამდენი წელია, რაც მეგობრობთ?

— დაახლოებით 3-4 წელი იქნება. ეს მეგობრობა მეც მომწონს და, როგორც ჩანს, მასაც.

— მის ყველაზე რეალურ კონკურენტად ვინ მიგაჩნიათ?

— ჩემი აზრით, დავით ბაქრაძე სამეულშიც ვერ უნდა შევიდეს. ეს სირცხვილი იქნება.

— ბიძინა ივანიშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ჩვენ თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. მისგან უამრავი რამ ვისწავლე. თუნდაც ის, რომ კრიტიკულ სიტუაციაში, როცა შეიძლება შენს გეგმებში, განცდებში აიხლართო, ერთადერთი და ყველაზე სწორი გამოსავალი არის, სიმართლეს დაუბრუნდე, რაც ძალიან რთულია. მაგალითად, სანდრო გირგვლიანის შემთხვევაში ააკაშვილი კრიტიკულ სიტუაციაში სიმართლეს რომ დაბრუნებოდა, დამნაშავეები დაესაჯა, თუნდაც განაჩენის გამოტანის შემდეგ, მისთვის ასეთი მძიმე შედეგები არ დადგებოდა. მან კი სიმართლის ნაცვლად, დანაშაულებრივი გზით იარა.

— ბიძინა ივანიშვილთან ხშირად გაქვთ კონტაქტი?

— ამ ბოლო დროს — ნაკლებად, თუმცა წინასაარჩევნოდ ინტენსიურად ვეკონტაქტობდით ერთმანეთს.

— როგორ მოგწონთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები?

— ძალიან მომწონს. შეცდომებიც არის და დანაშაულიც.

— რას გულისხმობთ, დააკონკრეტეთ.

— ცუდია, რომ პარტიული სტრუქტურები ისეთი ძლიერი არ არის, რომ ახალი პოლიტიკა, რომელსაც ეს ხელისუფლება ავრცელებს, მასებში გაიტანოს... მიმაჩნია, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის. პირველი, რაზეც ამ ხელისუფლებამ იზრუნა, არის ის, რომ უფასო დაზღვევის, სახელმძღვანელოების, ხელფასების და პენსიების დარიგების პროექტები აამუშავა. ძალიან მომწონს სისხლის სამართლის კოდექსის ევროპასთან მიახლოების პროცესი. მაგალითად, პოლიციის ლიბერალური კანონი შემოდის, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეს გონივრული ეჭვის საფუძველზე ქუჩაში ველარ გააჩერებენ. ძალიან მომწონს, რომ შეკრებითობის კანონი აღარ არსებობს.

— თქვენი აზრი მაინტერესებს, მამეკა მიქაუტაძის საქმესთან დაკავშირებით. უცნაურად არ მიგაჩნიათ, რომ ამ საქმეს ის უწყება იძიებს, რომელსაც მისი თვითმკვლელობამდე მაყვანა ედება ბრალად?

— ამ საქმეს რომ იგივე უწყება იძიებს, ამაში ინტერესთა კონფლიქტს ვერ ვხედავ. იქ არსებული პოლიციელთა კონტროლის და შიდა მოკვლევის სამსახური დანაშაულში ჩართული არ იყო.

— თუმცა ასეთ შემთხვევაში დიდი ალბათობაა დანაშაულზე ხელის დაფარვის.

— კი, მაგრამ ეს უფროა არარეალურია. მეუღლე ამბობს, რომ შსს-ს დასკვნას ენდობა, საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძე კი აცხადებს, რომ — არა. უფრო მეტი ინფორმაციაა საჭირო იმისთვის, რომ მკაფიო დამოკიდებულება გამოვხატო. როცა მეუღლე ენდობა გამოძიებას, რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს აზრი, რომ ის პოლიციამ დააშინა. დარწმუნებული ვარ, არასამთავრობო ორგანიზაციები ბრძოლას გააგრძელებენ, მათ კი ხელს არავინ შეუშლის.

— თუ დაინახავთ, რომ ქვეყანაში არასასურველი პროცესები მიმდინარეობს, იქნებით ისევ ისეთი პირდაპირი და ხისტი, როგორიც მანამდე იყავით?

— ახლა ძალიან რთულია მკერდში მჯიღის ცემა და იმის თქმა, რომ ამ ხელისუფლების მიმართ ისეთივე განწყობა მექნება, როგორიც წინასთან მქონდა, რადგან ის დამოკიდებულება მრავალი ათასი შეცდომის და დანაშაულის შედეგად გამომიმუშავდა. ისიც ვიცი, ჩემი რეიტინგი დაბლა დავა, თუ კრიტიკული არ ვიქნები, თუმცა ეს რთული იქნება.

✓ ეკა ლემონჯავა

ნონა გიუნაშვილი: „ჩემს კარიერას პოლიტიკური ცვლილებები ცუდად შეეხო“

ჰოგორ გრძელდება „ნიჭიერის“ გამარჯვებულის ცხოვრება

„რუსთავი 2“-ის პროექტ „ნიჭიერის“ გამარჯვებული, ნონა გიუნაშვილი ფინალის დროს ფეხმძიმედ იყო, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. „სარკე“ დაინტერესდა, როგორ გაგრძელდა ახალგაზრდა, ნიჭიერი ქალის ცხოვრება. ნონა კი ინტერვიუზე 5 თვის გოგონასთან, ნიცასთან ერთად მოვიდა. პატარა ნიცა ძლივს გადაურჩა სიკვდილს, მისი სიცოცხლე კინაღამ დედის კარიერამ შეიწირა. ნიცას გარდა ნონას ორი შვილი ჰყავს — 11 წლის გიგა და 9 წლის გვანცა. მესამე შვილის გაჩენას აღარ გეგმავდა და ლამის აბორტი გაიკეთა.

„ნიჭიერის“ გამარჯვებულს ფინალში სასტუმროს ნომერი ბათუმში, 50 ათასი ლარი და ავტომანქანა „ჰიუნდაი აქცენტი“ გადასცეს. როგორ გამოიყენა ეს პრიზები, ამაზე თავად გვიამბობს.

— ნონა, ეს პატარა გოგონა „ნიჭიერში“ გამარჯვების შემდეგ გაჩნდა?

— დიახ. როცა „ნიჭიერი“ დამთავრდა, ყველა იმ სიახლესთან ერთად, რაც მაშინ ჩემს ცხოვრებაში მოხდა, აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედაც ვიყავი. ჩემი კარიერის აღმავლობის პერიოდი იწყებოდა და შემეშინდა, რადგან არ ვიცოდი, კიდევ ერთი ბავშვის დაბადების შემდეგ ჩემი ცხოვრება როგორ წარიმართებოდა.

„ბევრი შემომნატოდა, ბათუმში ჩახვალ და დაისვენებო, მაგრამ ისევ აჰ მაქვს ჩემი ოთახი... მეგონა, იმ 50 ათასით ყველა სუჰვილს ავისხეულებდი და ყველას დავეხმარებოდი, მაგრამ დიდი თანხა აჰ ყოფილა...“.

— „ნიჭიერის“ ფინალზე ორსულად იყავით და არ იცოდით?

— დიახ. იმდენად რთული დღეები მქონდა, რომ მაშინ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, კარგად დამეხატა. ეჭვი კი გამიჩნდა, მაგრამ ექიმამდე მისვლაც ვერ შევძელი. როცა „ნიჭიერმა“ ჩაიარა და გონზე მოვედი, ექიმმა დამიდასტურა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ფინალი რომ დასრულდა, კულისებში გონება დავკარგე და ეს, ემოციური ფონის გარდა, ალბათ ორსულობის ბრალიც იყო. ახლა ვფიქრობ, მაშინ ისეთი ენერგიული ვიყავი, მგონი, ეს ბავშვიც მაძლევდა გარკვეულ ძალას.

— და კინაღამ აბორტის მსხვერპლი გახდა?

— ბავშვის გაჩენა გეგმაში აღარ მქონდა. საკმაოდ მოზრდილი ქალვაჟი მყავს და... მაგრამ, საბედნიეროდ, ღვთის წყალობით, ისეთი გადაწყვეტილება მივიღე, რომლითაც უზომოდ კმაყოფილი ვარ. ნიცას გაჩენა დედამ გადამაწყვეტინა. მითხრა, რომ ეს შეიძლებოდა უფლის გამოცდაც ყოფილიყო დიდი ბედნიერების შემდეგ.

→22

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ამხელა რაღაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში, „ნიჭიერის“ გამარჯვებული გავხდი და არ შეიძლებოდა ამ დროს არასწორი ნაბიჯი გადამედგა და აბორტი გამეკეთებინა. რთული ორსულობა მქონდა. ამის გამო ბევრ რამეში ხელიც შემეშალა. პირველ ორ ბავშვზეც ასე ვიყავი და ეს გამოცდილება რომ მქონდა... ფაქტობრივად მთელი თვეები არც მძინებია. მთელი ღამე ვიჯექი და ვათენებდი. ქვიშაზე ხატვის დროს კი გარკვეული ალერგიული შეგრძნებები მქონდა.

— რაში შეგეშალათ ხელი?

— მაგალითად, მაროკოში ვიყავი მიწვეული. პრინცის კარზე ტარდებოდა ფესტივალი, სადაც უნდა დამეხატა. იმ პერიოდისთვის უკვე 8 თვის ორსული ვიქნებოდი და ამხელა გზაზე წასვლას ვერ გავრისკავდი. ერთჯერად პროექტებში კი მაინც ვიღებდი მონაწილეობას და ვცდილობდი, აქტიურად მეცხოვრა. ჩემი პატარა 15 თებერვალს დაიბადა.

პირველად საკმაოდ პატარა ასაკში, 17 წლის გავხდი დედა და მაშინ მსგავსი შეგრძნებები არ მქონია. მაშინ უფრო გართობა მინდოდა, ვიდრე ბავშვის გაზრდა. ის დიდი სიამოვნება, რასაც დედობა ჰქვია, კარგად არ შემიგრძნია. ახლა კი იმხელა ბედნიერება მომიტანა ამ ბავშვმა, ყველა სახის საჩუქარზე ძვირფასია! რაც უნდა შეცვლილიყო ჩემს ცხოვრებაში ამ პატარას გარეშე, ამხელა ბედნიერებას და სიხარულს ვერასოდეს განვიცდიდი. პატრიარქის ნათლულია ჩემი პატარა, რადგან ჩვენი მესამე შვილია. ახლახან, 14 ივლისს, მოვნათლეთ. ნიცა უკვე 5 თვისაა. აქტიური და საყვარელი ბავშვია.

— მსგავს პროექტებში გამარჯვებულები ნ�რად საერთოდ აღარსად ჩანან. თქვენც დაამყოფილდებით ამ ერთი გამარჯვებით თუ სახლოვადოებას კვლავ შეახსენებთ თავს?

— ახლა უკვე სამუშაო ფორმაში ვარ და მინდა, რაც შეიძლება აქტიურად გადავერთო საქმეში. საოცრად მომენატრა სცენა, აპლოდისმენტები, ამასთან დაკავშირებული განცდები, ემოციები და მინდა, ჩემი საქმე რაც შეიძლება აქტიურად გავაგრძელო. ამ პროექტში მონაწილეობა და გამარჯვება სასწაული იყო. ასეთი რეიტინგული ალბათ აღარ ვიქნები, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, რომ ამ კუთხით გავაგრძელო მუშაობა. ერთჯერადი შემოთავაზებები მაქვს ხოლმე სხვადასხვა ღონისძიებებიდან, რაც საკმარისი ნამდვილად არ არის. პროდიუსერი არ მყავს, რომელიც დამაკვალიანებდა და ხელს შემიწყობდა ყველაფერში. თუ შემიკვეთავენ, შემიძლია ნებისმიერ თემაზე შევქმნა ნახატები, ამბავი მოვყვე, დავადო მუსიკა და ა.შ. დღეს ქვიშაზე ხატვის ხელოვნებაზე მოთხოვნა არ არის. ქვეყანაში შეიცვალა სიტუაცია და...

— მთავრობის ცვლილებას გულისხმობთ?

— დიახ. პოლიტიკისგან ძალიან შორს ვარ, არასოდეს ვერევი და არც მაინტერესებს. მთავრობის შეცვლის შემდეგ ჩემს შემოქმედებაზე მოთხოვნა შემცირდა. ალბათ დასარეგულირებელია სიტუაცია. მე ხელოვანი ადამიანი ვარ, ჩემი ქვეყანა მიყვარს და მინდა, რაც შეიძლება ბევრი რამ გავაკეთო, ჩემი საქმით ბევრი ადამიანი ვასიამოვნო და მეც მივიღო მათგან ენერგია. გახსოვთ ალბათ, რომ გამარჯვების შემდეგ პრეზიდენტმა მიმიწვია თავის რეზიდენციაში... ხელოვანი ვარ და არ მინდა, ჩემს კარიერას პოლიტიკური ცვლილებები ეხებოდეს.

— იმის ვამბობ, რომ პრეზიდენტისთვის მისალები პიროვნება იყავით, ფიქრობთ, ახალი მთავრობა თქვენს დაბლოკვას შეეცდება?

— იცით, საქართველოში ხელისუფლების შეცვლამდე ბევრი შემოთავაზება მქონდა, რომელიც მერე თანდათან შემცირდა. „არავისტი“ ვარ, არც ვყოფილვარ და არც საარჩევნო პროცესებში გავრეულვარ რაიმე ფორმით. ყველას ვთხოვ, ჩემი უგულებელყოფა ამ ნიშნით არ მოხდეს.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ახალ მთავრობას, უბრალოდ, ჯერ ღონისძიებების ჩასატარებლად არ სცალია და თქვენი პრეზიდენტთან სტუმრობა არაჯერ შეაშია.

— მეც ამის იმედი მაქვს. ბოლო დროს ჩემს ტელეფონზე დაფიქსირდა ზარები — სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობას მთავაზობდნენ, მაგრამ მერე აღარ დამკავშირებიან.

სცენაზე დგომის ნოსტალგია მაქვს. ცუდად სცოდნია მიჩვევა პოპულარობას. ის პერიოდი უზომოდ მენატრება. ისეთი დრო იყო და ისეთი ულამაზესი წუთები, ჩემს კარიერაში სხვა რამე სასიამოვნო რომც აღარ მოხდეს, ჩავთვლი, რომ ამისთვის ღირდა ცხოვრება. ამას წინათ გორის რადიოში მიმიწვიეს. პირდაპირ ეთერში რეკავდნენ და მეფერებოდნენ. ეს უზომოდ სასიამოვნო იყო. ხალხს მაინც ვახსოვარ და ვუყვარვარ. მეუბნებოდნენ, მოგვენატრე და ველოდებით, ისევ როდის გამოჩნდები და რამე ახალს როდის გააკეთებო. იმედია, ამის საშუალება კიდევ მომეცემა. ერთი პერიოდი საზღვარგარეთ წასვლაზეც ვფიქრობდი, მაგრამ ისე მიყვარს ჩემი ქვეყანა, სხვაგან ცხოვრებას ვერ შევძლებ.

■ დედა-შვილი

„ნიცას გაჩენა დედამ გადამანყვეტინა. მითხრა, რომ ეს შეიძლებოდა უფლის გამოცდაც ჯი ყოფილიყო დიდი ბედნიერების შემდეგ. ამხელა ხაღაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში და ახ შეიძლებოდა ახასნოხი ნაბიჯი გადამედგა, აბოხტი გამეკეთებინა".

— ახლა სხვა მასწავლის საქმესთან ზიხართ და არა იმაზე, რომელიც მიიგეთ.

— დიახ, ის მანქანა გავყიდეთ. თითქმის ერთი წელი მყავდა „ჰიუნდაი აქცენტი“, ახლახან გავყიდე და სხვა ვიყიდე. სახლის რემონტისა და გაკეთებისთვის დამჭირდა ფული. ამიტომ გავყიდე და უფრო დაბალფასიანი ავტომობილი შევიძინე. მანქანა რომ მოვიგე, მართვა არ ვიცოდი, მაგრამ ერთ თვეში ვისწავლე და მართვის მოწმობაც ავიღე. თუ რამე გულით მინდა, მაქსიმუმს ვაკეთებ, რომ სურვილი მალე ავისრულო. მანქანის ყოლა ჩემთვის ბავშვობის ოცნება, ყველაზე სასიამოვნო სიზმარი იყო. აქამდე ვერ შევძელი ყიდვა და რომ არა ეს პროექტი, ალბათ ახლაც არ მეყოლებოდა.

— ბავშვებს მარტო ზრდით თუ გეხმარებათ ვინმე?

— ფაქტობრივად მარტო ვზრდი, თუმცა ჩემი მეუღლე და უფროსი შვილები ძალიან მეხმარებიან. ხანდახან მათ ვუტოვებ და საქმეზე მივდივარ. მშობლებიც შეძლებისდაგვარად გვერდით მიდგანან. ძიძა არ ამიყვანია, რადგან მიმაჩნია, რომ თავად უნდა ვიზრუნო და პატარას სხვას ვერავის ვანდობდი. თუ რამე მნიშვნელოვანი შემოთავაზება მექნება, ალბათ ძიძას ავიყვან, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ამის საჭიროება არ ყოფილა. როცა რაიმე თემაზე ვმუშაობ, რთულია, ბავშვებსაც სათანადოდ მიხედო. ყველას სხვადასხვა რაღაც უყვარს. ერთი წვნიანს არ ჭამს, მეორე — სხვა რამეს. მაინც ყველაფერს ვახერხებ. ქმარს ჩემი კარგად ესმის და კვერცხის შეწვაზეც თანახმაა ხოლმე.

— მალე „ნიჭიერის“ ახალი ტური დაიწყება. რას ურჩევთ მის მონაწილეებს?

— პირველ რიგში, ვურჩევ, რომ იყვნენ გულწრფელები. თუ თავიანთ შინაგან სამყაროს მოუსმენენ, შეძლებენ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალს ვესწრებოდი და დიდი სიამოვნება მივიღე. კონკურსანტებს ტაშს ვუკრავდი, თვალებს ვხუჭავდი და ის დრო მახსენდებოდა, როცა მეც მიკრავდნენ ტაშს. ის შიში და ადრენალინი, რომელიც სცენაზე გასვლის წინ გეუფლება, ყველაზე მაგარია! ყველაფერს ვიზამ, რომ დიდ სცენაზე ისევ ალმოჩნდე.

✓ **რუსუდან ადეიშ**

Cyan Magenta Yellow Black

თანამედროვე ანტიჰისტამინური პრეპარატი

- ✓ **ლორდესტინი** სწრაფად და ეფექტურად ხსნის ალერგიული რინიტისა და ჭინჭრის ციების სიმპტომებს (ცემინება, "ცხვირის დაცობა", ხველება, თვალების ქავილი, ცრემლდენა, კანზე გამონაყარი და ქავილი);
- ✓ **ლორდესტინს** აქვს სწრაფი ეფექტი-მიღებიდან 30 წთ-ში, რომელიც გრძელდება 24სთ-ის განმავლობაში;
- ✓ **ლორდესტინი** მიიღება 12 წლის ასაკიდან 1 ტაბლეტი დღეში ერთხელ კვებისგან დამოუკიდებლად;
- ✓ **ლორდესტინი** არ იწვევს ძილიანობასა და მოდუნებას (არ ახდენს გავლენას ავტოტრანსპორტის მართვის უნარზე);
- ✓ **ლორდესტინის** მიღება შესაძლებელია სხვა მედიკამენტებთან ერთად და არ ურთიერთქმედებს ალკოჰოლთან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ღსს „გედეონ რიხტერი"

წარმომადგენლობა საქართველოში
თბილისი, კანდელაკის № 8. ტელ./ფაქსი: 2377-100; 2371-100

Cyan Magenta Yellow Black

ვახო ბიჭიკაშვილი: „ვანო ჯავახიშვილს უნდა ვუთხრა, ჩემს ცოლს ხელფასი დაუნიშნოს!“

სოფო: „ჩემს ქმარს ცვალებადი ხასიათი აქვს, ბუტიაა“

ბოწყენილი და გულჩათხრობილი — ასეთ ვახო ბიჭიკაშვილს მხოლოდ მისი ცოლი, სოფო რევია იცნობს. ისინი უკვე ორი წელია ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ. მათი შვილი, ანდრია, ერთი წლის არის. სოფოს ახლა მისთვის ბევრი დრო აქვს, რადგან დროებით უმუშევარია. წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს. ქმარი მის დასაქმებაზე უკვე ზრუნავს და ვანო ჯავახიშვილს სთხოვს, მის ცოლს ხელფასი დაუნიშნოს, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ.

— შეუღლებიდან 2 წლის თავზე როგორ მიდის თქვენი ცხოვრება?

სოფო: ჩვენი თანაცხოვრება სტაბილურია, არსებობს რაღაც პრობლემები — უფრო ყოფითი. რამდენიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლება ერთად გადავლახეთ. ეს პერიოდი ძალიან საინტერესო იყო. ვახოს გვერდით თავს კარგად ვგრძნობ და არ ვნანობ, რომ ჩემი ცხოვრების თანამგზავრად ის ავირჩიე.

ვახო: სულ მეგონა, როცა ცოლს მოვიყვანდი, ისევ ძველებურად გავაგრძელებდი ცხოვრებას. მანამდე სამსახურიდან მივდიოდი ღამის კლუბში, კლუბიდან შეიძლებოდა უცბათ თვითმფრინავში აღმოვჩენილიყავი და გამეღვიძა კიევში. ამ რიტმიდან ოჯახური ცხოვრების რიტმზე გადართვა გამიჭირდა, მაგრამ შევძელი. ახლა მსიამოვნებს სოფოსთან ერთად მოგზაურობა, კლუბში სიარული და გართობა.

— ურთიერთობებში კომპრომისებიც აუცილებელია. ალბათ ვერც თქვენი ოჯახი აუწყობოდა ამის გარეშე.

სოფო: ნამდვილად ასე იყო. ერთი პერიოდი მე ვთმობდი, ახლა ვახო თმობს. ისე, ვახო ბუტიაა...

ვახო: მაგრამ ერთ წუთში გამდის წყენა. უკონფლიქტო ვარ და პრობლემებს ვერიდები. ხშირი კამათი ურთიერობებში ბზარს აჩენს. სოფო ძალიან მიყვარს. ჩვენ ერთი გემრიელი ოჯახი ვართ და არ მინდა, რამე ვაწყენინო.

— შეყალმა რა შეცვალა თქვენს ცხოვრებაში?

ვახო: მეტი პასუხისმგებლობა მოგვემატა. ფაქტია, რომ ორნი აღარ ვართ. ანდრიამ ჩვენ შორის პატარ-პატარა „დაბრკოლებები“ გააჩინა. ჩვენს შვილთან მეტ დროს სოფო ატარებს, მე დილიდან საღამომდე სამსახურში ვარ. როცა სახლში ვბრუნდები, ანდრიას ასაკის ვხდები, ვეფერები, მიხარია, რომ არ არის აგრესიული. ჯერ ვერ აცნობიერებს, რატომ ვარ იმ ჯადოსნურ ოთხკუთხა ყუთში, რასაც ტელევიზორი ჰქვია.

სოფო: ანდრიამ ჩვენს ცხოვრებაში აბსოლუტურად ყველაფერი შეცვალა, ყოველი დღე ბავშვის მიხედვით იგეგმება, რა უნდა, რა სჭირდება. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა, მე და ვახო ახლაც ერთნაირად ვაზროვნებთ. უბრალოდ, ჩვენ უკვე მშობლები ვართ და სულ სხვანაირად ვგეგმავთ მომავალს.

ვახო: მე და ანდრია როცა სარკეში ერთად ვიხედებით, მიღიმის და სარკეს ხელს ურტყამს.

— სარკეში რომ იხედებით, რა მსგავსებას პოულობთ მასში?

ვახო: ანდრია დედას უფრო ჰგავს, ჩემს თავს ვერ ვამსგავსებ, მაგრამ არც ეს არის პრობლემა. მირჩევნია, მაგარი ტიპი გაიზარდოს, ვიდრე ჩემნაირი ჩერჩეტი იყოს... (იცინის).

— სოფო, ბავშვის მოვლას როგორ ართმევთ თავს?

სოფო: ვფიქრობ, რომ მოწესრიგებული დედა ვარ. ყველაფერს ვაკეთებ.

ვახო: სოფო ზედმეტად მზრუნველი დედაა. როცა შემიძლია, მეც სიამოვნებით ვეხმარები. სოფოც და ანდრიაც განსაკუთრებული ადამიანები არიან ჩემს ცხოვრებაში.

— ეს ხელზეც გეტყობათ — შვილის სახელი გაქვთ ამოსაკრეფებული.

ვახო: ეს ტატუ მეც მაქვს და სოფოსაც. მე სამხედრო შრიფტით მაწერია ანდრია, სოფოს უფრო ნაზი, „გოგოშკური“ შრიფტით.

სოფო: ყოველთვის მინდოდა ტატუს გაკეთება. ანდრია რომ დაიბადა, ეს სვირინგი ორ თვეში გავიკეთეთ.

ვახო: ანდრიას დაბადებით ისეთი სიხარული განვიცადე, სიტყვებით ვერ გადმოვცემთ. მინდოდა, ეს სიხარული ხშირად გამხსენებოდა. ამ ტატუს დღეს რომ ვუყურებ, ის ემოცია მეუფლება, რაც ჩვენი შვილის დაბადების დროს მქონდა. მეორე შვილი რომ გვყოლება, მეორე ხელზე მის სახელს დავიწერ.

სოფო: ჩვენ ისეთი ტატუ გვაქვს, რომელიც არასდროს მოგვბეზრდება.

— სოფო, ვახოს ეკრანულ გმირებზე რას გვეტყვით?

სოფო: ჩემი ქმრის საქმეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მის გმირებზე მეცინება, ვიცი, თითოეულ პერსონაჟში რამხელა შრომა აქვს ჩადებული.

ვახო: ხანდახან ჩემი პერსონაჟები ეცოდება კიდეც.

სოფო: არც ერთი მათგანი არ მეცოდება! მადლობა ყველა მის პერსონაჟს და, პირველ რიგში, მადლობა ვახოს, რომ ისინი შექმნა. მიხარია, რომ სამსახურს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება.

— ამბობენ, რომ მსახიობები ზოგჯერ თავიანთ პერსონაჟებს ემსგავსებიან, რეალურ და არარეალურ გმირებს შორის რაღაც მომენტში ზღვარი იშლება. ვახო ამ ზღვარს არასდეს გადადის?

სოფო: რა თქმა უნდა, არა! ხან ძაბულის ცოლი ვიყო და ხან — გივი სიხარულიძის, ეს შეუძლებელი იქნება. მე ერთი ქმარი მყავს — ვახო ბიჭიკაშვილი!

— მის პერსონაჟებს რესტორნულ სიმღერებზე უყვართ მოლხენა. ვახო როგორ ერთობა?

სოფო: ჩემი ქმარი უცნაური ადამიანია. შეუძლია თავისუფლად იგრძნოს თავი როგორც კლუბში, როკკონცერტზე, ასევე — რესტორანში. შეუძლია დაურეკოს „ქსოვრელებს“ და მათგან დიდი სიამოვნება მიიღოს, მეორე დღეს კი „ქოლდ ფლეის“ კონცერტის ბილეთები ეძებოს. იცის, ცხოვრებისგან სიამოვნება როგორ უნდა მიიღოს.

ვახო: ბერლინში ერთ-ერთ კლუბში პარასკევ საღამოს შევედი და ორშაბათ დილას გამოვედი. კლუბი ძველი სტამბის შენობაში იყო. მე და კოტიკო თოლორაია ზურგჩანთებით მივედით და იქიდან 36 საათის შემდეგ გამოვედით. ბოლომდე გავერთეთ. სამსართულიან კლუბში ყველა სართულზე სხვადასხვანაირი მუსიკა იყო. კლუბიდან რომ გამოვედით, იმ დღესვე პოლონეთში წავედით და მატარებელში ვერც კი გამოვიძინე, იქ ვისკის სმით ჩავედით.

სოფო: ვახოს გვერდით არ მოიწყენ.

— როგორ გეგმავთ ზაფხულის გატარებას?

ვახო: შვებულება 15 აგვისტოს მეკუთვნის, დასვენების ნაწილს შვილთან ერთად გავატარებთ. ახლა ანდრია ბებიას მარტვილში ჰყავს წაყვანილი. მერე ევროპაში წავალთ. შარშან ევროპის 5 ქვეყანა მოვიარეთ. წელს გვინდა, პარიზსა და ბარსელონაში წავიდეთ.

— მოგზაურობის დროს თქვენი ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს?

ვახო: კი, თუ არ ჩავთვლით შოპინგს. მე მალევე ვპოულობ ტანსაცმელს, სოფო კი საყიდლებზე დიდხანს დადის.

სოფო: შოპინგის დროს ძალიან მარტივი მეთოდი შევიმუშავეთ, ფულს ვიყოფთ და შემდეგ დათქმულ დროს ერთ ადგილას ვხვდებით ერთმანეთს. ერთხელ დუბაიში დავიკარგე კიდეც.

— ვახო, როგორ დაკარგეთ ცოლი?

ვახო: „დუბაი მოლი“ იმხელაა, რომ დაკარგვა შესაძლებელია. დათქმულ დროზე დათქმულ ადგილას მივედი, მაგრამ სოფო არ დამხვდა. მერე ერთმანეთი ერთ-ერთ მაღაზიაში ვიპოვეთ.

— სოფო, შინაგან საქმეთა სამინისტროში აღარ მუშაობთ?

სოფო: არა, 50 თანამშრომელთან ერთად მეც გამათავისუფლეს. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამინისტროში ახალი ხელმძღვანელი მოვიდა, რომელმაც ახალი გუნდი მოიყვანა... ვამჯობინე, ტაიმ აუტი ამეღო,

ვახო: „სოფო მსს-ში საქმეს ჰპოფესიონალურ დონეზე ახორციელებს თავს. იმაზე მნყღება გული, ჰომ იმ სამსახეჰში, სადაც ნღები იმუშავა, ჰპასუხიც ახ გასცეს, თუ ჰატომ ათავისუფღებენ“.

სოფო: „ვახო შეიძღება მთეღი დღე ისე უხასიათოდ იყოს, მისი მონყენიღობის მიზეზს ვეჰც მიხვდე. ამ ღჰოს ახასღჰოს ვეძიები, ჰა მოხდა, ჰადგან ვიცი, მაინც ახ მეტყვის“.

Cyan Magenta Yellow Black

რადგან ანდრია ჯერ პატარაა და ეს პერიოდი მისი აღზრდით ვარ დაკავებული.

— ვახო, სოფოს უმუშევრობამ რა შეცვალა თქვენს ოჯახში?

ვახო: მხოლოდ და მხოლოდ ის შეცვალა, რომ ოჯახში აღარ გვაქვს დამატებითი ხელფასი, რომელიც ძალიან გვეხმარებოდა. მინდა, რომ მუშაობდეს. სოფო საქმეს პროფესიონალურ დონეზე ართმევდა თავს. რაღაც მიზეზების გამო არ უნდა გამოეშვათ. იმაზე მწყდება გული, რომ იმ სამსახურში, სადაც წლები იმუშავა, პასუხიც არ გასცეს, თუ რატომ ათავისუფლებდნენ. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით შემიძლია ოჯახის რჩენა. მიმაჩნია, რომ ქალი უნდა მუშაობდეს. ასე მეტად მობილიზებული და რეალიზებული იქნება ოჯახშიც.

— სოფო, აქტიური ცხოვრების შემდეგ როგორ შეეგუეთ დასახლებისობას?

სოფო: საბავშვო ბაღის ასაკიდან აქტიურად ვცხოვრობდი, ყოველ ეტაპზე რაღაცას ვაკეთებდი. ახლა ყველაფერი შვილისკენ მივმართე. დღესაც საკმაოდ დატვირთული ვარ.

— ვახო, „კომედი შოუდან“ რამდენიმე მსახიობი დათხოვეს, როგორც ამბობენ, არც მათ აუხსნეს გათავისუფლების მიზეზი. სამსახურის გარეშე დარჩენა თქვენც ხომ არ გეშინიან?

ვახო: არა, ჩემს საქმე ჩვეულებრივად ვაგრძელებ.

— რამდენი წელია, რაც „რუსთავი 2“-ში მუშაობთ?

ვახო: მეშვიდე წელია, რაც ამ ტელევიზიაში ვარ. თუ ვიღაცას ჰგონია, რომ ჩემი საქმე

ვახო: „ჩოცა სახლში ვბრუნდები, ანდრიას ასაკის ვხდები, ვეფეხები. ჯეი ვეი აცნობიერებს, ჩატომ ვარ იმ ჯადოსნურ ყუთში, ჩასაც ტელევიზორი ჰქვია“.

იოლია, ძალიან ცდება, ჩემი სამუშაო უდიდეს ენერგიას და დროს მართმევს. სამსახურს სრული სერიოზულობით ვეკიდები. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და კოლეგების, მეგობრების მიმართ საოცარი პასუხისმგებლობა მაქვს. ბიჭები ერთად უფრო მეტ დროს ვატარებთ, ვიდრე ოჯახის წევრებთან. არ არის ადვილი, რეიტინგული გადაცემა გააკეთო და ხალხს თავი შეაყვარო. შრომას და წლებს მოაქვს ყველაფერი. სულ ახლის ძიებაში ვარ.

— სოფო, სახლში ხშირად ხუმრობს თუ მისი იუმორი სამსახურის კარის მიღმა რჩება?

სოფო: ვახოს ცვალებადი ხასიათი აქვს. შეიძლება მთელი დღე ისე უხასიათოდ იყოს, მისი მოწყენილობის მიზეზს ვერც მიხვდე. ამ დროს არასდროს ვეძიები, რა მოხდა, რადგან კარგად ვიცნობ და ვიცი, ამას აზრი არ აქვს, მაინც არ მეტყვის. ისე კი, სახლშიც ხშირად ხუმრობს.

— ვახო, იუმორში თუ აიყოლიეთ ცოლი?

ვახო: არ სჭირდებოდა აყოლა, მას თავიდანვე კარგი მონაცემები ჰქონდა. სოფოს მართლა კარგი იუმორი აქვს, მაგრამ სტანდარტული კი არა, დახვეწილი. იმდენად ხშირად იძახის „შუტკეს“, რომ მერე მის ნათქვამს სამსახურში ვიყენებ. ძირითადად „ვანოს შოუს“ მონოლოგისთვის ამბობს ხუმრობებს. ვანო ჯავახიშვილს უნდა დაველაპარაკო, რომ სოფოს ხელფასი დაუნიშნოს.

✓ ლანა კინაძე

ფრთხილად, სოკო!

ბევრი ჩვენგანი ნატრობს შვებულების გატარებას ზღვის თბილ კურორტებზე. ზოგჯერ ცხელ ნესტიან ჰავაში ყოფნა მხოლოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებების მომტანი არ არის: ზუსტად ასეთი პირობები ხელს უწყობს სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადებების გამოვლინებას და გამწვავებას.

კანის სოკოვანი დაავადებების (მიკოზების) გამომწვევია მიკროსკოპული სოკოები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში და გამოირჩევა დიდი სიცოცხლისუნარიანობით და აგრესიულობით.

დასნებოვნება ხდება დაავადებულ ადამიანთან უშუალოდ კონტაქტისას ან სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რომელიც დაბინძურებულია ავადმყოფის ჩამოქერცლილი კანით, თმით, ფრჩხილით. უხშირესად ეს ხდება აუზებში, აბანოებში, სილამაზის სალონებში, მანიკიურისა და პედიკიურის პროცედურის დროს.

კანის დაზიანება შეიძლება სხვადასხვა სიმძიმით იყოს გამოხატული: ტერფის თითებშორისი ნაკეცების, ქუსლების ოდნავ შესამჩნევი აქერცვლიდან (იოლ ფორმებში), ეროზიების, ნახეთქების, ბუშტუკების განვითარებამდე (გართულებულ შემთხვევებში). არასწორი მკურნალობისა ან მკურნალობის არარსებობისას შეიძლება ჩამოყალიბდეს ეგზემა.

სოკო აზიანებს არა მხოლოდ კანს, არამედ ფრჩხილებს და თმას. ხანგრძლივი არსებობისას კანის და ფრჩხილის სოკომ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის ალერგიზაცია.

გახსოვდეთ! სოკოვანი დაავადება ინფექციური და გადამდებია, დაავადებული ადამიანი წარმოადგენს გარკვეულ რისკს ოჯახის წევრებისა და გარშემომყოფებისთვის.

ტერფის და მტევნის სოკოვანი დაავადებების პროფილაქტიკა:

- დაიცავით პირადი ჰიგიენა, შხაპის შემდეგ გულდასმით გაიმშრალეთ ტანი, განსაკუთრებით თითებშორისი ნაკეცები;
- მოერიდეთ გადაცივებას და გადახურებას, ჭარბოფლიანობის შემთხვევაში გამოიყენეთ სპეციალური მალამოები და ხსნარები;
- ატარეთ თავისუფალი ფეხსაცმელი და რეგულარულად გააშრეთ იგი;
- აუზში, საუნასა და აბანოში ყოფნის შემდეგ დაიმუშავეთ კანი ტერფის მიდამოში 1% ქლორჰექსიდინის ხსნარით (ეგისეპტი);
- სოკოს პირველივე ნიშნების აღმოცენებისას მიმართეთ დერმატოლოგს;
- მიუხედავად სოკოვანი დაავადების მკურნალობისა აუცილებელია ფეხსაცმლის დეზინფექცია 1% ქლორჰექსიდინით (ეგისეპტი) ან სხვა სადეზინფექციო ხსნარებით;

ეგისეპტი – ქლორჰექსიდინის 1% სპირტხსნარი, თანამედროვე კომფორტული აეროზოლი კანის მომენტალური დეზინფექციისთვის.

- გამოყენებისას ბალონი დაიჭირეთ ვერტიკალურად დამუშავების ადგილიდან 6 სმ მოშორებით და შეასხურეთ ხსნარი;
- ანტისეპტიკური ეფექტი ვითარდება 10 წამში;
- 1 შესხურებით ხდება 6 სმ დიამეტრის ფართობის დეზინფექცია.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

საკონტაქტო ტელეფონი: 255-99-06

Cyan Magenta Yellow Black

ეროსი მანჯგალაძემ ელენე ყიფშიძის სიყვარული სამარეში ჩაიტანა

„ჩემს ძმას მხოლოდ ერთხელ უყვარდა, ამიტომ ცოლის მოყვანაზე აღარ უფიქრია“

მსახიობი ეროსი მანჯგალაძე ქართულ თეატრსა და კინოში გამორჩეული იყო თავისი გარეგნობით, ხმის ტემბრით, გარდასახვის საოცარი უნარით. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების დღიდან რუსთაველის თეატრში თამაშობდა. სცენაზე ბევრი საინტერესო და დასამახსოვრებელი სახე შექმნა, თამაშობდა ტელესპექტაკლებშიც. რაც შეეხება კინოს, მის ფილმებს თუ გადავხედავთ, მთავარი როლი არასოდეს ჰქონია, მაგრამ მისი ყველა პერსონაჟი გამორჩეული იყო და მთავარ გმირებსაც ჩრდილავდა. 30 წლის განმავლობაში რადიოკომიტეტში საფეხბურთო მატჩებს უძღვებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მან რადიორეპორტაჟები ხელოვნების დონეზე აიყვანა. მისი მოგონილია ბევრი ახლა უკვე დამკვიდრებული საფეხბურთო ტერმინი, ახასიათებდა ექსპრომტები და ერთხელ „დინამოს“ მიერ გატანილი გოლიც კი დამალა.

ეროსი მანჯგალაძე 57 წლის ასაკში გარდაიცვალა გულის შეტევით. მიუხედავად წარმატებული კარიერისა, მისი ცხოვრება ეკრანსა და სცენის მიღმა უიღბლო აღმოჩნდა. ტრაგედიები ბავშვობიდან თან სდევდა. ჯერ დედამისი დაინვალიდდა, მერე 18 წლის ძმა მეორე მსოფლიო ომში დაკარგა, შემდეგ მამა დაუპატიმრეს. 17 წლის ეროსის ოჯახის რჩენა თავად უწევდა. ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ქორწინება მსახიობ ელენე ყიფშიძესთან. ამის შემდეგ ცოლის მოყვანაზე აღარც უფიქრია.

მსახიობის ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდებზე „სარკეს“ მისი და, ბელა მანჯგალაძე ესაუბრა.

ოჯახური ტრაგედიები ბელა მანჯგალაძე:

— სამი და-ძმა ვიყავით. უფროსი რეზო იყო, ეროსი — შუათანა, მე ნაბოლარა ვარ. არაჩვეულებრივი დაძმობა გვქონდა. როგორც პატარას, ხელისგულზე მატარებდნენ. რეზიკო უფრო სერიოზული და მკაცრი ბიჭი გახლდათ, ეროსი კი ჩემი მეგობარი იყო, ყველგან თან დავყავდი. კარგი და ბედნიერი ბავშვობა გვქონდა. მერე კი ჩვენს ცხოვრებაში ტრაგედიები დატრიალდა. დედა ბლის ხიდან ჩამოვარდა, ხერხემალი დაუზიანდა და მას მერე ფეხზე აღარ გაუვლია. იმ დღეს სკოლაში პირველად წავედი. დედამ გაკვეთილებზე დამტოვა, თვითონ სახლში წავიდა და ეს უბედური შემთხვევაც მაშინ მოხდა. მძიმე ავადმყოფი იყო, ლოგინიდან ვეღარ დგებოდა. 32 წლის იყო, ხიდან რომ ჩამოვარდა და 26 წელი ლოგინს მიჯაჭვულმა გაატარა.

ჩემი უფროსი ძმა, რეზიკო, 18 წლის რომ გახდა, ჯარში წაიყვანეს. 8 თვეში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და მას შემდეგ მასზე აღარაფერი გაგვიგია. მან სკოლა წარჩინებით დაამთავრა, უგამოცდოდ ხვდებოდა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ იმ წელს ჩაბარების ნება არ მისცეს და წვევამდელად წაიყვანეს ჯარში. ახლაც მახსოვს ის დღე, როდესაც რეზიკო და მისი სამი ამხანაგი ჯარში გაიწვიეს. 8 წლის ვიყავი, აივანზე ვიდექი და ბიჭებს ვემშვიდობებოდი. წასვლის წინ ყველამ მაკოცა. 8 თვის განმავლობაში წერილებს სულ გვიგზავნიდა, თანაც ყველას სათითაოდ: მე, დედას, მამას, ეროსის, პაპას, ბებიას, თავის მასწავლებლებს, ამხანაგებს. ის დღეც მახსოვს, როცა ომის დაწყება გამოაცხადეს. ეროსის რადიოში მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდა. იმ საღამოს სამსახურიდან რომ დაბრუნდა, ეგრევე დაიძინა. ომის გამოცხადება რომ დაიწყო, ფეხზე წამოხტა, ოფლში იწურებოდა. ძალიან ინერვიულა, მით უმეტეს, რომ ვიცოდით, ჩვენი რეზიკოც იქ იყო.

ომში რეზიკოს დაკარგვა მთელი ოჯახისთვის დიდი და მოუშუშებელი ტკივილი იყო. ამას ისიც დაემატა, რომ 1942 წელს მამაჩემი დააპატიმრეს. ის მენშევიკი გახლდათ და ერთმა კაცმა დაასმინა. მოიტყუა, თითქოს მამამ სუფრასთან თქვა, გერმანელები რომ შემოვლენ, ყველაფერს დავიბრუნებო. დანაშაული ვერაფრით დაუმტკიცეს, მაგრამ 5 წლით შუა აზიაში გადაასახლეს. იქ კარგი სამსახური ჰქონდა და კარგი თანამდებობაც ეკავა. 5 წლის მერე ბიძაჩემმა ჩააკითხა, გამოიხსნა და სახლში წამოიყვანა.

ექიმობაზე მეოცნებე

— ჩემი ძმები სამტრედიის რაიონში, სოფელ ღანირში დაიბადნენ, მე — დუშეთის რაიონში. იმავე წელს მამამ თბილისში სახლი შეიძინა და ყველანი აქეთ გადმოვსახლდით. სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩვენს უბანში ტელეფონი მხოლოდ ჩვენ გვქონდა. დედამ აპარატი წინა ოთახში დაგვადგმევინა და კარს არ კეტავდა. შუაღამეს ვინმეს რომ გაუჭირდეს და დარეკვა უნდოდეს, შემოსვლა არ მოერიდოსო. დედა კი ავადმყოფობდა, მაგრამ შვილებს ყურადღებას არ გვაკლებდა. ეროსის მეგობრებს სულ ურეკავდა და მის ამბებს იგებდა, სად იყო, რას აკეთებდა და ა.შ. დედა ყველას ძალიან უყვარდა. მახსოვს, მისი დაკრძალვის დღეს აკაკი ხორავა როგორი თვალცრემლიანი იდგა.

მე და ჩემმა ძმებმა 34-ე საშუალო სკოლა დავამთავრეთ. ეროსი მე-10 კლასში რომ იყო, სკოლაში რუსთაველის თეატრის მსახიობებმა პიესა „რღვევა“ დადგეს, სადაც ეროსიმ კარგად ითამაშა. მაშინ მსახიობობაზე კი არა, სამხედრო ექიმობაზე ოცნებობდა. რუსთაველის თეატრის მსახიობები კი მისი თამაშით ისე აღფრთოვანდნენ, მამაჩემს უთხრეს, მსახიობი უნდა გამოვიდესო. მართლაც, ეროსიმ

ბელა მანჯგალაძე

„ღენა ჯარგი ჰიროვნება იყო, მაგრამ მისი და ეროსის უთანეთობა ვეი აენყო. მათი ოჯახი 3 თვეში დაინგრა. ჩემი ძმა ამქვეყნიდან მასზე შეყვარებული წავიდა... არ ვიცი, ღენასაც ასე ბოლო ნეთამდე უყვარდა თუ არა. ოოცა ეროსი გარდაიცვალა, საპატიო ყარაულში ისიც იდგა".

სამხედრო ექიმობაზე ფიქრი შეწყვიტა და თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარა.

17 წლის იყო, როცა რადიოკომიტეტში დიქტორების კონკურსი გაიმართა. 32 კონკურსანტს შორის ჩემმა ძმამ გაიმარჯვა და რადიოში დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ ის ოჯახის უფროსი გახდა. მამა უკვე დაჭერილი იყო, დედა ლოგინად ჩავარდნილი. ყველა ჩვენგანის მარჩენალი და მომვლელი ეროსი იყო.

მზრუნველი შვილი და ძმა

— ეროსი ძალიან გულისხმიერი და ადამიანების მოყვარული იყო. განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა ბავშვებთან ჰქონდა. პატარები ერიკოს ეძახდნენ. ქვემოდან ამოსძახებდნენ ხოლმე, ჩამოდიო. ისიც ჩავიდოდა და მათთან ერთად კარგად ერთობოდა. ჩემი ძმა უკომპლექსო, მხიარული იყო. ყველას მიმართ მზრუნველობას იჩენდა, ოჯახის წევრებისადმი კი განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო. დედას ერთად ვაბანავებდით ხოლმე. ხელში აიყვანდა, დიდ ტაშტში ჩასვამდა და ისე ვბანდით.

დედაჩემს სპეციალური ფიცარი ჰქონდა, რომელსაც ლოგინში დებდა და ეროსის ტანსაცმელს ასე უუთოვებდა. იმ დროს ტელევიზორი არ არსებობდა, ჩემს ძმას კინოსტუდიიდან ფირები მოჰქონდა, თან რამდენიმე თანამშრომელს გამოიყოლებდა თავისი ტექნიკიანად და დედას დიდ ეკრანზე ფილმებს უჩვენებდა. მთელი ეზო ჩვენს სახლში ამოდიოდა კინოს საყურებლად.

უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, ლექციების შემდეგ რუსთაველის გამზირზე ფეხით ჩავივლიდი ხოლმე. ამ დროს რუსთაველის თეატრში რეპეტიციები დამთავრებული იყო და მსახიობები გარეთ ისხდნენ. ჩემი ძმა შორიდან რომ დამინახავდა, ქუჩას სირბილით გადმოჭრიდა, ისე მაკოცებდა და მომეფერებოდა, თითქოს იმ დილას არ ვენახე. მას ძალიან ვუფრთხილდებოდი. ახლობლები ხშირად მეუბნებოდნენ, შენს ძმას როგორ კარგად უვლი, სულ გამოწკეპილი დადისო. ეროსის და მის მეგობრებს ხელისგულზე დავყავდი. მისი გამორჩეული მეგობრები რამაზ ჩხიკვაძე და გოგი გეგეჭკორი იყვნენ.

„ოეზიკო სად არის?"

— დედა 58 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბოლო დღეს უკვე ძალიან ცუდად იყო. ეროსი თეატრში გაიქცა, სპექტაკლში უნდა ეთამაშა. გაგვაფრთხილა, თუ მდგომარეობა გართულდება, მაშინვე დამირეკეთო. ღამით შევატყობინეთ, რომ დედა გონზე აღარ იყო. ოთახში შემოვარდა, მის ლოგინზე ჩამოჯდა და ჰკითხა, დედიკო, როგორ ხარო. ის გამოფიზიზლდა და უკანასკნელი სიტყვები თქვა: „რეზიკო სად არის?“

სტუმართმოყვარე

— ყოველ პირველ მაისს, თამარობას (ძველი სტილით), ყველა ჩვენთან იკრიბებოდა. დიდ სუფრას ვშლიდით, იყო სიმღერა და მხიარულება. მეზობლები გადმომძახებდნენ, ბელა, ფანჯარა არ დახურო, ჩვენც ვუსმინოთო. მართალია, ჩვენს ცხოვრებას თან ბევრი სევდა ახლდა, მაგრამ მაინც სულ მხიარულად ვატარებდით დროს. ეს დედას და მამას დამსახურებაც იყო. საერთოდ, ჩემი მშობლებიც თეატრის მოყვარულები იყვნენ. ბავშვობაში ჩემი ძმები სპექტაკლებზე დაჰყავდათ, მე პატარა ვიყავი და არ მიშვებდნენ. ეროსის არტისტული ნიჭი ყოველთვის ეტყობოდა, ენაწყლიანიც იყო. გარეგნულად დედას ძალიან ჰგავდა.

ეროსიმ თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე ბინა მიიღო. ეს ის ცნობი-

Cyan Magenta Yellow Black

„ეროსი სტუმართმოყვარე იყო, მაგრამ ეთი თავისებურება ჰქონდა — სტუმრებს თავის სახლში მხოლოდ ღამის 11 საათამდე აჩერებდა. ღამე რეპეტიციებს გადიოდა და განმარტოება სჭირდებოდა".

ლი კორპუსი იყო, სადაც რუსთაველის თეატრის მსახიობები ცხოვრობდნენ. ჩემი ძმა იმ ბინაში გადავიდა და სიცოცხლის ბოლო წლები იქ გაატარა. ჩემი უფროსი ბიჭი, რეზო, 18 წლის რომ გახდა, ეროსიმ დამირეკა, ბელა, გადაწყვიტე, რომელ შვილს მაძლევ, თამრიკოს თუ რეზოსო.

მე ეს სიტყვები რაღაცნაირად არ მომეწონა და ვუთხარი, ჩემს შვილებს ხომ აქვთ ბინა, ეგ შენია და სხვას რატომ უნდა მისცე-მეთქი. მაშინ ცოლი არ ჰყავდა მოყვანილი. ბოლოს მაინც რეზო ჩაუწერია თავის ბინაში და მისი გარდაცვალების შემდეგ ჩემი შვილი იქ გადასახლდა. სხვათა შორის, როცა გავთხოვდი, ქორწილი ეროსის ბინაში გადავიხადე. ჩემი ძმა ჩემი ბედნიერებით ძალიან ხარობდა.

ეროსი სტუმართმოყვარე იყო, მაგრამ ერთი თავისებურება ჰქონდა — სტუმრებს თავის სახლში მხოლოდ ღამის 11 საათამდე აჩერებდა. ღამე რეპეტიციებს გადიოდა და განმარტოება სჭირდებოდა.

ეროსი ყოველ კვირას ნაძალადევში, ჩემს სახლში მოდიოდა. დილის 10 საათზე მოვიდოდა და მთელი დღე აქ იყო ხოლმე. მე ხაჭაპურს ვახვედრებდი. მთელი ოჯახი ვიკრიბებოდით და ჩვენგან ახალ ამბებს იგებდა. გვეუბნებოდა, არ შევრცხვე ნათესაობაში, მითხარით, ვინმე ხომ არ გარდაიცვალა ან ცოლი ხომ არავინ შეირთოო. ჩემთან როცა მოვიდოდა, დაასიგნალებდა. ჩემი მეუღლე აივანზე გავარდებოდა, ჩემი ძმა ქვევიდან დაუსტვენდა, ჩემი ქმარი კი უკან შემოვარდებოდა. ძალიან მორიდებული კაცი იყო და მეზობლების რცხვენოდა, ეროსი რომ უსტვენდა. რამდენჯერმე სთხოვა, ნუ უსტვენო. ის კიდევ აწვალებდა და თავისას მაინც არ იშლიდა.

ჩემი შვილები განსაკუთრებულად უყვარდა, რადგან საკუთარი არ ჰყავდა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ჩემი ორივე ძმა უშვილო წავიდა ამქვეყნიდან... მე ორი შვილი და სამი შვილიშვილი მყავს. ჩემს შვილიშვილს ეროსი დავარქვი.

დიდი სიყვარული — ელენე ყიფშიძე

— ცოლად ლენა (ელენე) ყიფშიძე რომ შეირთო, 37 წლის იყო. ისინი ერთ თეატრში თამაშობდნენ და ერთმანეთი შეუყვარდათ. თურმე აკაკი ხორავამ ეროსი გააფრთხილა, ლენას ყურადღება, მოვლა სჭირდება და აბა, შენ იციო. ის ძალიან კარგი გოგო იყო, ჩვენ ძალიან ვუყვარდით და კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩემმა ძმამ პირველად რომ მოიყვანა სახლში, დედაჩემის ოთახში გაიქცა და ლოგინზე ჩამოუჯდა. უთხრა, თამარა დეიდა, ეროსიმ რომც მიმატოვოს, მე თქვენგან არასოდეს წავალო. კარგი პიროვნება იყო, მაგრამ რატომღაც მისი და ეროსის ურთიერთობა ვერ აეწყო. მათი ოჯახი 3 თვეში დაინგრა. არ ვიცი, სინამდვილეში რა მოხდა, რის გამო დაშორდნენ.

დაშორებას ორივე ძალიან განიცდიდა. ასეთი უიღბლობის შემდეგ ეროსის ოჯახის შექმნაზე აღარ უფიქრია. ყველა ურჩევდა, კიდევ შეერთო ცოლი, მაგრამ ეს არ გააკეთა. ჩემი ძმა სხვანაირი ტიპი იყო, სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეეძლო. თეატრალური ინსტიტუტიდან რუსთაველის თეატრში როგორც გაუშვეს, იმ დღიდან ლენა უყვარდა და ამქვეყნიდან მასზე შეყვარებული წავიდა. უბრალოდ, რაც მოხდა, ის ვერ აპატია... ზურიკო (ელენე ყიფშიძის ვაჟი, მსახიობი ზურა ყიფშიძე, ავტ.) მაშინ პატარა იყო და ეროსი ძალიან უყვარდა. თურმე მთელი ბავშვობა ეგონა, რომ მამამისი იყო. მართალია, მალე დაშორდნენ, მაგრამ ზურას ეროსისთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. მასთან სახლში სტუმრად ხშირად მიდიოდა.

ჩემი ძმის ოჯახის დანგრევა მეც ძალიან განვიცადე. ამ დროს უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ლენა ჩემთან ხშირად მოდიოდა და მთხოვდა, ქმართან შერიგებაში დავხმარებოდი, მაგრამ ეს აღარ გამოვიდა. ხშირად მირეკავდა და მომიკითხავდა. ერთ-ერთი ბოლო დარეკვის დროს მითხრა, მე და ეროსი შევრიგდებოდით, მაგრამ ვიღაც ჩაერიაო. მართალია, ჩემს ძმას ლენას მიმართ გრძნობა სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა, მაგრამ რაღაც ვერ აპატია...

„ლენას შვილს, ზურიკოს, ეროსი ძალიან უყვარდა. თუმცა მთელი ბავშვობა ეგონა, რომ მამამისი იყო. ზურას ეროსისთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია, მასთან ხშირად მიდიოდა".

ეროსის სულ ჩავჩიჩინებდი, რომ ცოლი მოეყვანა. როგორც იქნა, იქორწინა და რომ დაშორდნენ, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ერთხელ ისიც კი ვუთხარი, მე რომ ასე არ დამეჟინა, იქნებ ცოლი არც შეგერთო და ყველაფერი ასე ცუდადაც არ დამთავრდებოდა-მეთქი. ეროსიმ კი მიპასუხა, შენ არაფერ შუაში ხარ, მე ცოლად მხოლოდ ლენას შევირთავდი, სხვას არავის და რა მნიშვნელობა აქვს, ეს როდის მოხდებოდაო.

შეწყვეტილი გეგმა

— ეროსი 57 წლის იყო, როდესაც მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა. იმ დღეს რობიკო სტურუას მამის გასვენებაზე იყო. იქიდან ეგრევე პოლიკლინიკაში წავიდა, რადგან გული აწუხებდა. იქ მისულს თურმე თავისი მკურნალი ექიმის ნაცვლად სხვა დახვდა, რომელიც უკვე წასასვლელად ემზადებოდა. ექთანმა ეროსის კარდიოგრამა რომ ნახა, არ მოეწონა და ექიმთან შეიყვანა. ის კაცი კი უკვე პიჯაკს იცვამდა, სახლში ეჩქარებოდა. პაციენტს ყურადღება არ მიაქცია, არც კი

■ კადრი ფილმიდან „ნატვრის ხე"

■ მარინე თბილელი და ეროსი მანჯგალაძე ფილმში „თოჯინები იცინიან"

გასინჯა. მხოლოდ ერთი წამალი ჩაუდო გულისჯიბეში და უთხრა, როცა დაგჭირდება, დალიეო. ჩემი ძმა სწორედ იმ საღამოს გარდაიცვალა...

ეროსის წინათგრძნობა ჰქონდა. თურმე თავის ორ მეგობარს დაურეკა, რომლებიც იქვე, ვაკეში ცხოვრობდნენ. უთხრა, ჩემთან ამოდითო. მათ ნარდის თამაში დაიწყეს, ეროსი კი წამოწვა. მერე წამოდგა და მეგობრებს უთხრა, ახლა ჩაის გავაკეთებ და დავლიოთო. ბიჭებმა უთხრეს, ჩაი არ გვინდა, იწექი, ნუ ადგებიო. ის მაინც ადგა და სამზარეულოში შევიდა. ჩაიდნის ცეცხლზე დადგმა და წაქცევა ერთი ყოფილა. მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს, გულმა უმტყუნა.

საერთოდ, ჩემს ძმას მიცვალებული სადაც იყო, იმ ოთახში შესვლის ეშინოდა. ყველა პანაშვიდზე წავიდოდა, მაგრამ ეზოში იდგა. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, მის პანაშვიდზე ეროსის მეგობარი დავით გამრეკელი მოვიდა, რომელსაც ასევე არ უყვარდა ასეთ ადგილებში სიარული. როგორც კი მოვიდა, აივანზე გაიყვანა. უთხრა, ოთახში მაინც ნუ შეხვალ, ცუდად არ გახდეო. ჩემს ძმას სიკვდილის შიში ყოველთვის ჰქონდა. ჩაბნელებულ ოთახში ძილის ეშინოდა, ამიტომ მის საძინებელში სინათლე დღე და ღამე ენთო. როცა გარდაიცვალა, მისი სახლის ყველა კუთხეში წმლები ვიპოვეთ. ალბათ ფიქრობდა, უცებ ცუდად თუ გახდებოდა, ის წამლები უშველიდა.

ეროსი გამორჩეულად ნიჭიერი იყო, დიდ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა. ამქვეყნიდან ყველა ახლობელზე შეყვარებული წავიდა და თან სიყვარული ქალის დიდი სიყვარული წაიღო. არ ვიცი, ლენასაც ასე ბოლო წუთამდე უყვარდა თუ არა. როცა ეროსი გარდაიცვალა და თეატრში დასასვენეს, მახსოვს, რომ საპატიო ყარაულში ლენაც იდგა.

✓ თეონა კენჭოშვილი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„ბაბუამ ჩემი ძმა სმას მიაჩვია“

ბაბუა ჩემს ძმას ზედმეტად ანებივრებს. ამხელა კაცი მის ჭკუაზე დადის, რაც უნდა სთხოვოს, ყველაფერს უსრულებს. მე რადგან გოგო ვარ, ვერც მამჩნევს. არც მალავს, რომ მისთვის არაფერს წარმოვადგენ. ამბობს, ჩემი გვარის გამგრძელებელი ეს არის, შენ გათხოვდები და შვილებს სხვას გაუჩენო.

ჩემი ძმაც ამ ყურადღებით ძალიან სარგებლობს. თავის შეყვარებულს რომ რაღაცეები უყიდოს, ბაბუას ფულს ართმევს, მე კი ერთხელაც არ გავახსენდები. არ მახსოვს, დაბადების დღეზე რამე ეყიდოს ჩემთვის, თავის შეყვარებულს კი ახლახან კარგი საჩუქარი გაუკეთა, ზღვისთვის ულამაზესი ჩანთა უყიდა. მეც ძალიან მინდოდა ისეთი ჩანთა, მაგრამ ჩემს სურვილებს არავინ არაფრად აგდებს.

ჩემი ძმა ბაბუას ყველგან თან დაჰყავდა. ამბობს, კაცია და ქეიფსაც უნდა მიეჩვიოს და ძმაკაცებთან ურთიერთობასაც. სადმე რომ იჩხუბებს, უხარია, ნამდვილი ვაუკაცი მეზრდებაო. სტუმრები რომ მოდიან, თამადად აყენებს და ჩემი ძმაც ყანწებს ცლის. ბაბუა ვერ ხვდება, რომ ამით ცუდ რაღაცას აკეთებს და ამასობაში ჩემი ძმა სმას მიაჩვია. ახლა ზაფხულია და ყოველდღე თვრება. ამას რომ ვამბობ, მამა და დედა მეუბნებიან, რა მოხდა, ცხელა და ლუდს სვამსო. რა მნიშვნელობა აქვს, ლუდით დათვრები თუ ღვინით? ფაქტია, რომ სასმელის გარეშე არ შეუძლია.

ამას წინათ დაქალებმა მითხრეს, შენს ძმას ყურადღება მიაქციეთ, სულ მთვრალია, ყველა ამბობს, რომ მალე გალოთდებაო. ეს დედას ვუთხარი და გადაირია, კაცს დალევაც უნდა შეეძლოს და ჩხუბიც, ქალაჩუნა შვილი რაში მჭირდებაო. დედა და ბაბუა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, მართალია, რძალ-მამამთილი არიან, მაგრამ მამა-შვილი გეგონებათ.

მამაჩემი კი სულ სხვანაირი ადამიანია, ბაბუასგან აბსოლუტურად განსხვავდება. ეტყობა, ბაბუას ახალგაზრდობაში დრო არ ჰქონდა, შვილისთვის ყურადღება მიექცია, თორემ მასაც ჩემი ძმის მსგავსად ცუდ რაღაცეებს მიაჩვევდა. მამას ბევრი რამ არ მოსწონს და სულ ჩხუბობს, მაგრამ მალევე აჩუმებენ.

ვიცი, რამდენიმე წლის შემდეგ ბაბუა და დედა თავიანთ საქციელს ინანებენ, ნახავენ, რომ ვაუკაცი კი არა, ლოთი გაზარდეს, მაგრამ უკვე გვიანი იქნება.

მკითხველი

„სმენადაქვეითებულს ყველა დამცინის“

ყველას მოგესალმებით! პირველ რიგში, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჟურნალ „სარკეს“, რომ არსებობს და ადამიანებს თავიანთი ტკივილის გულახდილად მოყოლის საშუალებას აძლევს. მეც მინდა, გიამბოთ ის, რაც ძალიან მაწუხებს.

16 წლის ვარ, ანუ საკმაოდ დიდი იმისთვის, რომ მივხვდე, ვინ როგორ მიყურებს, ჩემ მიმართ ყურადღებას ვინ როგორ გამოხატავს. უნარშეზღუდული გოგო ვარ, სმენა საგრძნობლად მაქვს დაქვეითებული, რის გამოც დაცინვის ობიექტი ვხდები.

ახლა არდადეგები გვაქვს და ბავშვებისგან, ყველაფრისგან ვისვენებ. სკოლაში მისვლა იმიტომ არ მიყვარს, რომ დამცინიან. დილით კარს შევაღებ თუ არა, მაშინვე სიცილს იწყებენ, ყრუ მოვიდაო. ვერც კი ხვდებიან, ამით რამხელა ტკივილს მაყენებენ.

ამას წინათ კახეთში ბებიასთან ვიყავი დასასვენებლად, მაგრამ იქ ვეღარ გავჩერდი, ბავშვების დაცინვას ვერ გავუძელი. ჩემთან მოვიდოდნენ და ხმადაბლა რაღაცას მეუბნებოდნენ, მერე კი მთხოვდნენ, მათი ნათქვამი გამემეორებინა. ამ ყველაფერს იმიტომ აკეთებდნენ, რომ სიცილით გამსკდარიყვნენ. არასოდეს არავისთვის დამიცინია. არც კი ვიცი, ასეთი რამ როგორ უნდა გავაკეთო. ნეტა, რატომ სიამოვნებთ, როცა ადამიანს აბუჩად იგდებენ, რა არის ამაში გასახარი?

ძალიან ცუდად ვარ. აღარ ვიცი, სად დავემალო ადამიანებს, რომლებმაც გულის ტკენის მეტი არაფერი იციან. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ, მათგან თავი როგორ დავიცვა. ნუთუ ყველასთან უნდა გავწყვიტო კონტაქტი? ნუთუ ჩემნაირი ადამიანი ასე უნდა გარიყოს და დაამციროს საზოგადოებამ?

თქვენი ერთგული მკითხველი

„ბიჭი, რომელიც მიყვარს, ყურადღებას არ მაქცევს“

მე და ჩემი დაქალები „სარკეს“ ხშირად ვკითხულობთ. მოზარდების რუბრიკა, ჩვენი თანატოლების ცხოვრება, მათი პრობლემები ძალიან გვაინტერესებს. ახლა კი გადავწყვიტე, მეც მომემართა თქვენთვის, რადგან რჩევა მჭირდება.

ერთი ბიჭი მიყვარს, სულ მინდა, რომ ვხედავდე, მის სიახლოვეს ვიტრიალო. ხანდახან ისე იქცევა, მგონია, რომ ვუყვარვარ, ზოგჯერ კი ყურადღებას საერთოდ არ მაქცევს, ზედაც არ მიყურებს. დაქალები კი მეუბნებიან, უყვარხარო, მაგრამ მისი საქციელით ამას ვერ მიხვდები.

უკვე ორი წელია, რაც ასე გრძელდება. ისე მიყვარს, როცა ვხედავ, სუნთქვა მეკვრის, ხშირად ისე ვიბნევი, გამარჯობის თქმასაც ვერ ვახერხებ. მინდა, სიყვარულში გამოვუტყდე, მაგრამ ვერ ვბედავ, ამის ძალა არ მყოფნის. ვგრძნობ, რომ მეტს ვერ გავუძლებ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

მკითხველი, 14 წლის

„დედას ჩემი შეყვარებულის მამა შეუყვარდა“

თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება, რადგან მინდა, სწორი გადაწყვეტილება მივიღო. ერთი ბიჭი შემიყვარდა, რომელმაც ჩემს სიყვარულს იმავე გრძნობით უპასუხა. დედამ ამის შესახებ ყველაფერი გაიგო და გადავწყვიტე, მისთვის შეყვარებული და მისი მამა წარმედგინა.

ერთ დღეს ასეც მოვიქეცი და მათ ერთმანეთი გავაცანი. მაშინვე შევამჩნიე, რომ დედას ის კაცი ძალიან მოეწონა. საქმე ისაა, რომ ჩემი მშობლები გაშორებულები არიან. ჩემი შეყვარებულის ოჯახშიც ასეთივე სიტუაციაა, მისი დედ-მამა ერთად არ ცხოვრობენ.

იმ დღის შემდეგ აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. მგონი, დედას ჩემი შეყვარებულის მამა ძალიან უყვარს. მე კი ამ შემთხვევაში რა უნდა გავაკეთო? დავშორდე შეყვარებულს? ამაზე რომ ვფიქრობ, ვნერვიულობ, რადგან ის ბიჭი ძალიან მიყვარს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი, 16 წლის

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„დრო მოვა და მამაშენი ინანებს, ასეთ მდგომარეობაში რომ დაგტოვათ“

ჟურნალ „სარკის“ 27-ე ნომერში გამოქვეყნდა 16 წლის ბიჭის წერილი — „მამამ მიგვატოვა, მისი მევალეები კი ჩვენ გვაწუხებენ“. მინდა ვუთხრა, რომ ნამდვილი ვაჟკაცი და კარგი ადამიანი იზრდება, რადგან უნდა, ოჯახს, დედას დაეხმაროს.

ჩემო კარგო, შენს ასაკში ასეთი გადაწყვეტილება, რომ იმუშაო და დედას გვერდით დაუდგე, ნამდვილად იშვიათია. ეს ხომ შენგან დიდი მსხვერპლია, რადგან უარს ამბობ სწავლაზე, უმაღლესი განათლების მიღებაზე. დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწევ. თუ მოინდომებ, მუშაობასთან ერთად კარგი განათლების მიღებასაც შეძლებ.

ახლა მინდა, მამაშენზე რაღაც გითხრა. ამ ადამიანის გამართლება არ შეიძლება, მაგრამ მასზე გულში ბოღმას ნუ ჩაიდებ. დრო მოვა და ინანებს, ასეთ მდგომარეობაში რომ დაგტოვათ. როცა ნახავს, რომ შენ კარგი კაცი დადექი, მიხვდება, შენი და შენი დაიკოს წინაშე რამხელა დანაშაული ჩაიდინა. მინდა, წარმატებები გისურვო. იმედია, სამსახურის შოვნას შეძლებ და დედიკოს დაეხმარები.

შენი გულშემატკივარი, „სარკის“ ერთგული მკითხველი

„სკოლაში მარტო სიარულის უფლებას არ მაძლევენ“

ჟურნალ „სარკის“ 23-ე ნომერში ერთი გოგო წერდა, დედა ვერ ხვდება, რომ დიდი ვარო. მართალია, მას რჩევა სჭირდება, მაგრამ რა უნდა ვუთხრა, როცა მეც იგივენაირ მდგომარეობაში ვარ. 13 წლის ვარ და დედაჩემიც ზუსტად ასე მექცევა.

მე არც შეყვარებული მყავს, ზოგიერთ გოგოსავით არც ბიჭებს ვეპრანჭები და არც ცანცარა ვარ. დედა კი მაინც არ მენდობა და სულ თან დამყვება. მისი ასეთი ზედმეტი ყურადღების გამო ხშირად უხერხულ სიტუაციაში ვვარდები.

ჩემი კლასელები სკოლაში სულ მარტო დადიან, გაკვეთილების მერე კი ერთად იკრიბებიან და ერთობიან. მე მათთან ერთად ვერასოდეს მივდივარ, რადგან დედა სულ თან დამყვება, სკოლაშიც მაკითხავს. ყველა ეუბნება, რომ უკვე გავიზარდე და მარტო უნდა ვიარო, მაგრამ არ იჯერებს. არ უნდა გაიგოს, რომ დიდი ვარ. ამბობს, ბავშვს სწორედ ამ ასაკში სჭირდება თვალყურის დევნებაო.

მკითხველი

„არ მინდა, დედაჩემმა დაუვარცხნელმა იაროს“

ჟურნალ „სარკის“ 29-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „დედა თავისი ჩაცმულობით მარცხვენს“. ამ ბიჭის ძალიან კარგად მესმის. ზუსტად ვიცი, რა შეგრძნებაა, როცა დედის ჩაცმულობის ან გარეგნობის გამო გრცხვენია. მე გოგო ვარ და ზუსტად ვიცი, შვილები რომ მეყოლება, ამ მდგომარეობაში არასოდეს ჩავაგდებ.

დედას სულ ვეხვეწები, რომ მოწესრიგდეს და ისე იაროს, მაგრამ არ მიჯერებს. ამბობს, ამდენი საქმე მაქვს და სად მცალია, სალონებში ვირბინოო. ჩემი აზრით, სულაც არ არის საჭირო სალონებში სიარული, თმის კოხტად დავარცხნა ხომ მაინც შეგიძლია, მით უმეტეს, რომ თმის საშრობი გაქვს. 20 წუთით რომ დადგე სარკესთან, მოსაწესრიგებლად უკვე საკმარისია.

მგონი, დედა სარკეში სულ არ იხედება. ამით თავიც მოაქვს, ვითომ რა მაგარი დიასახლისია, ყველაფერს ქმარ-შვილზე ზრუნვა ურჩევნია. მე კი მინდა, დედა არ მარცხვენდეს და დაუვარცხნელი არ დადიოდეს. უმჯობესია, საჭმელი არ გააკეთოს და თავს მიხედოს. ამას მასაც ვეუბნები, მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ერთადერთი ნატვრა მაქვს — მამა ჩემ გვერდით იყოს“

17 წლის გოგო ვარ. მართალია, ასაკით დიდი არ ვარ, მაგრამ უკვე ბევრი სიმწარე ვიწვნიე. ღმერთს ვთხოვ, საერთოდ გავქრე.

მამაჩემი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც მიგებდა, მაგრამ ის დაიღუპა. ჩემთვის არა მარტო მამა, მეგობარიც იყო. მას შემდეგ ცხოვრების აზრს ვეღარ ვპოულობ. ჩემი ოჯახი ისეთი აღარ არის, როგორიც უნდა იყოს. არ მყავს ადამიანი, რომელიც ყოველგვარ სიტუაციაში გვერდით დამიდგება.

ჩაკეტილი გავხდი, ჩემს ტკივილს ვერავის ვუზიარებ. მინდა, დასრულდეს ეს პრობლემები, მაგრამ ვიცი, ეს სურვილი არასოდეს ამისრულდება, ცხოვრება მუდამ ასეთი იქნება. ყოველ ღამე ვტირი, ღამეებს თეთრად ვათენებ, ვერ ვიძინებ. ჩემი ერთადერთი ნატვრაა, მამა ჩემ გვერდით იყოს. აღარ ვიცი, რა გავაკეთო, რომ ეს ტკივილი ოდნავ მაინც შემიმსუბუქდეს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„სერხიო რამოსზე ფიქრით ღამეებს ტირილში ვატარებ“

ამ წერილს 16 წლის გოგო გწერთ. ჩემი ცხოვრება ესპანელმა ფეხბურთელმა სერხიო რამოსმა რადიკალურად შეცვალა. მასთან შეხვედრაზე ყოველთვის ვოცნებობდი, დღე და ღამე ერთმანეთში მქონდა არეული. უძილო ღამეები, ტირილი, ოთახში მარტო ჩაკეტვა, შიმშილი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. დღე არ გავიდოდა, მასზე არ მეფიქრა. თვალებიდან ცრემლს ვერ ვიშორებდი, მეგობრებისა და ოჯახის წევრებისგან გარიყული ვიყავი, რადგან მხოლოდ ესპანელ ვარსკვლავზე ვფიქრობდი.

2012 წლის 9 სექტემბერს ესპანეთის ნაკრები საქართველოში ჩამოდიოდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან სათამაშოდ. ეს ხომ ჩემი სანუკვარი ოცნება იყო — სერხიოს ნახვა! გული იმედებით მქონდა სავსე. მართლაც ვნახე ჩემი კერპი, მაგრამ შორიდან. ძალიან ძნელია, შორიდან უყურო იმ ადამიანს, რომელიც გიყვარს, რომლისთვისაც ყველაფერს დათმობ. გული მისკდებოდა, მინდოდა, სტადიონზე გადავმხტარიყავი და მოვხვეოდი, გრძნობებს ვერ ვმალავდი, სულ ვტიროდი.

მატჩის შემდეგ ესპანეთის ნაკრები თავის ქვეყანაში დაბრუნდა და ჩემი ტანჯვაც გაგრძელდა — ისევ უძილო ღამეები, ისევ ცრემლები... ესპანეთში ჩასვლა ძალიან მინდა. ვიცი, რამოსს ერთხელ მაინც თუ ჩავხედავ თვალებში, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლება უკეთესობისკენ.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მაიკო კაჭკაჭიშვილი: „რატი დურგლიშვილის გარეშე კიევში ძალიან მიჭირს“

„20 კილო კიდევ მაქვს დასაკლები“

 პოპულარული სიმღერების ავტორმა მაიკო კაჭკაჭიშვილმა ცხოვრებაში მკვეთრი ნაბიჯი გადადგა და საქართველოდან უკრაინაში გადაბარგდა, იქიდან კი რუსეთში აპირებს წასვლას, რომ იქაურ შოუბიზნესში სცადოს ბედი. 9 წლის შვილები, ზურა და დათუნა, საქართველოში დედასთან დატოვა. ბავშვებთან განშორების დღეს ემოციისგარეშე ვერ იხსენებს. შვილებმა დედა ტირილით გააცილეს. უცხო ქვეყანაში მხოლოდ იმაზე ფიქრი აძლიერებს, რომ ამ ყველაფერს სწორედ მათი კეთილდღეობისთვის აკეთებს. ყოფილმა მეუღლემ, მომღერალმა ლევან ლაზარიშვილმა გადაწყვეტილება მოუწონა, ცდილობს, აქედან სტიმული მისცეს. 32 წლის მუსიკოსს მალე ოჯახის წევრების და მეგობრების გამხნევება მეტად დასჭირდება, რადგან უკრაინული „ახალი ხმის“ კონკურსისთვის ემზადება. უნდა, როგორც ავტორ-შემსრულებელი, უცხო პუბლიკამაც გაიცნოს.

„სარკე“ მაიკოს უკრაინაში დაუკავშირდა და ესაუბრა.

— მაიკო, ქართული შოუბიზნესში თავი რომ დამკვიდრებინათ, ამისთვის ბევრი იშრომეთ. ახლა კი ეს ყველაფერი მიატოვეთ და უცხო ქვეყანაში კარიერის თავიდან აწყობას ცდილობთ. ასეთი რისკიანი გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

— საკუთარ თავს იმავე კითხვას ხშირად ვუსვამ. პასუხი კი ბევრნაირი მაქვს და ერთ კონკრეტულზე ვერ შევჩერდი. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საქართველოში აღარაფერი ხდება,

„ეთმა გოგონამ ჯაჩი მუსიკა მომასმენინა, შევაქე და სახლში დავპატიჟე. მისმა მეგობარმა ბიჭმა ჩემს მეგობარს ჰკითხა, მაიკო ღესბოსელი ხომ არ არის, გოგო არ წამართვასო. ჩემი ქართული მიდგომა სხვანაირად აღიქვეს“.

ამ საქმეს არანაირი ფინანსური სარგებელი არ მოაქვს. ჩემს ქვეყანაში ასე თუ ისე გავაკეთე ის, რაც შემეძლო, ახლა უფრო მეტი მინდა. ვფიქრობ, გამოცდილება დამიგროვდა და ახლა კიევში ვცდი ბედს. 28 ივნისს გამოვემგზავრე და მას შემდეგ აქ ვცხოვრობ.

32 წლის ვარ და ამ ასაკში პირველად ვიფრინე, პირველად გავედი ქვეყნიდან. ფრენის პანიკური შიში მაქვს და ამის გამო ბევრ შანსზე ვთქვი უარი. წამოსვლამდე ერთი თვე საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ამას შევძლებდი, შიშს გადავლახავდი. ყველა ჩემს მეგობარს ეგონა, რომ ტრაპიდან უკან მოვბრუნდებოდი.

— ფრენის შიშის დასაძლევად ცოტას სვამენ. თქვენ ეს მეთოდი არ სცადეთ?

— სტიუარდესამ მითხრა, რომ თვითმფრინავში ალკოჰოლური სასმელის მიღება არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩემი მეგობრის მოხერხებულობის წყალობით, ცოტა მაინც დავლიე. მერე ისეთ კარგ ხასიათზე დავდექი, სულ სიმღერა-სიმღერით ჩამოვფრინდი.

— აეროპორტში ვინ დაგხვდათ, ვინ გამცილებლათ?

— ქრისტინე იმედაძე და დიმკა თეიმურაზოვი დამხვდნენ. ჯერ ყველა ქართველის ნახვა ვერ

„სახლიდან გამოსვლის დღე არასდროს დამავიწყდება. ტყუპისცალმა ისე იტირა, ეს სცენა თვალებიდან ჯერ კიდევ არ ამომდის, ვერც მე შევიკავე თავი და ტირილით გავსკდით. ვცდილობ, შვილები აქედან გავაკონტროლო, „სკაიპით“ ყოველდღე ველაპარაკები. ბავშვების გამო გული მიკვდება, მაგრამ, როცა ცუდ ხასიათზე ვდგები, ვიხსენებ მოტივს, თუ რატომ ვარ აქ. უცხო ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შვილების კეთილდღეობისთვის წამოვედი და ამაზე ფიქრი მაძლიერებს. იმედიანად ვარ, საკუთარი თავის მჯერა და ბრძოლის უნარიც გამაჩნია. ტრაბახში არ ჩამითვალოთ, მაგრამ საკუთარი თავის მჯერა.“

— თქვენმა ყოფილმა მეუღლემ მოგაწონთ ეს გადაწყვეტილება?

— ლევანს ძალიან გაუხარდა, მითხრა, როგორც იქნა, გადაწყვიტე და საქართველო დატოვეო.

— ახალი ნაცნობები გაიჩინეთ?

— კლუბში გოგო-ბიჭები გავიცანი. ერთ-ერთმა გოგონამ კარგი მუსიკა მომასმენინა, მთგან გამიკვირდა, შევაქე და სახლში დავპატიჟე. მაშინვე ქართულმა სტუმარმასპინძლობამ გაიღვიძა ჩემში. ცოტა ხანში მისი მეგობარი ბიჭი მოვიდა და ჩემს მეგობარს ჰკითხა, მაიკო ლესბოსელი ხომ არ არის, მეშინია, გოგო არ წამართვასო. ჩემი ქართული მიდგომა მათ სხვანაირად აღიქვეს.

— მანცდამაინც კიევი რატომ აირჩიეთ?

— უვიზოდ ჩამოვედი და ამ მხრივ ყველაფერი მარტივი იყო. საქართველოში ივანა მელაის მუსიკალური პროდიუსერი მე გახლდით, ის ახლა იტალიაშია. იცით, რომ ივანა უკრაინელია და ის აქ ძალიან ბევრ მომღერალს გამაცნობს, რაც წინსვლაში დამეხმარება.

— საქართველოში პოპულარულ მაიკო კაჭკაჭიშვილს უკრაინაში არაფან იცნობს. ამას რიგორ ეგუებით?

— მშვენივრად. ახლა საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ გარკვეული პერიოდის მერე ეს აღარ მომეწონება.

— რა კატეგორიის მომღერლებზე გაქვთ ვითომ ყისთვის დაწერთ სიმღერებს?

— არ მინდა, დამწყებ მომღერლებზე დავკარგო დრო. ჩემთან ალბათ პოპულარული მომღერლები ითანამშრომლებენ.

— საქართველოში ხშირად აკრიტიკებენ რუსულ-უკრაინულ პოპსიმღერებს. ხომ არ შეეცდებით, თქვენი შემოქმედება მათ გამოგზავნას მიანდოთ?

— სამწუხაროდ, აქ დიდი შემოქმედებითი წვა ნამდვილად არ მექნება, რადგან, კარგად მოგეხსენებათ, ესენი როგორ სიმღერებსაც მღერიან. მაქსიმალურად ვეცდები, ჩემი მუსიკალური გემოვნება და ხარისხი ქვემოთ არ დავწიო, თუმცა მათი ყურისთვის ასატან მუსიკას დავწერ. ჩემი აქ ყოფნა მატერიალურ წინსვლას უკავშირდება, თუ იმის საშუალებაც მექნება, რომ ვიმღერო, ჩემი ბენდი ავიყვანო და მომღერლობაც შევითავსო, რატომაც არა! ცოტა ხნის წინ სურვილი გამოვ-

„თითოეული ჯიიოგჰამის დაჯილდოებამ მეტი თავდაჯერებულობა შემმატა. აჭარული ხაჭაპურის ჭამა მიყვარდა, მაგრამ ახლა მას მტრად აღვიქვამ... „ახალი ხმისთვის“ ჯაჩ ფოიმაში უნდა ვიყო“.

თქვი, უკრაინულ „ახალ ხმაში“ მივიღო მონაწილეობა. საქართველოში არანაირი სურვილი არ მქონდა, ამ კონკურსში მეცადა ბედი, აქ კი ეს პროექტი პოპულარობას მომიტანს. სამ თვეში იწყება კონკურსი და მზადება უკვე დავიწყე.

— თქვენ სხვებს იგასებთ, დამწყებ მომღერლებს აშზადებთ და ჟიურისგან თავად რიგორ მიიღებთ შენიშვნებს, კრიტიკას?

— ჩემი პირველივე ბგერიდან ჟიური მიხვდება, რომ ჩვენ ვართ თანაბარი. ძალიან მიჭირს თქმა, მაგრამ მათი მუსიკალური გემოვნება მოიკოჭლებს. ჩემს რომელიმე სიმღერას ვიმღერებ, მინდა, მათ ისე გამიცნონ, როგორც ავტორ-შემსრულებელი.

— ოთო ნემსაძეს ამ ყოველივეს საკმაოდ კარგად ვაართვა თავი. უკრაინული „ახალი ხმის“ ფინალისტი ვანდა, მეორე ადგილზე გავიდა. იმედია, ეს კონკურსი თქვენთვისაც წარმატებული იქნება.

— მეც ამის იმედი მაქვს. სამწუხაროდ, ოთოს ტელეფონი არ მაქვს და მას ამ წარმატებას „სარკის“ საშუალებით ვულოცავ!

— ქალაქი დათვალიერეთ, საყიდლებზე იყავით?

— ერთი მაღაზიის ვიტრინაში ძალიან დიდი მანეკენი იდგა, დავინტერესდი და შევედი. გაგიკვირდებათ და, კიევშიც მივაგენი გოლიათების მაღაზიას (იცინის). ასე რომ, სამოსის მხრივ პრობლემა არ მექნება.

— ტანსაცმლის ზომების პრობლემა ისევ ვაქვთ? თქვენ ხომ წონაში საგრძნობლად დაიკლეთ.

— კი, ასეა, მაგრამ კიდევ 20 კილო მაქვს

აჩიკო ნიჟარაძე „სლავიანსკი ბაზრიდან“ მე-2 ადგილით და 3000 დოლარით დაბრუნდა

„ჩემი ცოლი ქართველ ქოშას აფრიალებდა და შეძახილებით მამხნევებდა“

ეროექტ „ჯეოსტარის“ შემდეგ მომღერალმა აჩიკო ნიჟარაძემ საკონკურსო ცხოვრება პირველად ვიტებსკში მოსინჯა. წელს საქართველო „სლავიანსკი ბაზარზე“ სწორედ აჩიკომ წარადგინა და სამშობლოში მეორე ადგილით და 3000 დოლარით დაბრუნდა. ვიტებსკში პარალელურად ბავშვთა კონკურსიც ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი პროექტ „ნიჭიერის“ შარშანდელმა ფინალისტმა ლენკა ზვიადაძემ დაიკავა.

აჩიკო აქამდე ქართულ ტრადიციულ სიმღერებს ასრულებდა, ახლა კი თვლის, რომ ამ ჟანრით შორს ვერ წავა. გადაწყვეტილი აქვს, საერთაშორისო კონკურსებზე ხშირად იაროს და იქ გამომუშავებული საპრიზო თანხებით ახალი სიმღერები ჩაწეროს. სხვათა შორის, ის წლების წინ იურმალას კონკურსის შესარჩევ ტურშიც მონაწილეობდა, მაგრამ მაშინ არჩევანი დუეტ „ჯორჯიაზე“ გაკეთდა. ვიტებსკიდან დაბრუნებული აჩიკო უკვე შემდეგ კონკურსზე ფიქრობს, მაგრამ ჯერ არ იცის, ძალებს სად მოსინჯავს.

— აჩიკო, საერთაშორისო კონკურსზე წელს პირველად მისწვდით. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

— „სლავიანსკი ბაზარი“ ერთ-ერთი ძალიან ცნობილი და მაღალი კლასის კონკურსია და მონაწილეობაც სწორედ ამიტომ გადავწყვიტე. იქ წასვლა დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვერ ვახერხებდი.

— რა სიტუაცია დაგხვდათ ვიტებსკში?

— კონკურსი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. პროფესიონალი ორკესტრი უკრავდა, რაც კონკურსის ერთ-ერთი უდიდესი პლუსია. გული არაფერზე დამწყვეტია, როგორც საჭირო იყო, ყველაფერი ისე მოხდა. ვისაც კარგი მონაცემები ჰქონდა, ყველას დაუფასდა ნიჭი. კონკურსი ორდღიანი იყო, პირველ დღეს რომა რცხილაძის სიმღერა „ვარსკვლავები“ ვიმღერე, მეორე დღეს კი — იგორ კრუტოის ერთ-ერთი სიმღერა. ორივე დღეს ერთნაირი, 92 ქულა მივიღე.

— რამდენად დიდი იყო კონკურენცია?

— ძალიან გამოცდილი კონკურსანტები დამხვდნენ და ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ არის. ორგანიზატორებმაც აღნიშნეს, რომ „სლავიანსკი ბაზარზე“ ასეთი ძლიერი ჯგუფი პირველად შეიკრიბა. 7-8 მომღერალი იმდენად მაგარი იყო, რომ ჟიურის არჩევანის გაკეთება ძალიან გაუჭირდა. გრან პრი პოლონელმა ბიჭმა აიღო, პირველ ადგილზე ხორვატიელი გოგონა გავიდა, მეორე ადგილი კი მე და მოლდოვეთის წარმომადგენელმა გავიყავით. გრან პრის მფლობელს 15.000 დოლარი ერგო, პირველ ადგილზე გასულს — 9.000 დოლარი. მე და მოლდოვამ კი 6.000 დოლარი შუაზე გავიყავით. გარდა ამისა, რამდენიმე ფესტივალიდან მოწვევაც მივიღე, ასე რომ, ერთი წლის განმავლობაში სერიოზულ მომზადებას გავივლი.

— ფულს რაში დახარჯავთ?

— ალბათ სიმღერებს მოვამზადებ, ისევ და ისევ კარიერას მოვახმარ. გადავწყვიტე, რომ კონკურსებით საერთაშორისო ასპარეზზე გავიდე, ამისთვის კი ძალიან დიდი მუშაობა დამჭირდება. ძლივს გზა გამომიჩნდა, სადაც რაღაც შემიძლია ვაკეთო და ჩემი ქვეყანა მეტად ვასახელო. აქ ამდენი ხელშეწყობა არ არის, ქართული სიმღერით არავინ ინტერესდება.

— კონკურსანტებთან რამდენად მეგობრული ურთიერთობა გქონდათ?

— სომხეთის წარმომადგენელს დავუმეგობრდი. ევროპელებს ერთმანეთთან მეგობრობის დაწყება არ სჩვევიათ. გოგო და ბიჭი ბარში ერთად რომ მიდიან, ყველა ცალ-ცალკე იხდის. დაჯილდოებაზე ყველას სათითაოდ გადმოგვცეს ყვავილები, მე კი ჟიურის ერთ-ერთ წევრს მივართვი. ეს ევროპელი მონაწილეებისთვის ალბათ მაგალითიც იყო. „ფეისბუქზე“ აბსოლუტურად ყველა მონაწილეს დავუმეგობრდი, მიმოწერა ყველასთან მაქვს. სხვათა შორის, ქართული დელეგაცია ვიტებსკში ყველას ისე შეუყვარდა, როცა სადმე წავიდოდნენ, ჩვენც გვეპატიჟებოდნენ.

— თავისუფალ დროს რიგორ ერთობოდით?

— თავისუფალ დროს ექსკურსიებზე მივდიოდით, ქალაქს ვათვალიერებდით. რამდენიმე რესტორანში შევედით, იქაური სამზარეულო დავაგემოვნეთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართულ კერძებს ვერ შეედრება.



■ აჩიკო და ნუცა

— გარდა ამისა, რომ კონკურსზე წარმატება მოიპოვეთ, რით დაგამახსოვრდებათ ეს დღეები?

— იქ ძალიან კარგი, თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ადგილობრივებისგან იმხელა თანადგომას ვგრძნობდი, რომ იქ კიდევ ერთხელ სიამოვნებით ჩავალ. ძალიან მოწესრიგებული ხალხია, ნეტა, ჩვენც ასეთები ვიყოთ... კონკურსის პირდაპირი ტრანსლაცია რამდენიმე ქართულ ტელეარხს შევთავაზეთ, მაგრამ რატომღაც ვერც ერთმა მოახერხა. მიზეზი ნამდვილად არ ვიცი, ალბათ რაღაც-რაღაცეების ტექნიკურად გამართვა ვერ შეძლეს.

— მეუღლეც თან გახლდათ. მისი მხარდაჭერა ალბათ ძალიან დაგეხმარათ.

— რა თქმა უნდა, ამ დროს საყვარელი ადამიანის გვერდით დგომა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი ცოლი, ნუცა, ძალიან ნერვიულობდა, მე კი მის გამო უარესად ვნერვიულობდი. ის დარბაზში იჯდა, ქართულ დროშას აფრიალებდა და შეძახილებით მამხნევებდა. ჩვენი შვილი, ალექსანდრე, ძალიან გვენატრებოდა, მაგრამ ჯერ პატარაა და ვერ წავიყვანდი. 2-3 წლის რომ გახდება, ალბათ ყველგან ვატარებ.

✓ სოფიო ბოჭორიძე

„გადავწყვიტე, ჯონჯუჩსებით საერთაშორისო ასპარეზზე გავიდე. ძლივს გზა გამომიჩნდა, სადაც რაღაც შემიძლია ვაკეთო, ჩემი ქვეყანა ვასახელო. აქ ამდენი ხელშეწყობა არ არის, ქართული სიმღერით არავინ ინტერესდება“.

დასაკლები, რომ კარგ ფორმაში ვიყო. რაც აქ ჩამოვედი, კიდევ მეტად გავხდი.

— გარეგნულმა ცვლილებამ რაიმე შეცვალა თქვენში?

— თითოეული კილოგრამის დაკლებამ მეტი თავდაჯერებულობა შემმატა. აქამდე ვერ შევძელი, ჩემი ფორმებისთვის მიმეხედა, აჭარული ხაჭაპურის ჭამა მიყვარდა, მაგრამ ახლა მას მტრად აღვიქვამ. ვთვლი, რომ ჩემს ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდია, რაღაც-რაღაცეებს რადიკალურად ვცვლი. მინდა, თითოეული დღე მაქსიმალურად გამოვიყენო. „ახალი ხმისთვის“ კარგ ფორმაში უნდა ვიყო.

— რა ხნით აპირებთ უკრაინაში დარჩენას?

— 16 აგვისტოს შვილების სანახავად 2 კვირით ჩამოვალ. ჩემი გეგმა უკრაინაში სამუდამოდ დარჩენა არ არის, რადგან რუსულ შოუბიზნესზე ვფიქრობ. მინდა, მოსკოვში წავიდე და იქ ვცადო ბედი.

— მარტო ყოფნამ შთაგონება ხომ არ გაგაძლიერათ?

— გარემომ მართლაც იმოქმედა, ძალიან ბევრი კარგი მელოდია დაიბადა ჩემში. შვილებთან და ოჯახთან განშორებამ ჩემი რეპერტუარი ცოტა დაასვევდიანა.

— დამოუკიდებლად ცხოვრებას რიგორ არითმეტიკ თავს?

— ეს ძალიან რთული თემაა, ყველაფერს დედა აკეთებდა ჩემთვის, ახლა კი ჭურჭლის რეცხვამ ნერვები დამაწყვიტა. ტანსაცმელსაც თავად ვაწესრიგებ და საჭმელსაც თავად ვიმზადებ. ახლა ვაფასებ დედას. დედა, მიყვარხარ! ვერ ვიტან გოგოების იმ კატეგორიას, რომ ამბობენ, არაფრის გაკეთება ვიცითო. მე ყველაფრის გაკეთება მეხერხება, უბრალოდ აქამდე დედა მანებივრებდა და არ მჭირდებოდა.

— ხშირად უცხო ქვეყანაში ისე მადგან, რომ ენის ბარიერი არ აქვთ დაძლეული, თქვენ შემთხვევაში იყო ამის პრობლემა?

— რუსულად კარგად ვლაპარაკობ, აქ კომუნიკაცია არ მიჭირს. ამას წინათ მაღაზიაში ისიც კი მითხრეს, რუსეთიდან ხომ არ ხართო.

— ახლა რიგორ გაწყობაზე ხართ?

— ამ მოკლე ხანში უმნიშვნელოვანესი ეტაპები გავიარე — საქართველოდან წამოსვლის, ყველაფრის ახლიდან წამოწყების შიში და ახლა უკვე იმედიანად, ამაღლებულ განწყობაზე ვარ. თუმცა ჩემი მეგობრები ძალიან მენატრებიან. რატი დურგლიშვილის გარეშე ძალიან მიჭირს. 15 წელია ერთმანეთს არ დავშორებივართ, დღე და ღამე ერთად ვიყავით და ახლა მის გარეშე ძალიან ძნელია. მე და რატის თითით საჩვენებელი მეგობრობა გვაქვს... ვთვლი, რომ რთულმა პერიოდმა გაიარა და ნელ-ნელა ყველაფერს დავალაგებ. დიდი მადლობა, რომ გამიხსენეთ და უკრაინაში დამიკავშირდით.

— წარმატებებს ვისურვებთ!

— გმადლობთ!

✓ ლანა კენჭიშ

Cyan Magenta Yellow Black

ქეთევან კანტიძე: „შეცდომა დავუშვი, რომ დროულად არ გავთხოვდი და შვილები არ გავაჩინე“

ქეთევან კანტიძემ პირველი კინოროლი ჯერ კიდევ სტუდენტმა ითამაშა, ამას სხვა როლებიც მოჰყვა, მაგრამ პოპულარობა მოუტანა სერიალმა „გოგონა გარეუბნიდან“. ნაგვიანევი წარმატება ალბათ იმის ბრალიც არის, რომ მებრძოლი არ გახლავთ. რასაც ცხოვრება სთავაზობს, იმას სჯერდება და ყველაფერს უფლის საჩუქრად მიიჩნევს. თეატრის სცენაზე მხოლოდ ერთხელ ითამაშა, მაგრამ ამბობს, რომ ეს პროფესიონალი მსახიობების ასპარეზია, თავად კი პროფესიით ხმის რეჟისორი გახლავთ. საუკეთესო წლები რუსთაველის თეატრში გაატარა, სადაც რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა. მერე მარჯანიშვილის თეატრის დასის ხელმძღვანელობა შესთავაზეს და სიამოვნებით დათანხმდა.

ახალგაზრდობაში რამდენჯერმე უყვარდა, მაგრამ ოჯახი გვიან შექმნა. ორი წლის შემდეგ კი ქმარს გაშორდა. ყველა ახალგაზრდა ქალს ერთ რჩევას აძლევს — ოჯახი დროულად შექმნან და შვილებზე იფიქრონ.

— ქალბატონო ქეთევან, მაყურებელმა გაგიცნოთ სერიალით „გოგონა გარეუბნიდან“. მანამდე თუ გქონდათ ფილმში თამაშის გამოცდილება?

— ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, როცა ჩემმა კურსელმა გიორგი ცინცაძემ გადაიღო საკურსო ფილმი „ბუზი“ და სტუდენტები გვთამაშა. პატარ-პატარა როლებს სულ ვთამაშობდი. გიორგი ფარაჯანოვის ფილმში „ყველანი წავიდნენ“, მნიშვნელოვანი როლი მქონდა. პოპულარობა კი სერიალმა „გოგონა გარეუბნიდან“ მომიტანა. პატარა როლი უნდა შემესრულებინა, მაგრამ ჩემი თამაში მოეწონათ და სერიალში დამტოვეს.

— თეატრში არ გქონიათ როლები?

— სცენაზე ერთადერთხელ ვითამაშე. ლევან წულაძის სპექტაკლში „მარია და ჯადოქარი“, პატარა როლი მქონდა.

— გქონიათ სურვილი, თეატრის სცენაზე გეთამაშათ?

— ვერ გეტყვით... სხვანაირი ადამიანი ვარ. რადგან ისე მოხდა, რომ სცენაზე ვერ ვითამაშე, ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ვერ გეტყვით, რომ ოფელიას როლზე ვოცნებობდი. უხერხულიც იქნება, ეს რომ ვთქვა. თან ამის დროც გავიდა. ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ მეტი პრეტენზია და სურვილი მექნებოდა. ისე, საერთოდ, არ ვარ მომთხოვნი... თეატრის სცენაზე პროფესიონალები დგანან. რა თქმა უნდა, კინოსაც სჭირდება პროფესიონალიზმი, მაგრამ... ალბათ კამერას უფრო შევეთვისე.

— საკუთარ სამსახიობო მონაცემებს როგორ აფასებთ?

— სხვამ უნდა შემაფასოს. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არ ვთამაშობ, ეკრანზე ისეთივე ვარ, როგორიც სინამდვილეში. რა თქმა უნდა, პერსონაჟის ხასიათი და თვისებები სხვა არის, მაგრამ მიმიკები ჩემია. რეალურ ცხოვრებაში ხშირად უთქვამთ ჩემთვის, ახლაც თამაშობო. საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ, ვცდილობ, ყველა როლი განსხვავებულად შევასრულო, რომ გმირები ერთმანეთს არ ჰგავდნენ. რჩევებს ჩემს მეგობარ მსახიობებსაც ვეკითხები. ბოლოს სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ მომვლელი ქალის როლი შევასრულე და აბსოლუტურად განსხვავებული იყო ყველა იმ პერსონაჟისგან, რომელიც აქამდე მითამაშია.

— რატომ აღარ ხართ სერიალში „შუა ქალაქში“?

— ჩემი გმირი, ნუნუ, ამოიწურა. დღემდე ნუნუს მეძახიან, ბავშვებს ჩემი გმირები ძალიან უყვართ.

— რიგორ გვინიათ, დაგვანებებელი წარმატების მიზეზი რა არის?

— ვერ გეტყვით.

— რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში პოპულარობის მერე?

— არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ქუჩაში ერთი-ორი ადამიანი მცნობს. მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ვიტყვი, რომ მსახიობი ვარ, ამის უფლებას ჩემს

„მარტო სახლში, მიუსაფარი და ეული — წლების შემდეგ ასე ნარმომიდგენია საკუთარი თავი, ხადგან არავინ მყავს ქვეყანაზე“.

თავს ვერ ვაძლევ. ჩემს როლებს ისე ვუყურებ, როგორც ღვთისგან ბოძებულ საჩუქარს.

— ეტყობა, ზედმეტად თვითკრიტიკული ხართ.

— კი, ძალიან. ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარში ღმერთმა დამაჯილდოვა და ამით ბედნიერი ვარ.

— ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევით. ამან არ გაგიჩინათ სურვილი, რომ ვარეგნობაში რამე შეგეცვალათ?

— ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ მოვინდომებდი რამის შეცვლას. ვფიქრობ, ამ მხრივ, 50 წლიდან დაღმავლობის ხანა იწყება, მაგრამ შეიძლება ვცდები კიდეც.

— სად და რიგორ სიტუაციაში წარმოგიდგენიათ თავი, ვთქვათ, 30 წლის წლის მერე?

— მარტო სახლში, მიუსაფარი და ეული — წლების შემდეგ ასე წარმომიდგენია საკუთარი თავი, რადგან არავინ მყავს ქვეყანაზე...

— ასე პესიმისტურად რატომ ლაპარაკობთ?

— ამჟამად პესიმისტურ ხასიათზე ვარ და იმიტომ.

— თქვენი ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი რას უკავშირდება?

— ყველაზე რთული პერიოდი იყო ჩემთვის, როცა მშობლები დამეღუბნენ. მამა რომ გარდამეცვალა, დედა მედგა მხარში. ორი წლის წინ დედაც დავკარგე. ეს ძალიან მძიმე იყო ჩემთვის.

— ვის დაგეხმარათ ამ რთული პერიოდის გადატანაში?

— ისევ მე გადავლახე. ბუნების კანონია, მშობელი უნდა წავიდეს და შვილი დარჩეს. ყველაფერი ღვთის ნებაა.

— შეეღლე გიდგათ გვერდით?

— არა. გვიან გავთხოვდი და ქმარს მალევე გავშორდი. პირად ცხოვრებაზე არ ვლაპარაკობ... ქალი თავის დროზე უნდა გათხოვდეს და შვილები გააჩინოს, ეს აუცილებელია. კარგია, თუ ის ადამიანი შეგხვდება, ვისთანაც მთელ ცხოვრებას გაატარებ. შეიძლება შენს მეორე ნახევარს უკვე ასაკში შესული შეხვდე და მან გადაგატანინოს, რომ შვილი არ გყავს... მაგრამ უმჯობესია, ოჯახი ახალგაზრდამ შექმნა.

— როცა დაბრძანებული ადამიანი ქმნის ოჯახს, ის უფრო უფრთხილდება ურთიერთობას. თქვენი ქორწინების გადარჩენა რატომ ვერ შეძელით?

— ოჯახს ვუწოდებ იმას, სადაც შვილებია. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ოჯახი დამენგრა — მხოლოდ ორი წელი ვიყავი გათხოვილი. ჩვენ იმ პერიოდში დავშორდით ერთმანეთს, როცა დედა გარდამეცვალა. ეს ორი ტკივილი ერთად გადავიტანე და ამაში ჩემი პროფესია დამეხმარა. დედის გარდაცვალებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ გადაღებებზე დავდიოდი. იქ არავის უგრძვნია ჩემი ტკივილი.

— თქვენი ოჯახის დანგრევის მიზეზი ნაგვიანევი ქორწინება ხომ არ გახდა?

— უბრალოდ ჩვენი თანხვედრა არ მოხდა.

— ბევრჯერ გეფარებათ?

— არა. ალბათ ერთი-ორჯერ მიყვარდა და ის ყველაფერი კარგად მახსენდება. ცალმხრივადაც მყვარებია სკოლაში. იმ დროს ლექსებს ვწერდი, მაგრამ არავის ვაკითხებდი. ყველაფერი კარგად მახსენდება, რაც ახალგაზრდობაში იყო — რუსთაველის თეატრში მუშაობის წლები, სადაც უამრავი მეგობარი მყავდა, გასტროლებზე დავდიოდით. სერიალებზე მუშაობაც სასიამოვნოა ჩემთვის.

— რატომ წამოხვედით რუსთაველის თეატრიდან?

— იქ რეჟისორის თანაშემწე ვიყავი. შემდეგ ლევან წულაძემ მარჯანიშვილის თეატრის დასის ხელმძღვანელობა შემომთავაზა. რეჟისორის თანაშემწეობა ასაკით უკვე აღარ შემეფერებოდა, ამიტომ ლევანის წინადადებას დავთანხმდი.

— რას მიიჩნევთ მარცხად?

— მარცხად მიმაჩნია ის, რომ ახალგაზრდობაში არ გავთხოვდი და შვილები არ გავაჩინე. დღემდე ვგიჟდები ბავშვებზე.

— იყო სიყვარულის ისტორია, რომელზეც გული გწყდებათ?

— კი და თან არაერთი. ჩემი ბრალია, რომ ოჯახი თავის დროზე არ შევქმენი. ეს დიდი შეცდომაა ქალისთვის და მეც შეცდომა დავუშვი.

— წარმატებად რას მიიჩნევთ?

— ცხოვრების მეორე ნახევარს, რომელიც გადასაღებ მოედანზე გავატარე. მთელი ბავშვობა ვოცნებობდი, მსახიობი ვყოფილიყავი და თვალწინ მედგა სიტუაცია, როგორ აიღებდნენ ჩემგან ინტერვიუს. ახლა შენ წინ ვზივარ და ამას ვამბობ — ეს ოცნება ამიხდა!

— თქვენი სამომავლო გეგმები რიგორია?

— თუ გაგრძელდება ჩემი გმირის ცხოვრება სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“, უბედნიერესი ვიქნები. თუ არ გაგრძელდა, სხვაგან გამოჩნდება რამე, თუ არადა, ალბათ ასე არის საჭირო. სხვას ვერაფერს გეტყვით, რადგან მებრძოლი ადამიანი არ ვარ.

„მხოლოდ ორი წელი ვიყავი გათხოვილი. იმ პერიოდში დავშორდით ერთმანეთს, ოცა დედა გარდამეცვალა. ეს ორი ტკივილი ერთად გადავიტანე. დედის გარდაცვალებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ გადაღებებზე დავდიოდი. იქ არავის უგრძვნია ჩემი ტკივილი“.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

ჩელე: „ბინა „სარკის“ წყალობით მაქვს“

„პოპულარობა თავში ამივარდა, მაგრამ მალევე დავღვინდი“

ერთ-ერთი გამორჩეული რეალითი შოუ „ჯეოობარის“ გმირი იყო. წარმატება ამ პროექტმა მოუტანა, რასაც „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის წამყვანობა მოჰყვა. პოპულარობა უცებ კი მოიპოვა, მაგრამ უცებვე დაკარგა, როგორც კი ეკრანიდან გაუჩინარდა. ამან ბევრ რამეზე დააფიქრა და ახლა ყველაფერს სხვა თვალით უყურებს. ამბობს, რომ დაღვინდა. ტელევიზიიდან წასვლის შემდეგ თავის პროფესიას, მსახიობობას დაუბრუნდა და მთლიანად თეატრზე გადაერთო. ეკრანის მონატრებას დიდხანს მაინც ვერ გაუძლო და პაუზის შემდეგ ბერა ივანიშვილის ტელევიზიაში მივიდა სამუშაოდ. ამჟამად ის „ჯიდიესის“ დილის გადაცემის წამყვანია.

დათო თვლის, რომ პრობლემები თუ წარუმატებლობები წარსულში მოიტოვა და ახლა ისევ აქტიური ეტაპი დაუდგა. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ამაზე ლაპარაკს გაურბის. ამბობს, რომ ცოლს გაშორდა, მისი 4 წლის ქალიშვილი, სალომე, დედასთან ცხოვრობს, მაგრამ შვილს ხშირად ნახულობს და მასთან დიდ დროს ატარებს.

— დათო, თქვენს ცხოვრებაში წარმატება და პოპულარობა ერთბაშად მოვიდა, ჯერ რეალითი შოუ „ჯეოობარში“ გაიმარჯვეთ, მერე ტელეწამყვანი გახდით. ახლა როგორ გახსენდებათ ის პერიოდი?

— იმ დროს ყველაფერი ძალიან კარგი იყო. „ჯეოობარმა“ ჩემი ცხოვრება შეცვალა. მერე იყო „რუსთავი 2“, სადაც დილის გადაცემის წამყვანი ვიყავი. ამან საშუალება მომცა, კიდევ უფრო გამომეჩინა თავი. ბოლოს იქიდანაც წამოვედი და თეატრს დავუბრუნდი. სადაც უნდა ვმუშაობდე და რამდენსაც უნდა მიხდიდნენ, თეატრში, თუნდაც მიზერულ თანხაზე მუშაობა, ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

— თავის დროზე რატომ წამოხვედით „რუსთავი 2“-დან?

— იქიდან სხვა რაღაცეების იმედით წამოვედი... ეკრანზე რამდენიმეწლიანი ჩავარდნა მქონდა და ამის შემდეგ გამოჩნდა ტელეკომპანია „ჯიდიესი“. ეს ჩემი ცხოვრების ახალი, ძალიან მაგარი ეტაპია, რადგან კარგ გუნდთან ერთად მიწევს მუშაობა. ისევ დილის გადაცემაში ვმუშაობ. „რუსთავი 2“-ში რომ ვიყავი, მე და ნატო ნიჟარაძე საიდან აღარ ვაკეთებდით ჩართვებს, ხან ფრჩხილებს ვიგრძელებდით და ხან თმას, შენობებიც კი შეგვიღებავს. აქ კი ფერად სტუდიაში ვზივარ. ჯერ კიდევ უნდა დავიხვეწოთ, მაგრამ ის შედეგი ნამდვილად გვაქვს, რასაც ველოდი.

„ბეჩას ძალიან ჯანი დამოკიდებულება აქვს ჩვენთან, თანამშრომლებთან. ძალიან მეგობრული ადამიანია, იმდენად უშუალოა, ჰომ გგონია, დიდი ხანია იცნობ“.

ამ ტელევიზიის სპეციფიკა ის არის, რომ ვინც დილის გადაცემაზე ვმუშაობთ, სხვა გადაცემებშიც აქტიურად ვერთვებით. ყველა ვმონაწილეობთ ტელევიზიის აშენებაში და ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩემი აგურებიც დავდე. ჩვენი ტელევიზია ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამს და მალე ისე გაიქცევა, რომ შეიძლება ბევრი ვერ დაეწიოს. ადამიანების გარკვეული ნაწილი პრეტენზიას გამოთქვამს, რომ ძალიან ბევრი მუსიკაა, მაგრამ ეს გასართობი არხია და, რა თქმა უნდა, მუსიკაც იქნება, მხიარული გადაცემებიც, შემეცნებითიც და არავითარი პოლიტიკა!

— ისევ ტელევიზიაში მუშაობა რატომ გადაწყვიტეთ და რიგორ მოხვედით „ჯიდიესზე“?

— ტელევიზიიდან რომ წამოვედი, ძალიან დიდი ნოსტალგია მქონდა, მუშაობის პროცესი მენატრებოდა. „ჯიდიესზე“ კასტინგი რომ გამოცხადდა, იქ მომუშავე ჩემი მეგობრების, ახლობლების თხოვნით მივედი. თან რომ მითხრეს, ახალგაზრდული ტელევიზიაა დიდი გეგმებითო, დავინტერესდი. ძალიან დიდი კასტინგი იყო და, საბოლოო ჯამში, 12 კაცი აგვიყვანეს. ტელევიზიაში რომ მივედით, შენობაში აბსოლუტურად არაფერი იყო, მხოლოდ 15 სკამი იდგა. სამაგიეროდ, დიდი სტიმული გვქონდა, პირველი ადამიანები ვიყავით, ვინც ტელევიზია მოქოქა. ახლა უკვე მაგარი სტუდია გვაქვს. ათწლეულების შემდეგ დღევანდელი სიტუაცია ძალიან მაგრად მოგვაგონდება. მაშინ ისეთი ტელევიზია გვექნება, როგორიც ჯერ არ არის.

— რამდენიმე წელია, რაც ეკრანზე აღარ გამოჩენილხართ. რიგორ მიგიღეთ მაყურებელმა?

— „ფეისბუქის“ გვერდი გვაქვს, სადაც ჩვენი სიუჟეტები, ფოტოები იდება. ხალხის კომენტარებით ვხვდები, რომ ჩემი გამოჩენა დადებითად შეაფასეს. მწერენ, ძალიან კარგია, რომ ისევ გამოჩნდი, მოგვენატრეო. არ ვიცი, ჩემი რა მოენატრათ, ალბათ ის სიგიჟეები, რასაც „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში ვაკეთებდი. აქაც არანაკლები სიგიჟეების გაკეთება მომიწევს.

„მეუბნებიან, ფული უაზროდ დახარჯე, ჯობდა, სახლი დაგემთავრებინა, მაგრამ ყველამ თავის თავს მიხედოს! ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დამიშვია, სისულელეებიც გამიკეთებია, მაგრამ ნახსენს არასოდეს მივტირი“.

— ბერა ივანიშვილს ახლოს იცნობთ?

— კი, აბა რა! ბერა ყოველთვის ერთვებოდა კასტინგებში. გადაწყვეტილებას თავად არ იღებდა, უბრალოდ, დამკვირვებელი იყო. ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს ჩვენთან, თანამშრომლებთან. ყველა გადაცემის გასვლას გულისყურით ეკიდება, უყურებს და თავისი იდეებიც აქვს. „ჯიდიესი“ მისი ტელევიზიაა და, ბუნებრივია, რომ დიდი დოზით არის ჩართული. ძალიან მეგობრული ადამიანია, იმდენად უშუალოა, რომ გგონია, დიდი ხანია იცნობ. თავადაც სიამოვნებს ჩვენთან ურთიერთობა და, რა თქმა უნდა, ჩვენც, რადგან ის ტელევიზიის მფლობელია. რომ მოდის, არ გვაქვს განცდა, ვაიმე, უფროსი მოვიდაო. მისი არავის ეშინია, ყველა ძალიან დიდ პატივს ვცემთ და მისგანაც იგივეს ვგრძნობთ. ჩვენ გუნდური სისტემით ვმუშაობთ და ეს კარგია.

— „ჯეოობარში“ რომ იყავით, ბინა მიიღეთ საჩუქრად. ახლა იმ სახლში ცხოვრობთ?

— მაია რჩეულიშვილმა მაჩუქა ბინა, მაგრამ ახლა იქ არ ვცხოვრობ. გასარემონტებელია და ნელ-ნელა ვაკეთებ. არ ვჩქარობ, ჩემს გემოზე გავალამაზებ და მერე გადავალ. მეუბნებიან, ფული უაზროდ დახარჯე, ჯობდა, სახლი დაგემთავრებინაო, მაგრამ ყველამ თავის თავს მიხედოს! რაშიც მინდა, იმაში ვხარჯავ ფულს და არაფერში ფულის ხარჯვა არ არსებობს. ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დამიშვია, სისულელეებიც გამიკეთებია, მაგრამ წარსულს არასოდეს მივტირი. ყველაფერი ისე მოხდა ჩემს ცხოვრებაში, როგორც საჭირო იყო.

„ჯეოობარის“ დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე ჟურნალისტებმა ჩვენგან ინტერვიუები აიღეს. ჩემთან ინტერვიუზე თქვენი ჟურნალისტი, ავთო ჩიტიძე იყო. როგორც ჩანს, ჟურნალი „სარკე“ რჩეულიშვილებს ჩაუვარდათ ხელში და სწორედ თქვენი წყალობით მაჩუქეს მოულოდნელად ბინა. მთელი ცხოვრება ამ ადამიანების მადლობელი ვიქნები, რადგან ბინა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამან უფრო მეტი სტიმული მომცა. ამ პროექტის შემდეგ ჩემთვის ბევრი კარი ძალიან ადვილად გაიღო.

ამბობენ ხოლმე ვიღაცეებზე, სადღაც გამოჩნდა და წარმატება თავში აუვარდაო, მაგრამ მანახეთ ვინმე, ვისაც ასეთი პოპულარობა თავში არ აუვარდება. არც მე ვიყავი გამონაკლისი, მქონდა აფრენები, ოღონდ მიწაზე მალე დავეშვი. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი, მაგრამ პროექტიდან რომ გამოვედი, ქუჩაში ყველა მაჩერებდა, ყველა მიღიმოდა, მცნობდნენ, საჩუქრებს მჩუქნიდნენ, მათ გამამარჯვებინეს და როგორ შეიძლებოდა, ამას არ გავეგიჟებინე, პოპულარობა რაღაც დოზით თავში არ ამვარდნოდა, მაგრამ მალე დავღვინდი. ახლა რომ მახსენდება მაშინდელი ამბები, ძალიან მეცინება. ვინც ახლა გამოჩნდნენ ეკრანზე, მათ რომ ვუყურებ, ჩემი თავი მახსენდება. ძალიან მალე ისინიც დაეშვებიან.

— ამ „დაშვებას“ როგორ შეგეგუეთ არ →34

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

გაგიჭირდათ?

— წარმოიდგინეთ, გავდივარ ქუჩაში, ყველა ჩემკენ იხედება, მაფასებენ, მეორე დღეს გავდივარ და მეც ისევე ვარ, როგორ სხვები. მერე საკუთარ თავს კითხვა დავუსვი, ახლა რა მოხდა-მეთქი... ხანდახან ძალიან გთრგუნავს ხალხის ყურადღება, ისე გაწუხებს, რომ აღარ იცი, რა ქნა, მაგრამ მთლიანობაში ძალიან სასიამოვნო პროცესია.

ერთხელ მეგობართან ვიყავი, ვქეიფობდით და უცებ მისმა შვილმა დამიძახა, ჩემი მეგობრები არიან მოსულები და შენთან სურათებს გადავიღებთო. მეგონა, 5-6 ბავშვი იქნებოდა, მაგრამ რომ გავედი, მთელი რაიონის ბავშვები დამხვდნენ. ყველა სურათებს იღებდა ჩემთან და სულ დამავიწყდა, საქეიფოდ რომ ვიყავი ჩასული. როგორ შეიძლებოდა, ეს ჩემთვის სასიამოვნო პროცესი არ ყოფილიყო.

— ცხოვრებაშიც ასეთი ენერგიული და ხალისიანი ხართ, როგორც ეკრანზე?

— სახლში რომ მივდივარ, იქ ვითიშები. რომ ამბობდნენ, ასაკი მოგვემატა და ისეთი ენერგიულები ვეღარ ვართო, დავცინოდი, მაგრამ ახლა უკვე მეც ვეღარ ვარ ისეთი, როგორიც ვიყავი. ცოტა ხნის წინ მე და ჩემი მეგობრები ფართიზე წავედით. ისინი შედარებით ჩემზე პატარები არიან. ცეკვა დავიწყეთ, მაგრამ მივხვდი, რომ მალე დავიღალე. ისინი ძიგ-ძიგებდნენ, არ იღლებოდნენ და მათთან მე უკვე ბებერ მუხასავით ვიყავი. ბოლოს წავედი და დავჯექი.

■ ვამა-შვილი

ზოგჯერ გართობაც აუცილებელია, რადგან მოსაბეზრებელია სამსახური-სახლის განრიგი. გართობის შემდეგ დილით ადგომა უკვე ძალიან ჭირს. ჩვენთან ეთერის დაწყებამდე ისეთი ამბები ხდება, ამაზე სიუჟეტი უნდა გავაკეთო. მაგრად ვერთობით. ვცდილობთ, არ შეგვეტყოს ხოლმე ეთერში, მაგრამ ზოგჯერ მაინც გვემჩნევა. ძალიან ხშირად ვხმაროობ სიტყვას „ესე იგი“ და ბოლოს ჯარიმა დამიწესეს. ეთერში რამდენჯერაც ვიტყვი ამ სიტყვას, იმდენი 50 თეთრი უნდა გადავიხადო. ხან 5 ლარით ვჯარიმდები, ხან 4-ით. იმედია, ბოლოს სულ ამოვიღებ ხმარებიდან.

„საღამეს ახ ვაგიძნობინებთ, ჰომ დამოჰებელები ვახთ, მაგჰამ ჰაღაცეებს მაინც ხვდება... სახლში თუ ჯაჰგად ახ იქცევა, მე მიჰეკავენ, ჰომ დავამშმინო. ვხედავ, ჰომ პატივს მცემს და ძაღიან მიხაჰია“.

— შვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ჩემი შვილი 4 წლის არის. ძალიან პრანჭიაა, უყვარს ცეკვა, თამაში, ტკბილეული. ძალიან მხიარულია, უყვარს მამიკო და ჩემი ხათრიც აქვს. ხანდახან მიბრაზდება, რადგან მეც ვუბრაზდები. არც ერთ გაბრაზებას არ მპატიობს. ცხვირს ჩამოუშვებს ხოლმე და ზის თავისთვის. მერე ვცდილობ, მოვქრთამო. ძალიან თბილი ბავშვია. მოსწონს, როცა ეკრანზე მხედავს, ამით ტრაბახობს. ცოტა ხნის წინ ჩემს დას ექიმთან ჰყავდა და მისთვის უთქვამს, იცი, მე ჩელეს შვილი ვარო. მისთვის საამაყოა ჩემი ეკრანზე ყოფნა. ძალიან მგავს გარეგნულადაც და ქცევებითაც. უნდა მგავდეს, აბა, როგორ! წიკები კი აქვს, მაგრამ არ ვამტყუნებ. იცის, ჩემი დამოკიდებულება როგორი იქნება, თუ კარგად არ მოიქცევა, ამიტომ ცდილობს, არ გამაბრაზოს.

— თქვენთან დიდ დროს ატარებს?

— კი, ძალიან. მშობლები არ ვაგრძნობინებთ, რომ დაშორებულები ვართ, მაგრამ რაღაცეებს მაინც ხვდება. წლები გავიდეს და ჩემი შვილი არ ვნახო, რა სისულელეა. ჩემს დაზე ისე გიუდება, რომ ზოგჯერ მეც კი მამიდას მეძახის. მამიდა მისთვის ყველაფერია, თან ძალიან უთამამდება. სახლში თუ კარგად არ იქცევა, მე მირეკავენ, რომ დავაშოშმინო. ვხედავ, რომ პატივს მცემს და ძალიან მიხარია.

✓ ქეთი დინოშვილი

რეზიკო დიდებაშვილის გაჩენას კინაღამ დედამისი შეეწირა

„ახ ვიცით, ამეჰიჯაში ჰეზიკო ჩვენ გახჰეშე ჰოგოჰ გაძღებს“

რეზიკო დიდებაშვილმა მშობლებს ჯერ თავისი დაბადებით აუხდინა დიდი ხნის ოცნება, როცა სამი ქალიშვილის შემდეგ ოჯახში ნანატრი ბიჭი გაჩნდა, შემდეგ კი საბავშვო „ახალ ხმაში“ გამარჯვებით მათ წარმოუდგენელი სიხარული მიანიჭა. ნაბოლარა ბიჭს ოჯახში ყველა ანებივრებს, დედამამა, ლია და დათო დიდებაშვილები მისი ცხოვრების რიტმს მიჰყვებიან. რეზიკოს დებიც კარგად მღერიან, მაგრამ მშობლებმა ვერ შეძლეს, გოგონები მუსიკაზე ეტარებინათ, რადგან ამის მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნდათ. ახლა კი ცდილობენ, ის, რაც უფროს შვილებს დააკლეს, რეზიკოს მისცენ. ქალბატონმა ლიამ და ბატონმა დათომ ჩვენთან საუბარი თავიანთი ოჯახის შექმნის ისტორიით დაიწყეს.

დათო: მე და ლიამ ერთმანეთი ქორწილში გავიცანით. დაახლოებით 4-5 წელი ვიყავით შეყვარებულები. მერე საბჭოთა ჯარში, უკრაინაში წავედი, ლია აქ მელოდებოდა, წერილებს მწერდა, მირეკავდა, ვურეკავდი და ასე შემდეგ. როცა დავქორწინდით, ორივე 24 წლის ვიყავით.

ლია: ქორწინებიდან ზუსტად 10 თვეში პირველი ქალიშვილი, თეონა შეგვეძინა, რომელიც ახლა 27 წლის არის. თეონას 4 შვილი ჰყავს. მეორე შვილი, ნინო, 2 წლის შემდეგ გვეყოლა. ისიც გათხოვილია, ახლა შვილიშვილს ველოდებით. გვეგონა, მესამე შვილი ბიჭი გვეყოლებოდა, მაგრამ ისევ გოგო შეგვეძინა — ნათია, რომელიც ახლა 22 წლისაა.

დათო: ბიჭი ძალიან გვინდოდა. პირველი შვილი გოგო რომ დაიბადა, ძალიან გამიხარდა. მეორე შვილიც რომ გოგო გვეყოლა, ვიფიქრე, მესამე მაინც ბიჭი იქნება-მეთქი, მაგრამ მესამეც რომ გოგო გაჩნდა, ისეთი რეაქცია მქონდა... სამშობიაროში დაიძახეს, დიდებაშვილი რომელი ხართ, ლამაზი გოგო შეგეძინათო და კინაღამ გავგიჟდი, მაშინვე სახლში წამოვედი. იმ დროს მანქანა არ გვყავდა, მეზობელმა წაგვიყვანა საავადმყოფოში. ის კაციც გოგონების მამაა და გზაში მეხუმრებოდა, რემნაიროო. მეუღლე ჩემს ძმას და სიდედრს შევატოვე, ფულის დატოვებაც კი დამავიწყდა. მამაჩემი სულ მეხვეწებოდა, იქნებ ბიჭი გეყოლოთო და მართლაც, როგორც იქნა, მეოთხე შვილი ბიჭი დაიბადა. რეზის მამაჩემის სახელი დავარქვით.

— მოკლედ, რეზიკოს ეძებდით, არა?

ლია: კი, რეზიკოს ვეძებდით და, როგორც იქნა, ვიპოვეთ. უფროს გოგონასა და რეზიკოს შორის ასაკობრივი სხვაობა 15 წელია.

დათო: რეზიკო თბილისის მეოთხე სამშობიაროში გაჩნდა. ექთანმა მითხრა, ბიჭი გყავსო. ფული რომ მივეცი, უკან დამიბრუნა, დიდი რაოდენობით სისხლი გვჭირდება და მოიტანეთო. მივხვდი, რაც ხდებოდა. ლიას საკეისრო კვეთა გაუკეთეს. როგორც ჩანს, ექიმმა რაღაც შეცდომა დაუშვა და სეფსისი განუვითარდა, ძალიან ცუდად იყო, სუნთქვის მართვის აპარატზე შეაერთეს. მესამე დღეს ინფექციონისტი ვახტანგ ბოჭორიშვილი მოვიდა და გვითხრა, ქალი იღუპება, გასიებულია, სასწრაფოდ ჩემთან, სეფსისის ცენტრში უნდა გადავიყვანოთო.

ათი დღის განმავლობაში სამი ოპერაცია გაუკეთდა, ხელი მოგვაწერინეს, რომ ლიას დაღუპვის შემთხვევაში არ ვიჩივლებდით. გვითხრეს, ასეთ შემთხვევებში ათიდან ერთი თუ გადარჩება, დანარჩენი იღუპებაო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ეს რომ ხელიდან გამომცლოდა, გავგიჟდებოდი. ოჯახი ძალიან მიყვარს, სამი გოგო მყავდა, ნანატრი ბიჭი შემეძინა და ამის გარდაცვალებით... უფალმა არ გაგვწირა და მადლობა ამისთვის.

— პირველი, მეორე ან მესამე შვილი ბიჭი რომ გყოლოდათ, მეოთხე ბავშვის გაჩენაზე იფიქრებდით?

დათო: არ დაგიმალავთ და, ალბათ ოთხი შვილის მამა არ ვიქნებოდი.

— რიდის აღმოაჩინეთ, რომ რეზიკოს სიმღერის ნიჭი ჰქონდა?

დათო: „იმის საშუალება ახ გვქონდა, შვილს ფინანსურად დავდგომოდით გვერდით. ჰეზიკოს გამახჯვება იმის დამსახურებაცაა, ჰომ ბევრ ადამიანს უყვარს. ზოგიერთი ჩემ თვალწინ 50 ლარის ესემეს-საც კი აგზავნიდა მის მხარდასაჭერად“.

Cyan Magenta Yellow Black

ლია: შეიძლება ითქვას, რომ ლაპარაკზე ადრე სიმღერა დაიწყო. ადრე ტელეკომპანია „მაესტროზე“ კარაოკე გადიოდა. პირდაპირ ეთერში დავრეკეთ, რეზიკომ იმღერა და პრიზი გადასცეს. სკოლაში რომ შევიყვანეთ, მასწავლებელმა გვთხოვა, თბილისის რაიონებს შორის შეჯიბრი ტარდება და რეზიკოც გავიყვანოთო. გაიმარჯვა, სამგორის რაიონის ლაურეატი გახდა. ამის შემდეგ ვოკალის პედაგოგ ნანა ჟღერიასთან მივიყვანეთ, მუსიკის ანაბანა მან შეასწავლა.

— მის გარდა ოჯახში ვინმე მღერის?

დათო: რეზიკოს სიმღერის ნიჭი გენეტიკურია. მისი დებიც ძალიან კარგად მღერიან. ნინო სიმღერას რომ გაჰყოლოდა, დღეს ძალიან წარმატებული იქნებოდა. მაშინ რთული პერიოდი იყო, ნინოც და თეონაც დადიოდნენ მუსიკაზე, მაგრამ ორივესთვის თანხის გადახდა ვერ შევძელით და გამოვიყვანეთ. არადა მასწავლებელი გვეხვეწებოდა, ერთის თანხას გადაგახდევინებთ, ოღონდ ბავშვები მუსიკაზე ატარეთო. ჩემი გოგონები სიმღერას ვერ გაჰყვნენ, მაგრამ ღმერთმა ინება, რომ რეზიკო მომღერალი გამხდარიყო.

რეზიკოს მამიდებიც კარგად მღერიან. სუფრასთან როცა კარგად შევზარხოშდები, სიმღერაზე უარს არც მე ვამბობ. მამაჩემს ძალიან მაგარი ხმა ჰქონდა. ბაბუაჩემი თურმე ჩონგურზე რომ დაუკრავდა და შემოსძახებდა, იქაური გოგობიჭები მაშინვე შეიკრიბებოდნენ. დედაჩემის მხარეც კარგად მღეროდა. მოკლედ, გენები არ დაიკარგა.

— რეზიკოს მუსიკალური შესაძლებლობები მთელმა საქართველომ ნახა და სათანადოდ შეაფასა კიდეც. ნასიათით როგორია, დამჯერი შვილია?

დათო: სახლში ძალიან ცელქია. პროექტ „ანა-ბანას“ ჟიურის წევრმა ბიბი კვაჭაძემაც თქვა, კედლებზე დადისო და მართლა ძალიან მოუსვენარია.

— ეკრანზე კი ძალიან მშვიდი ჩანს.

დათო: კი, მშვიდი ჩანს, მაგრამ ერთ ადგილას არ ჩერდება, ვერცხლისწყალივითაა.

ლია: სულ მღერის, ძალიან კომუნიკაბელურია. ბავშვებთან კონფლიქტი არასოდეს მოსდის. საოცრად მიზანდასახულია.

— ნაბოლარა შვილს ალბათ ძალიან ანებივრებთ.

დათო: რეზიკო რომ შეგვეძინა, 40 წლის ვიყავით. მას სურვილების თითქმის 90 პროცენტს ვუსრულებთ.

ლია: ჯინიანია. თუ მშვიდად დაელაპარაკები, აუხსნი, ყველაფერს გაგიკეთებს. დები უფრო ათამამებენ, ვიდრე ჩვენ.

დათო: რაღაცას რომ ვეტყვი, შეიძლება არც მომისმინოს.

— სმკაცრეს რომელი უფრო იჩენთ?

დათო: სიმკაცრეში ვერ „ვქაჩავთ“, არადა საჭიროა. მამაჩემი მკაცრი კაცი იყო, 5 შვილი გაგვზარდა და ყველა გზაზე დაგვაყენა.

— როგორი მოსწავლეა? გაკვეთილების მოსამზადებლად დრო რჩება?

ლია: თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში დადის, კარგად სწავლობს. ძალიან დიდი მადლობა სკოლის დირექტორს და პედაგოგებს. გაკვეთილების გაცდენა უწევდა და ისინი ხელს ძალიან გვიწყობდნენ.

— როგორ აღმოჩნდა რეზიკო პროექტ „ახალ ხმაში“?

დათო: მანამდე მუსიკალურ კონკურს „ანა-ბანაში“ მონაწილეობდა და მეორე ადგილი აიღო. ამის შემდეგ რეზიკომ გოგი ცაბაძის კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც ლაურეატი გახდა. მაშინ კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ თქვა, ვერ წარმომედგინა, მამაჩემის შემდეგ „პაწაწინა სამოთხეს“ ასე თუ ვინმე იმღერებდა, 10 წლის ბავშვმა ისე შეასრულა, მაყურებელიც აატირა და ჟიურის წევრებიცო. გარდა ამისა, რეზიკომ უფროსების „ახალ ხმაშიც“ მიიღო მონაწილეობა, სალომე ქათამაძის ბექებში იდგა.

ლია: ეს კონკურსი რეზიკოს ისე მოეწონა, გადაწყვიტა, თვითონაც ეცადა ბედი.

— გულწრფელად მითხარით, ელოდით მის გამარჯვებას?

დათო: მიუხედავად იმისა, რომ რეზიკოს ხმის სიძლიერეში დარწმუნებულები ვიყავით, მოგებას ნამდვილად არ ველოდით. გამარჯვებულის გამოვლენა ესემეს-ებზე იყო დამოკიდებული, ჩვენ კი იმის საშუალება არ გვქონდა, შვილს ფინანსურად დავდგომოდით გვერდით, ამას ნამდვილად ვერ „გავქაჩავდით“. რეზიკოს გამარჯვება იმის დამსახურებაცაა, რომ ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს. ჩემი თანამშრომლებიდან ზოგიერთი ჩემ თვალწინ 50 ლარის ესემესსაც კი აგზავნიდა მის მხარდასაჭერად. ღმერთმა ძალიან ძლიერი მწვრთნელიც შეახვედრა. დათო ფორჩხიძე „ანა-ბანას“ დროს გავიცანით. რეზიკოს ის ძალიან უყვარს.

— ფინალის დღე გაიხსენეთ. ის მომენტი ალბათ ძალიან ემოციური იქნებოდა.

ლია: ძალიან ცუდად ვიყავი. ჯერ ნახევარფინალზე ვნერვიულობდი, შემდეგ — ფინალზე. სანამ შედეგები გამოცხადდა, ჩემი დამემართა...

დათო: მე სახლში დავრჩი, ნათესავები მოვიდნენ, დაახლოებით 15 ადამიანი და სახლიდან ვუყურებდით. როცა რეზიკო ფინალში გავიდა, მთელი კორპუსი გვილოცავდა. გამარჯვებულად რომ დაასახელეს, მეზობლებს თურმე შუშხუნები ჰქონდათ გამზადებული და მთელ უბანში ფეიერვერკები, სროლები ატყდა, ზოგი ღვინოს მოარბენინებდა და ასე გვილოცავდა. ასეთი დიდი პროცენტით თუ მოიგებდა, ამას მართლა არავინ ელოდა.

ლია: შედეგები რომ გამოაცხადეს, სკამზე დავჯექი, ცუდად გავხდი. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. ფინალის შემდეგ კონკურსანტებთან ერთად ერთ-ერთ კლუბში წავედით და გამარჯვება აღვნიშნეთ. სახლში დილის 6 საათზე დავბრუნდით.

დათო: ჩვენ კი სახლში ვქეიფობდით, რეზიკოს ველოდებოდით.

— რა გეგმები გაქვთ რეზიკოსთან დაკავშირებით?

ლია: ორი კვირით დათო ფორჩხიძესთან და დათო იმედაშვილთან ერთად ამერიკაში უნდა წავიდეს, მაგრამ მგონია, რომ ვერ გაძლებს. მამიდასთან იყო სოფელ ჭორვილაში და იქაც კი ვერ გაჩერდა. ჩვენთან ყოფნასაა მიჩვეული. ამბობს, დათოსთან ერთად გავძლებ, მაგრამ არ ვიცით, ამას როგორ შეძლებს.

დათო: დათო ძალიან კარგი, მოსიყვარულე ადამიანია, მაგრამ რეზიკოს წინაშე დიდი დამსახურება მაინც მის პედაგოგს, ნანა ჟღერიას მიუძღვის... არ მგონია, ჩემმა შვილმა სიმღერას თავი დაანებოს, მინდა, რომ ამ საქმით იცხოვროს.

— თქვენ რას საქმიანობთ?

დათო: თბილისის ბოტანიკური ბაღის მთავარი აგრონომი ვარ. 30 წელია იქ ვმუშაობ, სანერგეს უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გახლავართ. ადრე სამსახურში რომ მივდიოდი, დათო მოვიდაო, ამბობდნენ, ახლა ყველასთვის რეზიკოს მამა გავხდი.

ლია: მე დიასახლისი ვარ, რეზიკოს დავყვები, მისი ცხოვრებით ვცხოვრობ.

✓ ეკა ლემონჯავა



■ პატარა რეზიკო

■ მშობლებთან ერთად

ლია: „ჩეზიკო ჯინიანია. თუ მშვიდად დაელაპარაკები, აუხსნი, ყველაფერს გაგიკეთებს. დები უფრო ათამამებენ, ვიდრე ჩვენ“.

დათო: „ნინოც და თეონაც დადიოდნენ მუსიკაზე, მაგრამ ოჯახისთვის თანხის გადახდა ვერ შევძელით და გამოვიყვანეთ. ჩემი გოგონები სიმღერას ვერ გაჰყვნენ, მაგრამ ღმერთმა ინება, რომ ჩეზიკო მომღერალი გამხდარიყო“.

დათო: „ექთანმა მითხრა, ბიჭი გყავსო. ფული რომ მივეცი, უკან დამიბრუნა, დიდი ჩოდენობით სისხლი გვჭირდება და მოიტანეთო. მივხვდი, რაც ხდებოდა...“.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის აღგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ძ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

ნინო თარხან-მოურავის მოკლე თმამ თემიკო ჭიჭინაძე შოკში ჩააგდო

„ასაკი ტანსაცმელივითაა — როგორც მოირგებ და მოიხდენ, ისეთი იქნები“

ბუსთაველის თეატრის მსახიობი ნინო თარხან-მოურავი გარეგნობის მოულოდნელად შეცვლის მოყვარულია. მისი ეს სისუსტე მეუღლის, მსახიობ თემიკო ჭიჭინაძის დადებით განწყობას ნამდვილად არ იწვევს. როცა ერთ დღეს ნინო ბიჭურად თმაშეკრეჭილი მივიდა სახლში, ქმარი ისე გაუბრაზდა, რამდენიმე დღე ხმას აღარ სცემდა. ახლა ცდილობს, სანამ გარეგნობაში რაიმე ცვლილებას გადაწყვეტს, რჩევა ქმარსაც ჰკითხოს. მსახიობი ქალი გრიმზე ხშირად უარს ამბობს, მაკიაჟსაც იშვიათად იყენებს და ხანდახან სუნამოს პკურებაც ავიწყდება. მაგრამ მისი ქალურობის საიდუმლო სხვა რამეშია: განწყობაში, რომელიც მას ასაკთან ბრძოლაშიც კი ეხმარება.

— ქალბატონო ნინო, თმა ისევ გადაგიღებავთ, ამჯერად ღია წაბლისფრად. როგორც ჩანს, თმის ფერის შეცვლა ძალიან გიყვართ.

— კი, თმის ფერს ხშირად ვიცვლი. პირველად თმა თეთრად გადავიღებე, რადგან ჭაღარამ გამაგიჟა. მერე მომბეზრდა. საერთოდ, სულ თმას ვერჩი და მასზე ექსპერიმენტებს ვატარებ. არ ვიცი, ეს რისი ბრალია. ალბათ სიახლეებიც მიყვარს და ცოტა ნევროზული მომენტიც არის, რადგან ცნობილია, რომ ქალი თმას ამ დროს იჭრის. ასეთ მომენტში საკუთარ თავზე მე თვითონ ვხალისობ. ერთ საღამოს სპექტაკლი მქონდა. შუადღეს სალონში შევედი და თმის სასწრაფოდ გაღიავება მოვითხოვე. სტილისტმა უარი მითხრა, დრო სჭირდებაო, მაგრამ ვერ დამარწმუნა. ამიტომ შემიღება, მაგრამ თმა საშინლად ამიჭრელდა. მოსაწესრიგებლად დროც არ იყო, სპექტაკლზე მაგვიანდებოდა და ასე აჭრელებული თმით მივედი თეატრში. არ მინერვიულია, მე თვითონ ბევრი ვიცინე.

— ასეთ დროს მეუღლის აზრით არ ინტერესდებით? რჩევას არ ეკითხებით?

— თემიკო ამბობს, რომ შავი თმა უფრო მიხდება. ადრე არასდროს მიფიქრია, რომ მისთვის რჩევა მეკითხა. დიდი ხნის წინ უცბათ გადავწყვიტე თმის ბიჭურად შეჭრა. სახლში რომ მივედი და საღამოს თემიკომ დამინახა, შოკში ჩავარდა. ცოტა ხანი არ მელაპარაკებოდა. მაშინ აღმოვაჩინე, რომ მას არ მოსწონდა ქალზე მოკლე თმა, ოღონდ ამის მიზეზს ვერ ვხვდებოდი. ერთხელ ასე ბიჭურად შეჭრილი თმით ქუჩაში ვიდექით, მათხოვარი მოგვიახლოვდა და გვითხარა, ბიჭებო, დამეხმარეთო. მაშინ მითხრა, აი, რატომ არ მომწონს, თმა ასე ბიჭურად რომ გაქვს შეჭრილიო.

— იმის მერე თმის ბიჭურად შეჭრაზე ალბათ აღარც გიფიქრიათ.

— როგორ არ მიფიქრია! ოღონდ თემიკოს უკვე წინასწარ ვუთანხმებდი. ერთხელ გასტროლებზე იყო წასული, უცბათ ისევ ძალიან მოკლედ შევიჭერი თმა და თან თეთრად შევიღებე. თემიკო რომ დაბრუნდა, აეროპორტში მამამთილთან ერთად ვუცდიდი. მერე ხუმრობდა, მხოლოდ იმით ვიცანი, რომ მამაჩემის გვერდით იდგაო. ბოლო დროს გარეგნობასთან დაკავშირებით რჩევებს ვეკითხები, მაგრამ თვითონაც არ არის მოწადინებული, ამ საკითხში აქტიურად ჩაერიოს. ასეც უნდა იყოს. შენ გვერდით მდგომი ადამიანი უნდა მოგწონდეს ისეთი, როგორიცაა.

— ამდენი ღებვა თმას დაგიზიანებდათ. როგორ უვლით მას?

— ვცდილობ, თმის ნიღაბი და ბალზამი მუდმივად გამოვიყენო. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად ვუვლი მას,მაგრამ ყველას რჩევას ვითვალისწინებ, რაც თმას და ზოგადად გარეგნობას ეხება. განსაკუთრებით კი მეგობრების აზრი მაინტერესებს. ამ ბოლო დროს მირჩიეს, სახე პირსახოცით არ შევიმშრალო და თავისით შეშრეს, რადგან ეს კანს ატენიანებსო. ამ რჩევას ვითვალისწინებ. გრიმს თითქმის არ ვიყენებ. არც კოსმეტიკა მიყვარს დიდად. ტონალურს კი არ ვცნობ. კანიც მიწყობს ხელს — ტონალური კრემები არ მჭირდება.

— პლასტიკური ქირურგიის გამოყენების სურვილი არასოდეს გაგჩენიათ?

— პლასტიკური ქირურგიის წინააღმდეგი არ ვარ. ზოგს უნდა, რომ ბუნებრივად დაბერდეს, ზოგს კი ხანდაზმულობისასაც კარგი გარეგნობა სურს. ჯერ არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ დასაშვებად მიმაჩნია, რომ ოდესმე შეიძლება ამ გზით კანის გაახალგაზრდავებაზე ვიფიქრო. ჯერჯერობით მხოლოდ მეზოთერაპიას ვიყენებ.

— მაკიაჟს თავად იკეთებთ?

— სულ რამდენიმე წლის წინ ვისწავლე მაკიაჟის წასმა. ჩემი გოგონა ბევრად პროფესიონალურად იხატება, ვიდრე მე. მაკიაჟს განწყობის მიხედვით ვიკეთებ, ხან თვალებზე ვაკეთებ აქცენტს, ხან — მხოლოდ ტუჩზე. ამ დროს ზომიერება უნდა დაიცვა. ამის არქონა ცუდ ტონად მიმაჩნია. როცა სახეზე ბევრი კოსმეტიკაა, კარგი არ არის, მაგრამ შეიძლება ცოტა „იხულიგნო“ და ეპატაჟურობისთვის რაღაც არაორდინარულიც გააკეთო.

— თქვენ თუ „ვისულიგნიათ“ მაკიაჟთან დაკავშირებით?

— არა, მაკიაჟთან დაკავშირებით თავშეკავებული ვარ. მასთან თამაშს ვერ ვბედავ.

— შვილი, 21 წლის ელისაბედი, თქვენს გარდერობს ხომ არ იყენებს?

— არათუ იყენებს, ჩემს გარდერობში ცხოვრობს! ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ და ვმეგობრობთ.

— ბუნებრივად გამხდარი ხართ თუ ამისთვის რაიმე მეთოდს მიმართავთ?

— ბავშვობაში ცოტა პუტკუნა ვიყავი. გამხდარი არც ინსტიტუტში სწავლისას მეთქმოდა. წლები რომ მომემატა, თანდათან, თავისით გავხდი. ფორმის შესანარჩუნებლად კი ვცდილობ, საღამოს საათებში პურზე უარი ვთქვა. ტკბილეულის მიმართაც გულგრილი ვარ. ზამთარში, საღამოობით, მეგობრებთან ერთად, ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, ჩქარი ნაბიჯებით 5 კილომეტრს დავდიოდი. ზოგადად, ფეხით სიარულის მოყვარული ადამიანი ვარ.

— ჯანსაღ კვებას დიდ ყურადღებას აქცევთ?

— შეძლებისდაგვარად — კი. ერთმა მსახიობმა ბიჭმა, რომელსაც ვკითხე, როგორ ინარჩუნებდა წონას, მითხრა, რომ დილით ნებისმიერი სახის საკვებს იღებდა, შუადღეს — მხოლოდ ნახშირწყლებს და საღამოს — მხოლოდ ცილებს. ცილებს ორგანიზმი ადვილად ითვისებს. ამგვარი კვებით ფორმის შენარჩუნება ადვილია. საღამოს საკვების მიღებას ყოველთვის ვერიდები.

— რა არის თქვენი მაგნე ჩვევები?

— სამწუხაროდ, გვიან ვიძინებ, სხვანარად არ შემიძლია. წყალსაც ძალით ვსვამ, რადგან არ მიყვარს. ადრე ბევრ ყავას ვსვამდი, მაგრამ ახლა უარი ვთქვი, რადგან ორგანიზმი აღარ მთხოვს.

— ქალური სისუსტეები გახასიათებთ?

— არც ვარცხნილობაზე ვარ დამოკიდებული და მაკიაჟის გარეშეც შემიძლია ვიარო. არც ფრჩხილის ლაქებს ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას და არც აქსესუარებსა და სამკაულებს. სუნამოს დასხმაც დამვიწყებია ხშირად...

— რა ფერები გიყვართ?

— მუქი ფერები მომწონს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდ განწყობაზე მაყენებს. მყვირალა ფერები უფრო მაწუხებს.

— ბევრი ქალი თითოეულ ნაოჭს ძალიან მძაფრად განიცდის, ზოგი კი ამას სიმშვიდით ხვდება. თქვენ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით?

— რა თქმა უნდა, მეც ვფიქრობ, წლების შემდეგ როგორი ვიქნები, ასაკის მატებას განვიცდი, მაგრამ მერე მახსენდება, რომ ეს ბუნების კანონია. მინახავს ასაკოვანი და ძალიან მომხიბვლელი ქალები და პირიქით, ახალგაზრდები, მაგრამ... ასაკი ტანსაცმელივითაა — როგორც მოირგებ და მოიხდენ, ისეთი იქნები.

— სარკის წინ დიდ დროს ატარებთ?

— ვერ ვიტყვი, რომ სარკის გარეშე ვერ ვძლები, მაგრამ სახლიდან ისე არ გავალ, არ ჩავიხედო და არ მოვწესრიგდე.

— დაბოლოს, ტრადიციულ კითხვას დაგისვამთ — ვის გიყურებთ სარკიდან?

— ხან — ვინ, ხან — ვინ... გაჩნია, როგორ განწყობაზე ვარ. სარკიდან ზოგჯერ ძლიერი ქალი მიყურებს, ზოგჯერ სუსტიც, კეთილიც, ბედნიერიც და ა.შ.

✓ მანანა ნოდია

„ბიჭურად შეჭრილ თმაში თემიკოსთან ერთად ქუჩაში ვიდექი, მათხოვარი მოგვიახლოვდა და გვითხრა, ბიჭებო, დამეხმარეთო. თემიკომ მითხრა, აი, რატომ არ მომწონს, თმა ასე ბიჭურად რომ გაქვს შეჭრილიო“.

„დასაშვებად მიმაჩნია, რომ პლასტიკური ქირურგიით კანის გაახალგაზრდავებაზე ვიფიქრო. ჯერჯერობით კი მხოლოდ მეზოთერაპიას ვიყენებ“.

Cyan Magenta Yellow Black

გვანცა ქაჯაია: „ავარიის შემდეგ არ მახსოვდა, შვილი მყავდა თუ არა“

ახალგაზრდა მეცო-სოპრანოს ტკივილიანი სამი თვე

ახალგაზრდა მეცო-სოპრანოს, გვანცა ქაჯაიას ცხოვრებაში 6 თვის წინ რთული პერიოდი იდგა — მშობლებთან ერთად ავარიაში მოყვა. მანქანა, რომელსაც მამამისი მართავდა, ხეში გადავარდა. გვანცა ყველაზე მძიმედ დაშავდა. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, თუმცა, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად დასრულდა. 27 წლის გვანცამ სამთვიანი რეაბილიტაციის კურსი გაიარა. ამ პერიოდმა მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. განსაცდელმა რწმენაში გააძლიერა და ეკლესიური ცხოვრება დაიწყო. ამბობს, რომ ბევრი რამ გადააფასა. ახლა ყველაზე მეტს იმაზე ფიქრობს, რომ ადამიანებს ტკივილი არ მიაყენოს და ყველას გაუფრთხილდეს.

— გვანცა, გვიამბეთ, როგორ მოყევით ავარიაში.

— მშობლებთან ერთად ავტომობილით გურიაში მივდიოდი. მამა საჭეს მართავდა, დედა მის გვერდით იჯდა, მე კი უკანა სავარძელზე მეძინა. ცოტა ხნის შემდეგ მამა მე უნდა შემეცვალა. როცა გამოვფხიზლდი,

„ბელის მხარესა და მკლავს შოჩის საბარგულის ჩკინა გამეყარა. მაშინ სიკვდილს თვალებში ჩავხედე. გონება არ დამიკარგავს, ყველაფერი მახსოვს, ყველაფერს ვხედავდი".

უკვე საავადმყოფოში ვიყავი... იმდენად მძიმედ ვიყავი, ყველას ეგონა, რომ მოვკვდებოდი. ჩემი გადარჩენის ძალიან მცირე შანსი არსებობდა. ცოცხალი რომ ვარ, მართლა სასწაულია. საერთოდ, მძინარე მდგომარეობაში ავარიაში მოყოლა საკმაოდ საშიშია.

— ავარიის მიზეზი რა გახდა?

— როგორც ჩანს, რაღაც მომენტში მამამ საჭესთან ჩათვლიმა. ჩვენი მანქანა ჯერ ავტომობილს შეეჯახა, შემდეგ — ბოძს და ხეში გადავვარდით.

— სწრაფად მიდიოდით?

— არა... მანქანა ხეის გარკვეულ მონაკვეთზე გაჩერდა. დიდი ალბათობა იყო, წინა საქარე მინა თავით გამეტანა, რადგან თავის შეკავებას მძინარე ვერ მოვახერხებდი, მაგრამ, საბედნიეროდ, სავარძლებს შორის ფეხი გამეჭედა და ამან გადამარჩინა. დედას და მამას კი ღვედმა უშველა.

— თქვენ რა ტრავმები მიიღეთ?

— მძიმე მოტეხილობები მქონდა. ლავიწისა და მენჯის ძვლები ორ ადგილას იყო მოტეხილი, ასევე მქონდა საჯდომის და ბოქვენის ძვლების მოტეხილობაც. მძიმე ფორმის ტვინის შერყევა მივიღე. ძალიან დიდი საშიშროება იყო, რომ ფეხზე საერთოდ ვერ გამევლო.

— საავადმყოფოში რამდენ ხანს იყავით?

— საავადმყოფოში სამი ღამე დავყავი. გონზე კი ერთი თვის შემდეგ მოვედი და მაშინ უკვე სახლში ვიყავი. მანამდე თურმე ვსაუბრობდი, ტკივილებისგან ვწიოდი და ვკიოდი. როცა რამეს მეკითხებოდნენ, ვპასუხობდი, მაგრამ მე არაფერი მახსოვს. ერთი თვის შემდეგ გავიგე, რაც მჭირდა.

მოტეხილობების გამო ჩემი განძრევა არ შეიძლებოდა. სამი თვე ვიწექი. ის პერიოდი ძალიან მძიმე იყო. მაქსიმალურად ვცდილობდი, დავმშვიდებულიყავი, მაგრამ არ გამომდიოდა, ნერვული შეტევები მქონდა, დამამშვიდებლებს მაძლევდნენ.

— თქვენი მშობლები უჭნებლად გადარჩნენ?

— დედას ნეკნების მოტეხილობა ჰქონდა, ერთი ნეკნი ფილტვში შეერჭო და სითხე ჩაეღვარა. მძიმედ იყო, მასაც წოლითი რეჟიმი ჰქონდა. მამასაც ნეკნების მოტეხილობა ჰქონდა. მოკლედ, მთელი ოჯახი გადავრჩით. ჩემებისთვის ძალიან მძიმე იყო, როცა შოკური მდგომარეობის გამო მხოლოდ დედას და ჩემს ქმარს ვახსენებდი, შვილი, გაბრიელი, საერთოდ არ მახსოვდა, თუ მყავდა. რადგან წოლითი რეჟიმი, მრავლობითი მოტეხილობა მქონდა, ბავშვი ჩემთან ვერ წვებოდა და ამას ძალიან განიცდიდა. მაშინ გაბრიელი წლინახევრის იყო. ეს უბედურება ჩემი შეცდომის გამო მოხდა.

— რას გულისხმობთ?

— ცხოვრებაში ერთი დიდი შეცდომა დავუშვი და ალბათ უფალმა დამსაჯა. ძალიან მიჭირს და მიმძიმს ამის თქმა... ამ ავტოსაგზაო შემთხვევამდე აბორტი გავიკეთე. მაშინ უფალს ვთხოვე, რომ ეს ცოდვა ჩემს ერთადერთ შვილზე არ გადასულიყო და ამის გამო მე დავესაჯე. ამ ფაქტიდან ზუსტად ერთ თვეში ავარიაში მოვყევი... ჩემმა მშობლებმაც ბევრი რამ გადააფასეს, ცხოვრებას უკვე სხვანაირად უყურებენ. დაასკვნეს, რომ ყველაფერზე მნიშვნელოვანი ჯანმრთელობაა.

„დიდი ალბათობა იყო, წინა საქარე მინა თავით გამეტანა, რადგან თავის შეკავებას მძინარე ვერ მოვახერხებდი, მაგრამ, საბედნიეროდ, სავარძლებს შორის ფეხი გამეჭედა და ამან გადამარჩინა".

— რამდენადაც ვიცი, ავარიაში სხვა დროსაც მოხვედრილხართ.

— კი, რამდენიმე წლის წინ. ჩემი ბიძაშვილის ქორწილი იყო. პატარძლის მანქანა ძალიან სწრაფად მიდიოდა, ჩვენც ძალიან სწრაფად მივსდევდით. ამ დროს ერთ-ერთ მანქანას შევეჯახეთ, შემდეგ — ბოძს. ჩვენი ავტომობილი ისეთ მდგომარეობაში იყო, ყველა კითხულობდა, ამ მანქანაში ვინმე თუ გადარჩაო. სერიოზულად დავშავდით. ჩემ გვერდით მჯდომს პანკრეასი გაუსკდა, გადარჩენის ერთი პროცენტი არსებობდა, მაგრამ, ღვთის შეწევნით, გადარჩა. მე სისხლჩაქცევები, ტვინის შერყევა მქონდა, გულის მხარესა და მკლავს შორის საბარგულის რკინა გამეყარა. მაშინ სიკვდილს თვალებში ჩავხედე. გონება არ დამიკარგავს, ყველაფერი მახსოვს, ყველაფერს ვხედავდი. ამ შემთხვევის შემდეგ ძალიან დიდხანს მანქანაში ჩაჯდომის მეშინოდა. მეორე ავარიის შემდეგ კი ასეთი შიში არ მქონია, რადგან შეჯახების მომენტი არ მინახავს, მეძინა...

„ჩემებისთვის ძალიან მძიმე იყო, როცა შოკური მდგომარეობის გამო მხოლოდ დედას და ჩემს ქმარს ვახსენებდი, შვილი, გაბრიელი, საერთოდ არ მახსოვდა, თუ მყავდა. რადგან წოლითი რეჟიმი, მრავლობითი მოტეხილობა მქონდა, ბავშვი ჩემთან ვერ წვებოდა და ამას ძალიან განიცდიდა."

ამ კატასტროფის შემდეგ ჩემი მეუღლე, ახლობლები და საერთოდ ადამიანები უფრო მეტად შემიყვარდნენ და დავაფასე. აქამდე მომავალზე ნაკლებად ვფიქრობდი. ეკლესიურადაც არ ვცხოვრობდი, ახლა ტაძარში დავდივარ. ახლა სულ იმაზე ვფიქრობ, გული არავის ვატკინო. ამ შემთხვევამ ადამიანების დაფასებაც მასწავლა და სიფრთხილეც. სიცოცხლეს უნდა გაუფრთხილდე.

— ახლა როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— თავს კარგად ვგრძნობ და აქტიურად ვცხოვრობ. კონსერვატორია დავამთავრე, მეცო-სოპრანო ვარ... თბილისის ოპერის გუნდში მოვეწყვე და სექტემბრიდან აქტიურ ცხოვრებას ვიწყებ.

✓ ეკა ლემონჯავა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ნაზღაიძე: „ტყუილია, რომ ძვირადღირებულ მანქანებს საცოლე მჩუქნის“

ცელე და რადიოწამყვანი გიორგი ნაზღაიძე მალე თბილისის ქუჩებში „პორშეს“ კაბრიოლეტით გამოჩნდება, მანამდე კი ცეელეს კლასის „მერსედესით“ მოძრაობს. ეს ავტომობილი მისი სიამაყეა. თვლის, რომ მისი ყიდვით შურით ბევრს დაუხეთქა გულები. წინა მანქანაც „მერსედესი“ ჰყავდა, რომელსაც დიდხანს მალავდა, ეშინოდა, ბოროტი ადამიანების თვალი არ სცემოდა. მერე მობეზრდა და ძმას აჩუქა. ამბობენ, რომ ძვირადღირებული ავტომობილებით მას საცოლე ანებივრებს, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს. გიორგი კი ირწმუნება, რომ მანქანები თავისი ფულით, შრომით შეიძინა. მართვის მოწმობა ერთი წლის წინ აიღო, მაგრამ თავი უკვე გამოცდილ მძღოლად მიაჩნია და სხვებს აკრიტიკებს კიდეც. განსაკუთრებით კი ქალ მძღოლებს ერჩის. ერთი იდეაც აქვს — მათთვის გისოსებიანი ტრასა გააკეთონ, რომ მამაკაც მძღოლებს ახლოს არ გაეკარონ. თურმე არც ქალები უშლიან „მტრობას“, მათ „დუელზე“ კი თავად გიორგი გვიამბობს.

— გიორგი, ინტერვიუზე ძალიან შეგაგვიანდათ, რამე ხომ შეგემთხვათ?

— ცუდი არაფერი. კარგი სიახლე კი ის მაქვს, რომ თბილისის ქუჩებში კაბრიოლეტი „პორშე“ გამოჩნდება, რომლის საჭესაც მე მივუჯდები. საზაფხულო მანქანა მომინდა და ვიყიდე, მაგრამ თითქმის მაშინვე ფანჯარა ჩაუტყდა, რაც აქ არ იშოვება. ჩამომივიდა და მთელი დღე ამ შუშის ჩასმაში ვიყავი. ინტერვიუზეც ამიტომ დამაგვიანდა. შუშას ჩავსვამ და თბილისის ქუჩებშიც გამოვშრიალდები. „პორშე“ ის მანქანაა, რამდენი წელიც უნდა გავიდეს, იმავე ფასად გავყიდი. მოკლედ, სწორი გათვლა გავაკეთე!

— პირველად რა მანქანა გყავდათ?

— ჩემი პირველი მანქანა ე კლასის „მერსედესი“ იყო. ძალიან ბევრი ბოროტი თვალი არსებობს, რის გამოც ამ მანქანას ვმალავდი. მაღალი კლასის მანქანაზე ბოროტი თვალი ცუდად მოქმედებს. ის ავტომობილი ნახევარ წელიწადში მომბეზრდა და ჩემს ძმას ვაჩუქე. „მერსედესი“ ძალიან მიყვარს და ცეელეს კლასის 2009 წლიანი „მერსედესი“ შევიძინე. ნომერს არ ვიტყვი! ფასის დასახელებისგანაც თავს ვიკავებ! ჩვენს ქვეყანაში გაბოროტებულ და დაბოღმილ ადამიანებს რა დალევს! წინა მანქანა ერთ დილით ეზოში გაკაწრული დამხვდა. ამის შემდეგ ჩემი სახლის ფანჯრის წინ ვიდეოთვალი დავაყენე, რომელიც ეზოში მდგარ ავტომობილს პირდაპირ უყურებს. თუ ვინმე შეეხება, მერე უკვე მას შეეხებიან!

— ცეელეს კლასის „მერსედესი“ საკმაოდ ძვირადღირებული ავტომობილია, საკუთარი სარჯებით შეიძინეთ? ამბობენ, საცოლემ გამოუგზავნა.

— ეს ჩვეულებრივი ტყუილია. ჩემი ფულით ვიყიდე სამი თვის წინ. გიორგი ნაზღაიძე მთელი ცხოვრება მუშაობს, წვალობს და ეს მანქანაც ასე შეიძინა. იტალიიდან ჩამოვაყვანინე და ძალიან კმაყოფილი ვარ. ვინც ეს მარკა და თანაც ბიზნესკლასი იცის, მიხვდება, რომ ძალიან კომფორტულია. ჩემი მანქანა ყავას ვერ ადუღებს, თორემ დანარჩენს ყველაფერს აკეთებს. ვიზუალურადაც ძალიან ლამაზია. ისეთ ავტომობილს ვეძებდი, მინუსი რომ არ ექნებოდა. აღმოვაჩინე კიდეც, არც დიზაინში აქვს მინუსი და არც — სალონში. მიხარია, რომ ქართულ შოუბიზნესში მხოლოდ მე მყავს ასეთი ძვირადღირებული და თან ცეელეს კლასის „მერსედესი“.

— ალბათ კარგადაც უჯდით.

— ნაწილებს ვუფრთხილდები და მათში საკმაოდ კარგადაც ვერკვევი. შემიძლია ხელოსნებს ავუხსნა კიდეც, რა რისი ბრალია. საბურავებს ისე ვცვლი, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დამირეკოთ!

— გამოცდილი მძღოლიყოთ ლაპარაკობთ.

— ერთი წელია, რაც საჭესთან ვზივარ, მაგრამ ვიტყვი, რომ კარგი მძღოლი ვარ. ჩემი მეგობარი, პირველი ავტომრბოლელი ქალი საქართველოში, მერი გვასალია როგორც მძღოლს, ძალიან დადებითად მაფასებს. მართვის მოწმობის აღებიდან მეხუთე დღეს ბათუმში 4 საათში ჩავედი.

— სწრაფად გიჯლიათ.

— გეთანხმებით. სისწრაფე ძალიან მიყვარს, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, სხვა მანქანებთან რა დისტანცია დავიცვა და რა მიმართულებით გადავასწრო.

— თბილისში წესების დაცვით მოძრაობა რამდენად იოლია თქვენთვის?

— შეძლებისდაგვარად ვიცავ წესებს. რაც მძღოლი გავხდი, ჩემი ბილწსიტყვაობა ათმაგი ემოციით დაენერგიით გაიზარდა. ვინც შევარდნაძის პერიოდში მართვის მოწმობა 100 დოლარად იყიდა, ვინც მიშას დროს ჩაწყობით გახდა მძღოლი, მათ ახლიდან რომ ჩაუტარონ გამოცდა, 99% ვერ ჩააბარებს. ამას წინათ გალეწილი მთვრალი მძღოლი ტაქსზე იჯდა. ჩემს მხარეს გადმოვიდა, ავარიდე, მაგრამ საპირისპიროდ მოძრავ მანქანას კინაღამ დავეჯახე. ნასვამ მძღოლს არავინ აჩერებს და მე დღეში ოთხჯერ უმიზეზოდ უნდა გამაჩერონ?!

„თბილისის ქუჩებში მაღე „პორშეს“ კაბრიოლეტით გამოვშრიალდები!“

— ასე ხშირად რა მიზეზით გაჩერებენ?

— პატრულმა ჩემი ცხოვრება შეჭამა! შეიძლება, დღეში ოთხჯერ უმიზეზოდ გამაჩერონ?! რამდენიმე დღის წინ ღამის 4 საათზე სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი. პატრულმა გამაჩერა, მაგრამ მუსიკას მაინც ბოლო ხმაზე ვაღრიალებდი, რომ მისი სიტყვები არ გამეგონა. მართვის მოწმობა მივაწოდე, სიმთვრალეზე შემამოწმეს და საბუთები ისე დამიბრუნეს, არც გამიგონია, რა მითხრეს. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩემზე გადაკიდებულები არიან.

— ამას რის საფუძველზე ამბობთ?

— ეს შეიძლება იმიტომაც ხდება, რომ ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე პოლიტიკური განცხადებებს ვაკეთებ, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ კი არაა მიმართული, უბრალოდ, ჩემს აზრს ვაფიქსირებ. პატრულის მიმართაც უკმაყოფილებას ხმამაღალ გამოვხატავ და შეიძლება ეს ყველაფერი ზემოდან მოდის.

— ჯარიმებსაც უმიზეზოდ გიწერენ?

— ამას წინათ მანქანა მაღაზიასთან გავაჩერე და წყლის საყიდლად გადავედი, რის გამოც 10 ლარიანი ჯარიმა გამომიწერეს, მაგრამ არ ჩავიბარე, რადგან თუ პატრულის თანამშრომლები კანონში ჩაიხედავენ, ეცოდინებათ, რომ მძღოლს აქვს უფლება, მანქანა ტრასაზე 2 წუთი დააყენოს. თან, როცა ხედავენ, რომ ავარიული მაქვს ჩართული და მანქანიდან გადასული ვარ, ესე იგი რაღაც ხდება. ეს არ არის თავისუფალი ქვეყანა! ამდენი რადარიც მძღოლების გაყვლეფის მიზნით გაკეთდა.

— „სითი პარკის“ მიმართაც იგივეა დამოკიდებულება გაქვთ?

— მგონი, ამ კომპანიასთან ყველას საშინელი დამოკიდებულება აქვს. პეკინზე აკრძალულ ადგილას გავაჩერე, გამოვედი და რომ არ დამხვდა მანქანა, ვიფიქრე, ალბათ სხვაგან დავტოვე-მეთქი. ფეხით ავყევი ვაჟა-ფშაველამდე, თან გასაღების ღილაკს ვაჭერდი თითს, რომ გამეგო, სად იდგა ჩემი ავტომობილი. ბოლოს მივხვდი, რაც ხდებოდა. გადავიხადე ჯარიმა და მანქანა წამოვიყვანე. პენსიონერები რასაც ყოველთვიურად იღებენ, იმდენივე ჯარიმა აქვს დაწესებული ამ კომპანიას. ჩვენი მთავრობა ალბათ „სითი პარკის“ დახმარებით არიგებს პენსიას.

„ისეთ ავტომობილს ვეძებდი, მინუსი ხომ არ ექნებოდა და აღმოვაჩინე ყიდეს. მიხარია, ხომ ქართულ შოუბიზნესში მხოლოდ მე მყავს ასეთი ძვირადღირებული „მერსედესი“.

— ქალ მძღოლებზე რა აზრის ხართ?

— ქალი, როგორც მძღოლი, ცალკე ფენომენია. მათთვის ცალკე ტრასა უნდა იყოს გამოყოფილი, რომელსაც ორივე მხარეს გისოსები ექნება, რომ მამაკაცი მძღოლების მხარეს არ გადმოვიდნენ და დაცულად ვიგრძნოთ თავი. იმათ კი, თუ უნდათ, იმ გისოსებში დახოცონ ერთმანეთი. ვიცი, რომ ქალი მძღოლი საჭესთან ტუჩსაცხს ისვამს, ყავას მიირთმევს, მაგრამ განა მარტო ამას, მგონი, ტარების დროს პედიკიურსაც კი იკეთებენ. რამდენიმე დღის წინ ქალი მძღოლი ჩემს მხარეს გადმოვიდა და ხიდიდან მაგდებდა. საჭესთან მე თუ დამინახეს, ხომ საერთოდ! ტელევიზიისკენ ამოვდიოდი და მანქანა ისე ახლოს მოვიდა ჩემს მანქანასთან, მეგონა, ის გოგო გვერდით მეჯდა. დღის ბოლოს ხმის იოგები განადგურებული მაქვს და დანევროზებული ვარ. ფეხით მოსიარულეებიც მოქმედებენ ჩემზე, ძალიან ცუდად გადადიან ტრასაზე.

— ყველაზე ექსტრემალური სიტუაცია გაახსენეთ.

— მეგობრებთან ერთად ბათუმიდან ვბრუნდებოდით, როცა შუა გზაზე ძროხა გადმოგვიხტა. ან ძროხისთვის უნდა დაერტყა, ან დამეშუხრუჭებინა, ოღონდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მანქანა მოსრიალებულიყო. ერთადერთი გამოსავალი საპირისპირო გზაზე გადასვლა იყო და ასეც მოვიქეცი, რის გამოც მერი ძალიან ცუდად გახდა. საპირისპირო მიმართულებით მანქანა მოდიოდა, მაგრამ მოვასწარი. მერე მთელი ორი საათი ვჩხუბობდით, ამ დროს მძღოლმა როგორ უნდა იმოქმედოს. მერი მიმტკიცებდა, რომ სვლა უნდა შემენელებინა. 200 კმ/სთ სიჩქარით მოვდიოდი და როგორ უნდა შემენელებინა?

ერთი შემთხვევის ვიდეო „ფეისბუქზეც“ კი ავტვირთე. ღამის პირველ საათზე მე, მერი და გოგა მესხი (მომღერალი. ავტ.) ბათუმში მივდიოდით. გზის ერთი მონაკვეთი მთლიანად ტყეა, არანაირი განათება არ არის. ფარები ჩავაქრე და ჩვეულებრივ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდით, სადაც ნათელი წერტილი არ არსებობდა. მეხვეწებოდნენ, აანთე ფარებიო, მაგრამ არ ვანთებდი. გოგას ძალიან შეეშინდა, როცა საპირისპიროდ მომავალი „კამაზი“ დაინახა და მე მაინც არ ვანთებდი ფარებს. ეს მერის იდეა იყო, მაგრამ ადრენალინი იმ დონეზე მომეწონა, მთელი გზა ასე გავიარე.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

მთაწმინდის პარკი - დასვენებისა და გართობის ადგილი მთელი ოჯახისათვის

მთაწმინდის პარკი თბილისური სიცხისგან თავის დაღწევის ყველაზე კარგი საშუალებაა. აქ დასვენების, გართობისა და გაგრილების კარგი კომბინაციაა წარმოდგენილი. წარსულში თბილისელებისა და დედაქალაქის სტუმრების კულტურულ-გასართობი თავშეყრის ადგილი ძველ ფუნქციას თანამედროვე შტრიხებით იბრუნებს. მთაწმინდის პარკის უნიკალურობა მთელმა მსოფლიომ აღიარა, პირველ რიგში, თავისი რელიეფიდან და ლანდშაფტიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, ისტორიული დატვირთვით და მესამეც — ქალაქისგან განსხვავებული კლიმატის გამო.

წლევანდელ ზაფხულს მთაწმინდის პარკი განახლებული კონცეფციითა და უამრავი სიახლით შეხვდა. ეს არის ადგილი, სადაც ყველა ადამიანი თავისი ინტერესის შესაბამის გასართობს იპოვის: ბავშვებისათვის — მრავალფეროვანი ატრაქციონები, კლუბური ცხოვრების მოყვარულებისათვის — კლუბი, საიდანაც ქალაქის საოცარი ხედი იშლება, საქმიანი ადამიანებისა და გურმანებისათვის — რესტორნები, სადაც ევროპული და ქართული კერძების დაგემოვნება შეიძლება, ექსტრემალებისათვის კი — ისეთი გასართობი, რომელიც მათში ადრენალინის გამოყოფას შეუწყობს ხელს.

მთაწმინდის პარკი მთელი ზაფხულის განმავლობაში დამსვენებელს მუდმივ სიურპრიზებს სთავაზობს. ეს ადგილი დილის 9 საათიადან ღამის 11 საათამდე მუშაობს.

თუ რა სიახლეებია მთაწმინდის პარკში, რამდენად დაცულები ვართ ატრაქციონებზე და რისი დაგემოვნება შეგვიძლია რესტორანში, რომელიც ზღვის დონიდან 770 მეტრზე მდებარეობს, ამაზე მთაწმინდის პარკის გენერალური დირექტორი ირაკლი სასანია გვესაუბრება.

ირაკლი სასანია:

— მთაწმინდის პარკი თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს ცხელი ზაფხულის განმავლობაში საინტერესო დასვენებას სთავაზობს. აქ ყველა ასაკისა და ინტერესის ადამიანი იპოვის თავისთვის საინტერესო გასართობს. მთაწმინდის პარკში ქალაქთან შედარებით, მინიმუმი, 4 გრადუსით ნაკლები ტემპერატურაა, რაც ცხელ დღეებში უფრო მეტად იგრძნობა. აქ შესაძლებელია, როგორც მშვიდი დასვენება, გაგრილება, თბილისის ხედებით ტკბობა, ასევე ექსტრემალურ ატრაქციონებზე ადრენალინის გამოყოფა. მთაწმინდის პარკი სამ ზონად არის დაყოფილი, საბავშვო ზონა, სადაც ბავშვებისათვის ყველა ტიპის გასართობია თავმოყრილი, არსებობს საოჯახო ზონა, სადაც მთელ ოჯახს შეუძლია ერთად დასვენება და განტვირთვა და მესამე ზონა — ექსტრემალებისათვის. პარკის ადმინისტრაციას გვყავს სტუმრებთან ურთიერთობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მუშაობს იმაზე, რომ მაქსიმალურად კმაყოფილი დარჩეს მომხმარებელი.

— გასულ ზაფხულთან შედარებით, წელს მთაწმინდის პარკი რა სიახლეებს სთავაზობს დამსვენებლებს?

— სიახლე ბევრი გვაქვს. შევცვალეთ პარკის კონცეფცია. გავხსენით ისეთი კვების ობიექტები, რომლებიც ყველაზე პრეტენზიული გურმანის გემოვნებასაც კი დააკმაყოფილებს. შევცვალეთ ასევე პარკში მომსახურების ფასების სისტემა და მნიშვნელოვნად დავწიეთ. უახლოეს მომავალში მომხმარებელს შევთავაზებთ სერვისის სხვადასხვა პაკეტს. ამით პარკის სტუმრებს წინასწარ ეცოდინებათ, სასურველი პაკეტის ყიდვის შემთხვევაში რამდენი დაეხარჯებათ ატრაქციონებსა და კვების ობიექტებში. ასევე მალე შევთავაზებთ ვიპ პაკეტს, რომლის შეძენისას მომხმარებელს ულიმიტოდ შეეძლება პარკში არსებული ატრაქციონებით გართობა. მთაწმინდის პარკის ცნობილი დიდი ბორბლის ქვეშ გაიხსნა კლუბი „ანდერვილი“, რომელიც საკლუბო ცხოვრების მოყვარულებს ბევრ საინტერესო საღამოს სთავაზობს. მთელი ივნის-აგვისტოს განმავლობაში ამ კლუბში ჩამოგვყავს მსოფლიოში ცნობილი დისკ-ჟოკეები, დიჯეები და მომღერლები. მოკლედ, ჩვენს პარკში მთელი ზაფხული მუდმივი სიახლეები იქნება.

— ამ სეზონის ჰიტებად რა მიიჩნევა მთაწმინდის პარკის მრავალფეროვანი გასართობებიდან?

— ატრაქციონებიდან — „ამერიკული მთები“, ასევე ძალიან პოპულარულია კლუბი „ანდერვილი“, რომლის ვერნადიდანაც ქალაქის შეუდარებელი ხედი იშლება და რესტორნებიდან — „770“. სახელწოდება ნიშნავს, რომ რესტორანი ზღვის დონიდან 770 მეტრზე მდებარეობს. სწორედ ამ რესტორანში შეგიძლიათ დააგემოვნოთ ძალიან გემრიელი ფრანგული სალათი, რომლის ანალოგსაც მთელ ქალაქში ვერსად ნახავთ. ფუნიკულიორის მატარებლის ამუშავებამ უფრო მარტივი გახადა ქალაქიდან სტუმრების ამოსვლა. მომავალი წლიდან კი საბაგირო გზაც გაიხსნება, რომელზეც 24 გონდოლა იმუშავებს და რუსთაველის გამზირიდან 5 წუთში ამოიყვანს დამსვენებლებს. მთაწმინდის პარკი ყოველთვის იყო კულტურისა და დასვენების ადგილი და გვინდა, რომ ამის პროპაგანდა მოვახდინოთ; აღდგეს ის ტრადიცია, რომ მთელი თბილისი, ყველა ასაკის ადამიანი საღამოს აქ ატარებდეს. ვაპირებთ, მთაწმინდის პარკში გავხსნათ საბავშვო ბაღი, რომელიც უნიკალური იქნება მთელ თბილისში — სუფთა ჰაერი, უამრავი ატრაქციონი და ყველაზე მხიარული ბავშვები.

— რა პერსპექტივები აქვს მთაწმინდის პარკს?

— ახალი ატრაქციონების შემოტანა მუდმივი პროცესია. ჩვენი პარკი გაერთიანებულია მსოფლიო პარკების ასოციაციაში, რაც გვაძლევს საშუალებას, ყველა სიახლე, რაც მსოფლიოში ინერგება, ჩვენს პარკშიც შემოვიტანოთ. ვაპირებთ, საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსიც გავაკეთოთ. მთაწმინდაზე ცურვა, ვარჯიში და მზეზე გარუჯვა, საუკეთესო სიურპრიზი იქნება თბილისელებისათვის. სპორტული კომპლექსის გვერდით ვაპირებთ, გავაკეთოთ სათხილამურო ტრასა, რომელიც სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს ზამთარ-ზაფხულ საშუალებასმისცემს ისრიალონ შეუზღუდავად.

— როგორ ხდება პარკში არსებული ატრაქციონების ტექნიკური შემოწმება და უსაფრთხოების ზომების დაცვა?

— ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რაზეც 24 საათიანი მუშაობა მიდის. გვყავს სპეციალური ტექნიკური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უცხოელი სპეციალისტი. ეს ჯგუფი ყოველდღიურად, ატრაქციონების ჩართვამდე, ახდენს შემოწმებას. უკვე შემოწმებულ ატრაქციონს კიდევ ერთხელ ამოწმებს უსაფრთხოების სამსახურის ჯგუფი და ყოველივე ამის შემდეგ ირთვება ატრაქციონი. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ ჩამოგვყავს უცხოური კომპანია, რომელიც ტექნიკურ მდგომარეობას საგულადაგულოდ სწავლობს და გვაძლევს ლიცენზიას. ასე რომ, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი პარკის სტუმრების უსაფრთხოება, კომფორტი და კმაყოფილება.

■ ანჯელინა ჯოლი

ანჯელინა ჯოლი ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავია

ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ ჰოლივუდის ყველაზე გავლენიანი 100 მსახიობი ქალი დაასახელა. პირველობა ამჯერად ანჯელინა ჯოლიმ მოიპოვა, რომლის სახელი და გვარი წლებია, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან არ ჩამოდის. მისი თითოეული ნაბიჯი დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. მას შემდეგ, რაც მსახიობმა მკერდი კიბოს მაღალი რისკის გამო მოიკვეთა, ქალები, ვინც ანალოგიური რისკის ქვეშ არიან, უფრო თამამად თანხმდებიან ოპერაციას.

მეორე ადგილი ჯენიფერ ლოურენსმა დაიკავა, რომელმაც ოსკარი მიიღო ფილმისათვის „ჩემი ბოიფრენდი ფსიქოპათია“. მესამე ადგილი კი ჯენიფერ ენისტონს ხვდა წილად. ის ამავდროულად ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მსახიობია რომანტიკული კომედიების ჟანრში და ყვითელი პრესის ყველაზე აქტიური პერსონაა.

ჰოლივუდის გავლენიანი ვარსკვლავი ქალების ხუთეულში ასევე შევიდნენ კრისტენ სტიუარტი და გვინეტ პელტროუ.

73 წლის ტინა ტერნერი გათხოვდა

73 წლის მომღერალმა ტინა ტერნერმა ცხოვრება ოფიციალურად დაუკავშირა 56 წლის პროდიუსერს, ერვინ ბახმს. წყვილი უკვე 27 წელია, ერთად ცხოვრობს, თუმცა ტინამ გათხოვების გადაწყვეტილება ამა წლის მარტში მიიღო.

საქორწილო ცერემონიალი შვეიცარიაში, ციურიხში შედგა, სადაც ტინა და ერვინი ცხოვრობენ. 27 წლის განმავლობაში ერვინმა საყვარელ ქალს ხელი არაერთხელ სთხოვა, მაგრამ ტინას საკურთხეველთან მისვლა არ სურდა. გარდა იმისა, რომ მას უიღბლო ქორწინების გამო ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობა ჰქონდა დაკარგული, ერვინთან ასაკობრივი სხვაობაც აფიქრებდა. ტერნერს არაერთ ინტერვიუში უთქვამს, რომ 17 წლიანი სხვაობა დროთა განმავლობაში მათ სიყვარულზე ნამდვილად მოქმედებდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ შიშმა არ გაამართლა და 73 წლის პატარძალი თვალებგაბრწყინებული გაჰყვა ცოლად საყვარელ მამაკაცს.

ტინა ტერნერი პირველად 1958 წელს გათხოვდა. ქმარი აიკ ტერნერი ცოლს ხშირად სცემდა. ერთ-ერთი მორიგი სკანდალის შემდეგ ტინა მისგან ისე წავიდა, რომ ჯიბეში მხოლოდ 36 ცენტი ჰქონდა. თავისი ცხოვრების მეორე დიდი სიყვარული, ერვინი, 1985 წელს ლონდონის აეროპორტში გაიცნო. თავდაპირველად წყვილი ლონდონში ცხოვრობდა, შემდეგ კიოლნში გადავიდნენ, საბოლოოდ კი ციურიხში დასახლდნენ. რამდენიმე თვის წინ ტერნერმა განაცხადა, რომ უარს ამბობს ამერიკის მოქალაქეობაზე, იმისათვის, რომ შვეიცარიის მოქალაქე გახდეს.

ბიონსეს გოგო მამის ასლია

■ ბიონსე ქმარ-შვილთან ერთად

მსოფლიო შოუბიზნესის ყველაზე შემოსავლიანი წყვილის, ბიონსესა და ჯეი ზის ქალიშვილი ბლიუ აივი სულ უფრო მეტად ემსგავსება რეპერ მამას. ცოტა ხნის წინ ვარსკვლავური ოჯახი პაპარაცებმა ტორონტოში ერთ-ერთი რესტორნიდან გამოსვლისას დააფიქსირეს. პრესა მეორე დღესვე აჭრელდა სათაურებით: „ბლიუ მამის ასლია“. ასეთმა აჟიოტაჟმა ბიონსე გააღიზიანა და საპასუხოდ თავის ბლოგზე დაწერა, რომ ბლიუ ორივეს ძალიან ჰგავს. გოგონა 2012 წლის 7 იანვარს დაიბადა. მთელ სამშობიაროში ექიმებს და ტექნიკურ პერსონალს მობილური ტელეფონები ჩამოართვეს, რომ ვინმეს ახალშობილისთვის ფოტო არ გადაეღო. ვარსკვლავურ წყვილის შვილის დაბადება 1.3 მილიონი დოლარი დაუჯდა.

რობერტ დაუნი უმცროსი ყველაზე შემოსავლიანი მსახიობია

ჟურნალმა „ფორბსმა“ ჰოლივუდის ყველაზე მდიდარი და შემოსავლიანი მსახიობი მამაკაცების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგის სათავეში რობერტ დაუნი უმცროსი მოექცა. ერთი წლის განმავლობაში მისი ბიუჯეტი 75 მილიონი დოლარით შეივსო. ეს თანხები მან ფილმებით „რკინის ადამიანი“ და „შურისმაძიებელი“ მოიპოვა.

■ რობერტ დაუნი უმცროსი

მეორე ადგილი ახალბედა მამამ, ჩენინგ ტატუმმა დაიკავა. ერთი წლის განმავლობაში მან 60 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ამაში დიდი როლი ითამაშა ფილმებმა „სუპერ მაიკი“ და „თეთრი სახლის დაცემა“.

მესამე ადგილი კი ჰიუ ჯეკმანს ხვდა წილად, რომელმაც თავისი ფილმებით 55 მილიონი გამოიმუშავა.

მდიდარი მსახიობი მამაკაცების ათეულში ასევე მოხვდნენ მარკ უოლბერგი, ადამ სენდლერი, ტომ კრუზი, დენზელ ვაშინგტონი და ლეონარდო დიკაპრიო.

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

ყველაზე მოსიყვარულე წყვილები

ამერიკულმა ჟურნალმა „ფემილიმ“ ყველაზე მყარი, სტაბილური და მოსიყვარულე ჯარსკვლავური წყვილები გამოავლინა და მათი ფრაზები ამოკრიბა, სადაც ისინი ერთმანეთზე, სიყვარულსა და ოჯახურ ურთიერთობებზე საუბრობენ.

დევიდ და ვიქტორია ბექჰემები

ვიქტორია:

— მე და დევიდი ერთმნიშვნელოვნად ერთმანეთისთვის ვართ შექმნილები. 10 წელზე მეტია, ჩვენი ოჯახი არსებობს და დღესაც კი, როცა დევიდს ვუყურებ, ვამბობ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზი მამაკაცი, რა მაგარი ქმარი და მამაა. გამიმართლა, ასეთი ქმარი რომ მყავს.

დევიდი:

— ჩვენი ოჯახური ცხოვრება ერთი დიდი რომანტიკაა. ყოველ დღე ვწერთ ერთმანეთს წერილებს, ვუმზადებთ საუზმეს... ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი სურვილები მუდმივად ემთხვევა ერთმანეთს. მე ვიქტორიას 100%-ით ვენდობი.

ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი

ანჯელინა:

— მთელი ცხოვრება ერთი მამაკაცი მიყვარდეს, ვიზრუნო მასზე, ვიყო მისი საუკეთესო მეგობარი და გავზარდო მისი შვილები — აი, ესაა ჩემი მიზანი ბრედთან თანაცხოვრებისას.

ბრედი:

— იცით, რას ნიშნავს ჩემთვის იყო ცოლიანი? შესაძლებლობას, რეალურად ვიყო ის, ვინც ვარ და ვჭამო ნაყინი პირდაპირ საწოლში.

მონიკა ბელუჩი და ვენსან ჯასელი

მონიკა:

— სიყვარული ერთმანეთის თავისუფლების პატივისცემის ხარისხზეა დამოკიდებული. თუ ერთი ადამიანი მეორეს, როგორც ნივთს, ისე მოექცევა და შეზღუდავს მის პირად თავისუფლებას, ეს ყველაზე ძლიერ სიყვარულსაც დაანგრევს.

ვენსანი:

— ცოტა ხნის წინ ჩემთვის რომ ეკითხათ, აპოკალიფსამდე 5 წუთია დარჩენილი და რას გააკეთებდიო, ვიტყოდი, პარაშუტით გადმოვხტებოდი და პლანეტის დაღუპვას ასე შევხვდებოდი-მეთქი. ახლა კი ერთმნიშვნელოვნად ვიტყვი, რომ იმ 5 წუთს ჩემი ცოლის მკლავებში გავატარებდი.

პენელოპა ჯრუსი და ხავიერ ბარდემი

პენელოპა:

— ჩემი და ხავიერის ქორწინება გააზრებული გადაწყვეტილებაა. მე ადრეც მქონდა მშვენიერი ურთიერთობები მამაკაცებთან, მაგრამ ახლა ყველანი კარგი მეგობრები არიან და ის ყველაფერი ლამაზი წარსულია. მხოლოდ ხავიერმა შეძლო, გამხდარიყო ჩემი ცხოვრების მამაკაცი და ჩემი შვილების მამა.

ხავიერი:

— ბედნიერი ვარ ქორწინებაში. მაგარი ყოფილა, როცა ისეთი ცოლი გყავს, როგორიც პენელოპაა.

კიმ კარდაშიანი დედობრივ ინსტინქტებზე ალაპარაკდა

ამერიკული რეალითი შოუს ვარსკვლავი, სკანდალური კიმ კარდაშიანი ერთი თვეც არ არის, რაც გოგონას, ნორსის, დედა გახდა. ახლა კიმი პრესასთან დედობრივ ინსტინქტებზე ალაპარაკდა.

■ კიმ კარდაშიანი

— მოხდა ყველაზე დიდი საოცრება და მოვლენა ჩემს ცხოვრებაში — დედობით ვტკბები. შეუდარებელი ყოფილა ეს ამპლუა. მთელი ჩემი ცხოვრება დამავიწყა ამ პატარა არსებამ. აღარც კი მახსოვს, თუ ოდესმე ვინმეს რამე უწყენინებია ჩემთვის. ჩემს შვილს მსოფლიოში ყველაზე მაგარი დედ-მამა ჰყავს, — ამბობს კიმი.

ბავშვის ფოტოს კარდაშიანის ოჯახი საგულდაგულოდ მალავს. პაპარაცების თვალის ასახვევად კიმის დედა, კრის ჯენერი, სახლიდან სხვა ბავშვით ხელში გამოდის ხოლმე. სამაგიეროდ თამამად ლაპარაკობს კიმის ქორწილზე, რომელიც უახლოეს ხანში შედგება:

— დიახ, სულ მალე კიმი ცოლად კენი უესტს გაჰყვება. ცერემონიალი ისეთი გრანდიოზული არ იქნება, როგორიც პირველი ქორწინებისას იყო (კიმისა და კრის ჰამფრის ქორწილი). ეს ლამაზი დღე უფრო ოჯახური დღესასწაული იქნება, ვიდრე ელიტური მოვლენა.

საპროთეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი (სორქ ფონდი)



რომელიც 2012 წლის აპრილამდე ღუდუშაურის კლინიკის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა, ამჟამად ახალ მისამართზეა: **კედიას (ყოფილი კახოვკის) ქუჩა №4.** ჩვენს ორგანიზაციაში მომსახურების ხარისხის კონტროლი ISO 9001 : 2008 სტანდარტის შესაბამისად ხორციელდება, რაც უპრეცედენტოა რეგიონის მასშტაბით, ხოლო პაციენტებს ემსახურებიან პროთეზისტ-ორთეზისტთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ დიპლომირებული პროფესიონალები. შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 სთ-მდე.

www.gefpor.ge ortho@gefpor.ge ☎ 2520073, 2522899

ელი საბის სასწაულები

ლიბანელმა დიზაინერმა ელი საბმა 2013 წლის საზაფხულო კოლექცია ჩვეული არისტოკრატიზმითა და ფუფუნებით წარმოადგინა. საღამოს კაბებს კოქტეილის კაბები ენაცვლებოდა, ელეგანტურ კოსტიუმებს კი — ჰაეროვანი ბლუზონები და მოდური შორტები. კოლექციის დათვალიერებისას ყველა აღფრთოვანებული დარჩა ფერთა მრავალფეროვნებით, უჩვეულო დეტალებითა და აქსესუარებით.

„ეს კაცი ქალის გარდერობში სასწაულებს ახდენს. მის სამოსს მანდილოსნები ზენიტში აჰყავს“, — წერდა მეორე დღეს იტალიური პრესა.

გუგა კუზანოვი: „ჰოლანდიელი ქალების ფონზე თავი ყველაზე დაბალი მეგონა“

„მე და ჩემი ცოლი ბარსელონაში დავიკარგეთ“

ვლასტიკური ქირურგი გუგა კუზანოვი მუდმივად მოგზაურობაშია. ეს მისი საყვარელი პროცესია. როცა საზღვარგარეთ საქმიანი ვიზიტით მიემგზავრება, იმდენად დატვირთული რეჟიმი აქვს, რომ უცხო ქალაქის დათვალიერებას ნაკლებად ახერხებს. მისთვის ნამდვილი მოგზაურობა დასვენებასთან ასოცირდება. ბევრისგან განსხვავებით, ცოლ-შვილთან ერთად საზღვარგარეთ წასვლა გუგასთვის დიდი სიამოვნებაა. მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარი კინკლაობას მოგზაურობაშიც ახერხებენ, მიაჩნია, რომ ცოლი, ნინო ნადირაძე მისთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრია. უცხო ქვეყანაში ყველაფერი აინტერესებს, ისტორიიდან დაწყებული იქაური სამზარეულოთი დამთავრებული. ამ ზაფხულს ჯერ ბოდრუმში აპირებს მანქანით გამგზავრებას, შემდეგ კი მეუღლესთან ერთად იტალიას მიაშურებს.

— ბატონო გუგა, ისეთი პროფესია გაქვთ, ალბათ მოგზაურობით განებივრებული იქნებით.

— გეთანხმებით. ჩემი მოგზაურობა სამსახურს უკავშირდება. თვეში ერთელ მაინც მივდივარ საზღვარგარეთ, ძირითადად კონგრესებზე ან ოპერაციებზე. ოპერაციების 80%-ს აზერბაიჯანში ვაკეთებ, 20%-ს კი ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

— პროფესიული მოგზაურობა რამდენად საინტერესოა თქვენთვის?

— საზღვარგარეთ იმდენად ხშირად დავდივარ, რომ ამას მოგზაურობას ვერც დავარქმევ, ჩვეულებრივი გადაადგილებაა. ერთ საათში ბაქოში რომ ჩავფრინდები, თავს სხვა ქვეყანაში ვერ ვგრძნობ. რასაც ნამდვილად მოგზაურობა ჰქვია, ალბათ დასვენებასთან უნდა იყოს შერწყმული, რომ სიამოვნება მიიღო. როცა საქმიანი ვიზიტით მივემგზავრები, იმდენად დატვირთული გრაფიკი მაქვს, დასვენება რთულია, მაგრამ საღამოობით მაინც ვახერხებ ხოლმე.

— ანუ, მუხედავად საქმისა, უცხო ქალაქის დათვალიერებას მაინც ასწრებთ?

— რა თქმა უნდა. საერთოდ, მოგზაურობა და ახლის ნახვა ძალიან მიყვარს. აფრიკაშიც კი ვარ ნამყოფი. ჩინეთში, იაპონიასა და კორეაში არ ვყოფილვარ, მაგრამ იმედი მაქვს, იქაც მოვხვდები.

— აფრიკაშიც საქმესთან დაკავშირებით იყავით?

— კი, მაგრამ იქ საკმაოდ ბევრი დრო მქონდა. აფრიკა აბსოლუტურად სხვა რამაა, საერთოდ არაფერს ჰგავს, განსაკუთრებული კონტინენტია. განაში ვიყავი. ერთი მხრივ, საოცრად ღამაზია, მეორე მხრივ — ძალიან ღარიბი ქვეყანაა. იქაური ბუნება ხომ სასწაულია! აფრიკამ თავი იმით დამამახსოვრა, ღამით ცაში რომ ავიხედავდი, უზარმაზარი ვარსკვლავები ჩანდა. მეგონა, ცასთან ძალიან ახლოს ვიყავი. აფრიკაში კულტურულს ვერაფერს ნახავთ, მაგრამ ევროპაში უამრავი საინტერესო რამ ხდება.

— თქვენი აზრით, რითია გამორჩეული ევროპის ქვეყნები?

— ევროპის ყველა ქვეყანა მეტნაკლებად ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ყველას თავისი ხიბლი აქვს. ამბობენ, პარიზზე ღამაზი ქალაქი არ არსებობს, სიყვარულის ქალაქიაო... მართლა ძალიან ღამაზია, მაგრამ ჩემზე შთაბეჭდილება სანკტ-პეტერბურგმა უფრო მოახდინა, ვიდრე პარიზმა. სხვა ქვეყნებიდან არაერთი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ საქართველოს დატოვება ვერ შევძელი. თუ ოდესმე სხვა ქვეყანაში ცხოვრება მომიხდა, სიამოვნებით წავალ ბარსელონაში.

— ბარსელონამ ასეთი ინტერესი რით დამამახსოვრა?

— არც ისე დიდი, ღამაზი ქალაქია. ხალხი უფრო თბილია, ვიდრე პარიზსა და სანკტ-პეტერბურგში. გაუდის შენობები განსაკუთრებულია. ზღვა, ულამაზესი მოედნები, დიდი ქუჩები, გაუდის უზარმაზარი პარკი ერთ დიდ მშვენიერებას ქმნის. ამ პარკში დგას სახლი, სადაც გაუდი ცხოვრობდა.

— უცხო ქალაქების ქუჩებში მარტო ხეტიალი ვიყვართ?

— მარტო მოგზაურობა არ მიყვარს და იშვიათად თუ მივდივარ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ მარტო მოგზაურობა. ჩემთან ერთად კი ან მეუღლე უნდა იყოს, ან — შვილები.

— თქვენი მეუღლე რამდენად კომფორტული თანამგზავრია?

— ნინო კომფორტული თანამგზავრი რაღაც პერიოდამდეა, შეიძლება მხოლოდ ორი დღე. მესამე დღეს კი უკვე წუწუნს იწყებს, ფეხით სიარული აღარ შემიძლია, დავიღალეო. ინტერნეტში წინასწარ ვნახულობ, რომელ ქალაქში რა უნდა დავათვალიერო, რასაც ნინოზე ვერ ვიტყვი. ბარსელონაში მესამე დღეს გაუდის პარკში წავედით, იმდენი იწუწუნა, ტაქსი გავაჩერეთ და სასტუმროში დავბრუნდით, მაგრამ თუ სავაჭრო ცენტრში შევიდა, დაღლა საერთოდ აღარ ახსოვს.

— ცოლს საყიდლებზე დაჰყვებით?

— კი, მაგრამ ეს პროცესი საშინლად არ მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ჩაცმის დიდი მოყვარული ვარ. როცა ნინო საყიდლებზე დადის, მე სადმე ველოდები. ნინო ყველაზე ბევრს ფეხსაცმელს ყიდულობს. თუ ერთად ვართ, რჩევას მეკითხება, თუ არადა, ფაქტის წინაშე დამაყენებს ხოლმე. ამ საკითხზე კინკლაობის მიუხედავად, ვთვლი, რომ მაინც კომფორტული თანამგზავრია, ერთმანეთს მოგზაურობაშიც ძალიან შევეჩვიეთ.

— საზღვარგარეთ შვილებთან ერთად წასვლას რამდენად შეიძლება მოგზაურობა ეწოდოს?

— ზოგი ხომ წუწუნებს, აუ, ახლა ბავშვს ეძინება, ის ან ეს უნდაო, მე პირიქით ვარ, მიყვარს ცოლ-შვილთან ერთად მოგზაურობა და მათზე ზრუნვა. სადაც ჩავდივართ, სულ მინდა, რაღაც დავათვალიერებინო.

— ალბათ მუზეუმების ხშირა სტუმარიც ხართ.

— შეძლებისდაგვარად. სანკტ-პეტერბურგში ერმიტაჟის, პარიზში ლუვრისა და ვერსალის მუზეუმები ისტორიაა. ვიდექი და ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“ ნახევარი საათი ვუყურებდი. მე უფრო ისტორიული მომენტები მიყვარს. მაგალითად, სადაც ნაჩვენებია, მე-17-19 საუკუნეებში პარიზში რა ხდებოდა, როგორი ცხოვრება იყო, მეფეები როგორი ჩაცმულები დადიოდნენ. ლუვრის დასათვალიერებლად 3 დღე მაინც გჭირდება. ჩვენ კი ამ ყველაფერს 3-4 საათში ვახერხებთ. ლონდონში არ ვარ ნამყოფი. ჩემი ძმისგან ვიცი, რომ ფანტასტიკურია ბრიტანული მუზეუმი, სადაც ის ყველაფერია გამოფენილი, რაც ინგლისელებმა ინდოეთიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოიტანეს. ეს ყოველივე უფრო მაინტერესებს. ნინო კარგად ხატავს და შესაბამისად სურათების დათვალიერება უყვარს. სულ ამბობდა, მინდა, ვან გოგის სურათი ორიგინალში ვნახოო. ორსეს მუზეუმში რომ მოვხვდით, ვან გოგის ნახატთან ზუსტად 1 საათი იდგა და უყურებდა. ისეთი ფერთა შეხამებაა, რომ... ის კაცი ალბათ მართლა გენიოსი იყო.

> „აფრიკამ თავი იმით დამამახსოვრა, ღამით ცაში რომ ავიხედავდი, უზარმაზარი ვარსკვლავები ჩანდა. მეგონა, ცასთან ძალიან ახლოს ვიყავი“.

— უცხო ქვეყანაში დაკარგულხართ?

— კი, ერთხელ ნიუ იორკში დავიკარგე და ერთხელ — ბარსელონაში. ამერიკაში გზა მალე გავიკვლიე, ბარსელონაში კი კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. იქ მე და ნინო დავიკარგეთ. მას ხომ ტოპოგრაფიული კრეტინიზმი სჭირს, მარჯანიშვილის ქუჩაზეც შეიძლება დაიკარგოს! ჩვენ სულ ვჩხუბობთ, მაგრამ მალევე ვრიგდებით. ბარსელონაში შუა ქუჩაში ვიჩხუბეთ, მოვტრიალდი და ჩემს გზაზე წამოვედი. ნახევარ საათში გამახსენდა, რომ ნინო გზას ვერ გაიგებდა და არც ტელეფონი ჰქონდა. ავნერვიულდი, შუა ბარსელონაში სად მოვძებნო-მეთქი. ამასობაში მივხვდი, რომ მეც დავიკარგე, ვიწრო ქუჩებიან უბანში ბევრი ვიბოდიალე. ტაქსი გავაჩერე, სასტუმროს სახელი ვუთხარი, შევედი სასტუმროში და რას ვხედავ! ნინო უკვე იქ იყო. მერე მეკაიფებოდა, მე მჭირს ხომ ტოპოგრაფიული კრეტინიზმი, ბარსელონაში სასტუმროს მივაგენიო.

— ამერიკაზეც მოგვიყვეთ, რა ემოციები დაგიტოვათ ამ ქვეყანამ?

— ამერიკაში პირველად 1989 წელს მოვხვდი. მაშინ ეს საკმაოდ რთული

→43

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ამსტერდამში

საქმე იყო. მოსკოვში ჩასვლა მოგვიწია და „კგბ“-ს სამთვიანი შემოწმება გავიარეთ. ნათესავის მოწვევით, უბრალოდ ამერიკის დასათვალიერებლად წავედი. ბოლოს ამერიკაში 2000 წელს ვიყავი, მაგრამ პირველი ჩასვლა განსაკუთრებული იყო. საბჭოთა პერიოდში ნიუ იორკში მოხვედრა სულ სხვა გახლდათ. მოგეხსენებათ, მაშინ ჩვენს ქვეყანაში მაღაზიაში არაფერი იყიდებოდა, საწვავი არ იშოვებოდა, ელექტროენერგია არ გვქონდა... ამ ყველაფრის ფონზე კი სხვა პლანეტაზე მოვხვედი! უზარმაზარი შენობები და სისუფთავე... ფორესტ ჰილში (ტყის უბანი) ვცხოვრობდით, მილიონერების უბანში. ეს გვინდოდა კიდევ?!

„მასობრივად ღამაზი ქალები უკრაინასა და რუსეთში ჰყავთ. იტალიელი ქალები უფრო მოვლილები არიან, რასაც ფრანგებზე ვერ ვიტყვი. ვერც ესპანეთში წავაწყდი ღამაზ ქალს".

მაღაზიებში პირდაღებულები დავდიოდით.

მეორედ რომ ჩავედით, ჩვენს ქვეყანაში უკვე ყველაფერი იყო. ამის ფონზე ამერიკაშიც იგივე დამხვდა, ოღონდ ასჯერ მეტი. ნიუ იორკს თავისი ხიბლი აქვს, ეს არ გახლავთ ძველი ქალაქი, სულ რაღაც 200 წლისაა. საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში ძველ კულტურას თუ ნახავთ, ნიუ იორკი ძველი კულტურით ვერ გაგაოცებთ, თანამედროვეა. მანჰეტენზე თუ მოხვდებით, სადაც უამრავი შენობა და ოფისია, ხალხი ჭიანჭველებივით დადის. „ფორესტ ჰილში“ კი თავს ამერიკაში ვერ იგრძნობთ. ორსართულიანი ვილები დგას, მანქანა ნახევარ საათში ერთხელ თუ გაივლის, სრული სიმშვიდეა. იმ პერიოდში ამერიკაში უფრო მეტად რუსები და ებრაელები მხვდებოდნენ, ვიდრე ქართველები. ჩვენი სახლის გვერდით ძალიან ლამაზი სახლი იდგა. მითხრეს, რომ იქ ბაგრატიონების შთამომავლები ცხოვრობდნენ. ისინი ამერიკაში 1915 წელს დასახლებულან და მხოლოდ გვარიღა შერჩათ. ქართულად არ ლაპარაკობენ, რომ შეხედავთ, ტიპური ამერიკელები არიან. უბრალოდ იციან, რომ მათი ბაბუა ოდესღაც პატარა ჯორჯიაში ცხოვრობდა. ამერიკელებისთვის არსებობს ამერიკა, სადღაც ევროპაა, იციან ჩინეთი და დიდი რუსეთი.

— რამდენად კომუნიკაბელურები არიან ამერიკელები?

— ამერიკაში ყველა ერის წარმომადგენელი ცხოვრობს. ზანგი პრეზიდენტიც კი გახდა. ამერიკელები, ევროპელებზე ადვილად შედიან კონტაქტში. პარკში თუ დაჯდებით, ვიღაცას შეუძლია გვერდით მოგიჯდეთ, მოგიკითხოთ, გაგესაუბროთ, დაგემშვიდობოთ და წავიდეს. მახსოვს, ვიღაცეები კალათბურთს თამაშობდნენ და მეც დამიძახეს. ასეთი ხალხია ამერიკელები.

— ყველაზე ლამაზი ქალები რომელ ქვეყანაში ნახეთ?

— არაერთხელ აღვნიშნე, რომ მასობრივად ლამაზი ქალები უკრაინასა და რუსეთში ჰყავთ. სიმართლე გითხრათ, საფრანგეთში მახინჯი ქალები ჭარბობს, შეიძლება ერთ-ორი გამოჩნდეს ლამაზი. იტალიელი ქალები უფრო მოვლილები არიან, რასაც ფრანგებზე ვერ ვიტყვი. იტალიელებს ასეთი გამოთქმა აქვთ, თუ ლამაზი ქალი ხარ, ქუჩაში რა გინდა, ტელევიზიაში უნდა იჯდეო. ვერც ესპანეთში წავაწყდი ლამაზ ქალს. ჰოლანდიაში იმ სიმაღლე ქალები დააძაგუნებდნენ, თავი ყველაზე დაბალი მეგონა.

ნინო და გუგა რიგაში

— საზღვარგარეთ რესტორნებს სტუმრობთ ხოლმე?

— აუცილებლად და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დავნაყრდე, უცხო ქვეყნის სამზარეულო მაინტერესებს. ამერიკაში ვერ გავიგე, რას ჭამდნენ, იქ ყველაფერს მიირთმევენ. საფრანგეთში ძალიან გემრიელი და ძვირი სამზარეულოა. ესპანური სამზარეულოც მომწონს. კვების პრობლემა არსად შემქმნია. არსებობენ ადამიანები, სადაც უნდა მოხვდნენ, მხოლოდ თავიანთი ქვეყნის სამზარეულოს რომ ითხოვენ. ჩემი ცოლიც ასე იყო, სანამ გავიცნობდი. ღომის, ხაჭაპურის და საცივის იქით თუ რამე არსებობდა, არც აინტერესებდა. მე კი ყოველთვის ყველაფრის დაგემოვნება მომწონს. მხოლოდ ტარაკანზე ვთქვი უარი. გველი, ბაყაყი და ლოკოკინა ინტერესის გამო გავსინჯე, ოღონდ ვერ გეტყვით, რომ გავგიჟდი. ნინო უკვე ჩემს ყაიდაზე გადმოვიყვანე, სადაც ჩავდივართ, ადგილობრივი სამზარეულო აუცილებლად უნდა დავაგემოვნოთ. მე და ნინო ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებში ძალიან ხშირად დავფრინავთ. ლატვიაშიც,

„ამბობენ, ჰარიზზე ღამაზი ქალაქი არ არსებობს, სიყვარულის ქალაქია... მართლა ძალიან ღამაზია, მაგრამ ჩემზე მთაბეჭდილება სანტ-პეტერბურგმა უფრო მოახდინა".

ლიტვაშიც და ესტონეთშიც ღორის კულტია, როგორც გერმანიაში. ასეთი გემრიელი სოსისი და ძეხვი არსად გამისინჯავს. ლუდის მოყვარულიც გახლავართ. ყველაზე მაგარი, რაც ცხოვრებაში დამილევია, ჩეხური ლუდია. არავინ მითხრას, რომ დედამიწაზე ჩეხურზე მაგარი ლუდი არსებობს!

— თქვენ და თვითმფრინავი ცალკე სალაპარაკო თემაა?

— ფრენის ძალიან მეშინია და ამას არც უარვყოფ. არადა, ბავშვობაში საერთოდ არ მეშინოდა. მამაჩემი მოსკოვში მუშაობდა და 5-6 წლის ასაკში თვეში რამდენჯერმე მივფრინავდი მასთან. ბოლო პერიოდში კი, არ ვიცი, რა მჭირს, ფრენის პანიკური შიში მაქვს, რაც არანაირ შემთხვევას არ უკავშირდება. სიმაღლის ცხოვრებაში არ მეშინოდა და ახლა მეშინია. ამ დროს ცოტას ვსვამ. ნინოს ფრენის ისეთი შიში ჰქონდა, საერთოდ არ ჯდებოდა თვითმფრინავში. ახლა კი, დალევს თუ არა, შიში აღარ ახსოვს.

— ამ ზაფხულს სად აპირებთ გამგზავრებას?

— მე და ჩემი მეგობარი ოჯახებით ბოდრუმში მივდივართ, თან მანქანებით. საკმაოდ დიდი მანძილია, მაგრამ ასეთი ტური სპეციალურად ავირჩიეთ. ერთი დღით ბათუმში გავჩერდებით. გზადაგზა შევისვენებთ და როგორღაც ჩავალთ. მგონია, რომ ესეც გარკვეული დროსტარებაა. სექტემბრის შუა რიცხვებში კი მე და ნინო იტალიაში წავალთ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

ვატიკანი

ვატიკანი — 800 კაციანი სახელმწიფო რომის შიგნით

ევროპოლიოში ყველაზე პატარა ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანი უდიდესი კულტურის მატარებელია. ის წარმოადგენს კედლებშემორტყმულ ტერიტორიას რომში, იტალიის დედაქალაქში. ვატიკანის ფართობია 44 ჰექტარი, დაახლოებით 100 ფეხბურთის მოედნის ტოლია, მოსახლეობა კი 800 კაცზე ცოტათი მეტია. ვატიკანი მდინარე ტიბროსის დასავლეთ სანაპიროზეა, რაც მას ბუნებრივად გამოყოფს ქალაქ რომისაგან. მართალია, ვატიკანი ჯუჯა სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც საკუთარი გერბი, არმია, პრესა და ტელევიზია აქვს.

მცირე ისტორიიდან

ვატიკანს კედლები პირველად პაპმა ლეო მეოთხემ შემოარტყა, რაც შემდგომში პავლე მესამის, პიუს მეოთხისა და ურბან მერვის ზეობების

Cyan Magenta Yellow Black

პერიოდში გაფართოვდა და საბოლოოდ, თანამედროვე კედლის დამატებით დღევანდელი სახე მიიღო. სახელმწიფო 1.147 მილიარდი კათოლიკე ქრისტიანისთვის მთავარ ეპარქიას წარმოადგენს. ვატიკანი ეკლესიასტიკური სახელმწიფოა, რომელსაც რომის ეპისკოპოსი, ანუ პაპი მართავს. პაპის ოფიციალური ტიტული, როგორც ვატიკანის ლიდერისა, არის ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს სოვერენი.

ჯლიმატი

მაისიდან მოყოლებული, ვატიკანში საკმაოდ ცხელა. არნახული სიცხეები ივლისში იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება. ტემპერატურა ხშირად 45 გრადუსსაც აღემატება. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუ ზაფხულში ვატიკანის ქუჩებს დაცარიელებულს ნახავთ.

ვატიკანის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებაში სიცხემ ხელი რომ არ შეგიშალოთ, ქალაქ-სახელმწიფოს სექტემბერში უნდა ეწვიოთ. დეკემბერი საკმაოდ თბილია, რასაც ზამთრის დანარჩენ თვეებზე ვერ ვიტყვით. წვიმები მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად მოდის, თოვლი კი იშვიათობას წარმოადგენს.

ფული

ვატიკანი ევროპის იმ 23 ქვეყანას შორისაა, სადაც ევრო ოფიციალური ვალუტაა. მანამდე მიმოქცევაში იტალიური ლირა იყო. ვატიკანის ევრო ერთადერთია, რომელზეც გარკვეული ინსტრუქცია ლათინურ ენაზეა დაწერილი.

დოლარს ან სხვა ფულს, როგორც წესი, ბანკებში ბევრად უფრო მაღალი კურსით გადაგიხურდავებენ, ვიდრე ქუჩაში. ბანკომატები ქალაქის ყველა კუთხეშია და პრობლემა ნამდვილად არ შეგექმნებათ. რაც შეეხება საკრედიტო ბარათებს, მათ გამოყენებას ყველგან შეძლებთ.

ენა

ვატიკანის ოფიციალური ენა ლათინურია. ლათინური მკვდარი ენა (რომელზე მოსაუბრე ერებიც დღეს არ არსებობენ) გახლავთ და ვატიკანის ფარგლებგარეთ მისი გამოყენება აკადემიური და სამეცნიერო ხასიათისაა.

სახელმწიფო ენის გარდა, ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანი კარგად ფლობს ინგლისურს. საერთაშორისო ენის შემდეგ ყველაზე პოპულარული, რა თქმა უნდა, იტალიურია.

გადაადგილება

მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ვატიკანში მოსახვედრად ჯერ რომში უნდა ჩახვიდეთ. ტურისტების უმეტესობა უპირატესობას თვითმფრინავს ანიჭებს. ვატიკანს რომის უძველესი, ჩიამპინოს აეროპორტი ემსახურება. ჯუჯა სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილამდე ჩასვლა კი ავტობუსით ან ტაქსით შეგიძლიათ. რომის ცენტრიდან ვატიკანამდე 64 ნომერი ავტობუსი ყოველ ნახევარ საათში ერთხელ გადის, მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ ეს ტრანსპორტი სავსეა ჯიბის ქურდებით. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ტაქსი პირველ ადგილზეა, ოღონდ მისი დაქირავება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

თუ ვატიკანში 3 დღეზე მეტ ხანს აპირებთ დარჩენას, გირჩევთ, სამგზავრო ბარათი შეიძინოთ, რომლის ღირებულება 24 ევროა. მისი დახმარებით მუზეუმებში უფასოდ შეხვალთ, ავტობუსში კი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლებთ. გაითვალისწინეთ, რომ ავტობუსები ყოველთვის გადაჭედილია, მაგრამ იქ ასვლა სულაც არ დაგჭირდებათ, თუ კომფორტული ფეხსაცმელი გეცმევათ. ასეთ შემთხვევაში მთელი სახელმწიფოს ფეხით შემოსავლელად ერთი დღეც არ დაგჭირდებათ.

სამზახეული

ვატიკანის ეროვნულ სამზარეულოზე, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდია იტალიური სამზარეულოს გავლენა. ღვინო და ყველი ვატიკანის სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია. ადგილობრივები, როგორც თავად ამბობენ, ყველაზე გემრიელ და განსხვავებულ კერძებს ამზადებენ. პირველ რიგში, გირჩევთ, საფირმო კერძი პოლენტა გასინჯოთ, შემდეგ კი უკვე შეგიძლიათ კალცონეც დააგემოვნოთ. ეს გახლავთ ხაჭაპურის მსგავსი, პიცის ცომითა და ხორცით დამზადებული საჭმელი. ხორცის ნაცვლად შეიძლება იყოს ყველი ან ბოსტნეული. სენდვიჩის ზომის კალცონეს ნებისმიერ სწრაფი კვების ობიექტში შეიძენთ, გარდა ამისა, ქუჩის ჯიხურებიდანაც ყიდიან, ვინაიდან მისი ჭამა სიარულის დროსაც ადვილია.

■ წმინდა პეტრეს ტაძარი

■ წმინდა პეტრეს მოედანი

სასმელებიდან ვატიკანში ყავა ლიდერობს. ადგილობრივებისათვის დილით ყავის დალევა ერთგვარი რიტუალია. ნებისმიერ რესტორანსა თუ კაფეში, პირველ რიგში, „ნორმალეს“ ან „ესპრესოს“ მოგართმევენ.

ალკოჰოლიდან, რა თქმა უნდა, მეზობელი იტალიის ღვინოს მათთვის ბადალი არ აქვს. იტალიელები ნებისმიერ კერძთან შესაფერის ღვინოს მიირთმევენ. ამ მხრივ „დელიკასა“ შეუდარებელია, რადგან ის ყველა სახის კერძთან კარგია.

ღირსშესანიშნაობები

ვატიკანი პოპულარული ადგილია ტურისტებისთვის, განსაკუთრებით კი ქრისტიანებისთვის, რომელთაც რომის პაპის ნახვის სურვილი აქვთ. პილიგრიმები ჯუჯა სახელმწიფოს ხშირად სტუმრობენ, განსაკუთრებით შობასა და აღდგომის დღესასწაულებზე. გარდა ამისა, მომლოცველთა რიცხვი იზრდება პაპის დაკრძალვაზე ან ახალი პაპის არჩევისას.

ტურისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წმინდა პეტრეს ტაძარი, წმინდა პეტრეს მოედანი, ვატიკანის მუზეუმები და რაფაელის ლოჟა. აღსანიშნავია, რომ ტურიზმი ვატიკანის ეკონომიკის ძირითადი წყაროა.

წმინდა პეტრეს ბაზილიკა მსოფლიოში უდიდესი ქრისტიანული ტაძარია, მას 23.000 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს და 60.000 ადამიანს იტევს. ტაძარი ქრისტიანობის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილად ითვლება. აქ დაკრძალულია პეტრე მოციქული (იესოს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი), რომლის სახელსაც ტაძარი ატარებს. მიიჩნევა, რომ მისი სამარხი ტაძრის საკურთხევლის ქვეშაა.

მსოფლიოში უდიდესი ვატიკანის მუზეუმი მე-16 საუკუნეში რომის პაპმა იულიუს მეორემ დააარსა. ვატიკანის ისტორიული მუზეუმი ლატერანის სასახლეში მდებარეობს და მასში ვატიკანის ისტორიასთან დაკავშირებული ექსპონატებია გამოფენილი.

ვატიკანის ბიბლიოთეკაში უძველესი ხელნაწერების მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი კოლექცია ინახება. ბიბლიოთეკა მე-15 საუკუნეში დააარსა რომის პაპმა ნიკოლოზ მეხუთემ.

სიქსტის კაპელა განთავსებულია სასახლეში, რომელიც რომის პაპის ოფიციალური რეზიდენციაა. მართკუთხა კაპელა სიმაღლეში 20,7 მეტრია. პირველი მესა სიქსტის კაპელაში 1483 წლის 9 აგვისტოს ჩატარდა, რომლის დროსაც აკურთხეს. პაპის სასახლეში აგრეთვე განთავსებულია რაფაელის ოთახები, გეოგრაფიული რუკების გალერეა, ჭაღების გალერეა, ეტლების დარბაზი, გრიგოლის ეგვიპტური მუზეუმი და რაფაელის ლოჟა.

არ შეიძლება ვატიკანის დატოვება მისი ბაღების მონახულების გარშე. ეს გახლავთ ურბანული ბაღები და პარკები, რომლებიც ვატიკანის ტერიტორიის ნახევარზე მეტზეა გადაჭიმული. ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით ბაღები შემოსაზღვრულია ქვის კედლებით. რადგანაც ბაღები და პარკები რენესანსისა და ბაროკოს პერიოდებში ჩამოყალიბდა, იქ მრავლადაა შადრევნები და ქანდაკებები.

უსაფრთხოების ნესები

ვატიკანი დანაშაულის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, რასაც ტურიზმი განაპირობებს. ტურისტებს ბრალი ედებათ სხვადასხვა მცირე ქურდობასა და ინციდენტებში. ადგილობრივებში ჰომოსექსუალების დანახვა საშინელ რეაქციას იწვევს, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ყველაზე დიდი ცოდვაა.

ვატიკანში მოკლე კაბით, შორტებით ან მოკლემკლავიანი პერანგებით შესვლა არ შეიძლება. მოსახლეობის 99% კათოლიკეა, ისინი ძალიან რელიგიურები არიან. სხვა რელიგიური აღმსარებლები თუ მათ რწმენაზე ან შეხედულებებზე საჯაროდ დაიწყებენ ლაპარაკს, ადგილობრივები საკუთარ საქციელზე პასუხს არ აგებენ.

უბის ნიგნაჯი

ქალაქ-სახელმწიფო — ვატიკანი;
ფართობი — 0,44 კვ.კმ;
მოსახლეობა — 824;
ვალუტა — ევრო;
ოფიციალური ენა — ლათინური.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რომელია თქვენი ბედნიერი ქვა?

ალბათ, რომელი ქვა უნდა ატაროთ, რომ ბედნიერება და წარმატება თქვენი თანამგზავრი იყოს? იმის მიხედვით, რომელ თვეში და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაიბადეთ, შეგიძლიათ სასურველი ქვები შეარჩიოთ:

იანვარი — ამ თვეში დაბადებულის თილისმა მუქი წითელი ძოწია. ასევე შეგიძლიათ ვარდისფერი კვარციც გამოიყენოთ;

თებერვალი — უპირატესობა იისფერ ამეთვისტოს მიანიჭეთ. ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ ამეთვისტო ადამიანს თრობისგან იცავს. ასევე შეგიძლიათ რძისფერი ონიქსიც გამოიყენოთ.

მარტი — რეკომენდებულია ცისფერი და მწვანე ტონალობის ქვები, მაგალითად, აკვამარინი. ითვლებოდა, რომ ის სისხლდენებს აჩერებს. ასევე მისაღებია ჰელიოტროპის გამოყენებაც.

აპრილი — პოეტური თვეა. მას ყველაფერი საუკეთესო შეეფერება. აპრილში დაბადებულთათვის ყველაზე სასურველი ქვა ალმასი ან ბრილიანტია, ასევე — ქარვა, პირველი მინერალი, რომლისგანაც სამკაულები დაამზადეს.

მაისი — ბედნიერება ზურმუხტს მოაქვს. ასევე სავსებით მისაღებია ქრიზოპრაზიც.

ივნისი — საუკეთესოა აქატი და მალაქიტი. მისაღებია მთვარის ქვა და მწვანე ელფერის ალექსანდრიტი.

ივლისი — ცხელი თვეა, შესაძლოა ამიტომაც წარმატების მომტანი ცეცხლოვანი ლალია და მოყვითალო-წითელი სერდოლიკი.

აგვისტო — შემოდგომა ახლოვდება, ამდენად, ქვის ფერებშიც ოქროსფერ-ყვითელი უნდა დომინირებდეს. მისაღებია ქრიზოლიტი, სერდოლიკი, ავანტიურინი და სარდონიქსი.

სექტემბერი — ამ თვეში დაბადებულებს წარმატებასა და ბედნიერებას მუქი ლურჯი საფირი, ლურჯი ლაზურიტი მოუტანთ.

ოქტომბერი — რეკომენდებულია სხვადასხვა შეფერილობის ტურმალინი და შავთეთრი ოპალი.

ნოემბერი — ცივი თვეა, მაგრამ მისი შესაფერისი ქვა ტოპაზია, რომელიც სითბოსა და ცეცხლს გულისხმობს.

დეკემბერი — წელიწადის დამამთავრებელი თვეა. ამ ზამთრის თვისთვის ყველაზე შესაფერისი იისფერი და მოყვითალო-მომწვანო ცირკონი, ასევე ფირუზი გახლავთ.

რაც შეეხება ზოდიაქოს ნიშნებს, მათ შემდეგი ქვები შეესაბამება:

ვერძი — ვარდისფერ-იისფერი ამეთვისტო;
კურო — აქატი;
ტყუპები — ბერილი;
კირჩხიბი — ზურმუხტი;
ლომი — სისხლისფერი ლალი;
ქალწული — იასპი;
სასწორი — ბრილიანტი;
მორიელი — ყვითელი ტოპაზი;
მშვილდოსანი — ფირუზი;
თხის რქა — მომწვანო-მოყვითალო ოპალი;
მერწყული — ლურჯი საფირი;
თევზები — მოყვითალო-მომწვანო ქრიზოლიტი.

ტესტი

რა გიშლით ხელს ბედნიერებაში?

1. როდესაც განვლილ ცხოვრებას აანალიზებთ, რა დასკვნამდე მიდიხართ?

ა) ჩემს ცხოვრებაში უფრო მეტი ცუდი იყო, ვიდრე კარგი.

ბ) ჩემს ცხოვრებაში უფრო მეტი კარგი იყო, ვიდრე ცუდი.

გ) ყველაფერი კარგადაა, კმაყოფილი ვარ ჩემი წარსულით.

2. რა ემოციები გეუფლებათ დაძაბული დღის ბოლოს?

ა) კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით.

ბ) ფიქრობთ, რომ ისეთი ნაყოფიერი დღე არ გქონდათ, როგორიც გინდოდათ.

გ) არ ღირს ნერვიულობა იმაზე, რაც უკვე მოხდა და მშვიდად იძინებთ.

3. როცა სარკეში იყურებით...

ა) ღმერთო ჩემო, დრო რა ულმობელია!

ბ) არცთუ ცუდად გამოვიყურები.

გ) ყველაფერი კარგადაა.

4. გაიგეთ, რომ ახლობელმა ლატარიაში გვარიანი თანხა მოიგო, რა რეაქცია გექნებათ?

ა) მე არასოდეს გამიღიმებს ბედი.

ბ) რატომ იმან და არა — მე?

გ) ერთხელ აუცილებლად მეც გამიმართლებს.

5. როდესაც ტელევიზიით რაიმე უსიამოვნო შემთხვევის შესახებ იგებთ, პირველ რიგში, რას გაიფიქრებთ ხოლმე?

ა) ალბათ ერთხელ მეც მოვხვდები ახალ ამბებში.

ბ) საბედნიეროდ, ეს ისტორია მე არ დამემართა.

გ) ყველაფერი რეპორტიორების მოგონილია.

6. რაზე ფიქრობთ ახალგაღვიძებული?

ა) არაფერზე.

ბ) იმ საქმეებზე, რაც იმ დღეს გაქვთ გასაკეთებელი.

გ) გიხარიათ, რომ ახალი დღე დაიწყო და ახალი სიურპრიზები გელით.

7. ახლობლებზე ფიქრობთ, რომ...

ა) ისეთი საინტერესოები სულაც არ არიან, როგორებიც გინდათ, რომ იყვნენ.

ბ) რა თქმა უნდა, მათაც აქვთ უარყოფითი თვისებები, მაგრამ, საერთო ჯამში, გარშემო კარგი ხალხი გყავთ.

გ) შესანიშნავი ადამიანები არიან.

8. როცა თავს სხვებს ადარებთ...

ა) თვლით, რომ სათანადოდ არ გაფასებენ.

ბ) თვლით, რომ სხვაზე უარესი არ ხართ.

გ) აშკარა ლიდერი ხართ და ამას ყველა აღიარებს.

9. რა განცდები გეუფლებათ, როცა წონაში იმატებთ?

ა) პანიკაში ვარდებით.

ბ) ყურადღებას არ აქცევთ.

გ) მაშინვე დიეტურ კვებაზე გადადიხართ.

შედეგები:

პასუხების „ა“ ვარიანტზე დაიწერეთ 0 ქულა, „ბ“-ზე — 1, „გ“-ზე — 2.

შედეგები:

17-18 ქულა — იმდენად ბედნიერი ადამიანი ხართ, რომ ხანდახან არც კი გჯერათ. ცხოვრებისეული პრობლემების მიუხედავად, შეგიძლიათ, იყოთ ბედნიერი და ხალისიანი.

13-16 ქულა — შეგიძლიათ იყოთ ბედნიერი. თქვენს ცხოვრებაში სიხარულს უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე სევდას. მამაციც ხართ და ყველაფერს ცივი გონებით უყურებთ. მოკლედ, ყველა პირობა არსებობს, რომ ბედნიერებაში ხელი არაფერმა შეგიშალოთ.

8-12 ქულა — ბედნიერება და უბედურება თქვენთვის 50/50-ზეა. რისი სურვილიც გაგიჩნდებათ, სასწორიც იმ მხარეს გადაიწევს. ცდილობთ, სირთულეები ადვილად დაძლიოთ. ყველანაირ პრობლემას წელში გამართული ხვდებით. ეს კი გეხმარებათ, მეტნაკლებად ბედნიერი იყოთ.

0-7 ქულა — ცხოვრებას შავი სათვალით უყურებთ. ფიქრობთ, რომ ბედმა უიღბლო ადამიანის როლი გარგუნათ. იმის უნარიც არ გაქვთ, რომ ბედის ნაჩუქარი სასიამოვნო სიურპრიზები გაითავისოთ. ეს კი სერიოზულად გიშლით ხელს ბედნიერებაში.

✓ მოამზადა ირმა გოგინაძემ

Cyan Magenta Yellow Black

როგორ დავამარცხოთ ქრონიკული დაღლა

სტრესები, დატვირთული სამუშაო გრაფიკი, უსასრულო საოჯახო საქმიანობა — ყველაფერი ერთმანეთს ემატება და უბრალოდ ძალა ქრება. მის ადგილს აპათია იკავებს. ამ სენის დამარცხებაში ხალხური საშუალებები დაგეხმარებათ.

დღეში არანაკლებ 1,5 ლიტრი წყალი დალიეთ. ორგანიზმში საკმარისი რაოდენობის წყალი ქრონიკული დაღლის დაძლევის პირველი საშუალებაა. წყალი თვლემას თავიდან აგაცილებთ, ორგანიზმს ტოქსინებისგან ასუფთავებს.

გამოიყენეთ კოჭას ნაყენი ან ჩაი. 100 გრამ კოჭას ფესვებს 0,5 ლიტრი არაყი დაასხით, ბნელ ადგილას 10 დღე თერმოსში გააჩერეთ. 14 დღის განმავლობაში თითო ჩაის კოვზი დილით და საღამოს მიიღეთ. ის შესანიშნავი მატონიზირებელი საშუალებაა. გარდა ამისა, კოჭა იმუნიტეტს ამაღლებს.

თუ რაიმე მიზეზით სპირტიანი ნაყენის მიღება არ შეგიძლიათ, კოჭას ჩაით შეანაცვლეთ. ფესვის ერთი ნაჭერი ჩვეულებრივი ჩაის მსგავად დააყენეთ.

რაციონში ჩართეთ დარიჩინი. დაუმატეთ ყავაში, წვენებში, კოქტეილში. ეს სანელებელი არამხოლოდ ძალას მატებს, ასევე ძლიერი ანტიდეპრესანტია.

დღეში არანაკლებ 30 წუთი სუფთა ჰაერზე ისეირნეთ. გასეირნება არამხოლოდ განწყობას ამაღლებს, ასევე გულ-სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემას ამშვიდებს.

ყოველდღიურად ერთი ბანანი ჭამეთ. ეს უნიკალური ხილი განწყობას ამაღლებს, ძალას მატებს, აგრეთვე ორგანიზმიდან შხამები და მძიმე ლითონები გამოაქვს.

წესად გაიხადეთ, ვახშმის მაგივრად, დაძინებამდე ნახევარი საათით ადრე, ერთი ჭიქა თაფლიანი კეფირი დალიოთ. ასეთი ვახშამი ქრონიკული დაღლისგან სწრაფად ათავისუფლებს, საჭმლის მონელებას არეგულირებს და ფიგურაზე სასიკეთოდ აისახება.

თმის შეჭრა უარეოფითი ენერგიისგან გვათავისუფლებს

ცნობილია, თმის შეჭრის შემდეგ სუნთქვა უფრო მსუბუქი ხდება. ეს შემთხვევითი არ არის. თუ თმას დიდი ხანი არ შეიჭრით, მასში ბევრი უარყოფითი ენერგია დაგროვდება, ქრონიკული დაღლა, ცუდი გუნება-განწყობა აღმოცენდება, თავში ცუდი აზრები აირევა. თმის, თუნდაც ბოლოების შეჭრით, ძველი პრობლემების მძიმე ტვირთისგან ვთავისუფლდებით. ასე რომ, პარიკმახერიც ერთგვარი მკურნალია. ხოლო, თუ შეჭრილი თმა გიხდებათ, არამხოლოდ განწყობა, ასევე ცხოვრების აღქმა მთლიანობაში უმჯობესდება.

ნაწლავებმა საათივით რომ იმუშაოს

ქაბზობა ინფექციური დაავადებებისა და ორგანოების ტოქსინებით მოწამვლის რისკს ზრდის. იტანჯება შარდის ბუშტი, თირკმლები, საშვილოსნო. გადავსებული ნაწლავები ორგანოებს აწვება, მათი სისხლით მომარაგება ფერხდება. შედეგად, ქრონიკული დაავადებები აღმოცენდება.

ნაწლავებმა საათივით რომ იმუშაოს, ამისთვის მარტივი წესები დაიცავით.

მცენარეული უჯრედისებით მდიდარი პროდუქტებით (ხილი, ბოსტნეული, ფაფები, რუხი პური) იკვებეთ.

დღეში 2 შავი ქლიავი ან 1 სუფრის კოვზი ქიშმიში ნაწლავების მუშაობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს.

დილა ლიმონის წვენითა და თაფლით გაზავებული თბილი წყლით დაიწყეთ. ეს სასმელი ნაწლავების პერისტალტიკას (ნაწლავების შეკუმშვას) ასტიმულირებს.

დაგეხმარებათ დღეში 1-2 სუფრის კოვზი დაფქული სელის თესლები ან ბაბუაწვერას ფესვების ჩაი (1 ჩაის კოვზს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით) ან მრავალძარღვას ნაყენი (2 ჩაის კოვზი ერთ ჭიქა წყალზე).

ისეთი ძლიერი საფაღარათო საშუალებები, როგორიცაა ხეჭრელის ქერქი ან სენის (სენადეს) ფოთლები, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენეთ — მიჩვევას იწვევენ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

ეს იცოდით?

❖ ყველაზე დაბალი ბრიტანელი მონარქი ჩარლზ პირველი იყო, მისი სიმაღლე 156 სმ-ს შეადგენდა.

❖ ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, რომელიც წარმოშობით მაკედონიიდან იყო, 8 ენაზე მეტყველებდა.

❖ როდესაც მაკედონიის მეფე ფილიპ მეორემ სპარტის დაპყრობა გადაწყვიტა, გაუგზავნა წერილი, თუ თქვენი ქალაქი დავიპყარი, მიწასთან გავასწორებო. სიტყვაძუნწმა სპარტელებმა პასუხად მხოლოდ ერთი სიტყვა მისწერეს: „თუ“.

❖ პირველი კალენდარი მაიას ტომის უზარმაზარი პირამიდა იყო.

❖ ეჭვმიტანილის თავდებით გათავისუფლება ძველ რომში შემოიღეს.

❖ ტიტუს ლივიუსის ნაშრომის „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან“ 142 წიგნიდან ჩვენამდე მხოლოდ 35-მა მოაღწია.

❖ ეგვიპტეის ფარაონთა სამარხებიდან ტუტანხამონის სამარხი ერთადერთია, რომელიც გაძარცვას გადაურჩა.

❖ ეგვიპტეში 30-მდე პირამიდაა.

❖ მსოფლიოში პირველი შუქურა ალექსანდრიაში აიგო.

❖ ბუდისტურ რელიგიას სათავე ინდოელმა მეფისწულმა სიდჰართჰა გაუტამამ დაუდო.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კენკრის კოსმეტიკა

კენკრა უნივერსალური კოსმეტიკური საშუალებაა. კანს კვებავს, ათეთრებს, ფერიმჭამელებისგან ასუფთავებს და მობერებული, ცხიმიანი და ფოროვანი კანისთვის შეუცვლელია. ისარგებლეთ ბუნების ამ საოცარი ძღვენით.

მარწყვი

მდიდარია C ვიტამინით და ანტიმჟანგავებით. მის ნიღბებს გამაახალგაზრდავებელი ეფექტი აქვს. სასარგებლოა ნებისმიერი, განსაკუთრებით მშრალი კანისთვის.

ჟოლო

შეიცავს A, E, PP და B_2 ვიტამინებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ტონუსზე, კანის სიგლუვესა და სახის თანაბარ ფერზე. ჟოლოს ნიღბებს აღმდგენი, მატონიზირებელი, დამატენიანებელი, მათეთრებელი და მკვებავი მოქმედება გააჩნიათ. გარდა ამისა, ჟოლო ბევრ ფოლიუმის მჟავას და სპილენძს შეიცავს, რომლებიც ქალის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და მის სილამაზეზე ზრუნავენ. ხოლო მასში არსებული ფოტოჰორმონები ქალის ორგანოების მდგომარეობას აუმჯობესებენ. ასე რომ, ჟოლო ქალებისთვის ნამდვილი საჩუქარია.

მოცვი

მდიდარია A, B_1, B2, C და PP ვიტამინებითა და მიკროელემენტებით, რომლებიც კანის დაბერების პროცესს ანელებენ. დამამშვიდებელი და სისხლძარღვების გამამაგრებელი თვისება გააჩნია, კანს კვებავს.

მოცვს ნაჯერ ლურჯ ფერს აძლევს ანტიმჟანგავი ანტოციანი. სწორედ ის აფერხებს ბაქტერიების ზრდას, თავისუფალ რადიკალებს ებრძვის, კოლაგენის წარმოქმნას აძლიერებს.

მოცვის ნიღბის მოსაცილებლად სახე ლიმონის წვენით გაზავებული წყლით ჩამოიბანეთ, რათა კანის ფორებისგან საღებავი კარგად გამოირეცხოს.

ჟოლოს ნიღბები

ყველაზე მარტივი ნიღაბი: 1 ჩაის კოვზი ახალი უცხიმო ხაჭო, 1 ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი და ქორფა ჟოლოს ფაფა აურიეთ. ნარევი სახეზე სქელ ფენად დაიდეთ და 15 წუთი დაიტოვეთ. შემდეგ ჩამოიბანეთ და თქვენი კანის შესატყვისი კრემი წაისვით.

ფერიმჭამელებიანი კანისთვის კენკრის წვენში მარლა დაასველეთ და სახე გაიწმინდეთ.

ჟოლოს წვენი შესანიშნავი ნატურალური ტონიკია ცხიმიანი და კომბინირებული კანისთვის. ის ცხიმის სიპრიალეს აქრობს და ფორებს ავიწროებს, ჭორფლის დროს კანს ათეთრებს. ყოველდღიურად ან დღეგამოშვებით, დილით, დაბანამდე, სახე ჟოლოს წვენით გაიწმინდეთ.

ცხიმიანი კანისთვის სასარგებლოა ასეთი ნიღაბი: 0,5 ჭიქა ჟოლო დასრისეთ და 2-3 სუფრის კოვზი დაფხვნილი შავი პურის გული დაუმატეთ. მსუბუქი მოძრაობით კანში შეიზილეთ, კიდევ ერთი ფენა დაიდეთ და 15 წუთი დაიტოვეთ. თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ასეთი ნიღაბი აშრობს, ატონიზირებს და ცხიმიან ბზინვას აქრობს.

შავი მოცხარი კანს ათეთრებს

შავი მოცხარი სახესა და ხელებზე პიგმენტურ ლაქებს ათეთრებს. წვენი გამოწურეთ და სახესა და ხელებზე წაისვით. ასე გააკეთეთ დილა-საღამოს.

შავი მოცხარის წვენს მათეთრებელი მოქმედება აქვს და კანს ძალიან ლამაზ შეფერილობას აძლევს. მისგან ასეთი ნიღაბი მოამზადეთ: მრავალფენოვანი მარლა ცხვირთან და თვალებთან გამოჭერით, მოცხარის წვენში დაასველეთ, 15-20 წუთი სახეზე დაიფინეთ. შემდეგ სახე გრილი წყლით ჩამოიბანეთ და კრემი წაისვით. კანი გაახალგაზრდავდება.

კენკრის გამაახალგაზრდავებელი ყინული

ყველა სახის კენკრა შეგიძლიათ გამოიყენოთ კოსმეტიკური ნიღბებისთვის. ისინი სასარგებლო ხილის მჟავებს შეიცავენ, რომლებიც კანს სინორჩეს უბრუნებენ.

ნიღბები გაიკეთეთ მონაცვლეობით: დასრესილი რბილობი ორთქლით დარბილებულ კანზე დაიდეთ ან კენკრის ფაფას ხაჭო, არაჟანი, ნაღები, ზეითუნის ზეთი, თაფლი დაუმატეთ.

მოამზადეთ კენკრის ყინული. ის შესანიშნავი მატონიზირებელი საშუალებაა. შეგიძლიათ მარაგად მოამზადოთ. ხორცსაკეპ მანქანაში მოცხარი, ყურძენი, მოცვი ან ნებისმიერი სხვა კენკრა გაატარეთ. 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი დაუმატეთ, ფორმებში ჩაასხით, საყინულეში მოათავსეთ.

ცხელი კომპრესის შემდეგ სახესა და ყელზე ხილის ყინულით მასაჟი გაიკეთეთ.

საოცარი ცირცელი

ცირცელი „ქალის საწყისის“ სიმბოლოა. მისი ნაყოფი მდიდარია C, P და K ვიტამინებით, კაროტინოიდებით, ორგანული მჟავებით. სწორედ მისი წყალობით, ცირცელის წვენი არამხოლოდ საკვებად და სამკურნალოდ, ასევე კანის გასაწმენდად და აღსადგენად გამოიყენება.

თუ ნორმალური კანი გაქვთ, მაშინ უბრალოდ ერთი მუჭა კენკრა დასრისეთ და ერთი საათის განმავლობაში სახეზე რამდენჯერმე წაისვით. შემდეგ კოსმეტიკური რძით მოიცილეთ.

თუ მშრალი კანი გაქვთ, ცირცელის წვენი სანახევროდ ნაღებით გააზავეთ და ჩვეულებრივი ნიღაბი გაიკეთეთ.

ყველა ქალს ვურჩევთ, წითელი ცირცელი ჭამონ. ის შიგნიდანაც მუშაობს, არამხოლოდ როგორც ექიმი, ასევე როგორც კოსმეტოლოგი.

ნაოჭების საწინააღმდეგო შინაური კრემი და ნიღაბი

ჟელატინის ჯიქემი

ეს შინაური საშუალება კანზე იმაზე ნაკლებად არ მოქმედებს, როგორც ძვირადღირებული კოლაგენის შემცველი კრემი.

კრემის მომზადების წესი: 1 ჩაის კოვზი ჟელატინი, 0,5 ჭიქა წყალი, 3 სუფრის კოვზი თაფლი, 100 მლ გლიცერინი და 1 გრამი (დანის წვერი) სალიცილის მჟავა აურიეთ. ჭურჭელი ნარევით ცხელ წყალში მოათავსეთ და მანამ ურიეთ, სანამ მასა ერთსახოვანი არ გახდება. შემდეგ წყლიდან ამოიღეთ და კარგად ათქვიფეთ, რათა ჟელესმაგვარი კრემი მიიღოთ. ყოველდღიურად, დაძინებამდე 2 საათით ადრე, მზა კრემი სახეზე 20 წუთი დაიდეთ. ნარჩენები, რომლებიც კანმა არ შეიწოვა, ხელსახოცით მოიცილეთ.

ასეთი რაოდენობის კრემი საკმარისია ერთი თვისთვის, იმ პირობით, თუ მაცივარში შეინახავთ. ქილიდან კოვზით იმდენი კრემი ამოიღეთ, რაც ერთხელ გამოყენებისთვის დაგჭირდებათ. ცოტა ხანი დადგით, ოთახის ტემპერატურამდე რომ შეთბეს და კანზე წაისვით.

შვრიის ნიღაბი

50 გრამი შვრიის ფანტელი, 1,5 ჩაის კოვზი გლიცერინი, 15 გრამი ქაფურის სპირტი აურიეთ. იმდენი წყალი დაუმატეთ, რომ სქელი პასტა მიიღოთ. სახეზე ნახევარი საათი დაიდეთ, შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რატომ ურჩობენ ბავშვები

2 წლის ასაკიდან მოყოლებული ბავშვები აქტიურად იკვლევენ გარესამყაროს, რომელიც მათთვის სავსეა უამრავი საინტერესო მოვლენით. შეცნობის პროცესში სწავლობენ ნივთებთან, თანატოლებთან, უფროსებთან ურთიერთობას. შემდეგ ნებისმიერი პატარასთვის დგება პერიოდი, როცა ის ურჩობას იწყებს. ეს მშობლებისთვის სერიოზული გამოცდაა — რომ იტყვიან, შვილი კონტროლს აღარ ექვემდებარება. საინტერესოა, რა იწვევს ბავშვის ასეთ უცაბედ ცვლილებებს და როგორი უნდა იყოს მშობლების რეაქცია და დამოკიდებულება.

მთავარი, რაც მშობელს უნდა ახსოვდეს, ისაა, რომ უსაფუძვლოდ არაფერი ხდება და ბავშვის ხასიათის ცვლილებას თავისი მიზეზი და ახსნა აქვს. მაშ, ასე:

ბრძოლა ყურადღებისათვის

ეს ყველაზე ბანალური, მაგრამ ხშირი მიზეზია. შვილები ყველა საშუალებით ცდილობენ, მოუცლელი მშობლების ყურადღება მიიქციონ. დედა მთელი დღის განმავლობაში ალაგებს, ასუფთავებს, რეცხავს, ამზადებს სადილს... მოკლედ, დაკავებულია. პერიოდულად კი ახდენს შვილის მონიტორინგს, მაგრამ ასეთი ყურადღება და კონტროლი პატარასთვის საკმარისი არ არის. მას დედიკოს სითბო და ალერსი სჭირდება.

ბევრად უფრო რთულადაა საქმე, როცა მშობლები მუშაობენ და საღამოს დაღლილები ბრუნდებიან სახლში. სტატისტიკური მონაცემებით, ამ კატეგორიის მშობლები შვილთან ნორმალურ ურთიერთობას სულ რაღაც 20 წუთს ანდომებენ. ბუნებრივია, აქედან დასკვნის გამოტანა რთული არ არის. შედეგი კი ისაა, რომ ბავშვი კატასტროფულად განიცდის მშობლებთან ურთიერთობის დეფიციტს და მისი ჭირვეულობა და ურჩობა სწორედ ამითაა განპირობებული. პატარა ყველანაირად ცდილობს, მშობლების ყურადღება მიიქციოს. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ჭირვეულობისა და ურჩობის წყალობით სასურველ ყურადღებას იღებს.

გაუმახვილებელი აკრძალვები

სამწუხაროდ, მშობლების მხრიდან დაწესებული უამრავი აკრძალვა ნამდვილად არ არის მიმართული იმისკენ, რომ რეალურად შეძლოს ბავშვის ცხოვრების გაუმჯობესება და უსაფრთხოების დაცვა. ეს აკრძალვები ძირითადად მიმართულია თავად მშობლების კომფორტისაკენ. მაგალითად, არ შეიძლება ხელით ჭამა, გუბეებში ფეხის ჩადგმა, იმ ტელეგადაცემის ყურება, რომელიც გვიან საღამოსაა, რადგან უკვე ძილის დროა... აბა, გულწრფელად აღიარეთ, ხშირად ფიქრობთ იმაზე, როგორ განიცდიან ამ ყველაფერს შვილები?

ხშირად დაწესებული აკრძალვები პატარასთვის აბსოლუტურად გაუგებარია, მით უფრო, როცა მშობლებს არგუმენტად მოჰყავთ, რომ ის უკვე გაიზარდა და პატარა აღარ არის. ამ დროს ბავშვი ჩიხში აღმოჩნდება ხოლმე — ერთი მხრივ, ისე უნდა მოიქცეს, როგორც დედ-მამას სურს, მეორე მხრივ კი, როდესაც დამოუკიდებლად რაღაცის კეთების სურვილს გამოთქვამს, ამის საშუალებას არ აძლევენ. დაფიქრდით, რაოდენ რთულია პატარასთვის იმის გარკვევა, რა გააკეთოს და როგორ მოიქცეს.

ბევრი მშობელი ზედმეტი სიყვარულითა და უსაფრთხოების მიზნით შვილს უამრავ აკრძალვას უწესებს. არ შეიძლება სირბილი იმიტომ, რომ არ წაიქცეს და რამე არ იტკინოს; არ შეიძლება ყველაფერს ხელი მოჰკიდოს იმიტომ, რომ გარშემო უამრავი ბაქტერია და მიკრობია, რომლებიც ჯანმრთელობისთვის სახიფათოა და სხვა. მშობლებს გულწრფელად სჯერათ, რომ ეს ყველაფერი ასე უნდა იყოს და ვერც კი წარმოუდგენიათ, შვილებთან მიმართებაში რაღაც თუ ეშლებათ. შემდეგ კი ერთ მშვენიერ დღეს უკვირთ, რატომ ურჩობს შვილი.

რეალურად საქმე უფრო მარტივადაა — არასწორი აკრძალვების ფონზე ბავშვისთვის ყველაფერი ახალი პოტენციურად საფრთხის შემცველია. ასეთ ვითარებაში კი როგორ შეიძლება, მან გარესამყარო შეიცნოს და აღიქვას? გამოდის, ამგვარი უსაფუძვლო აკრძალვებით ბავშვის განვითარებას აფერხებთ. პატარა კი ამ შემთხვევაში ერთადერთი მეთოდით — პროტესტის საშუალებით ახერხებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას და შესაბამისად, ურჩი ხდება.

მშობლების ახათანმიმდევრულობა

ხშირად არის სიტუაციები, როდესაც მშობლები შვილებისგან იმაზე მეტს მოითხოვენ, ვიდრე მათ შესაძლებლობებშია. მაგალითად, გუშინ ბავშვის მიერ ჩადენილ კონკრეტულ ქცევას სიცილით შეხვდით, დღეს კი რატომღაც იმავე საქციელისთვის გაიცხეთ და შენიშვნა მიეცით. მშობლის ასეთი არათანმიმდევრული ქმედება ბავშვისათვის სრულიად გაუგებარია — რატომ შეიძლებოდა გუშინ ის, რაც კატეგორიულად არ შეიძლება დღეს.

ზედმეტი უფლებების მიცემა

ეს მეორე უკიდურესობაა, რომელშიც მშობლები ხშირად ვარდებიან. პატარასთვის ზედმეტი უფლებების მიცემა კატეგორიულად დაუშვებელია და კარგს არაფერს მოიტანს. თუ ბავშვისთვის ყველაფერი ნებადართულია, ის ამ შემთხვევაში ბუნებრივად განიცდის დისკომფორტს და ამის გამოც გამოთქვამს პროტესტს.

ზედმეტი თავისუფლების დროს პატარამ არ იცის, როგორ მოიქცეს ან როგორ არ მოიქცეს. ნელ-ნელა კარგავს უსაფრთხოების შეგრძნებას, ამის გამო კი იძულებული ხდება, თავად დაუწესოს საკუთარ თავს გარკვეული ზღვარი. და სწორედ აქ იჩენს თავს ურჩობა და ჭირვეულობა — პროტესტის ფორმა, რომელიც ხშირად გაუგებარია მშობლებისთვის.

მშობლების შეჯიბრი

თანამედროვე ცხოვრებაში ბავშვების აღზრდის პროცესი თითქოს მშობლების ერთგვარი შეჯიბრი გახდა, თუ ვისი შვილი დაიწყებს უფრო ადრე ლაპარაკს, სიარულს, ვინ რამდენ უცხო ენას ასწავლის შვილს, ვინ როგორ პრესტიჟულ სკოლაში ატარებს და ა.შ. სამწუხაროდ, ამ აზარტულ პროცესში მშობლები იმდენად არიან ჩართულები, შვილებს მათი ასაკისთვის შეუფერებელ მოთხოვნებს უყენებენ და რაც უფრო მეტად უჯერებთ შვილი, აზარტი მით მატულობს, დამუხრუჭება ავიწყდებათ და სულ აღარ ფიქრობენ, რა მდგომარეობაშია ამ დროს ბავშვი.

ასეთი მარათონი დაუშვებელია. ბავშვი მისი ასაკის გათვალისწინებით უნდა დაიტვირთოს. არ შეიძლება, პატარას ყოველდღიური განრიგი წუთებში იყოს გათვლილი და გართობისთვის დრო არ რჩებოდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ნუ გაგიკვირდებათ, შვილი აგრესიული, ჭირვეული და ურჩი რომ იქნება. მას მეტი არაფერი დარჩენია, საკუთარი თავი უნდა დაიცვას და პროტესტის ფორმას მიმართოს.

მშობლებო, გაითვალისწინეთ ზემოთ ნათქვამი და ნურც თავს დატინჯავთ და ნურც — შვილებს. სწორი მიდგომით პატარების ნერვულ სისტემასაც დაზოგავთ და საკუთარსაც.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

ეს იცოდით?

❖ ბაღდადის უნივერსიტეტმა სადამ ჰუსეინის უფროს ვაჟს, უდაის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ მას საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული. მისი დისერტაციის თემა გახლდათ: „ამერიკული ძალაუფლების ჩამოგდება 2016 წელს“.

❖ უშიშროების სამსახურში მუშაობისას რუსეთის ამჟამინდელ პრეზიდენტ პუტინს მეტსახელად მუდოს ეძახდნენ.

❖ 1849 წელს სენატორი დევის ეტჩისონი ამერიკის პრეზიდენტი მხოლოდ ერთი დღით გახდა, თანაც ამ დღის უმეტესი ნაწილი მას ეძინა.

❖ ამერიკის ყველაზე დაბალი პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი გახლდათ (1,62 მ), ხოლო ყველაზე მაღალი — აბრაამ ლინკოლნი (1,93 მ).

❖ ამერიკის მე-17 პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი საკუთარი ხელით იკერავდა ტანსაცმელს.

❖ ჯორჯ ვაშინგტონი შეხვედრებისას ხელს არავის ართმევდა, ის უპირატესობას თავის დახრას ანიჭებდა.

❖ სანამ მოცარტი მუსიკის წერას შეუდგებოდა, თავზე ერთ ვედრო ცივ წყალს ისხამდა, რადგან სჯეროდა, რომ ეს ხელს უწყობდა მისი ტვინის მუშაობას.

Cyan Magenta Yellow Black

გედევან ფოფხაძე: „ტაძარში თავსაბურავით მდგარი მანდილოსანი ჩემთვის ყველაზე რომანტიკულია“

საქართველოს პარლამენტის წევრი გედევან ფოფხაძე ქალს მართლმადიდებლური ღირებულებების მიხედვით აფასებს. თვლის, რომ მშვენიერი სქესის შეცნობა ძნელია. მისთვის მანდილოსანში იდუმალება და თვალებია გადამწყვეტი. ამბობს, თუ გინდათ, ქალის სულიერი სამყარო აღიქვათ, თვალებში უნდა ჩახედოთო. უინტელექტო ქალს ბედს ვერასოდეს დაუკავშირებს. ასეთთან მხოლოდ თავაზიანობის გამოჩენა შეუძლია. მისთვის მაგალითი დედაა, რომელმაც თავის დროზე შვილების გამო საყვარელ პროფესიაზე უარი თქვა და ეს ნაბიჯი არასოდეს უნანია. მიაჩნია, რომ ქალს ღირსეული მამაკაცი აძლიერებს, რომელიც მისი ბედნიერებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

— ბატონო გედევან, ქალის მთავარ ღირსებად რა მიგაჩნიათ?

— კდემამოსილება. ქალი წარმოადგენს ოჯახის სიმბოლოს, რომლის მისიაა, იყოს დედა, მეუღლე, კერის ერთგული მეპატრონე, გამაძლიერებელი. მან უნდა მისცეს მამაკაცს მოტივაცია, იბრძოლოს სამშობლოსთვის.

— თვითონაც ხომ შეუძლია ქვეყნისთვის ბრძოლა, თუ ქალი პოლიტიკაში ვერ წარმოგიდგენიათ.

— ისტორიულად, საქართველოში ხელისუფალი ქალი ბევრი არ გვყავდა და საერთოდაც, ქვეყნის ისტორიას ქალები არ ქმნიდნენ. დღეს კი პოლიტიკაში უამრავი მანდილოსანია და ღმერთმა ხელი მოუმართოთ! ამ სფეროში მათი ყოფნა პოზიტიურია. ხშირ შემთხვევაში საქმეს ჩვენზე უკეთესადაც ართმევენ თავს, რადგან ხანდახან ისინი უფრო გულწრფელები და მობილიზებულები არიან. ჩვენ, მამაკაცები, უფრო ზარმაცები და ნაკლებად ემოციურები ვართ, რაც ბევრ რამეში გვიშლის ხელს. ხალხის ტკივილს პოლიტიკოსი კარგად უნდა ხვდებოდე, მათ

„ქალს თუ ფართო ხედვის უნარი არ გააჩნია, ნაკლებად საინტერესოა ჩემთვის. გამოჩენილია, ცხოვრება უინტელექტო ქალს დავუკავშირო.

მდგომარეობას უმსუბუქებდე, ქალები კი ამას ჩვენზე უკეთ ახერხებენ. ქვეყნის და ხალხის ტკივილის ბოლომდე გათავისებამათ უფრო გამოსდით.

— პოლიტიკოს ქალს ცხოვრებას დაუკავშირებდით?

— არ ვიცი. ჩემს ცხოვრებას ჯერჯერობით არავის ვუკავშირებ, ჩემთვის ვარ. თუ ჩავთვლი, რომ ის ქალი ჩემთვის ერთადერთია, პოლიტიკოსი იქნება თუ სოციალური მუშაკი, მნიშვნელობა არ ექნება. თუმცა ალბათ ძნელია ერთდროულად პოლიტიკოსიც იყოს და ოჯახის დიასახლისიც. მგონია, რომ ვინც ამ სფეროშია, საკუთარი ოჯახებისთვის საკმარისი დრო არ რჩებათ და გარკვეული დისკომფორტიც ექმნებათ.

— თუ საქმისთვის და ოჯახისთვის დროის თანაბრად განაწილება არ გამოსდის, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს, არჩევანი რომლის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს?

— დედაჩემის, ეთერ შენგელიას მაგალითს გეტყვით და დასკვნები თავად გამოიტანეთ. ის პროფესიით ექიმია. როცა გათხოვდა, სამსახურს თავი დაანება და შვილების აღზრდით დაკავდა. ამაში სიამოვნებას და ბედნიერებას პოულობდა. მისგან არასოდეს მომისმენია სინანული, რომ საყვარელ საქმეს შეეელია. როცა არჩევანის წინაშე დადგა, მიხვდა, რომ შვილებს ძალიან სჭირდებოდა.

„ცხოვრებას ჯერჯერობით თავის ვუკავშირებ, ჩემთვის ვარ. თუ ჩავთვლი, რომ ის ქალი ჩემთვის ერთადერთია, პოლიტიკოსი იქნება თუ სოციალური მუშაკი, მნიშვნელობა არ ექნება“.

— ქალის გამოცნობა რამდენად კარგად გამოგდით?

— არ მგონია, მისი გამოცნობა შევძლო, რადგან ზოგადად ადამიანი შეუცნობელია. საკუთარი თავის შეცნობაც შეუძლებელია, მით უმეტეს — ქალების. მათი ემოციური სამყარო უფრო ფაქიზია, ვიდრე კაცების. ჩვენი ემოციური სამყარო გაცილებით ხისტია.

— ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ ვეტერანი მოთამაშე ხართ. ურთიერთობაში ქალის ინტელექტი თქვენთვის ალბათ განმსაზღვრელია.

— ინტელექტი და განათლება მხოლოდ ქალისთვის კი არა, ყველასთვის აუცილებელია. ქალი არის დედა, მან უნდა აღზარდოს შვილი, ბავშვებთან ურთიერთობისთვის კი განათლება აუცილებელია. რაღაც ხომ უნდა ასწავლოს შვილებს? ქალს თუ ფართო ხედვის უნარი არ გააჩნია, ნაკლებად საინტერესოა ჩემთვის. გამორიცხულია, ცხოვრება უინტელექტო ქალს დავუკავშირო. ასეთთან მხოლოდ თავაზიანობას თუ გამოვიჩენ.

— თქვენ ირგვლივ ბევრი ჭკვიანი ქალი ტრიალებს?

— საკმაოდ. ინტელექტკლუბშიც ძალიან ბევრი ჭკვიანი ქალია და ისედაც ჭკვიან ხალხთან ურთიერთობის მიდრეკილება მაქვს.

— დროსთან ერთად მშვენიერ სქესში რა ცვლილებებს ხედავთ?

— ემოციურად არ შეცვლილან, უბრალოდ გრძნობის გამოხატვისთვის ყოველთვის სხვადასხვა ფორმას პოულობენ.

— რამდენად რომანტიკული ხართ, რა შეგიძლიათ ქალისთვის გააკეთოთ?

— ლექსების კითხვა ძალიან მიყვარს და მანდილოსნებისთვისაც არაერთხელ წამიკითხავს. რაც შეეხება რომანტიკულობას, ამ მხრივ, სხვამ უნდა შემაფასოს.

— ქალს რა ხდის ყველაზე მომხიბლველს?

— იდუმალება და თვალები. თვალები გადამწყვეტია, სულის სარკეა. თუ გინდათ, მისი სულიერი სამყარო აღიქვათ, თვალებში უნდა ჩახედოთ.

— როგორ სამოსში გამოწყობილი შეიძლება მოგეწონოთ ან არ მოგეწონოთ?

— ქალი თუ შენში დადებით ემოციას იწვევს, არ აქვს მნიშვნელობა, მას კაბა ეცმევა, შარვალი თუ შორტები. თუმცა ტაძარში თავსაბურავით მდგარი მანდილოსანი ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო და რომანტიკული ადამიანია. კარგი იქნება, ქართველმა ქალებმა ტაძარში ხშირად იარონ. ეკლესიაში მათი ხილვა ჩემში ყოველთვის დადებით ემოციას იწვევს. მორწმუნე ქალი ჩემთვის უფრო მისაღებია, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ათეისტთან ურთიერთობა პრობლემას წარმოადგენს. უბრალოდ მართლმადიდებელი გაცილებით ახლობელია. ჩემთვის სასურველი იქნებოდა ისეთ ქალთან ურთიერთობა, რომელიც ეკლესიურად ცხოვრობს.

— ეკლესიური ცხოვრებისადმი თქვენი ამგვარი დამოკიდებულება გასაკვირი არ არის, თქვენ ხომ გარკვეული პერიოდი მონასტერში იყავით.

— 2003 წელს ჩემ გარშემო პოლიტიკურად დაძაბული ვითარება შეიქმნა. იმ პერიოდში ბორჯომის გამგებელი ვიყავი და მაიძულეს, თანამდებობა დამეტოვებინა. მორალური დისკომფორტი ვიგრძენი და მეუფე სერაფიმეს კურთხევით, ბეთანიის მონასტერში წავედი. ახლაც მეტნაკლებად ვცდილობ, ეკლესიურად ვიცხოვრო. მართლმადიდებლური ღირებულებები ჩემთვის ყველაფრის განმსაზღვრელია. სასურველია ქალმაც ამ ღირებულებებით იცხოვროს.

— ხშირად გიწყვეთ პატიმარი ქალების მონახულება. ადამიანურად ეს ალბათ ძალიან ძნელია.

— კი, ნამდვილად ასეა. არ ვიცი, ქალმა რა უნდა დააშავოს, რომ პირადად მე, ციხისთვის გავიმეტო. შეიძლება იქ დამნაშავეები სხედან, მკვლელებიც არიან და ნარკო-

„ქალი თუ შენში დადებით ემოციას იწვევს, თან აქვს მნიშვნელობა, მას კაბა ეცმევა, შარვალი თუ შორტები“.

ტიკებით მოვაჭრეებიც, მაგრამ მათი ციხეში ნახვა ჩემთვის ძალიან მძიმე აღსაქმელია. მართალია, ამნისტიითაც და ჩვენი კომიტეტის მუშაობითაც 1 300 ქალი პატიმარი გათავისუფლდა და საჭყრობილეში მხოლოდ 280 ქალი დარჩა, მაგრამ ციხისთვის ისინიც არ მემეტებიან.

— რა აძლიერებს ქალს დაბრკოლებების გადალახვაში?

— ღირსეული მამაკაცი, რომელიც მისი ბედნიერებისთვის ყველაფერს გააკეთებს.მინდა, ქართველი ქალების თვალებში სულ სიყვარული და სითბო ენთოს. ყველა წყვილს ვუსურვებ, სახლში ჰყავდეთ პატარა, რომელიც ორი ადამიანის ერთიანობის, ოჯახის სიმბოლოა.

— პირად ცხოვრებაზე არ საუბრობთ, მაგრამ მაინც გკითხავთ, არსებობს თქვენს ცხოვრებაში საყვარელი ადამიანი, ვისთანაც ოჯახის შექმნას გადაწყვეტდით?

— ამ ეტაპზე — არა, მაგრამ მყვარებია.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

მარტინა ჰინგისი კორტზე ბრუნდება


მარტინა ჰინგისი

ამ სოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი მომხიბვლელი ჩოგბურთელი ქალი, მსოფლიოს ყოფილი ნომერი პირველი ჩოგანი ქალთა კლასიფიკაციაში მარტინა ჰინგისი საჩოგბურთო კარიერას განაახლებს. 32 წლის სპორტსმენი Southern California Open-ში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ამერიკის ქალაქ კარლსბადში გაიმართება. შვეიცარიელი ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგში სლოვაკ დანიელა ჰანტუჩოვასთან ერთად იასპარეზებს. ეს ინფორმაცია ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

ტურნირის ორგანიზატორებმა ჰინგისსა და ჰანტუჩოვას საგანგებო მიწვევა გაუგზავნეს. შვეიცარიელი სპორტსმენისთვის კარლსბადში გამოსვლა პროფესიონალურ დონეზე პირველი თამაში იქნება ბოლო 6 წლის მანძილზე.

ჰინგისმა კარიერა 2007 წელს დაასრულა მას შემდეგ, რაც დოპინგ-ტესტმა მის სისხლში კოკაინის შემცველობა გამოავლინა. თავად სპორტსმენმა ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი უარყო, მაგრამ სპორტიდან მაინც წავიდა და ამით ანტიდოპინგურ სტრუქტურებთან საქმის განხილვა თავიდან აიცილა.

2007 წელს მარტინამ თავის სპორტულ ცხოვრებაში მეორედ დაასრულა კარიერა. პირველად სპორტიდან წასვლის თაობაზე განცხადება 2002 წელს გააკეთა, როცა მხოლოდ 22 წლის იყო, მაგრამ 2006 წელს კორტზე ისევ დაბრუნდა.

კარიერის განმავლობაში ჰინგისმა ხუთჯერ მოიგო დიდი სლემის ტურნირები ერთეულთა თანრიგში და ცხრაჯერ წყვილთა თანრიგში. მას 209 კვირის განმავლობაში ეკავა რეიტინგში მსოფლიოს ნომერი პირველი ჩოგანი ქალის პოზიცია.

იტალიაში 20 ფეხბურთელი დასაჯეს

ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობისთვის 20 ფეხბურთელი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამ ინფორმაციას ავრცელებს ცნობილი იტალიური გამოცემა „La Gazzetta dello Sport"-ი. დისკვალიფიცირებულ მოთამაშეთა შორის ბევრი ფეხბურთელია, რომლებიც 2008-2009 წლებში კლუბ „ბარის" ღირსებას იცავდნენ, მათ შორის, ბელარუსის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ვიტალი კუტუზოვი, რომელსაც სამწლინახევრით მიესაჯა დისკვალიფიკაცია.

ყველაზე ხანგრძლივი ვადით, ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით, თავდამსხმელი მასიმო განჩი დაისაჯა. დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელთა შორის ყველაზე ცნობილი ბელგიელი მეკარე ჟან-ფრანსუა ჟიეა, რომელიც სერია ა-ს კლუბ „ტორინოს" შემადგენლობაში თამაშობს. მას 3 წლითა და 7 თვით მიეცა დისკვალიფიკაცია.

3 წლითა და მეტი ვადით დისკვალიფიკაციით 13 ფეხბურთელი დაისაჯა, დანარჩენები კი ფეხბურთს ნახევარი წლით ჩამოაშორეს.

მოთამაშეები, რომელთა მიმართ მკაცრი სანქციები გამოიყენეს, 2008 წლის მაისში „ბარი"-„ტრევიზოსა" და 2009 წლის მაისში „ბარი"-„სალერნიტანას" მატჩების საქმეს უკავშირდება. ორივე მატჩი „ბარიმ" წააგო.

მწვრთნელმა პატიმრობა თავიდან აიცილა

ნბა-ს კლუბ „ბრუკლინ ნეთსის" მთავარმა მწვრთნელმა ჯეისონ კიდმა თავი დამნაშავედ ცნო მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვაში და ამით თავიდან აიცილა პატიმრობა, რომელიც ამ სამართალდარღვევისთვის ემუქრებოდა (ის შესაძლოა ორწლიანი პატიმრობით დასჯილიყო).

კიდს ერთწლიანი პრობაციის რეჟიმი დაენიშნა (ამ დროის მანძილზე ის ზედამხედველობის ქვეშ იქნება). უახლოეს ხანებში მას მოსწავლეების წინაშე მოუწევს ლექციის გამართვა მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის მავნეობასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ კი შეეძლება, სასჯელის შემსუბუქების იმედი იქონიოს და პრობაციის რეჟიმისგან გათავისუფლდეს.

ჯეისონ კიდი

ინციდენტი 2012 წლის 15 ივლისს მოხდა, როდესაც კიდი თავისი ყველგანმავალით ტელეფონის ბოძს დაეჯახა. პოლიციის მიერ შემთხვევის ადგილზე შედგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ კიდი იმ მომენტში ფეხზე ძლივს იდგა, ალკოჰოლის სუნი ასდიოდა და „გაყინული" მზერა ჰქონდა. საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა.

კიდს მოთამაშის რანგში 10-ჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა ნბა-ს ვარსკვლავთა მატჩებში. 2011 წელს ნბა-ს ჩემპიონი გახდა კლუბ „დალას მავერიკსის" შემადგენლობაში. მან მოთამაშის კარიერა 2012-13 წლების სეზონის შემდეგ დაასრულა, მოგვიანებით კი „ბრუკლინ ნეთსის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა მიიღო.

მასკერანომ მძღოლს წიხლი უთავაზა

არგენტინის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ ეკვადორის ნაკრებთან მატჩის დროს ელექტროკარის მძღოლს, რომელსაც მოთამაშე მოედნიდან გაჰყავდა, ფეხი ამოსცხო, რისთვისაც მსაჯისგან წითელი ბარათი და მოედნიდან გაძევება მიიღო.

ხავიერ მასკერანო

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს არგენტინის ნაკრები მეტოქის მოედანზე მართავდა. მატჩის 86-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, მასკერანომ ტრავმა მიიღო და მოედანს ელექტროკარის დახმარებით ტოვებდა, რომელიც საკაცის ნაცვლად გამოიყენება. გაურკვეველი მიზეზით, სწორედ ამ დროს მოუვიდა კონფლიქტი.

მას შემდეგ, რაც არგენტინელი მოთამაშე ელექტროკარიდან წამოდგა, მატჩის მთავარმა მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. ამის გამო ფეხბურთელმა უკმაყოფილება გამოთქვა.

ეკვადორის ნაკრებთან ფრემ არგენტინელებს ერთი ქულა მოუტანა და ამის წყალობით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი შეუნარჩუნა. არგენტინის ნაკრებს 14 მატჩის შემდეგ 27 ქულა აქვს, ხოლო მეორე ადგილზე მყოფ კოლუმბიელებს — 26 ქულა.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

ოცნებას ასრულების უფლება მიეცით!

ოცნება ყველას გვიყვარს, მაგრამ ფრაზას — „ოცნება სრულდება“ — ყველა არ ამბობს. რატომ? ფსიქოლოგები ირწმუნებიან: ოცნება რომ ახდეს, საჭიროა სწორად იოცნებოთ. რა თქმა უნდა, ოცნება მუდმივ ახალგაზრდობასა და უკვდავებაზე არ ასრულდება, რამდენიც უნდა ვეცადოთ, მაგრამ ყველაფერი, რისიც თუნდაც თეორიულად, მიზნად გადაქცევა შეიძლება, ასრულდება. საჭიროა პროდუქტიულად ოცნება ვისწავლოთ.

ზუსტად და გარკვევით

ოცნებამ კურსი შესრულებისკენ რომ აიღოს, კონკრეტულობა უნდა მიანიჭოთ. ეს საჭიროა იმისთვის, რომ საკუთარ ქვეცნობიერში ამუშავდეს მექანიზმები, რომლებიც თქვენთვის შეუმჩნევლად, ოცნებას რეალობასთან ნელ-ნელა მიაახლოებს. თუ ი-ოცნებებთ — „მანქანა მსურს“, ეს ოცნება დიდხანს გაგრძელდება. მაშასადამე, შესწორება შეგვაქვს: „მსურს წითელი „ფოკუსი“ ავტომატური მართვის სისტემით“. პირველი ნაბიჯი გადადგმულია.

ოცნებისკენ გზა ისევე ნაბიჯ-ნაბიჯ დაგეგმეთ, როგორც თვიურ სამუშაო გეგმას ადგენთ. საბოლოო ჯამში, უნდა მიიღოთ კიბე. გახსოვდეთ: რაც ნაკლებია საფეხური, მით უფრო მაღალია კიბე. ეს ნიშნავს, რომ მასზე ასვლა მით უფრო ძნელია. ამიტომ დამრეცი კიბე ააგეთ.

ნიჟები წყალში

გინახავთ, წყალში წრეები როგორ შორს იშლება იმ ადგილიდან, სადაც კენჭი ჩავარდა? რაღაც ამის მსგავსი მოიმოქმედეთ. ყველას მოუყევით არა საკუთარი ოცნების შესახებ, არამედ იმაზე, მასთან რა დაგაახლოებთ. მაგალითად, გადაწყვიტეთ, დამატებითი შემოსავალი რომ მიიღოთ, თქვენი აგარაკიდან უჩვეულოდ ლამაზ ყვავილებს გაყიდით. დე, ამის შესახებ ყველამ გაიგოს. ხმები თქვენი ყვავილების შესახებ უფრო სწრაფად და შორს გავრცელდება.

ღრეობითი ჩახჩოები

როდესაც ვამბობთ: „პარიზში ყოფნა მსურს“ — ეს ოცნებაა. თუ ვამბობთ: „პარიზში წასვლა 50 წლამდე მსურს“ — ეს უკვე მიზნის დასახვაა.

რა თქმა უნდა, ყოველთვის ყველაფრის რიცხვებში, თვეებსა და წლებში მოქცევა არ შეიძლება, მაგრამ თქვენს ოცნებას, რაღაც ჩარჩოები უნდა ჰქონდეს. ნუ შეგეშინდებათ, თუ 50 წლისთვის საოცნებო ქალაქში ვერ მოხვდებით — უბრალოდ თქვენს ოცნებას ვადას გაუგრძელებთ, მაგრამ თუ დროის ჩარჩო განსაზღვრულია, ასრულების შანსი მრავალჯერ იზრდება.

მტკიცებულებები

აირჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომლებსაც ეთანხმებით და აუცილებლობის შემთხვევაში ხმამაღლა ან გულში წარმოთქვით.

ოცნება სრულდება!

ყველაფერს თავისი დრო აქვს. დადგება წუთი, როდესაც ჩემი ოცნება ახდება.

ჩემი ოცნება მე შევქმენი. მაშასადამე, თვითონვე შემიძლია მიზნად ვაქციო.

ოცნების შესასრულებლად ყველაფერს ვაკეთებ, რაც შეიძლება, მაგრამ მთელი სამყაროს დამორჩილება არ შემიძლია.

ის, რაც გამუდმებით არ სრულდება, ბედნიერებას მაინც არ მომიტანს.

სახლის დალაგებით გონება სუფთავდება

როდესაც რაღაც პრობლემა დიდხანს გაწუხებთ და მრავალი ვარიანტიდან ერთ-ერთის შერჩევას ვერ ახერხებთ, გადაწყვეტილების მიღება გადადეთ. ეცადეთ, ტვინი მთლიანად გამორთოთ. მაგალითად, სახლის დალაგება დაიწყეთ.

მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად რა საქმიანობით დაკავდებით. შეგიძლიათ სამუშაო მაგიდაზე დაგროვილი ქაღალდები გადაარჩიოთ ან ოთახის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ნივთები თავის ადგილზე დაალაგოთ. ნებისმიერ შემთხვევაში დალაგება აზრების განახლება-გამოცოცხლებას ეხმარება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველაფრის თავის ადგილას დადებით და არასაჭიროს გადაგდებით, თავშიც ყველაფერი ლაგდება, შეუფერებელი იდეები გადის. როდესაც ყველგან წესრიგია, საჭირო ნივთის პოვნა ადვილია. ასევეა აზრებთანაც. როდესაც რთულ საქმეს რამდენიმე ხნით მოსწყდებით, ემოციები ხელის შეშლას შეწყვეტენ და საუკეთესო გადაწყვეტილება აშკარა გახდება.

არტ-თერაპია ყველასთვის

არტ-თერაპია — ეს ფსიქოთერაპიის მიმართულებაა, რომელიც შემოქმედებით საქმიანობას ეფუძნება. ეს არ არის მხოლოდ ხატვა, ცეკვა ან მღერა. შეიძლება აპლიკაციების კეთება, რაღაცის გამოძერწვა, გადაკეთება ან მოთხრობის წერა. მაშინაც კი, თუ სრულებით არაფრის კეთება შეგიძლიათ, არავითარი სპეციალური განათლება საჭირო არ არის. მეთოდი მარტივი და აბსოლუტურად ყველასთვის ხელმისაწვდომია.

არსებობს აქტიური და პასიური არტ-თერაპია. პირველ შემთხვევაში ადამიანი თავად ქმნის ნახატს, სკულპტურას ან სხვას. მეორეში — სხვების მიერ შესრულებულს უყურებს. შეგიძლიათ თავად ფსიქოლოგის შემოქმედებას უცქიროთ, რომელიც კლიენტებთან ურთიერთმოქმედებისკენაა მიმართული.

არტ-თერაპიას ყველაზე ფარული, საიდუმლო ზედაპირზე ამოაქვს. მას შეუძლია გამოამჟღავნოს და დაამუშაოს შინაგანი კონფლიქტები, განცდები, რომლებსაც ადამიანი გულში იკლავს, ყოველდღიურ ცხოვრებაში თრგუნავს. ზოგჯერ სწორედ არტ-თერაპია ითვლება პრობლემების არსის გარკვევის ერთადერთ შესაძლებელ საშუალებად.

მთავარი წესი — მორცხვობა დაძლიეთ. საჭირო არ არის მიზნად დაისახოთ, ყველაფერი იდეალურად და სწორად გააკეთოთ. წესები და კრიტერიუმები აქ არ არსებობს. საჭიროა მხოლოდ ამოაფრქვიოთ ის, რაც თქვენ შიგნით ხდება.

არჩევანი ფსიქოლოგსა და ფსიქოთერაპევტს შორის

ბევრისთვის გაუგებარია, თავისი პრობლემებით რომელ შემთხვევაში მიმართოს ფსიქოლოგს და როდის — ფსიქოთერაპევტს. რა განსხვავებაა ამ ორ სპეციალობას შორის?

ზოგადად ამ სპეციალისტებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მათ წინაშე სხვადასხვა ამოცანა დგას და ასევე განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ.

ფსიქოლოგიური კონსულტაცია, როგორც მეთოდი, ორიენტირებულია ჯანმრთელ პიროვნებაზე, მაგალითად, ადამიანზე, რომლის მიზანია შემდგომში პიროვნული განვითარება, მაგრამ რაღაც სირთულეები აქვს. ხოლო ფსიქოთერაპია თავისი არსით — ეს არის უფრო ღრმა ფსიქოლოგიური პრობლემების დამუშავება და მოშორება.

პრაქტიკაში ფსიქოლოგიური კონსულტაციები და ფსიქოთერაპია ერთმანეთს იმდენად ძლიერ ჰგავს, რომ ზოგჯერ სპეციალისტსაც კი არ შეუძლია პასუხის გაცემა, მოცემულ მომენტში მხოლოდ ფსიქოლოგიური კონსულტაციებით შემოიფარგლება თუ კლიენტებთან ურთიერთობაში ფსიქოთერაპიის მეთოდებს იყენებს. ფსიქოლოგიური დახმარების მეთოდები შეიძლება მსგავსი იყოს.

კარგი სპეციალისტი ურთიერთობის განსაზღვრულ ეტაპზე თავად განსაზღვრავს, სახელდობრ, როგორი დახმარება შემოგთავაზოთ, მიუხედავად იმისა, დიპლომში რა უწერია — „ფსიქოლოგი“ თუ „ფსიქოთერაპევტი“. როგორც წესი, ფსიქოლოგიური კონსულტაციები ფსიქოთერაპიის ელემენტებსაც მოიცავს, ხოლო ნებისმიერი ფსიქოთერაპია ყოველთვის დიაგნოსტიკითა და კონსულტაციებით იწყება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ჟენშენი ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს

ჟენშენს ტყუილუბრალოდ არ უწოდებენ „სიცოცხლის ფესვს“. თანამედროვე სამედიცინო გამოკვლევების თანახმად, ის შეიცავს ნივთიერებათა უნიკალურ ნაკრებს, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ძლიერ გავლენას ახდენს. ეს მცენარე მატონიზირებელ და ზოგად გამაძლიერებელ მოქმედებას ფლობს, ენდოკრინულ სისტემას ასტიმულირებს და ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს. ასევე ხელს უწყობს განსაკუთრებული იმუნური უჯრედების, ე.წ.T-ქილერების წარმოქმნას, რომლებიც ავადმყოფობის გამომწვევ ვირუსებსა და ბაქტერიებს ანადგურებენ. ამგვარად, ჟენშენი ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე დადებით გავლენას ახდენს.

ფიზიკური და გონებრივი გადაღლის, ჰიპოტონიის (დაბალი წნევა), დეპრესიული მდგომარეობის დროს სასარგებლოა ჟენშენის ნაყენი. მომზადების წესი: ჟენშენის 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ფესვებს 1 ლიტრი ნებისმიერი ღვინო დაასხით, 5 კვირა ოთახის ტემპერატურაზე ბნელ ადგილას დადგით. ყოველდღიურად შეანჯღრიეთ. დღეში 2-ჯერ 30 მლ მიიღეთ.

ყურადღება: 12 წლამდე ბავშვებისთვის ჟენშენის პრეპარატების მიღება რეკომენდებული არ არის.

მაგნიუმის მარაგი არ გამოილიოთ

მაგნიუმი მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის. სტრესულ სიტუაციებში და ფიზიკური დატვირთვისას მაგნიუმის მწვავე დეფიციტი აღმოცენდება. რაც უფრო დაძაბულად ცხოვრობთ, ორგანიზმში მით უფრო ნაკლები მაგნიუმი რჩება.

მაგნიუმის დიდ ნაწილს ადამიანი საკვებითა და სასმელით იღებს. ამ ელემენტის შემცველობით ჩემპიონია თევზი (განსაკუთრებით ორაგული), ჰალვა, სოია, თხილეული, რუხი პური, შოკოლადი, მწვანილი, ქორფა ხილი, პირველ რიგში კი — ბანანი და საზამთრო. ხოლო კალციუმით მდიდარი ყველი და ხაჭო ორგანიზმის მიერ მაგნიუმის შეთვისებას აბრკოლებს.

სისხლის გაწმენდა

ყოველდღიურად ჩვენს ორგანიზმში შხამიანი ნაერთები ხვდება. ისინი ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოიქმნებიან ან დაბინძურებული ჰაერით, წყლით, ცუდი საკვებით ხვდებიან.

გთავაზობთ მარტივ საშუალებებს, რომლებიც სისხლიდან ტოქსინების გამოდევნას ეხმარება. ამავდროულად მას აუცილებელ მიკროელემენტებსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს აწვდიან.

საღამოს დიდ თერმოსში 2 ლიტრი ადუღებული წყალი, 2 ჭიქა თაფლი, 1 სუფრის კოვზი დანაყილი კამის თესლები, 2 სუფრის კოვზი ვალერიანის დაფქული ძირები ჩაუშვით. მთელი ღამე დადგით. გაწურეთ და 1 სუფრის კოვზი ჭამამდე 30 წუთით ადრე მიიღეთ. საშუალება მაცივარში შეინახეთ. დალიეთ, სანამ არ გათავდება.

წელიწადში 1-2-ჯერ, 3 კვირის განმავლობაში შტოშის წვენი თაფლით (1 ჩაის კოვზი თაფლი 0,5 ჭიქა წვენზე) მიიღეთ. ასეთი შემადგენლობა პირველ კვირაში დღეში 3-ჯერ დალიეთ, მეორე კვირაში — 2-ჯერ, მესამე კვირაში — ერთხელ.

3 სუფრის კოვზ ბაბუაწვერას 1 ლიტრი წყალი დაასხით და წყლის აბაზანაზე მოხარშეთ. გაწურეთ, 0,5 ჭიქა დღეში 3-ჯერ მიიღეთ. ნახარში მაცივარში არაუმეტეს 2 დღე შეინახეთ.

2 სუფრის კოვზ ბეგქონდარას 2 ჭიქა მდუღარე დაასხით. დადგით, გაწურეთ. დღის განმავლობაში ჩაის მაგივრად დალიეთ.

თმას სწორად მოუარეთ

რჩევა მათთვის, ვისაც ქერტლი, ცხიმიანი თმა აქვს ან თმა სცვივა.

ყოველი დაბანის შემდეგ თავის კანში ჭინჭრის ნაყენი შეიზილეთ. 1 სუფრის კოვზ ფოთლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით. 1,5 საათი დადგით, გაწურეთ. ასე გააკეთეთ კვირაში ერთხელ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

პარალელურად გამოიყენეთ ასეთი ნაკრები: 2 სუფრის კოვზ კოთხუჯის ფესურას, 2 სუფრის კოვზ სვიის გირჩებს, 1 სუფრის კოვზ კალენდულას ყვავილებს 1 ლიტრი მდუღარე დაასხით და 2 საათი დადგით. ძილის წინ თმა ამ ნარევით დაისველეთ, ჯერ ცელოფანი დაიფარეთ, შემდეგ პირსახოცი და დასაძინებლად დაწექით. დილით თმაზე ლიმონის წვენით ან ვაშლის ძმრით გაზავებული წყალი გადაივლეთ.

ქალის დამხმარე ყვავილები

დიდი ხანია შენიშნულია, რომ ოთახის მცენარეები თავიანთი პატრონის განწყობასა და შეგრძნებებზე ძლიერ გავლენას ახდენს. ამ ზემოქმედებას განსაკუთრებით ქალები გრძნობენ. ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით, მათ ბევრად უფრო ძლიერი ინტუიცია აქვთ და გარემო სივრცეს უკეთესად გრძნობენ.

არსებობს მცენარეები, რომლებიც თავიანთ ქალბატონებს ბედნიერებას ჩუქნიან. ისინი არა — იშვიათი ეგზემპლარები, არამედ ყველასთვის ნაცნობი ყვავილებია.

მაგალითად, ავიღოთ ია. ოჯახში სიმშვიდის დაცვას და ჩხუბის თავიდან აცილებას ეხმარება. გარდა ამისა, ია მუდმივი სიყვარულის სიმბოლოა.

ჩვეულებრივი ქლოროფიტუმი, რომელსაც ჰაერის გასასუფთავებლად ბევრი სამზარეულოში დგამს, ოჯახურ ცხოვრებას წყნარსა და ბედნიერს ხდის.

ქორწინება იღბლიანი რომ აღმოჩნდეს, ოჯახში ბედნიერება და სიმშვიდე მოიტანოს, უნდა გქონდეთ მირტი — მარადმწვანე ბუჩქი პატარა თეთრი ყვავილებით. ეს სამკურნალო მცენარე უკვდავებისა და სიყვარულის სიმბოლოდ ითვლება. ხოლო თუ გსურთ, თავი არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან დაიცვათ, საუკეთესოა შემოსასვლელში დადგათ მცენარე წვეტიანი ფოთლებით ან ეკლებით — პალმა, კაქტუსი, იუკა.

ნიახური ტოქსინებისგან გვათავისუფლებს

ყველამ იცის, რამდენად ძნელია გაუნიავებელ, დაბინძურებულ შენობაში სუნთქვა. ასევე უჭირს ჩვენს ორგანიზმს, როდესაც მასში დიდი რაოდენობით მავნე ნივთიერებები იყრის თავს. წლების განმავლობაში ნებისმიერი ადამიანის ორგანიზმში „ნაგვის“ გორები გროვდება — ყველანაირი შლაკები, ტოქსინები და რადიონუკლეიდებიც კი.

ორგანიზმის შესანიშნავი გამწმენდია ნიახური. მას ძლიერ გამოხატული დეზინტოქსიკაციის თვისებები გააჩნია. სარგებლობა მოაქვს არამხოლოდ მოწამლული ადამიანებისთვის, ასევე მათთვის, ვისაც პროფილაქტიკის ჩატარება სურს.

1 ჩაის კოვზი ნიახურის წვენის დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ მიღება ღვიძლსა და სისხლს ასუფთავებს, ორგანიზმიდან ტოქსინები და შლაკები გამოაქვს, თირკმლების მუშაობას აუმჯობესებს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ბიუსტჰალტერი ტაშის დაკვრაზე იხსნება

სან ფრანცისკოელმა დიზაინერმა რენდი სარაფანმა შექმნა ბიუსტჰალტერი, რომელიც შეხების გარეშე, ტაშის დაკვრაზე იხსნება. დიზაინერმა ჩვეულებრივ ბიუსტჰალტერში ელემენტებით აწყობილი ელექტრომაგნიტის კონსტრუქცია ჩაამონტაჟა და მისი დახმარებით ბიუსტჰალტერი უმალვე სცილდება მკერდს, როგორც კი ვინმე ახლოს მდგომი ტაშს დაუკრავს.

ქალბატონები შიშობენ, რომ ბიუსტჰალტერი შესაძლოა დაუგეგმავადაც გაიხსნას, მაგალითად, საკონცერტო დარბაზებში ან ტელევიზორიდან გამოცემული ხმების წყალობით.

ჩინელი გოგონა აიფონმა იმსხვერპლა

23 წლის ჩინელი მაი ალუნი დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა. ნათესავები ამტკიცებენ, რომ მას დენმა აიფონით სატელეფონო ზარზე პასუხის დროს დაარტყა, როცა ტელეფონი იტენებოდა. ადგილობრივმა პოლიციამ დაასკვნა, რომ გოგონა მართლაც დენის დარტყმისგან გარდაიცვალა, მაგრამ არ დაუდასტურებია, რომ ამის მიზეზი სწორედ აიფონი იყო.

აიფონის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელმა მწუხარება გამოთქვა გარდაცვლილი გოგონას გამო და განაცხადა, რომ მომხდარს შეისწავლის და გამოძიებასთან აუცილებლად ითანამშრომლებს.

ექოსკოპიის დროს ბავშვთან ერთად ბებიაც გამოისახა

ორსულობის მე-10 კვირას ექოსკოპიაზე მისული პამელა სოუზი თვალებს არ უჯერებდა, როდესაც ეკრანზე მომავალ შვილთან ერთად მისი გარდაცვლილი დედამთილის სახეც დაინახა. მომავალმა მამამ, მარჩელომ, რომელიც ექოსკოპიას თვალს ადევნებდა, ეკრანზე მაშინვე შენიშნა გარდაცვლილი დედა, მაგრამ ცოლს არაფერი უთხრა.

ბავშვი უკვე მოევლინა ქვეყანას და მამამისი დღესაც ფიქრობს, რომ პატარა გარდაცვლილი დედამისის რეინკარნაციაა, მით უმეტეს, რომ შვილიშვილი ძალიან ჰგავს ბებოს.

ქალი მხოლოდ „მარსით" იკვებება

37 წლის ქეით სორელი ბოლო 17 წელია, მხოლოდ შოკოლად „მარსს" ჭამს. ქეითი ყოველდღე 11-12 „მარსს" მიირთმევს. ამ კონკრეტული შოკოლადისადმი უჩვეულო სიყვარული სკოლის ასაკიდან დაეწყო და ცოტა ხანში მიხვდა, რომ მის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლო.

მიუხედავად ექიმების სერიოზული აკრძალვებისა, სორელი ბოლო 17 წლის განმავლობაში მხოლოდ „მარსს" ჭამს და სხვადასხვა ნატურალურ წვენს სვამს. ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ მისი ჯანმრთელობა სრულ წესრიგშია.

სასტუმრო, სადაც ლამებიც მოგემსახურებიან

ინგლისში, კამბრიის საგრაფოში მდებარე სასტუმროში მომსახურე პერსონალში 18 გაწვრთნილი ლამაც შედის. ჭკვიანი ლამები სტუმრებს არასოდეს აწუხებენ, მშვიდად იქცევიან და შეძლებისდაგვარად კლიენტებსაც ემსახურებიან.

რა თქმა უნდა, ლამები ეზოში ცხოვრობენ, მაგრამ შენობაში თავისუფლად შეუძლიათ შესვლა, რისთვისაც სპეციალური კარია გაკეთებული. ლამები კლიენტებს ნომრებშიც აკითხავენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სასტუმროში ნომრები საკმაოდ ძვირია, თავისუფალი ადგილი თითქმის არასოდეს არის. სასტუმროს მეპატრონის თქმით, ეს, პირველ რიგში, ლამების დამსახურებაა.

119 წლის კაცს გინესის რეკორდსმენობა სურს



ტაილანდელი კამუ ტონგჰუმ ჩოკდე 119 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ კარგ ფორმაშია და თავსაც მშვენივრად გრძნობს. როგორც ამბობს, მისი დღეგრძელობის საიდუმლო ყოველდღიური თევზაობა, აგრეთვე ბრინჯის, თევზისა და ბოსტნეულის დიეტაა.

ამ მონაცემით ჩოკდე, როგორც მსოფლიოს ყველაზე მხცოვანი ადამიანი, შესაძლოა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს. 1894 წელს დაბადებული კამუს დოკუმენტების ექსპერტიზის პასუხი ჯერ კიდევ უცნობია. თუ ექსპერტიზა მამაკაცის ასაკს დაადასტურებს, იგი გინესის რეკორდების წიგნში უდაოდ მოხვდება.

Cyan Magenta Yellow Black



მსოფლიოში ყველაზე საშიში საქანელა

ეკვადორის ქალაქ ბანოსში უფსკრულის პირას საქანელა ჩამოკიდეს. ყველაზე საშიშ საქანელაზე დასაჯდომად, რომელსაც ადგილობრივებმა „გზა სიცოცხლის დასასრულისკენ“ დაარქვეს, ექსტრიმის მოყვარულები მთელი მსოფლიოდან ჩადიან.

მთის კიდეზე მდგარ უზარმაზარ ხეზე სახლია აშენებული, ტოტებზე გრძელი თოკებით ჩამობმულია საქანელა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ძალიან ღრმა ხევისკენ მიექანება. მიუხედავად იმისა, რომ საქანელას არ აქვს უსაფრთხოების ღვედები, მასთან ყოველთვის მაინც დიდი რიგი დგას.

ქუსლიანი ფეხსაცმლის გამო გოგომ ფეხი მოიჭრა

საბერძნეთში მცხოვრებმა 15 წლის იზაბელ პაპანდრონიკოსმა, რომელსაც დაბადებიდან მარჯვენა ფეხი მარცხენაზე 8 სანტიმეტრით მოკლე ჰქონდა, პრობლემა მარტივად გადაჭრა — მარჯვენა ფეხი მოიჭრა, პროთეზი გაიკეთა, ნანატრ მაღალ ქუსლებზე შედგა და გამოსაშვებ საღამოზე ისე წავიდა.

გოგონამ ფეხის მოჭრის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც შეიტყო, რომ სპეციალურად ქუსლიანი ფეხსაცმლისთვის ამზადებდნენ პროთეზებს. იზაბელმა ოცნება აისრულა და მთელი საღამო მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი არ გაუხდია.

მოსწავლეების პროტესტი — ბიჭები ქვედატანებში

დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე ბიჭებმა ქვედატანებით სიარული დაიწყეს. საქმე ის გახლავთ, რომ ზაფხულის აუტანელ სიცხეში დირექციამ მოსწავლეებს შორტების ჩაცმა აუკრძალა და მოსწავლეებმაც ასეთი გამოსავალი იპოვეს. დირექტორი ქვედატანებში გამოწყობილი ბიჭების დანახვამ უფრო აანერვიულა, რადგან, მეტეოროლოგების პროგნოზით, მაღალი ტემპერატურა ბრიტანეთში ივლისის ბოლომდე შენარჩუნდება.

სკოლის დირექციას მეტი გზა არ დარჩენია, კომპრომისზე წასვლა და შორტებზე აკრძალვის გაუქმება მოუწევს.

წყვილმა 70 წლის დაგვიანებით იქოჰნინა

ბობ ჰამშირსა და ბერნი ბლუეტს ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ. მერე ბობი მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, მისგან გამოგზავნილ წერილებს კი ბერნის მშობლები ერთადერთ ქალიშვილს საგულდაგულოდ უმალავდნენ. შემდეგ ბლუეტების ოჯახი ბრიტანეთიდან საცხოვრებლად ახალ ზელანდიაში გადავიდა, იქ ჩასულებმა კი ქალიშვილი სხვა მამაკაცზე გაათხოვეს.

70 წლის შემდეგ, 2011 წელს, წყვილი ერთმანეთს ინგლისში, კერძოდ კი სომერსეტში შეხვდა ბერნის ქალიშვილის წყალობით. 89 წლის ბობსა და 87 წლის ბერნს დიდხანს აღარ უფიქრიათ და ოფიციალურად დაქორწინდნენ.

— ჩვენ ერთმანეთს მთელი ცხოვრების განმავლობაში ვეძებდით და იმედი არასოდეს დაგვიკარგავს, — განაცხადეს ახალდაქორწინებულებმა.

კედელში გაჭედილი ქალი მოჩვენება ეგონათ

ჩინეთში, ანჰუის პროვინციაში, სამსახურიდან სახლისაკენ მიმავალი ქალი გზის შემოკლების მიზნით ძალიან ვიწრო ქუჩას გაუყვა და სახლების კედლებს შორის გაიჭედა. ქალმა ყვირილი დაიწყო, მაგრამ იქ მცხოვრებლებს ეგონათ, რომ მოჩვენების ხმა იყო, ამიტომ მთელი ღამის განმავლობაში მის საშველად არაფერი უღონიათ.

გამთენიისას ერთ-ერთი მცხოვრები დარწმუნდა, რომ ნამდვილად ადამიანის ხმა იყო და სამაშველო სამსახურში დარეკა. მაშველებს ქალის დასახსნელად კედლის გამონგრევა მოუხდათ. მცირედი დაზიანებებით ის უახლოეს კლინიკაში გადაიყვანეს.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

საკუთარ თავთან ზედმეტად მკაცრი ხომ არ ხართ?

1. როდესაც თმაში ჭაღარას აღმოაჩენთ, რას გააკეთებთ?

ა) ჭაღარას ამოვიძრობ და ყოველდღე გავაკონტროლებ, კიდევ ხომ არ ამოვიდა — 3

ბ) ალბათ შევეგუები — 1

გ) შევეცდები, გაჭაღარავების მიზეზები ექიმთან დავადგინო — 2

2. სახლში სტუმრებს ელით, წინა დღეს ელექტროღუმელი და ყავის მადუღარა გაგიფუჭდათ, რა რეაქცია გექნებათ?

ა) არა უშავს, ისედაც ახლის ყიდვას ვაპირებდი და სასწრაფოდ შევიძენ — 2

ბ) მომენტალურად შესაკეთებლად წავიღებ — 3

გ) რომელიმე სტუმარს ვთხოვ, თან ყავის მადუღარა წამოიღოს — 1

3. გიჟური დღე გაქვთ, უფროსი სამსახურში გვიანობამდე დარჩენას გთხოვთ, მეგობარი — შეხვედრას, სახლში კი სტუმრები უნდა მოვიდნენ. როგორ მოიქცევით?

ა) მეგობარს შეხვედრას გადავუდებ — 2

ბ) მეგობარს ვთხოვ, ჩემს სახლში მივიდეს და სტუმრებს დახვდეს — 1

გ) ანერვიულდებით, წონასწორობიდან გამოხვალთ და აბსოლუტურად უმოქმედო გახდებით — 3

4. როგორ აღწერდით თქვენს გარდერობს?

ა) პრაქტიკული და კომფორტული — 3

ბ) მოდური ნივთებით სავსე — 1

გ) თანამედროვეობისა და ძველმოდურობის სინთეზი — 2

5. კოსმეტიკის გამყიდველმა გითხრათ, რომ მშრალი კანი გაქვთ, რას იზამთ?

ა) შევეცდები, ისეთი კოსმეტიკა შევიძინო, რომელიც გამყიდველმა მირჩია — 2

ბ) საკუთარი კანის მდგომარეობა თავად უკეთ ვიცი და გამყიდველის ნათქვამს ყურადღებას არ მივაქცევ — 1

გ) პროფესიონალ კოსმეტოლოგს მივმართავ კანის მდგომარეობის შესამოწმებლად და თუ საჭიროა, შესაბამის მკურნალობას ჩავიტარებ — 3

შედეგები:

5-8 ქულა — ცხოვრებას მარტივად უყურებთ, ნაკლებად დარდიანი ხართ. თუ საქმე კარგად არ გამოგდით, არც ამაზე ნაღვლობთ. ერთი დღით ცხოვრობთ. დაშვებული შეცდომების გამო არასოდეს იტანჯავთ თავს.

9-12 ქულა — ნებისმიერ საქმეს სერიოზულად უდგებით. ცდილობთ, ზედმეტი პრობლემები თავიდან აიცილოთ და შეცდომები არ დაუშვათ. ამდენად, მათ გამო ნაკლებადაც ღელავთ.

13-15 ქულა — საკუთარი თავის მიმართ მკაცრი და მომთხოვნი ხართ. რისკი თქვენთვის მიუღებელია. გახსოვდეთ, შეცდომას ნებისმიერი ადამიანი უშვებს და ეს ტრაგედია არ არის, რომლის გამოც მთელი ცხოვრება უნდა იტანჯებოდეთ.

ბუჯია თუ მიმჯევევგელი?

ტესტის კითხვებს უპასუხეთ „დიახ“, „არა“ ან „ასეც ხდება“.

1. ადვილია თქვენთვის გუნება-განწყობის გაფუჭება?
2. წყენა დიდხანს გამახსოვრდებათ?
3. უსიამოვნებებს დიდხანს განიცდით?
4. ხშირად გაქვთ პერიოდები, როცა არავისთან გსურთ ლაპარაკი?
5. გაღიზიანებთ ხმაური და ხმამაღალი საუბარი?
6. დიდხანს უნდებით საკუთარი გრძნობების ანალიზს?
7. შეიძლება 5 წუთში რამდენჯერმე შეგეცვალოთ ხასიათი?
8. სიზმარში კოშმარებს ხედავთ?
9. კონფლიქტური სიტუაციის დროს ყვირილი გჩვევიათ?
10. ადვილია თქვენი მდგომარეობიდან გამოყვანა?
11. გემრიელი საჭმლის ჭამა ხასიათს გიუმჯობესებთ?
12. როდესაც გარშემომყოფებს თქვენი არ ესმით, ღიზიანდებით?

ყოველ პასუხზე „დიახ“ 0 ქულა დაიწერეთ; პასუხზე „ასეც ხდება“ — 1 ქულა; პასუხზე „არა“ — 2 ქულა.

შედეგები:

22-24 ქულა — ბუტიას ვერავინ გიწოდებთ. გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით და ემოციებს მშვენივრად აკონტროლებთ. თქვენი მდგომარეობიდან გამოყვანა ძნელია და ამას თითქმის ვერავინ ახერხებს.

17-22 ქულა — თქვენი განაწყენება ადვილად არა, მაგრამ მაინც შესაძლებელია. ხანდახან ფეთქებადიც ხართ და გაბრაზებულს უხეშობაც გჩვევიათ. ამის გამო იშვიათად, მაგრამ სამსახურსა და სახლში მაინც გაქვთ კონფლიქტები.

0-16 ქულა — ბუტია და შურისმაძიებელი ბრძანდებით. ავადმყოფურად განიცდით თქვენ შესახებ გარშემომყოფების აზრს. ეს უარყოფითი თვისებები თქვენი ცხოვრების პრობლემების მიზეზია. თუ გსურთ, ახლობლებმა და მეგობრებმა ბუტიად აღარ ჩაგთვალონ და თქვენთან ურთიერთობა სურდეთ, აუცილებლად იზრუნეთ, ცოტათი მაინც შეიცვალოთ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

3			2					4
7					9		6	
		1	5			8		
					2		5	1
	5			6	4	3		
	9		1				7	
6		2		5		9		
	4		7		1	2		
8					3			7

№ 2

1				8				9
		8			9		5	
	4		6		7	2		
	9				1			6
		3	7					
5				2				4
3			9			1	8	
	7	6		5		3		
2							4	

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორი მამაკაცი იქნებოდით?

1. ბავშვობაში ყველაზე ხშირად რას თამაშობდით?

ა) „რეზინობანას“ ვაღმერთებდი — 3

ბ) თოჯინებს გამოვპრანჭავდი და სტუმრად მივდიოდით — 10

გ) დამალობანას ან დედაშვილობანას — 5

დ) ბიჭებთან ერთად ხეებზე დავძვრებოდი — 0

2. როგორ სამოსს ატარებთ?

ა) ყველაზე მოდურს, ბოლო კოლექციებიდან — 0

ბ) იმას, რაც ტანზე იდეალურად მადგას, თუნდაც 3 წლის წინ ნაყიდს — 3

გ) უბრალო და კომფორტული, საყვარელი ჯინსებისა და მაისურის გარეშე არ შემიძლია — 5

დ) მთავარია, მე მომწონდეს და თუნდაც სექენდ ჰენდში იყოს ნაყიდი — 10

3. სახლიდან გასვლის წინ ამოწმებთ, რომ არ დაგავიწყდეთ...

ა) მობილური და საფულე — 0

ბ) გაზისა და უთოს გამორთვა — 5

გ) მისამართი, სადაც მივდივარ — 3

დ) ტუჩსაცხის წასმა — 10

4. თქვენი მეგობრები:

ა) რატომღაც მათ შორის მეტი მამაკაცია, ვიდრე ქალი — 0

ბ) ვიღაცას ბავშვობიდან ვიცნობ, მავანთან ერთად კი ვსწავლობდი — 3

გ) უკვე დიდი ხანია, ვდაქალობთ — 5

დ) ვიცნობ მას შემდეგ, რაც ახალი ჰობი გამიჩნდა — 10

5. სპორტდარბაზი, ეს არის...

ა) საუკეთესო საშუალება ახალი ნაცნობების შოვნის — 0

ბ) საუკეთესო საშუალება, მუდმივად ფორმაში ვიყო — 3

გ) მირჩევნია ფეხით სეირნობა ან ცურვა — 5

დ) სპორტდარბაზს სპორტის ექსტრემალური სახეობები მირჩევნია — 10

6. სასტუმროს არჩევისას რას აქცევთ ყურადღებას?

ა) ცივილიზაციის ცენტრთან სიახლოვეს — 3

ბ) გასართობების რაოდენობას — 0

გ) იმას, თუ როგორი ექსკურსიები ეწყობა ამ სასტუმროდან — 10

დ) იქ მცხოვრებთა ასაკს — 5

7. შვებულებიდან დაბრუნებული, პირველ რიგში რას აკეთებთ?

ა) სმს-ს ვწერ თანამგზავრს, რომ მომავალში არ დამეკარგოს — 3

ბ) მეგობრებს ვხვდები და შთაბეჭდილებებს ვუზიარებ — 10

გ) მილიონ საოჯახო საქმეს, რომლებიც მომავლისთვის გადავდე — 5

დ) ფოტოებს ვათვალიერებ, რომლებიც შვებულების დროს გადავიღე, ვდებ ინტერნეტში, რათა მეგობრებთან ვიბაქიბუქო — 0

8. რა არ მოგწონთ მამაკაცში?

ა) უგემოვნობა — 0

ბ) უფულობა და უმუშევრობა — 3

გ) მავნე ჩვევები — 5

დ) ფეთქებადი ხასიათი — 10

9. საჭმლის მომზადება გიყვართ?

ა) მხოლოდ ერბოკვერცხის შეწვა ვიცი — 0

ბ) მირჩევნია, ამას ვინმე სხვა აკეთებდეს — 3

გ) დიახ, ეს ჩემი ჰობია — 5

დ) წელიწადში ერთხელ სადღესასწაულოდ შემიძლია რამე მოვამზადო, რომ სტუმრები გავაოცო — 10

10. რომელი სასმელი გირჩევნიათ?

ა) შამპანური ან კოქტეილი — 10

ბ) ტეკილა — 0

გ) ვისკი ან რომი — 3

დ) რაიმე უალკოჰოლო ან ღვინო — 5

11. ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა...

ა) როგორც წესი, გარკვეული დროის შემდეგ რომანში გადაიზრდება — 0

ბ) ხშირად ხდება უსაფუძვლო ჭორების საბაბი — 3

გ) ასეთი რამ არ არსებობს — 10

დ) არჩევულებრივი საშუალებაა, მამაკაცი უკეთ გაიცნო — 5

12. რას ფიქრობთ ქალზე, რომელსაც საკუთარი ბიზნესი აქვს?

ა) საინტერესო შემთხვევაა — 0

ბ) პატივისცემით — 3

გ) სინანულით — 5

დ) მასთან ურთიერთობისთვის საერთო თემას ვერ ვიპოვიდი — 10

13. როგორი ხელწერა გაქვთ?

ა) წვრილი ასოები, გაურკვეველი, სხვადასხვა მხარეს „გაქცეული“ ნაწერი — 0

ბ) ზოგიერთ ასოებს ვაბამ, ზოგს — არა — 3

გ) მრგვალი ასოები, დიდი დახრით — 5

დ) ჩემი ნაწერი ტალღოვან ხაზს ჰგავს — 10

14. თქვენი პირველი სიყვარული...

ა) პირველად საბავშვო ბაღში მიყვარდა — 0

ბ) ტელეეკრანის ვარსკვლავი იყო — 3

გ) დამოუკიდებელი ადამიანი იყო და სამუდამოდ დამიტოვა იარა — 10

დ) როცა სკოლა დავამთავრეთ, დაქორწინებას ვაპირებდით — 5

შედეგები:

0-35 ქულა – მექალთანე

გამოტყდით, უკვე რამდენი ქალის გული დაამსხვრიეთ? ახალი ურთიერთობა თქვენთვის პატარა პიესაა, რომელშიც მორიგ ჯერზე საშუალება გეძლევათ, მთავარი როლი შეასრულოთ. ბუნებამ არამარტო გარეგნული სილამაზით, არამედ გამჭრიახი გონებითაც დაგაჯილდოვათ, რომელიც გეხმარებათ, სწორად და წარმატებულად გამოიყენოთ თქვენი სილამაზე. ერთი რამ არ დაგავიწყდეთ, ბედნიერების დევნაში შესაძლოა ყურადღებიდან გამოგრჩეთ მთავარი მიზანი და ვერასოდეს შეხვდეთ ნამდვილ სიყვარულს.

36-65 ქულა – წარმატებული კარიერისტი

ლიდერობას ხართ მიჩვეული. ყველგან და ყოველთვის გამარჯვებული უნდა იყოთ — მოლაპარაკებებზეც, სამსახურშიც და ოჯახშიც. ზუსტი გათვლა და საკუთარი ინტერესების დაცვა-გატანა დაგეხმარათ, წარმატებული კარიერა გაგეკეთებინათ, მაგრამ პირად ცხოვრებაში ყველაფერი პირიქით გაქვთ. ეცადეთ, უფრო რბილი იყოთ, ისწავლეთ კომპრომისებზე წასვლა და ნუ შეგეშინდებათ, ინტუიციას ენდოთ — სასიყვარულო საქმეებში ის არასოდეს მოგატყუებთ.

66-100 ქულა – ერთგული მეოჯახე

ძლიერ, გავლენიან ქალებს უნდა უფრთხილდეთ, რომელთა ქუსლქვეშ ისეთი რბილი და დამთმობი მამაკაცები ექცევიან, როგორიც თქვენ ხართ. კარგი აღზრდა და ათობით დაუწერელი კანონი ხშირად გიბიძგებთ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იმოქმედოთ. გიჭირთ „არას“ თქმა და არასოდეს არავის აწყენინებთ. ყველას თვალწინ კოცნა თქვენთვის ფრივოლური საქციელია, აი, ოჯახურ ვახშამს არასოდეს დააკლდებით, გულსა და ხელს კი ქალს აუცილებლად მუხლმოყრილი შესთავაზებთ ვარდების თაიგულით ხელში.

101-140 ქულა – გამოუსწორებელი რომანტიკოსი

ბალიშზე მიმოფანტული ვარდის ფურცლები, ვახშამი სახლის სახურავზე, საყვარელი ქალისადმი მიძღვნილი მორიგი ლექსი — დარწმუნებული ხართ, რომ დროში არ დაიკარგეთ?! XXI საუკუნეში რომანტიკული ნატურა იშვიათობაა. მიჩვეული ხართ ადამიანების ნდობას, თვლით, რომ გარეგნობა მთავარი არ არის, გრძნობას კი ბრილიანტებით ვერ იყიდით. მაგრამ ასეთი მიდგომა ბევრს არ მოსწონს და ხშირად გეუბნებიან, რომ დროა, ვარდისფერი სათვალე მოიხსნათ.

Cyan Magenta Yellow Black

როდის გვემუქრება მზე კანის კიბოთი

ოამაზი ნამზეურის მიღებაზე ზრუნვისას ხშირად გვავიწყდება საშიშროება, რომელიც მზისა და სოლარიუმის არასწორად გამოყენებას მოჰყვება. ერთ-ერთი მათგანია მელანომა — კანის კიბოს ყველაზე ავთვისებიანი ფორმა. შეიძლება თუ არა მისი თავიდან აცილება და როგორ მოვიქცეთ, თუ მაინც აღმოცენდა?

მელანომა ავთვისებიანი წარმონაქმნია, მეტასტაზები სწრაფად ვრცელდება და ადეკვატური მკურნალობის გარეშე პაციენტი საკმაოდ მალე იღუპება.

ჯერ კიდევ 30-40 წლის წინ მელანომას, როგორც წესი, გვიან სტადიებზე მკურნალობდნენ და ოპერაციის შემდეგ ავადმყოფთა მხოლოდ ნაწილი ხუთი წელი ცოცხლობდა. სადღეისოდ ექიმთა მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მელანომა რაც შეიძლება საწყის ეტაპზე გამომჟღავნდეს. შორსწასულ შემთხვევებში მისი მკურნალობა ძალიან ძნელია და მკურნალობის მეთოდი, როგორც წარსულში, ქირურგიულია.

გამომწვევი მიზეზები

ზოგიერთი სპეციალისტი პირველ ადგილზე აყენებს მზის ჭარბ ულტრაიისფერ გამოსხივებას ან სოლარიუმში ულტრაიისფერ ლამპებს. შემთხვევების ნახევარი დაკავშირებულია ადრე არსებული ხალების დაზიანებასთან (მათზე ერთჯერადი ან ქრონიკული ზემოქმედება, სამოსის ხახუნი). ასეთ ზემოქმედებას ყველაზე ხშირად ადგილი აქვს ამობურცულ ხალებზე (ყელზე, საზარდულთან, წვივზე) და მაინც, მზისა და სოლარიუმის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

ჰოგორ გამოიყენება მელანომა?

ეს შეიძლება იყოს გარეგნულად ჩვეულებრივი პიგმენტური ლაქა, მაგრამ შეცვლილი მოხაზულობით, ფერით, სტრუქტურით. ან ეს არის ოდნავ ამობურცული ბრტყელი ფოლაქის მსგავსი. არსებობს მელანომა ხალის ზედაპირზე ან კანზე წამოშვერილი კვანძის სახით. მელანომა ხშირად ფერადია: ღია რუხიდან შავამდე, ღია ან მუქი ყავისფერი.

აუცილებლად მიმართეთ ექიმს, როგორც კი ხალის ნებისმიერ ცვლილებას შენიშნავთ და სიცოცხლეს შეინარჩუნებთ.

ჯავშირი მზესა და მელანომას შორის

აქ მეტად მნიშვნელოვანია კანის ტიპი. ღია ფერის კანი მზეზე ადვილად იწვის. ასეთი კანის მფლობელებმა დღეში მზეზე არაუმეტეს 2-3 საათისა უნდა დაჰყონ, თანაც დღის 12 საათამდე და საღამოს 5 საათის შემდეგ. უნდა გამოიყენონ მზისგან დამცავი კრემი (ფოტოპროტექტორებით). ის კანის ყველა ღია ნაწილზე მზეზე გასვლამდე 20-30 წუთით ადრე უნდა წაისვან. შავგვრემანებისთვის დაცვის ხარისხი უნდა იყოს 15-20 ერთეული, ქერებისთვის 40-50 ერთეული. ასევე ადამიანებისთვის, რომელთა კანი გარუჯვისკენ ნაკლებად მიდრეკილია, 12-დან 16 საათამდე პლაჟზე ყოფნა რეკომენდებული არ არის. განსაკუთრებით საჭიროა პატარა ბავშვების დაცვა, მით უფრო, თუ მათი მშობლები მელანომით ავადმყოფობდნენ. ამ დაავადების მემკვიდრული ფორმები არსებობს.

პროფილაქტიკა

მელანომის წინამორბედია ხალი ან პიგმენტური ლაქა. ისინი მუდმივ ყურადღებას, წელიწადში 1-2-ჯერ დერმატოლოგთან ან ონკოლოგთან ვიზიტს ითხოვენ.

გახსოვდეთ: სოლარიუმში გარუჯვა შეიძლება არაუმეტეს 5-7 წუთი ორ კვირაში ერთხელ იმ პირობით, თუ ადამიანს სხეულზე 40-50 ხალზე მეტი არ აქვს. თუ მეტია, სოლარიუმი თქვენთვის უკუნაჩვენებია.

თუ ხალი ლაქწასმულივით პრიალა გახდა ან ფერი არათანაბრად შეიცვალა (ერთი მხრიდან ღიავდება ან მუქდება), ამასთან ფორმაც გამრუდდა, სასწრაფოდ ექიმს მიმართეთ.

მოერიდეთ ხალის ნებისმიერ ტრავმას და მზეზე ყოფნას. ზემოაღნიშნული წესები მკაცრად დაიცავით.

როგორ ავიცილოთ თავიდან სალმონელოზი

ssალმონელოზი ზაფხულის ნაწლავურ ინფექციებს შორის პირველ ადგილს იჭერს.

პირველი მიზეზი. არაკეთილსაიმედო პროდუქტები

ადამიანები სალმონელოზით საკვებიდან ინფიცირდებიან. ძირითადი საშიშროება ისაა, რომ მიკრობები საკვების გარეგნობას — ფერს, სუნს და კონსისტენციას — არ ცვლიან.

რჩევა. სიცხეში ქუჩაში პროდუქტები არ შეიძინოთ. ზაფხულში უარი თქვით ტორტებსა და კრემიან ნამცხვრებზე, თუ მათ პატარა მაღაზიებში ყიდიან, სადაც ხშირად ხარისხიანი მაცივრები არ არის.

არ ჭამოთ ისეთი დესერტი, როგორიცაა ჩიტის რძე და გოგლიმოგლი. ისინი შეიცავენ უმ კვერცხს, რომელიც ხშირად სალმონელებითაა დასნებოვნებული.

დროებით უარი თქვით პაშტეტზე, ძეხვეულზე, ნახევარფაბრიკატებზე. განსაკუთრებით საშიშია მაიონეზით შეზავებული ხორციანი სალათები.

მეორე მიზეზი. არასწორი შენახვა

თუ ზაფხულში პროდუქტების შენახვას გულგრილად მიუდგებით, სალმონელოზით არამხოლოდ გარეთ ნაყიდი პროდუქტებით, ასევე თქვენ მიერ მომზადებული საჭმლით დაავადდებით.

რჩევა. აგარაკზე ან პიკნიკზე პროდუქტების ტრანსპორტირებისთვის მინი-მაცივარი ან ყინულიანი თერმოსი შეიძინეთ. რძე, ხაჭო, ძეხვი, ყველი პლაჟზე არ წაიღოთ.

როგორც წესი, სალმონელების უმეტესობა 2-3 წუთიანი დუღილის შემდეგ იღუპება, მაგრამ გვხვდება ისეთი „გმირული“ ფორმებიც, რომლებიც მაღალ ტემპერატურას 2,5 საათი უძლებენ და თავიანთ თვისებებს გაყინვის დრო[illegible]საც ინარჩუნებენ. ამიტომ პოტენციურად საშიში პროდუქტები (ხორცი და ფრინველი) არანაკლებ 2 საათისა ხარშეთ.

მესამე მიზეზი. ჰიგიენის წესების დაუცველობა

სალმონელები ხშირად ხვდებიან საკვებში ავადმყოფებისა და დაავადების მატარებელი პირების უსუფთაო ხელებიდან.

რჩევა. ოჯახის წევრები და სტუმრები მიაჩვიეთ, ქუჩიდან შემოსვლისას ხელები საპნით, გამდინარე წყლით დაიბანონ და პირსახოცით კარგად შეიმშრალონ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რომ ჰიგიენის წესები დაიცვან ბავშვებმა, ვინაიდან ეს ხშირად ავიწყდებათ.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, ხელს როგორი წყლით იბანთ. ნაკადულიდან ან სხვა ბუნებრივი წყალსაცავიდან აღებული წყალი შეიძლება საშიში იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მასში წყლის ფრინველები დაცურავენ. ამიტომ ბუნებაში გასვლისას ან აგარაკზე სასმელი წყალი აუცილებლად თან წაიღეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი



— ვარ 11 კვირის ორსული, ვიღებ უტროჟესტანს, მაინც მაქვს მენსტრუაცია. საშიშია?

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს, რადგან ორსულობისას მენსტრუაცია წყდება. ეს შესაძლოა იყოს მენსტრუაციისმაგვარი გამონადენი.

— ვარ 32 წლის. ციკლი ხან 28 დღეში ერთხელ მაქვს, ხან — 30 დღეში ერთხელ, ხანაც — 33 დღეში ერთხელ. ვის მიკმართოთ?

— მენსტრუალური ციკლი რეგულარული არის მაშინ, როდესაც ყველაზე გრძელ და ყველაზე მოკლე მენსტრუალურ ციკლებს შორის სხვაობა 8 დღეს არ აღემატება. ასე რომ, თქვენი ციკლი ითვლება რეგულარულად.

— თირკმლებში მაქვს კენჭები, მცენარეული საშუალებებით შეიძლება მისი დაშლა და გამოდევნა?

— თირკმლიდან კენჭის გამოდევნის მცდელობით შეიძლება კენჭი დაიძრას, ჩაიჭედოს საშარდე გზებში და შარდის შეგუბება გამოიწვიოს. ანთებითი პროცესის დროს კი შეიძლება გამოყენება. მცენარეული საშუალებები. კენჭის გამოსაძევებლად შესაძლებელია ნებისმიერი სითხის მიღება. თირკმელკენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ ხალხურ მედიცინაში იყენებენ სტაფილოს წვენს, შავი ბოლოკის წვენს, ლიმონის წვენს თანაბარი რაოდენობით წყალთან ერთად.

— ორსულობა შეწყდა 14 კვირაზე, რამდენ ხანში შეიძლება კიდევ ორსულობა?

— დაახლოებით 6 თვე მაინც უნდა გავიდეს.

— საზარდულის არეში, სასქესო ორგანოსთან ახლოს მაქვს ქავილი, განსაკუთრებით ღამით. ბოლო პერიოდში ვამჩნევ საზარდულის ჯირკვლების ოდნავ გადიდებას. გთხოვ მირჩიოთ, რა გავაკეთო.

— გესაჭიროებათ გამოკვლევა, პირველ რიგში, შაქარზე, მერე — სოკოზე და ა.შ. აუცილებლად უნდა მიმართოთ სპეციალისტს.

— ფეხის ფრჩხილის სოკოს სამკურნალოდ რომელი პრეპარატის გამოყენებას მირჩევთ? ფრჩხილები კიდეებში სქელდება, როცა ფრჩხილი იზრდება, არის აქერცლილი და ცერა თითის ფრჩხილი გასქელებული, ხოლო დანარჩენები თეთრი ფერისაა და უსიცოცხლოდ გამოიყურება. რომელი მალამო გამოვიყენო, ნორმალური ფორმა რომ დაუბრუნდეს ფრჩხილებს?

— შეიძლება ეს სოკოვანი დაავადება. უნდა მიმართოთ დერმატოლოგს. ფრჩხილის დაზიანება სოკოვანი ინფექციის გარდა სხვა დაავადებამაც შეიძლება გამოიწვიოს. სწორი მკურნალობის შედეგად ფრჩხილის სოკოვანი დაავადება იკურნება. მკურნალობა დიდხანს გრძელდება — მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა ფრჩხილის მთელი ფირფიტის გასაზრდელად. ხელის ფრჩხილები 3-4 თვის განმავლობაში იზრდება, ფეხის კი — 5-6 თვეში.

— მაქვს ძალიან მშრალი კანი. გთხოვთ მირჩიოთ სახლის პირობებში რა გამოვიყენო?

— პირველ რიგში, დაადგინეთ, კანის სიმშრალე ხომ არ არის რაიმე ენდოკრინული დარღვევით გამოწვეული. თუ ეს მიზეზი გამორიცხულია, ასაკის შესაბამისად უნდა შეარჩიოთ სახის საცხი მშრალი კანისთვის, უმჯობესია ზეითუნის ზეთზე იყოს დამზადებული.

თაფლი თვალებს ჯურნავს

თაფლი არამხოლოდ გემრიელი და სასარგებლო სასუსნავია, ასევე კარგი საშუალებაა თვალის დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის. ფუტკრები შესანიშნავ ანტიბაქტერიულ საშუალებას გვჩუქნიან. თაფლი ანთებას კარგად აქრობს. ის მდიდარია ვიტამინებით, მიკროელემენტებით. ამიტომ თვალის ქსოვილებს კვებავს, ინფექციების მიმართ მათ წინააღმდეგობას ზრდის. დაბოლოს, თაფლი მთელ ორგანიზმზე სასიკეთოდ მოქმედებს.

თვალებში ტკივილის, კატარაქტის, კონიუნქტივიტის და უბრალოდ ძლიერი დაღლის დროს კარგად ეხმარება თაფლის წვეთები. 1 წვეთი ნატურალური თხევადი თაფლი, რომელიც ჯერ კიდევ არ დაკრისტალებულა, 10 წვეთ სუფთა წყალში გაანავეთ. დღეში ერთხელ, დილით, თვალში ჩაიწვეთეთ. მკურნალობის კურსი 2 კვირაა, შემდეგ — ორკვირიანი შესვენება.

თაფლი თბილ წყალში თანაფარდობით 1:3 შეურიეთ. თვალის ნებისმიერი ანთებითი დაავადების დროს სველი საფენების და კომპრესის სახით გამოიყენეთ.

ასეთი მკურნალობის დროს თვალებში წიწკნა შეიგრძნობა, რომელიც მალე გადის. მაგრამ თუ თაფლზე ალერგია გაქვთ, მკურნალობის ეს მეთოდი არ გამოიყენოთ.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

ამეთვისტოს წყალი

ასამნისფერ ამეთვისტოს მშვიდობისა და წონასწორობის ქვას უწოდებენ. მიჩნეულია, რომ წყალი, რომელშიც ეს მინერალი იდო, სისხლძარღვებს ასუფთავებს, ნერვულ სისტემას ამშვიდებს და ემოციების გაკონტროლებას ეხმარება. თუ გსურთ, ამეთვისტოს წყალი მოამზადოთ, გვერდითი ეფექტების ნუ შეგეშინდებათ. ამ მინერალის ნაყენი მსუბუქად მოქმედი საშუალებაა.

ამეთვისტოს ერთ დიდ ქვას ან ერთ მუჭა პატარებს 1 ლიტრი წყალი დაასხით. მაგრამ წყალში 2 დღეზე მეტხანს არ დატოვოთ. სასურველია, ასეთი ნაყენი ყოველდღიურად 1 ჭიქა მიიღოთ (0,5 ჭიქა საუზმის წინ და იმდენივე ვახშმის წინ).

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

1. ქალბატონი ფრანგულად; 2. იუპიტერის თანამგზავრი; 3. „... კისერზე“; 4. ...-ატაშე, ...-ბიურო; 5. შიგნითა პატარა ეზო საფრანგეთში; 6. ნუსხა; 7. ნათესების მავნებელი მწერი; 8. ლითონი; 9. საცხენოსნო ..., სათხილამურო ...; 10. ზამთრის სამოსელი; 11. ცეცხლის ანადენი; 12. ევროპის ებრაელთა ენა; 13. ქართველი პოეტი; 14. პოეზიისა და ისტორიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ძალიან პატარა, ჭრელი, სწრაფი ჩიტი; 16. ... გრუზინსკაია; 17. დიდი ბაღი ქალაქში; 18. თვითმფრინავის მანევრირება სხვადასხვა ფიგურების ჩვენებით; 19. ქალაქი იტალიაში; 20. სხვადასხვაგვარი ნაწილების, საგნების მექანიკური, შემთხვევითი ნაერთი; 21. დათვის ნაშიერი; 22. ხილის გამაგრილებელი სასმელი; 23. ... სიბელიუსი; 24. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 25. იაპონური თეატრი; 26. შუქფარი; 27. თეფში; 28. ტბა აფრიკაში; 29. ბატონო ესპანურად; 30. აღმოსავლური შაში; 31. პარაგვაის ჩაი; 32. ამერიკელი ასტრონავტი; 33. ძალიან ნელი ტემპი მუსიკაში; 34. ... იყალთოელი; 35. უქმჩრო თუთიყუში; 36. ოთახის პატარა ძაღლი; 37. თეთრძაფებჩართული შავი ქსოვილი; 38. სამმუსიკოსიანი ანსამბლი; 39. ტუმბო; 40. ... აბაშიძე; 41. ლომვეშაპი; 42. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 43. მეგრული საჭმელი; 44. საზეიმო წვეულება; 45. თევზსაჭერი მოწყობილობა; 46. თვითმართული წყალქვეშა ჭურვი; 47. დედამიშვილი; 48. ორატორთან შეპასუხება, წამოძახილი; 49. მატარებლის მომსახურე პერსონალი; 50. უარყოფის ნაწილაკი; 51. თხრილი ომის დროს, საიდანაც ისვრიან; 52. მდინარის პატარა თევზი; 53. ინგლისური მაგარი ლუდი; 54. სასიმღერო ხელოვნების დარგი; 55. იუპიტერის თანამგზავრი; 56. სიგრძის საზომი ერთეული; 57. ერთხმიანი საოპერო ნომერი; 58. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 59. სააღდგომო მცენარე; 60. შექსპირის ტრაგედია; 61. სვანური ქალღვთაება; 62. ერთეული ვექტორი; 63. წყვილთა ესპანური ცეკვა; 64. მდინარის ღრმა ადგილი, სადაც წყალი ბრუნავს; 65. ...-ლანკა; 66. თილისმა, ამულეტი.





წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ღან; 2. აიეტი; 3. პრემია; 4. კომეტა; 5. ეი; 6. ბუი; 7. ლას; 8. ალტი; 9. ბაიანი; 10. პიკაპი; 11. საუნა; 12. ალი; 13. კირხე; 14. აპერკოტი; 15. საია; 16. კაპრიზი; 17. კია; 18. პრემიერა; 19. ერკემალი; 20. იდეალი; 21. ეპატაჟი; 22. ირინე; 23. ადა; 24. არისა; 25. ელზა; 26. მარკიზი; 27. ირისი; 28. მიკადო; 29. ბიენალე; 30. მარინა; 31. დონე; 32. სამბა; 33. მარადია; 34. ფეტვი; 35. მამული; 36. ინტიმა; 37. ბერიკა; 38. ატა; 39. თმა; 40. ანუკ; 41. ამია; 42. კარნიზი; 43. კაკადუ; 44. პოლინეზი; 45. ოაზისი; 46. სიო; 47. ნაზუქი; 48. ბანი; 49. ზებუ; 50. ვალეტა; 51. ლაზიერი; 52. უტა; 53. იოციჩი; 54. პიცა; 55. ანსი; 56. ასტამი; 57. მიტრა; 58. პორცია; 59. ტყე; 60. პომპადური; 61. არხიპ. **სურათებზე:** ჟოზე მაურინიო; პეპ გვარდიოლა; კარლო ანჩელოტი; რობერტო მანჩინი.

ჯოდი: ხემიზი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. სპილბერგი; 2. სე; 3. იო; 4. სტომაქი; 5. ეპარქია; 6. ბჭე; 7. ბის; 8. ფშა; 9. ფაიანსი; 10. რაგუ; 11. მოგადიშო; 12. მარკა; 13. ზაალ; 14. ნეი; 15. ავა; 16. ალუჩა; 17. ლუკი; 18. არაკი; 19. სან; 20. ნიკოლაი; 21. ავაზა; 22. კარავაჯო; 23. ია; 24. ალ. **სურათებზე:** მტრედი; შაშვი; კაჭკაჭი; ყვავი.

Cyan Magenta Yellow Black

სასიამოვნოდ რომ გამოიღვიძოთ

ბევრ შემთხვევაში დღის განმავლობაში ძალის გამოლევა დაკავშირებულია ელემენტარულ გამოუძინებლობასთან. მაგრამ მაშინაც კი, თუ საწოლში 8 საათზე მეტი დაჰყავით და ძილი არასრულფასოვანი იყო, ხოლო გაღვიძება — მძიმე, კარგ ტონუსზე არც იოცნებოთ.

ორგანიზმმა ნორმალურად რომ დაისვენოს და მეორე დღისთვის ენერგიით აივსოს, რამდენიმე მარტივი წესი დაიცავით.

მიეჩვიეთ ერთსა და იმავე დროს დაძინებასა და ადგომას. ამგვარად ორგანიზმი დღის განმავლობაში ენერგიის რაციონალურად განაწილებას იწყებს.

საათი ძილისთვის ან ადგომისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, ვინაიდან ჩვენს შორის არიან როგორც ტოროლები, ასევე ბუები. მთავარია, ღამის დასვენებას საკმარისი დრო მიეძღვნას. 8 საათიანი ძილი — ეს საშუალო მაჩვენებელია, რომლის დაცვა სასურველია.

ძილის წინ არ უცქიროთ ახალ ამბებსა და ფილმებს, კომპიუტერთან დიდხანს ნუ დაჯდებით. ყველაზე კარგია წყნარ მუსიკას მოუსმინოთ ან წიგნი წაიკითხოთ.

საძინებელი აუცილებლად გაანიავეთ. ჭარბი ნახშირორჟანგით დახშული ჰაერი სხეულს სრულფასოვნად დასვენებისა და ენერგიით ავსების საშუალებას არ მისცემს. გრილ შენობაში ადამიანები უკეთესად ახერხებენ გამოძინებას, ვიდრე თბილში ან ცხელში.

მაღვიძარა 15-20 წუთით ადრე დააყენეთ, ვიდრე საჭიროა. ეს დროს მოგცემთ, აუჩქარებლად და ხარისხიანად გაიღვიძოთ.

გაღვიძებისას ზურგზე დაწექით და მთელი სხეულით გაიზმორეთ. შემდეგ მწოლიარემ ვარჯიში შეასრულეთ: ხელები და ფეხები ასწიეთ, თავი მიაბრუნეთ, თითები დაისრისეთ, მუცელი შესწიეთ. საწოლის კიდეზე ჩამოჯექით, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. შემდეგ ადექით და რამდენიმე მარტივი სავარჯიშო გააკეთეთ.

საუზმის წინ შხაპი მიიღეთ. გადავლება გრილი წყლით დაამთავრეთ.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დილით ენერგიით დამუხტვაა. საუზმე უნდა იყოს ისეთი, რომ ორგანიზმი გამოაფხიზლოს, მისი ტონუსი აამაღლოს. დაიწყეთ სუფთა წყლით ან წვენით. 20-30 წუთის შემდეგ ფაფა, ერბოკვერცხი ან სხვა კერძი მიირთვით. საუზმე არასდროს გამოტოვოთ!

რით არის სასარგებლო ზღვის ჰაერი

მაშინაც კი, თუ ამინდმა არ გაგიმართლათ ან სხვა მიზეზით ზღვაში ბანაობა ვერ შეძელით, სანაპიროზე ყოფნაზე უარი არ თქვათ.

ზღვის ჰაერი ორგანიზმს ბუნებრივი ინჰალაციით კურნავს. უარყოფითად დამუხტული იონებით, იოდით, მაგნიუმის შენაერთებითა და სხვა მინერალური მარილებით ავსებს. ამავდროულად არამხოლოდ სასუნთქი გზების, ასევე მთელი ორგანიზმის: გულის, ტვინის, სახსრების მდგომარეობა უმჯობესდება. სასარგებლო ნივთიერებები კანზე შეუმჩნეველი, უმცირესი წვეთებით ხვდებიან. შედეგად, უჯრედების განახლება ჩქარდება, კანის დაბერების პროცესი ნელდება.

ექიმთა მტკიცებით, იმუნტეტის გასაძლიერებლად და ტონუსის ასამაღლებლად საჭიროა ყოველწლიურად ზღვაზე არანაკლებ ორი კვირისა გაატაროთ. ძალიან კარგია, თუ ამ დროის განმავლობაში დილას და საღამოს ნაპირის გასწვრივ ისეირნებთ. ხოლო დამატებით, თუ სუნთქვით ან ფიზიკურ სავარჯიშოებს შეასრულებთ, სასარგებლო ეფექტი მრავალჯერ გაიზრდება.

მკურნალი ბგერები

ხმა კურნავს. აქ არავითარი მისტიკა არ არის. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენ მიერ წარმოთქმული ბგერების რხევის მხოლოდ 20% გადის გარეთ, ხოლო მათი დიდი ნაწილი ჩვენივე სხეულის მიერ შთაინთქმება. ეს „შინაგანი“ ხმა წარმოშობს ვიბრაციებს, რომლებიც ჩვენს ორგანოებზე სასიკეთოდ მოქმედებს. გაირკვა, რომ თითოეული ორგანოსთვის განსაზღვრულ ხმებს განსაკუთრებული სამკურნალო ძალა აქვს. სამკურნალო ეფექტის მისაღწევად საჭიროა ეს ბგერები და ბგერათა შეთანხმებანი 15 წუთის განმავლობაში, დღეში 2-3-ჯერ იმღეროთ. სამკურნალო ბგერების სასიკეთო მოქმედების გასაძლიერებლად, ერთი ხელისგული მტკივნეულ ორგანოზე დაიდეთ. წარმოიდგინეთ, ვიბრაციის მკურნალი ენერგია მასში როგორ მიემართება და დაავადების დაძლევას ეხმარება.

ა — მუსკულატურ სპაზმებს ხსნის, გულსა და ნაღვლის ბუშტს ეხმარება;

ი — მხედველობასა და სმენას აუმჯობესებს, წვრილი ნაწლავების მუშაობასა და სუნთქვას აადვილებს;

ო — კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობასა და გულს ასტიმულირებს;

უ — სასუნთქი სისტემის გზების გაჯანსაღებას, თირკმლებისა და შარდის ბუშტის ჰარმონიულად მუშაობას ეხმარება, სასქესო ორგანოების სფეროზე სასიკეთოდ მოქმედებს;

ე — თავის ტვინს ატონიზირებს;

უჰ, აჰ, ოჰ — ტოქსინებისგან გაწმენდას ეხმარება და ნეგატიური ენერგიისგან ათავისუფლებს;

ს — ნაწლავებს, გულსა და ფილტვებს კურნავს;

მ — გულის დაავადებების მიმდინარეობას ამსუბუქებს;

შ — ღვიძლზე სასიკეთოდ მოქმედებს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

ეს იცოდით?

❖ მეცნიერმა თომას ედისონმა ელექტრონული ნათურის გამოგონებისას ტექნიკური მონაცემების 40.000 გვერდი ჩანაწერი გააკეთა.

❖ იოჰან სებასტიან ბახის ასზე მეტი შთამომავალი ორღანისტი იყო.

❖ მწერალ ბალზაკს დაწერილი აქვს წიგნი, რომელიც მთლიანად ჰალსტუხს ეხება.

❖ ამერიკელ მწერალ ერნესტ ჰემინგუეის ძალიან უყვარდა ალკოჰოლი, განსაკუთრებულ უპირატესობას კი კუბურ „მოჰიტოს“ ანიჭებდა.

❖ ამერიკელმა მილიარდერმა ჯონ როკფელერმა ქველმოქმედებაში 550 მილიონზე მეტი დახარჯა.

❖ 1952-1966 წლებში რალფ და კაროლინ კამინსების ოჯახში 5 ბავშვი დაიბადა. საოცარი ისაა, რომ ხუთივეს დაბადების დღე 20 თებერვალსაა.

❖ ყველამ იცის, რომ გენიალური მეცნიერი აინშტაინი ვიოლინოზე კარგად უკრავდა, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ის ქალების დიდი მოყვარულიც გახლდათ. 1913 წელს აინშტაინმა მიატოვა მეუღლე მარიჩი, ორი ვაჟი და ცოლად შეირთო ელზა აინშტაინი, თავისი ბიძაშვილი, რომელიც განათხოვარი იყო და ორი ქალიშვილი ჰყავდა.

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები



— შენ ნამდვილი ახაადამიანი ყოფილხარ!

— სამაგიეროდ, ადამიანურად ვცხოვრობ!

მამამთილი ახალ რძალს აქებს:

— ყოჩაღ, გოგო! რა ჩოუტენე ამ მოხარშულ ქათამს, ასე გემრიელი რომ გამევიდა?

— სად იყო ადგილი, წელები და კუჭი გაგიშვებს?

❖ ❖ ❖

— მამი, ცოლი რომ შევირთო, ფული რამდენი დამჭირდება?

— რა ვიცი, შვილო, მე აგერ, დღემდე ვიხდი!

❖ ❖ ❖

— ბრალდებულო, თქვენ თოფით გამოეკიდეთ სიდედრს. რას იტყვით ამაზე?

— ვაა, გარბოდა, ბატონო მოსამართლევ, და...

❖ ❖ ❖

— ჩვენ, მეგრელებს, იმდენი ჭკუა გვაქვს, თქვენ ჯიბაში ჩაგისვამთ, — ეუბნება მეგრელი გურულს.

— მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, გურულებს ჭკუა თავში აქვთ, მეგრელებს კი ჯიბეშიო, — არ ჩამორჩა გურული.

❖ ❖ ❖

— მამი, ცოლი შართვა მინდა, — ეუბნება შვილი კახელს.

— რა ჩემ ფეხებად გინდა ცოლი, აი, მე მივქარე, რო შავირთე.

— რათა, მამი, რათ მიქარე. აგე, ხომ მე გავჩნდი?

— მაგაი ცოლის შაურთველადაც მოვახერხებდი!

❖ ❖ ❖

ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა და ცოლი რესტორანში დაპატიჟა. ორივე კარგად გამოთვრა და ტაქსით სახლში მივიდნენ.

— ხომ არ ამოვიდე შენთან? — ეკითხება ქმარი.

— არა, დღეს ჩემი ქმარი დაბრუნდა მივლინებიდან, — პასუხობს ქალი.

❖ ❖ ❖

კახელ შაქრუას შვილმა პრეზერვატივები მისცა, თვალი ჩაუკრა და ეუბნება:

— აბა, მამი, შენ იცი. უბერე და უბერე!

— შე ვირო, შენა. უკვე გამიჩნდი და ახლა მჩუქნი, არა?!

❖ ❖ ❖

ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე იმდენი ქნა, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დარბაზიდანვე გაათავისუფლეს. რომ გამოვიდნენ, ადვოკატი ეკითხება:

— ყველაფერი უკან დარჩა და ახლა მაინც მითხარით გულახდილად, თქვენ მოკალით ის კაცი?

— თავიდან კი, მაგრამ თქვენი გამოსვლის შემდეგ ცოტა ეჭვი შემეპარა.

❖ ❖ ❖

ჯემალიამ ქალი მოიტაცა. გზაზე წამოეწია ქალის მამა, მანქანიდან გადახტა და ჯემალიას გაეჭიმა:

— ბიჭო, რომ გარბიხარ, სად დამემალები?! მიწაში რომ ჩაძვრე, იქიდან ამოგიღებ, შე ახვარო!

ჯემალიაც გადახტა მანქანიდან და უზარმაზარი კუნთები აათამაშა:

— რაო, რა ბრძანე?

— „ვეფხისტყაოსანი“ დაგაწიე, შე კაცო!

❖ ❖ ❖

ციხიდან წერილი დედას:

„დედიკო, გამომიგზავნე თბილი წინდები. ოღონდ ცელოფანში ჩადე, ვიჩინამ, ძეხვმა, ყველმა და ტკბილეულმა რომ არ დასვაროს“.

❖ ❖ ❖

მეგრელი მატარებლის კუპეში ლამაზ ქალთან ერთად მარტო მგზავრობს.

— ქალბატონო, — შორიდან დაიწყო მეგრელმა, — თქვენ გათხოვილი თუ ბრძანდებით?

— კი. ოთხი შვილი და შვიდი შვილიშვილი მყავს. რატომ მკითხეთ?

— არა, ისე... პენსიას ხომ არ გიგვიანებენ ხოლმე?

— ბატონო მოსამართლევ, ამ ახალგაზრდა სასტუმროში შემიტყუა და შეუხალოფა მომაყენა! — ჩივის ქალი.

— ქალბატონო, ხა მოქმედებით მოგაყენათ შეუხალოფა?

— უმოქმედობით, ბატონო მოსამართლევ!

ცოლ-ქმარი საშინელებათა ფილმს უყურებენ. გველეშაჰმა მესამე ჯერ გადაყლაპა.

— გადახთე, ქალო! — ყვირის ქმარი, — გადახთე!

— ხა დაგემახთა, ჯალო, ეს ხომ ჯინოა, — ამშვიდებს ცოლი.

— ხა, დედაშენი ჯინოზვეზდა გახდა?!

— ბოდიშებელო, აღიარებთ, ხომ მთვრალი მდგომარეობაში ცდილობდით თეატრში უბილეთოდ შეღწევას?

— ვაღიარებ, ბატონო მოსამართლევ, აბა, ფეხიზელი თეატრში ხა ჯანდაბა მიმიყვანდა!

ხაქველმა ხაფიჯანამ ხეჯინი მხარზე გადაიჯიდა, გაძვალტყავებული ცხენზე შეჯდა და გზას გაუყვა. შეხვდა მეზობელი.

— ხას შობი, ბოშო, ხაფიჯანა. ცოდვა არ არის ცხენი? ჩამოდი, ხეჯინი მაგას გადაჯიდე და შენ ფეხით გაყევი.

— ქვე ხას ამბობ, ბოშო, ეს ცხენი მე ძღივს მიმათრევს და ხეჯინი ავჯიდო?

✓ შეკრიბა მურმან მერკელიშვილმა, ქეთი ხარაგიშვილის ნახატები

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კლოდ იზნერი

მკვლელობა ეიფელის კოშკზე

დასაწყისი №24–29



ოსტროვსკიმ ტაში შემოკრა თუ არა, ოთახში მოახლემ შემოირბინა.

— სონია, ჩაი. მაშ, იშვიათი რაღაცა გაქვთ? — მიუბრუნდა კოლექციონერი ვიქტორს.

— XIII საუკუნის ხელნაწერები... მინიატურებით...

— სამწუხაროდ, წიგნები არ მაინტერესებს. უფრო ეგზოტიკას ვეტანები... თუნდაც მცენარეებს... მიიხედ-მოიხედეთ, ხომ მშვენიერია?

ოთახი-დარბაზი ბოტანიკური ბაღის კარგ ანალოგს წარმოადგენდა. რას არ ნახავდით აქ — ბრაზილიურ ორქიდეებს, მექსიკურ კაქტუსებს, ველური მცენარეების აფრიკულ, ინდურ სახეობებს...

„სოფა... იქნებ ტაშა სწორედ აქ იწვა, ამ ტიპის ხელები კი შიშველ სხეულზე ეფერებოდა?“.

— მუსიე ლეგრი! არ მისმენთ?

— უკაცრავად... აი, იმ ვიტრინაში რა არის?

— მცენარეებისგან მიღებული სხვადასხვა მიქსტურები, ზოგი წამალი, ზოგიც პირიქით. მართლა, აფთიაქართა უძველესი კოდექსი ხომ არ გექნებოდათ? სიამოვნებით შევიძენდი. არა? სამწუხაროა...

სონიამ ჩაი შემოიტანა, შავი სითხე, რომლის ზედაპირზეც ლიმონის ნაჭრები დაცურავდა. ოსტროვსკი ხარბად დაეწაფა ცხელ სასმელს, ჭიქა მისწია და თქვა:

— მუსიე ლეგრი, მცენარეები გიყვართ?

— ჰო... ოღონდ, თუ საშიში არ არიან, — ფრთხილად მიუგო ვიქტორმა.

— გააჩნია, როგორ გამოვიყენებთ. საშიში მხოლოდ ადამიანია. ასე არ არის? კარგით. თქვენი სავიზიტო ბარათი მაქვს. დაგიკავშირდებით. მიხარია, რომ გაგიცანით.

ვიქტორმა „ფიგარო კოშკზე“ გაშალა და თვალი ჩააყოლა. „დღის გმირი კონსტანტინ ოსტროვსკი“. შემდეგ ქვემოთ, ოქროს წიგნში ხელმომწერთა სია მოდიოდა: „...მადლენ ლეზური, შარტრი. კენძი მორი, პარიზი. ზიგმუნდ პოლაკი, ვენა, ავსტრია. როზალინ ბუტონი, ობერვილიე. მადამ დე ნანტეი, პარიზი. მარი-ამელი დე ნანტეი, პარიზი. ჰონტრან დე ნანტეი, პარიზი. ჯონ კავენდიში, ნიუ იორკი...“

ვიქტორმა გაზეთი თავის ადგილზე დააბრუნა. თავი უხურდა, გული ძალუმად აუძგერდა. სამივე აქ იყო: ოსტროვსკი, კენძი, კავენდიში. ეუენი პატინოს კვალი არ ჩანდა მხოლოდ...

ვიქტორმა ახლაღა შენიშნა, უტამაროს გრავიურების ადგილზე ჰიროსიგეს ღამის პეიზაჟები რომ ეკიდა.

ეჭვით შეპყრობილმა მაგიდის უჯრა გამოაღო და ის იყო, ლონდონის სარკინიგზო განრიგს მოჰკრა თვალი, რომ ზურგსუკან კარმა გაიჭრიალა. ვიქტორმა სწრაფად შესწია უჯრა და უკან გახტა. ზღურბლზე კენძი იდგა და გაკვირვებით შესცქეროდა.

— რამეს ეძებთ?

— თავი ძალიან ამტკივდა. ჩემი ცერებრინი გამითავდა და მეგონა, აქ იქნებოდა.

— კარგად იცით, წამლებს რომ არ ვიღებ. ჟოზეფს აფთიაქში გავგზავნი, თქვენ კი უნდა დაწვეთ.

— არაა საჭირო, — იუარა ვიქტორმა, — ცოტას წამოვწვები, თქვენ კი, როგორც ვხედავ, უტამაროს ჰიროსიგე ამჯობინეთ.

— ასე არ არის, — შეეპასუხა კენძი, — ფრანგების რჩევას მივდიე, რომ ერთფეროვნება არაფერში ვარგა.

— ერთი კოლექციონერი გავიცანი. გიჟდება ესტამპებზე. განსაკუთრებით მცენარეების გამოსახულებით. ოსტროვსკია, მგონი. ხომ არ იცნობთ?

— ესტამპებით მოვაჭრე არ ვარ. წავალ, ჩაის მოგიტანთ, — კენძი ისე სწრაფად გავიდა ოთახიდან, ვიქტორმა უარის თქმა ვერ მოასწრო.

„თავს იძვრენს. ნეტა, ტაშას თუ იცნობს? იქნებ საყვარლებიც არიან“.

კენძი სინით ხელში დაბრუნდა, რომელზეც ჩაიდანი, ფინჯანი და ცერებრინის ფლაკონი იდგა.

— თქვენი დოქის გვერდით იყო. გამიკვირდა, რომ ვერ შენიშნეთ. ჩაი დალიეთ, სანამ ცხელია, — კენძი შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

ვიქტორს შიმშილი კლავდა, მაგრამ კენძისთან ერთად ტრაპეზს ისევ ეს ერჩივნა. „რა აკავშირებთ ტაშას და კენძის? ტაშას და ოსტროვსკის? კენძის და კავენდიშს? პატინო მართლა მოკლეს, როგორც ეს გუვიესა და კლიუზელს წარმოუდგენიათ? კავენდიშსაც იგივე ბედი ეწია?“.

ვიქტორი ფიქრებმა დაღალა და ბოლოს, ღონემიხდილი, ღრმა ძილს მიეცა.

„ამ სოფლიოს გარშემო“ — წაიკითხა ვიქტორმა რედაქციის აბრა, კარი შეაღო და შევიდა. მდივანი ქალი, მისი ვიზიტის მიზეზი რომ შეიტყო, არქივში შეუძღვა და გაზეთების რამდენიმე შეკვრა გადმოუღო. ვიქტორმა პირველად შემდეგი წაიკითხა:

„მოგზაურობა სიამში,
თეთრი სპილოს ქვეყანაში
(ჯონ რასკინ კავენდიში)“.

ეს ტექსტი უინტერესო ეჩვენა და შემდეგზე გადავიდა:

„მოგზაურობა კუნძულ იავაზე
(ჯონ რასკინ კავენდიში)

...კუნძულ იავას ცისფერი მთების გრანიტის მწვერვალები 12 000 ფუტის სიმაღლეს აღწევენ. მათ კალთებზე ბევრი ოქრო და ზურმუხტია...“

მისი ყურადღება ცისფერმა მთებმა მიიპყრო, მერე კი ანგარიშს შეუდგა. კენძი ნაგასაკში დაიბადა. 19 წლის რომ გახდა, ისტორიას და გეოგრაფიას კარგად დაუფლებული, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაემგზავრა და, ცისფერი მთების ზღაპრიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, კუნძული იავაც მოინახულა. ზუსტად იმავე დროს იქ კავენდიშიც იმყოფებოდა.

„მგონი, 30 წელია, რაც ისინი ერთმანეთს იცნობენ!“.

ამ აღმოჩენით გაოგნებულმა ვიქტორმა მდივან ქალს მადლობა გადაუხადა და რედაქცია დატოვა.

— ბუშტები! ბუშტები! — მოესმა ქუჩაში ჩაფიქრებით მიმავალს, — ყველანაირი ფერის! წითელი, ლურჯი, მწვანე, ცისფერი! ვიქტორმა ქალს შეხედა და... ცისფერი ბუშტი გაახსენდა, ეიფელის კოშკზე გარდაცვლილი ქალის მაჯაზე გამობმული... „მგონი, ეუენი ერქვა... გვარი? ჰო, პატინო... მისამართი? მისამართი გაზეთში ეწერა. მთავარია, იმ სულელ ჟოჟოს არ გადაეგდო“.

ოტეის ქუჩის №35 სახლის აბრაზე ნანტეი ეწერა და არა პატინო. „რა ხდება? გაზეთის შეცდომა?“, — გაიფიქრა ვიქტორმა და იქვე მიმავალი ფაშფაშა ქალი შეაჩერა:

— მაპატიეთ... აქ სადღაც ეუენი პატინო ცხოვრობდა. ხომ არ...

— მოკვდა, საბრალო, — გააწყვეტინა ფაშფაშამ, — მე მისი უახლოესი დაქალი ვიყავი, არადა, პოლიციაში დაკითხვაზეც კი არ დამიბარეს. თქვენ... პოლიციელი ხომ არ ხართ?

— პრეფექტურაში ვმუშაობ.

— ააა!

— მითხარით, სად ცხოვრობდა?

— 35 ნომერში, საწყალი.

— იმ სახლს რომ ნანტეი აწერია?

— ასეცაა. იქ ხომ მუსიე და მადამ ნანტეიები ცხოვრობენ, ეუენი კი მადამ ნანტეის დედინაცვლის შვილი იყო, ანუ, ფაქტობრივად, არავინ. ის მათთან შინამოსამსახურესავით იყო. ნამდვილი მსახური კი, როზა, თითქმის არაფერს აკეთებდა. ეუენის მათი შვილების მოვლა და გართობა ევალებოდა. მოკლედ, საწყალი ნათესავი იყო, სამადლოდ შეფარებული.

— კარგით. ახლა წავალ, მადამ და მუსიეს რომ დაველაპარაკო.

— შინ არ არიან. სამაგიეროდ, ის კაპასი როზა დაგხვდებათ. ისე, მე თუ დაგჭირდით, ლუიზა ვერნი ვარ და 54 ნომერ სახლში ვცხოვრობ, — ფაშფაშა შეტრიალდა და ტანის მოხდენილი რხევით განაგრძო გზა.

ვიქტორმა დარეკა. რკინის ჭიშკარი გაიღო. ვიქტორმა ბაღი

Cyan Magenta Yellow Black

გაიარა, სადაც სხვადასხვა ყვავილები ხარობდა. სახლის ზღურბლზე მას მადმუაზელ როზა ელოდა, ერთი შეხედვითაც რომ ანჩხლი ჩანდა.

— რა გნებავთ? — შეეკითხა მკვახედ.

— მადამ და მუსიე... ის...

— მხოლოდ საღამოს იქნებიან.

— მადამ პატინოზე მსურდა, რაღაც მეკითხა. იქნებ თქვენ...

— მე რაც ვიცოდი, უკვე ვუამბე პოლიციას. ერთ სახლში კი ვცხოვრობდით, მაგრამ მაგ ქალს თითქმის არ ვიცნობდი.

— იქნებ ცოტა ხნით მაინც შემოგეშვით?

— მერე ვინ დაგიშალათ?

— ?

შემდეგი სცენა ოთახში გაიმართა. ანაზდად კარი გაიღო და სამი ბავშვი, ერთი გოგო და ორი ბიჭი, ყვირილ-ხარხარით შემოვარდა.

— რა ხდება? — შესძახა როზამ და ზეზე წამოიჭრა, — თუ აქ თქვენს გარდა ვერავის ხედავთ?

— ჩვენ... დაჭერობანას ვთამაშობთ, — მიუგეს აჭარხლებულმა ბიჭებმა ერთხმად, — მარი-ამელი, ახლა შენი ჯერია! აბა, დაგვეწიე!

— შეჩერდით! — მთელი ხმით იყვირა როზამ, — მე თქვენ გიჩვენებთ დაჭერობანას! აბა, მარშ, მეორე ოთახში! ჩქარა! აღარ გამამეორებინოთ!

ბავშვები უხმოდ გაიძურწნენ ოთახიდან. სტუმრისთვის არც არაფერი უთქვამს, ისე მიჰყვა მათ როზა.

სიჩუმე ჩამოწვა. ვიქტორს ეს ბავშვები ეიფელის კოშკიდან დაამახსოვრდა და თავისდაუნებურად მათთან გასაუბრება მოუნდა.

სურვილი აუხდა. ცოტა ხნის შემდეგ გვერდითა კარი გაიღო და ოთახში გოგონამ ფრთხილად შემოაბიჯა:

— თქვენ... მართლა პოლიციიდან ხართ? — შეშინებული შეეკითხა.

ვიქტორმა თავი დააქნია.

— ჩემს წასაყვანად მოხვედით?

— ჯერ მომიყევით, კოშკზე რა მოხდა.

მარი-ამელიმ ყველაფერი უამბო, რაც ახსოვდა, ბოლოს კი დაამატა:

— დეიდას როცა ვაღვიძებდი, მის ფეხებთან აი, ეს დავინახე. მომეწონა და ავიღე, — გოგონამ ვიქტორს მეტალის პატარა ღერო გაუწოდა, რომელსაც სპილოს ძვლის სახელური ჰქონდა და შუა ადგილას გადატეხილი ჩანდა, — რა არის?

— რა და... არა, არ ვიცი. ამას ექსპერტიზას ჩავუტარებთ, მერე კი დაგიბრუნებთ.

— მაშ, აღარ დამაპატიმრებთ? — ეშმაკურად შეეკითხა მარი-ამელი.

— არა, არა, — გაუღიმა ვიქტორმა, — უფრო საშიში დამნაშავეები გვყავს. ახლა კი წავალ, აღარ მინდა, იმ მტარვალ როზას დავენახო.

ვიქტორს ტაშა შინ არ დახვდა, კარზე კი შემდეგი წარწერა მიემაგრებინათ:

„ძვირფასო დანილო, მე ტელემის სააბატოში ვარ. საღამოს რვაზე „ხელოვნებათა კაფეში“ შემომიარეთ (ეს გამოფენაზეა, პრესის პავილიონის გვერდით). ჩემი პატრონის წყალობით ხვალ მოგისმენენ, ოპერის გუნდში ჩარიცხვის საკითხი რომ გადაწყდეს.

ტაშა“.

ვიქტორი კიბეზე დაეშვა თუ არა, მამაკაცის მოკლეშარვლიან ქალს შეეფეთა, რომელიც ველოსიპედს მიაგორებდა.

— უკაცრავად, მადამ, მადმუალეზ ხერსონს ხომ არ იცნობთ?

— ჩემი მდგმურია.

— მე კი მისი მეგობარი ვარ. შეხვედრა დამინიშნა ტელემის სააბატოში, მისამართი კი არ მიუწერია.

— მაგას ბებერი ტანგი თუ მიგასწავლით, — ცხვირი აიბზუა დიასახლისმა, — საღებავებს ყიდის კლოზელის ქუჩაზე, თან ამ კვარტლის მესაიდუმლეა.

ვიქტორმა იოლად მიაგნო ტანგის ჯიხურს, სადაც მხატვრისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთებთან ერთად ნახატებიც იყიდებოდა. სამოც წელს გადაცილებულმა, სანდომიანი სახის მამაკაცმა შეკითხვას ასე უპასუხა:

— როგორ არ ვიცი. პეპიკის ქუჩით წახვალთ, მერე კლიშის ბულვარს გადაჭრით და მარჯვენა მხარეს მონმარტრის ბორცვს აუყვებით.

— ეს... რელიგიური დაწესებულებაა? — დაინტერესდა ვიქტორი.

— რელიგიური არა ის, — გადაიხარხარა გამყიდველმა, — ბისტროა, „ბახუსი“, რომელიც მორის ლომიემ დააარსა და ერთი ჭკუის მხატვრებს აერთიანებს. ლომიეც მხატვარია. ისინი კვირაში ერთხელ იკრიბებიან და ნატურიდან ხატავენ. ერთხელ ეს ლომიე ჩემთან მოვიდა და საღებავების სანაცვლოდ აი, ეს ეტიუდი დამიტოვა.

ტანგიმ ხელი ერთ-ერთი სურათისკენ გაიშვირა. ვიქტორი შეაცქერდა: ზედ წელამდე შიშველი ქალი იყო გამოსახული, ხელები მაღლა აეწია, თმას უკან ივარცხნიდა და სარკეში იყურებოდა გაღიმებული.

ვიქტორს შეაჟრჟოლა: ეს ტაშა იყო! წელამდე შიშველი, ძუძუებგამობზეკილი ქალი! ქალი კი არა, ბოზი, მას კი წესიერი ეგონა!

— ესეც იყიდება? — იკითხა გულგრილი ტონით.

— ცხადია, იყიდება, როგორც ეს შედევრები! — ტანგიმ მეორე მხარეს გაიშვირა ხელი, — ვინ აღარ არის აქ, ვან გოგი, სეზანი, შეხედეთ, რა ტალანტია! რა ზღაპრული ფერები! თუმცა დღეს კლასიკა ნაკლებადაა მოდაში ანუ აღარ აინტერესებთ... როგორც ვხედავ, თქვენც მათ რიცხვში ხართ, რაკი ლომიეს ნახატი მოგეწონათ. იყოს 20 ფრანკი... 15... მოიცათ, ათზეც თანახმა ვარ!

— ფული პრობლემა არ არის. უბრალოდ, ჯერ არ გადამიწყვეტია... აბა, ჯერჯერობით.

— კარგად მენახეთ.

ვიქტორმა უცნობი შეაჩერა:

— ბისტრო „ბახუსს“ ხომ არ მიმასწავლით? სადღაც აქვეაო.

— „ბახუსი“ არ გამიგია, „ბიბულუსი“ კი აქვეა, ორი სახლის იქით. ბიბულუსი თურმე ერთი მწერლის ერთ წიგნში ძაღლს ერქვა, რომელსაც ლუდი ისე ჰყვარებია, სულ ქანავ-ქანავით დადიოდა. სასაცილოა, არა?

— ძალიან. გმადლობთ. წავედი.

„ბიბულუსი“ დაბალჭერიანი, გაბოლილი ბისტრო აღმოჩნდა, სადაც მაგიდების ნაცვლად კასრები დაედგათ. მიკიტანი, რომელსაც უზარმაზარი ღიპი და აგურისფერი სახე ჰქონდა, დახლს მიღმა იდგა და ჭიქებს ავლებდა.

— იცით, მე... ლომიეს მეგობარი ვარ და... — ჩაილაპარაკა დახლთან მისულმა ვიქტორმა.

— შიგნით და მარჯვნივ, — ისე მიუგო მიკიტანმა, ზედ არც შეუხედავს.

ვიქტორმა ვიწრო, აქოთებული დერეფანი გაიარა და მის ბოლოში შუშაჩასმული კარი შენიშნა. მან დიდი ხნის გაურეცხავ მინას მიადო თავი, რომ დაენახა, შიგ რა ხდებოდა.

ვიწრო, გრძელი ოთახი მოლბერტებით იყო სავსე. ახალგაზრდები სრულიად შიშველ მოდელ მამაკაცს შესცქეროდნენ და დანახული ქაღალდზე გადაჰქონდათ. მათ შორის იყო ტაშაც, მხიარული ინტერესით რომ მისჩერებოდა ახოვან მოდელს. მას ვიღაცა წვერიანი ჯეელი მიუახლოვდა, წელზე ხელი მოხვია და ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა, რასაც ტაშას გულიანი სიცილი მოჰყვა.

„მართლა ბოზი ყოფილა!“, — გაუელვა თავში ვიქტორს და გარეთ გამოვარდა.

ანგარიშმიუცემლად, თავისდაუნებურად ისევ კლოზელის ქუჩას მიაშურა, თან აშკარად გრძნობდა, ტაშას დაუფლების სურვილი რომ გაუჩნდა და აღარ ასვენებდა, ბებერი ტანგისკენ მიაქროლებდა...

— ისევ მოხვედით? — ღიმილით შეეგება მოხუცი.

— ლომიე მომეცით! აი, ოცი ფრანკი.

— მაგდენი არ ღირს. ხომ არ მოგატყუებთ?

— ღირს. აიღეთ!

— იქნებ ვან გოგი ჯობდეს? ან...

— შემიხვიეთ-მეთქი! — მოუჭრა გახელებულმა.

— კარგით, რაკი ასე გსურთ!

„ხაღამოს რვაზე ხელოვნებათა კაფეში“, — თავიდან არ გამოსდიოდა ვიქტორს და სწრაფად მიაბიჯებდა ქუჩაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney
თინათინ ბონი

ეიფორია

დასაწყისი №7-29

მესამე ნაწილი

ეიფორია

სანდროს ეძინა, როცა გამოვიპარე. დღეს არ უნდა ვნახო. ხვალიდან ხომ მუდამ ერთად ვიქნებით. აიპოდი ყურებში — „Justin Timberlake - Tunnel vision“ და გადარბენა. მოსაწვევების დაბეჭდვა დაავიწყდათ და დღეს წაიღეს. ვინც ორგანიზებისთვის დავიქირავეთ, ჩემებმა ისე გააგიჟეს, რომ, მგონი, დახურავენ კანტორას. სანდროსთან მინდა, მაგრამ დღეს ნამდვილად არ ვნახავ. თვითონაც ხომ აქვს საქმეები. ვაიმე, ოღონდ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და მეტი არაფერი მინდა! მშვიდად გავფრინდებით ჩვენს ახალ სახლში. ნუთუ მართლაც დგება ის მომენტი ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც ველოდი? ახლა ყველაფერი სწორად უნდა გავაკეთო.

ვზივარ საწოლზე. ნანუკა ჩემს ჩემოდანს ალაგებს, ირა სარაფნებს მიუთოებს. ზოსიკო ფეხებთან მიწევს და ცერა თითზე მკბენს.

— ლენ, არ იცი, როგორ მიხარია, — ნანუკა მაისურებს კეცავს.

— მეც, ნან. გახსოვს, პირველად რომ ნახე სანდრო?

— კი, როგორ არ მახსოვს. დავმუნჯდი.

— და დომენიკო რომ გეგონა, აღიარე, — თვალს ვუკრავ.

— ნუ, არ მეგონა, მაგრამ თავიდან დავიბენი.

— გეგონა, შანსი არ მქონდა სანდროსნაირ კაცთან?

— ხო იცი, რომ მასე არ მეგონა! — ღიზიანდება ნანუკა.

— კაი, ნუ იგრუზები.

— უბრალოდ ჩვენ ბავშვობიდან თავში გვიდებენ, რომ სანდროსნაირი კაცები ჯერ არ არსებობენ და მერე თუ უცებ გაჩნდებიან, ადრიანა ლიმაზე ნაკლები ქალი ვერ შეუყვარდებათ.

— მართალი ხარ. ჩემი პრობლემაც ეგ იყო.

— კიდევ კარგი, რომ იყო და აღარ არის.

— ნამდვილად აღარ არის. იცი, გუშინ ისეთი სექსი გვქონდა და იმდენჯერ...

— გეხვეწები, ლენა, გული არ გამიხეთქო! — იცინის ნანუკა.

— ხო, ბოდიში, ბოდიში, — მეცინება მეც.

— გეუბნები, თუ არავინ წესიერი არ გამომიჩნდა, დავურეკავ დომენიკოს.

— და ისევ დაუზილავ ფეხუცებს.

— ხმა! — ნანუკა ლოყებს ბერავს, გეგონება, გული ერევა.

ირას გაუთოებული სარაფნები შემოაქვს.

— ვაიმე, რა უბედურება იყო ეს.

— მადლობა, ირ.

— არაფრის, გოგო, — ირა სარაფნების კეცვას იწყებს, — მინდოდა, მეკითხა...

— რა? — ვიცი მარაზმი იქნება.

— შეიძლება შენს ქორწილში კლოდი წამოვიყვანო?

— და ბაიკუნა? — ნანუკა წარბს წევს.

— ბაიკუნა წყალმა წაიღო, ხომ გეუბნებოდით, — ირა კბილებს კრიჭავს.

— წამოიყვანე რა, — ვეუბნები მშვიდად.

— მადლობა, ლენ.

— იმდენი ხალხი იქნება იქ, სანდროს იტალიელი მეგობრებიც ჩამოდიან.

— მართლა? — ნანუკა ლოგინზე ჯდება.

— კი და ალბათ კაი ვიდზე ბიჭები იქნებიან.

ვწვები საწოლზე და თვალებს ვხუჭავ. ნანუკას და ირკას ულურტული ჩამესმის და ვთვლემ.

საღამო. ყველაფერი მზადაა. დროზე უნდა დავიძინო დღეს. ვწერ სანდროს, რომ მიყვარს და მალევე მპასუხობს, რომ მას უფრო. მეღიმება. სახლში სიჩუმეა. გოგოები კინოს უყურებენ. ჩემი მარტოობის ბოლო საღამოა. ვწვები და ტკბილად მეძინება.

დილა. პანიკა. ირას ახველებს, ნანუკას წელი სტკივა. დედაჩემმა უკვე სამჯერ დარეკა და იკითხა, ხო ყველაფერი რიგზეა. მომდის მესიჯი.

„მიყვარხარ“, — სანდრო უეჭველი გრძნობს, რა პანიკაშიც ვარ.

„ძალიან მიყვარხარ“, — ვპასუხობ და საწოლზე ვაგდებ მობილურს.

გავვარდები ახლა თმაზე და მაკიაჟზე და მერე უკან სახლში. კაბაში ჩამტენიან გოგოები. ქუსლებზე არ დამავიწყდეს „სანტავიკების“ დაკრობა, ეს ახალი ფეხსაცმელი აუტანლად უხეშია. საშკაც აქ მოვა და ჩემებთან გავალთ. სანდროც იქ მოვა ლიმუზინით. მერე უკვე წავალთ დარბაზში. პრინციპში, დარბაზი არაა, ღია ცისქვეშ არის და სუფთა ევროპული ქორწილი იქნება. ლენა, ღრმად ჩაისუნთქე, ყველაფერი კარგად იქნება!

— ლენა, თაიგული მოიტანეს, — შემორბის ნანუკა და თან იმანჭება წელის ტკივილის გამო.

— ძალიან ლამაზია, — ვიჭერ თაიგულს და სარკის წინ ვპოზიორობ.

— კაი, მიდი, დავიწყეთ, აბა, ამბავი, რომ ყველაფერი მოვასწროთ.

ვეხუტები ნანუკას. ყველა ჩემი გოგო გვერდით მეყოლება, მაგრამ ნანუკა მაინც გამორჩეულია.

ძალიან ლამაზი პატარძალი ვარ. ყველაფრით კმაყოფილი ვარ. საშკა მეხმარება კიბეზე ჩასვლაში. გოგოები უკან მოგვყვებიან. ზოსიკოს სახლში მოუწევს დარჩენა. ვსხდებით მანქანაში და მივემართებით ჩემებისკენ. ნუთუ, მართლაც ის დიდი დღეა და თეთრი კაბა მაცვია?! გული მიფრიალებს. ნანუკა ჩემს ხელს იღებს.

— ხო არ ნერვიულობ?

— არა, — ვეუბნები ღიმილით.

— გოგოებო, ჩემი კაბა ძალიან მოკლე ხო არაა? — კითხულობს შიშველი ირა.

გვეცინება. გეგონება, ოდესმე ცმია ამაზე გრძელი ან დახურული. ვჩერდებით ჩემების სახლთან და საშკა მეხმარება მანქანიდან გადმოსვლაში. ღრმად ვისუნთქავ ჰაერს.

— ძალიან ლამაზი ხარ, — საშკა ლოყაზე მჩქმეტს.

— მაკიაჟი, ბიჭო! — ვეუბნები ღიმილით.

— მიხარია, რომ შენნაირი მეგობარი მყავს, — მეუბნება და ხელზე მკოცნის.

— აბა, არ იყოს ახლა ასეთები! — მესმის სანდროს ხმა.

ვტრიალდები მისკენ და, რა გასაკვირია, თავბრუ მეხვევა. ისე უხდება ეს რუხი ჟილეტი. თმა აქვს შეჭრილი და წვერი დაბალზე დატოვებული. საშკას ართმევს ხელს და მათვალიერებს.

— შენ ცოტა გვიან უნდა მოსულიყავი, — ვეუბნები და ვეპრანჭები.

— მე არ მინდოდა გვიან, — მიახლოვდება და ლოყაზე მკოცნის.

— შენები სად არიან?

— მოვლენ ახლა.

— სანდრო, გვარს ვიცვლი.

— რას მელაპარაკები? — მეუბნება კმაყოფილი.

— თუ გინდა, შენ გადმოდი ჩემს გვარზე.

— ძალიან მინდა, — წელზე მხვევს ხელს.

ავდივართ ჩემებთან. წამში ერთხელ სანდროსკენ ვაპარებ თვალს. მინდა, დავიმახსოვრო ასეთი, რომ ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდოს ეს მომენტი. ნათესაობა გროვდება, არის ჭიქების ჭახუნი და დალოცვა. მე და სანდრო ვდგავართ და ვიღიმით. დედაჩემი ცრემლიან თვალებს აფახულებს, თამარა საბოლოო დარიგებებს იძლევა, მამაჩემი და რაული მანანა დეიდას ამშვიდებენ, სოფო და თათა იტყლარჭებიან, დომენიკო ნანუკას უღიმის, ნანუკა კოკის უყურებს, კოკი ანკას ეხვევა, ირა კლოდს კიდია კისერზე, ზეზვა და მისი „ლამაზი“ ცოლი რაღაცას ფაციფუცობენ. დროა!

შევდივართ ულამაზეს ეზოში. ისეთი სილამაზეა, რომ სიტყვითაც ვერ აღწერ! სტუმრები სხდებიან და ცერემონია იწყება. ვეფიცებით ერთმანეთს მუდმივ სიყვარულს და თანადგომას. ვცვლით ბეჭდებს, სანდრო მკოცნის და ერთ წამში ქალბატონი მარანძანა ვხდები. სანდროს უეცრად ხელში ავყავარ და მაბზრიალებს. ხალხი ტაშს უკრავს. მიწაზე მაბრუნებს და მკოცნის. მორბის სანდროს ძმაკაცი და მიკროფონს აწვდის.

— კიდევ ერთხელ მოგესალმებით, მეგობრებო! — ამბობს სანდრო მიკროფონში.

ხალხი ისევ ტაშს უკრავს.

— ჩემო ლენა, იცი, როგორ მიყვარხარ და იმედია, ისიც იცი, რომ მთელი ცხოვრება შენ გვერდით ვიქნები. შეგიმსუბუქებ და გაგილამაზებ ყოველ წამს, — მეუბნება სანდრო.

ჰაეროვან კოცნას ვუგზავნი და თვალებს ვაფახულებ.

— ახლა კი, მინდა, კიდევ ერთხელ დაგიმტკიცო, რამდენად კარგად გიცნობ! — თვალს მიკრავს.

ვაიმე! რაღაც ჩაიფიქრა!

— ეს შენ მცირე სიურპრიზი! — სანდრო მიკროფონს მაგიდაზე დებს და ეზოს ცენტრში გადის. ვდგავარ გაღიმებული, სიურპრიზის მოლოდინში.

ირთვება „Duran Duran - Wild Boys“ და სანდრო ფეხს აყოლებს მუსიკას. ვაიმე, უნდა მიცეკვოს! არ არსეეებობს! უეცრად სტუმრების რიგებიდან დგება ოთხი ძალიან კარგი იტალიელი ბიჭი. როგორ ვერ შევამჩნიე აქამდე? ესენი სანდროს მეგობრები არიან? არაა! მოცეკვავეები არიან. ვაიმეეე! სანდროს გვერდით დგებიან და მუსიკას აყოლებენ ფეხს. ნუთუ ესაა მთელი ცეკვა?! საზოგადოება გასუსულია. მუსიკა იცვლება „Dan Balan - Chica Bomb“. აჰაჰაჰაჰაა! ესე იგი სულ ახალი ჩანაფიქრია. ამ მარაზმატიკულ სიმღერაზე ხუთივე იხსნის ჰალსტუხს და ქამანდივით ატრიალებენ. არა, სანდრო, ოღონდ ეს არა! აქ ყველა ჩვენი ნათესავია! სინქრონში ისვრიან ჰალსტუხებს ჩემს ფეხებთან. სიცილს ვეღარ ვიკავებ. ძალიან „დერზკად“ იხდიან ჟილეტებს და მათაც ჩემს ფეხებთან

Cyan Magenta Yellow Black

ყრიან. ბრავო, სანდრო, ბრავო! მანანა დეიდა ისევ შეუძლოდაა და მამაჩემი ასულიერებს, ამიტომაც ახალი სიძის ტინგიცისთვის არ სცხელა.

მუსიკა იცვლება „Miley Syrus - We can,t stop“. ეს საიდანღა გაეძრო? რა იყო, 10 წლის ვართ? ბიჭები მუსიკის ტაქტში ახვანცალებენ ტაკოს. ხალხი შოკირებულია. სამაგიეროდ, მე რა კაი ხასიათზე ვარ და მინდა, აღვნიშნო, ჩემი დაქალებიც. მუსიკის ტაქტში, ნელ-ნელა იხსნიან პერანგის ღილებს. მუსიკა იცვლება „Robbie Willams - Candy“. პერანგები ჩემს ფეხებთან მოფრინავს და ახლა საზოგადოების წინაშე 5 წელს ზემოთ შიშველი მამრია, ყველა დაკუნთული და გარუჯული, მაგრამ მათ შორის ყველაზე სექსი მაინც ჩემი ქმარია! ბიჭები რაღაც „კავბოისკი“ მოძრაობებს აკეთებენ და ვხედავ, რომ დარბაზი ტაშს უკრავს, განსაკუთრებით გოგოები. ცეკვა მთავრდება საყვარელი დაბზრიალებით და წელ-ტიტველა სანდრო ჩემთან მორბის და მკოცნის.

— დანარჩენი სახლში, — მიჩურჩულებს ყურში.

საზოგადოება ფეხზე დგება და ტაშს უკრავენ. სანდროს და ბიჭებს თეთრ მაისურებს აწვდიან, უმკლავო, თეთრ, მოტკეცილ მაისურებს წარწერით: „ლენა, მიყვარხარ!“ იცვამენ და ხალხში იფანტებიან. მე ნანუკა „ტაპკებს“ მაწვდის და ვიცვლი.

— მეგობრებო, ახლა ვისაც უნდა, ჭამს, ვისაც უნდა — სვამს, ვისაც უნდა — ცეკვავს და თუ ვინმეს უნდა, სამივეს ერთად აკეთებს, — ამბობს სანდრო მიკროფონში.

ქორწილი გახსნილად გამოცხადდა. ხალხი ირევა და გართობაც იწყება. მე და სანდრო ვცეკვავთ. სრული „დურდომია“, მაგრამ ყველა მხიარულობს. სანდროს ბიჭები ეძახიან და მე სკამზე ვჯდები.

— ძალიან მაგარი ქორწილია, — მეუბნება ნანუკა.

— მადლობა, გოჭ! შენ კარგად ხარ?

— იცი რა, ცოტა გული მწყდება, რომ სხვამ დაამსგავსა ჩემი ქმარი კაცს და მე სკამიდანაც კი ვერ ვაყენებდი.

— ალბათ ასე ჯობდა.

— ალბათ.

ნანუკას წინ ჩნდება ერთ-ერთი მოცეკვავე ვაჟი და ხელს უწვდის. ნანუკა თვალებს უუუუუნებს და საცეკვაოდ მიჰყვება. გზიდან ჩემკენ იხედება და რაღაცას მეუბნება. „ნამდვილად ჯობდა“, — ვკითხულობ მის ტუჩებზე. ვზივარ და ხალხს ვათვალიერებ. თამარა სპაგეტის დასტრიალებს. რაული ცდილობს, საცეკვაოდ გაიყვანოს, მაგრამ თამარა არ ნებდება. მამაჩემი გადაჰყვა მანანა დეიდას. დედაჩემი და დომენიკო მყუდრო ვალსს ცეკვავენ. სოფო და თათა ქმრებს გაეპარნენ და იტალიელ ბიჭებს უუუუუნებენ თვალებს. ანკა და კოკი აშკარად კარგად გრძნობენ ერთად თავს. საშკა ზის და ენერგიულად ჭამს. ირკა და კლოდი არ ჩანან. გასაგებია.

— არ გავიპაროთ? — მესმის სანდროს ხმა.

— და ტორტი?

— ძალიან გინდა?

— ვიღაცამ ხომ უნდა გაჭრას?

— გაჭრიან, რა, წამო.

სანდრო ხელს მიწვდის და უყოყმანოდ ვართმევ. ცეკვა-ცეკვით მივდივართ კართან. ვერავინ გვამჩნევს. ვსხდებით სანდროს მანქანაში და მივქრივართ სანდროს სახლში.

— მოიცა და, ჩემი ჩემოდანი? — მე ხომ უნდა გავიარო სახლში.

— ჩემთან არის.

— საიდან?

— მოიტანეს.

— ვინ?

— ლენა!

— კაი ხო, — ვეუბნები ღიმილით და სავარძლის საზურგეს ვეყუდები. უკრავს „Simply Red - Stars“ და უზომოდ ბედნიერი ვარ. ვაჩერებთ სანდროს სახლთან და გადავდივართ.

ვიხდი კაბას. აეროპორტამდე რამდენიმე საათია. სანდრო ბოქსერში დარბის და ჩემოდნებს მოათრევს. რა მოაქვს ამდენი, ვერ გავიგე. მე შიშველი ვწევარ საწოლზე. პერიოდულად ბეჭედს ვუყურებ და ვიღიმი. სანდრო ეხეთქება ჩემ გვერდით.

— მგონი, დავამთავრე.

— რა მოგაქვს ამდენი, ბიჭო?

— ყველაფერი, — სანდრო ბეჭზე მკოცნის.

— დრო გვაქვს საკმაოდ ბევრი...

— ამომასუნთქე ამ ჩემოდნების მერე და მოგხედავ, — მეუბნება სიცილით.

— ნუ გამოგყავარ სექსუალური მანიაკი!

— რაც ხარ, ის გამომყავხარ, — ტუჩებში მკოცნის სანდრო.

— გჯერა, რომ ცოლ-ქმარი ვართ?

— ბეჭედს უნდა შევეჩვიო, — სანდრო უსახელო თითზე იხედება.

— გიხდება ცოლიანობა.

— გმადლობთ.

— კინაღამ დამავიწყდა, რომ მე შენთვის პირველი ცოლი არ ვარ.

— რა მოსატანია ახლა ეგ?

— ისე გამახსენდა, ნუ მეჩხუბები.

სანდრო ზურგზე მაგდებს და მკერდზე მკოცნის.

— ნიას მკერდის ფონზე მე ფიცარი ვარ.

— ლენა! — მკაცრდება.

— კაი, გავჩუმდი.

— რატო ვერ ისვენებ? გინდა, მოგხვდეს წკეპლა?

— შენგან ყველაფერს ავიტან, — თვალს ვუკრავ.

სანდრო განაგრძობს ჩემს მოფერებას და ფიქრები სადღაც მეფანტება.

აეროპორტი. ჩაგვეძინა და ძალიან დავაგვიანეთ. გიჟებივით ჩავაბარეთ ბარგი. ეს ფეხსაცმელების გახდა და ქამრების მოხსნა ხო აუტანელია! თუმცა, სანდროს ქამრის გაძრობა ძალიან უხდება. ბოლოები შევრბივართ თვითმფრინავში და ბიზნეს კლასში ვსხდებით.

— კიდე კაი, მოვასწარით, — სანდრო ღვედს იკრავს.

— კიდე კაი, ლენას გაეღვიძა! — ვეუბნები და ვცდილობ, ღვედი ამოვქაჩო.

— მოდი, მე შეგიკრავ, — სანდრო მეხმარება.

რაღაცას ბოდიალობს პილოტი და თვითმფრინავი ჩხარუნს და მოძრაობას იწყებს.

— ერთი სული მაქვს, იტალიაში ჩავიდეთ, — ამბობს სანდრო.

— მეც.

— იმედია, ქორწილი მშვიდობიანად დასრულდა.

— დასრულდებოდა. ერთობოდნენ და დიდი შარიანი არავინ იყო. თუ, რა თქმა უნდა, ჩემს დაქალებს არ დაერივნენ მოცეკვავე ბიჭები და მერე ქმრებმა არ ბეყნეს.

— იმათ ვინ ბეყნიდა? კუნთები ნახე?

— არ იცი ქართველი კაცის ჯანი?

თვითმფრინავი ადგილიდან წყდება და მალე ჰაერში ვფრინდებით. ბორტგამცილებელი ალკოჰოლურ სასმელებს გვთავაზობს. თითო ჭიქას მივირთმევთ.

— გაგვიმარჯოს, — სანდრო ჭიქას ცლის.

— არ დათვრე, გეხვეწები.

— ამას დამიხედეთ ერთი! დაიწყე უკვე, ხო? არ დათვრე, ქალებში არ იარო...

— სანდრო! — მეცინება.

სანდრო შუბლზე მკოცნის.

— არ იცი, რა ბედნიერი ვარ. ჩემი ლენა უკვე ოფიციალურად ჩემია და ყველასგან და ყველაფრისგან შორს მიმყავს.

— არსად დაგეკარგოს.

— არასოდეს დამეკარგება!

თავს მხარზე ვადებ.

— ძალიან ლამაზი შვილი გვეყოლება.

— სანდრო, რა სენტიმენტებში გადავარდი უცებ, რა იყო?

— არ შეიძლება კაცმა დაგეგმოს?

— დაგეგმე, კაცო. შენ საქმე გააკეთე და მე გაგიჩენ ბოვშებს.

— რომელი საქმე? რომლითაც ბოვშები კეთდება? — სანდრო იდაყვს მკრავს.

— ორივე საქმე.

— სიამოვნებით.

ვეხუტები სანდროს, ვიკეთებ ყურსასმენებს და მეძინება. სიზმარში რატომღაც მაღალ მთაზე ვარ, მთელ მსოფლიოს იქიდან ვუყურებ.

მაღვიძებს შრიალი. პატარაზე ვახელ თვალს. შუქი ჩამქრალია. სანდროს სძინავს. მასთან დახრილია ბორტგამცილებელი და პლედს აფარებს. ბრაზი მეუფლება, მაგრამ მალევე ამყავს თავი ხელში. ეს ხომ სანდროა და მე მისი ცოლი ვარ. დავიკიდე! ვხუჭავ თვალებს, თავს ვადებ სანდროს და ვუბრუნდები „Billy Ocean - Loverboy“-ს მოსმენას. სიმშვიდე. ვიძინებ.

დასასრული

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

კრეატური

— ყველაფერი კარგადაა. არაფერი მომხდარა, სულ არაფერი... — ზის და საკუთარ თავს უმეორებს, მაგრამ, აი, აქ კი მართლა არაფერი გამოსდის.

— რა არაფერი, არ გიცნობ თუ რა? — ეკითხება დედა.

ის ყოველთვის ხვდება, როდის როგორ ხასიათზეა. ექსტრასენსი არ არის, არც პარაფსიქოლოგი... უბრალოდ დედაა. ზეპირად იცის, კითხულობს, როგორც გადაშლილ წიგნს, კითხულობს სტრიქონებს, აბზაცებს, სიტყვებს. სულ რომ არ შეხედოს, მაინც გრძნობს, სად კრთება იმედი, სად იმედგაცრუება, სად სევდა. სიტყვების მიღმიერ შრეებში ჩადის და ამისთვის ძალისხმევა სულ არ სჭირდება, ის დედაა.

— არა, მართლა არაფერია, სულ არაფერი, — გაუღიმა იამ, — უფრო სწორად, ყველაფერი კარგადაა.

— კარგი, რადგან ასე ამბობ, ჩათვალე, რომ დაგიჯერე, მაგრამ ვიცი, რაღაც ხდება. ვხედები კიდეც, რა, მაგრამ არ ჩაგეძიები, როცა თავად მოისურვებ თქმას, მაშინ მითხარი.

იამ ისევ გაუღიმა და უცებ იგრძნო, რომ ზუსტად იმეორებდა დედის ღიმილს.

„როგორ ვიმეორებ, როგორ ვემსგავსები, — გაიფიქრა და კუსას ნათქვამი გაახსენდა, — შვილი მშობლების გრადაციაა“.

„მაინც მხატვრის თვალი აქვს“, — გაიფიქრა მეგობარზე. მერე ჩანთა აიღო:

— დე, კუსასთან წავალ ცოტა ხნით და მალე მოვალ.

არაფერიც არ იყო კარგად. აბა, როგორ იყო, ისე უყვარდა, ისე სავსე იყო მისით, ვერცხლის სურასავით წკრიალებდა, ახლა კი... თითქოს ამ სურას ურო შემოჰკრეს, მთელ სხეულში ჟღრიალი აქვს ჩამდგარი და ჰგონია, ყველას ესმის.

— იაკოო, როგორ ხარ? — ქუჩაში მიმავალი ხელით გააჩერა ვიღაცამ.

— მარინა, — ძლივს იცნო იამ. ადრე ცოტა ხნით ახლობლობდნენ, უფრო სწორად, მოკლევადიან პროექტზე მუშაობდნენ ერთად.

„ახლა, ჩემი ხასიათი რომ ვიცი, ამას უნდა ვუთხრა, რომ კარგად ვარ და ღიმილიც მივაყოლო. არადა კარგად ვარ?! კარგად კი არა, საშინლად ვარ! თავზე დამენგრა ყველაფერი, არაფერი აღარ მინდა, არავინ მინდა! მით უმეტეს, ასეთი ნაცნობები, ათასში ერთხელ რომ შეგხვდებიან ქუჩაში და ზრდილობის გულისთვის მოგიკითხავენ. შენ მაინც ეტყვი, რომ კარგად ხარ (ღმერთო ჩემო, რა სიყალბეა!) და ასევე ზრდილობის გულისთვის ჰკითხავ: „შენ როგორ ხარ?“. აი, აქ დაიწყება, თუ დაიწყება. „რაღა როგორ“, — გეტყვის და მოყვება, რა საშინლადაა, რომ ათასი პრობლემა ერთად ახვევია თავს, რომ გარდა იმისა, გადასახადებმა და კრედიტებმა ძირგახვრეტილი ნავივით ჩაძირეს, ჯანმრთელობაც შეერყა. თავის ტკივილები დასჩემდა, წნევა აქვს და წამლის ფული — არა, ოჯახში კონფლიქტი უსახსრობის ნიადაგზე და ა.შ. და ა.შ.

შენ ვითომ გულთან მიგაქვს, თავს აქეთიქით აქნევ „ნწუ, ნნუ, ნნუ“, შეწუხებული სახით უყურებ. „აბა, აბა... რას ამბობ“, — წამოისვრი ხანდახან, ისე, გულის გარეთ, ერთი სული გაქვს, გაეცალო. მართალია, როგორც კი გაეცლები, აღარ გახსოვს, რაც გითხრეს, მაგრამ უკვე სხვისი პრობლემებით ხარ დახუნძლული, საკუთარი ენერგიისგან — გამოწურული. არ შეიძლება საკუთარი პრობლემები ოცდაოთხსაათიან რეჟიმში რომ არ მოგახვიონ თავს?! აი, ახლა, მე დავასწრებ და ვეტყვი, რომ ცუდად ვარ“.

ის იყო, წუწუნი დააპირა, რომ...

— კარგად, შენ? — გამოუფრინდა ჩვევად-ქცეული ფრაზა და ვეღარ დააკავა.

„დებილი ვარ, ნამდვილი დებილი! ახლა უსმინე ამის გაუთავებელ ზუზუნს“, — გაიფიქრა საკუთარ თავზე გაბრაზებულმა და სხვა რა გზა ჰქონდა, მარინას პრობლემების მოსასმენად მოემზადა.

იმან კი:

— ვერც წარმოიდგენ, ისე კარგად ვარ. გამიმართლა, საკუთარი ბიზნესი ავაწყვე. საერთოდაც ბევრ რამეში გამიმართლა. ბევრს ვშრომობ, თითქმის სულ წასული ვარ, მაგრამ შედეგსაც შესაფერისს ვიღებ...

— რას ამბობ! — მართლა გაოცდა ია, — ძალიან მიხარია. რამდენი ხანია, არ შემხვედრია ადამიანი, ვინც ასეთ პოზიტიურ ინფორმაციას მეტყოდა საკუთარ თავზე და პრობლემებს არ დამიხვავებდა ცხვირწინ. ოდესმე იქნებ მეც მასწავლო, როგორ მოახერხე ეს.

— სიამოვნებით, — გაიცინა მარინამ, — იცი, რა, გინდა, ჩემთან ავიდეთ ახლა? ახალ ბინაში გადავედი, უზარმაზარი ვერანდა აქვს. მთელი ქალაქი ხელისგულივით ჩანს. დავსხდეთ და ვისაუბროთ. რამდენი ხანია, არ მინახიხარ. ბევრი რამის გახსენება შეიძლება.

„რა უნდა მქონდეს მარინასთან გასახსენებელი? — დაფიქრდა ია, — აბსოლუტურად არაფერი. მხოლოდ ერთთვიანი სამსახურებრივი ურთიერთობა გვქონდა, მეგობრები ჩვენ არ ვყოფილვართ და ახლობლები. ამას, ეტყობა, მეორე უკიდურესობა სჭირს. პრობლემების ნაცვლად წარმატებებზე ლაპარაკობს გაუთავებლად. სიმართლე რომ ვთქვა, ესეც მოსაბეზრებელია. არა, ამის ტრაბახს ვერ ავიტან“, — შეატყო, რომ სადღაც გულის კუნჭულში, შეშურდა ამ ქალის, მის წინ რომ იდგა და ახალგაპრიალებული ვერცხლივით ბზინავდა. აბა, იას კი არ ჰგავდა. ჩამქრალი ვულკანივით იდგა და თავზე ფერფლის ნაცრისფერი ღრუბელი ჰქონდა მოდებული.

— წამოხვალ? — მარინამ იქვე, ტროტუარზე მდგარი ჯიპის კარი გამოაღო.

„ამას უყურეთ, — ჯიპი შეათვალიერა იამ, — როგორც ჩანს, მართლა მიუღწევია წარმატებისთვის. რაო, გოგონი, ფეხით გავლა აღარ გეკადრება, მანქანა პირდაპირ ტროტუარზე რომ გყავს შეყენებული?“

— წამოდი, რა, რას აკეთებ? — ისევ გაუმეორა მარინამ, — იცოდე, გულით გეპატიჟები.

— დიდი მადლობა, მარინა, მაგრამ მეგობარი მელოდება, სხვა დროს იყოს.

— კარგი, როგორც გინდა. თუ გინდა, წადი და მერე ამოდი შენს მეგობართან ერთად. ზუსტად დღეს თავისუფალი დრო მაქვს. მერე ერთ კვირაში წასვლა მიწევს საზღვარგარეთ და აღარ მეცლება, — შესთავაზა ისევ მარინამ.

„რას გადამეკიდა? — გაიფიქრა იამ, — სადაც უნდა წავიდეს და რამდენ დღეშიც უნდა, წავიდეს. ასი წელი არ მინახავს და ასი წელი კიდევ რომ ვერ ვნახო, არაფერი მომაკლდება. მაგრამ, არა, მე გამაგებინა, რომ საზღვარგარეთ მიდის. ქაჯი! ამას რა ჰგონია, საზღვარგარეთ არ ვარ ნამყოფი თუ ახალი, ვერანდიანი ბინა არ მინახავს?!“.

— ვნახოთ, თუ მოვიფიქრე, დაგირეკავ და გამოვალთ, თუმცა არა მგონია, — გაუღიმა ზრდილობის გულისთვის და დაემშვიდობა.

არა, მარინასნაირებისთვის სცალია ახლა? ისეთ ხასიათზეა, თითქოს ათასი ცის წვიმა ერთად დააცალეს თავზე. რატომ უნდა მომხდარიყო ასე? ხვდება, მაგრამ ვერ ხვდება. რა კარგად იყო, რა ბედნიერი იყო. ალბათ სწორედ ამან დააბრმავა. აბა, როგორ მოხდა, რომ სანამ საბოლოოდ კაცის მაგივრად აისბერგი არ შერჩა ხელში, ვერაფერს მიხვდა.

— უნდა დავშორდეთ, ასე აჯობებს ორივესთვის, — უთხრა და დაშორდა. მოკლედ და კონკრეტულად ყოველგვარი შესავლის და გაგრძელების გარეშე, უემოციოდ, მართლა აისბერგივით გაყინულმა.

რა უნდა უთხრას, მუხლებში ჩაუვარდეს? „ტიტანიკივითაც“ რომ შეეჯახოს, თავად არაფერი მოუვა, იას კი ჩაძირავს. იძირება კიდეც. ზედაპირზე მხოლოდ ჰაერის ბუშტები ამოდიან და სკდებიან. თავად ია კი ვეღარ ამოდის, ყოველ შემთხვევაში, ახლა ვერაფერს ახერხებს.

მივა კუსასთან. კუსაა მისი მაშველი რგოლი. ყოველთვის ასეა. როცა უჭირს, კუსასთან გარბის. ცხოვრება კი ღირს ასეთი მეგობრების გამო, მაგრამ პარალელურად სიყვარულიც რომ გაგრძელებულიყო, უკეთესი იქნებოდა...

— რა გჭირს? — ჰკითხა კუსამ გაოცებით, მისი სახე რომ დაინახა, ალბათ საშლელით ცუდად წაშლილ ნახატს ჰგავდა, აქა-იქ ფანქრის კონტურებშერჩენილს, — ერთი კვირის წინ ბრწყინავდი და ახლა რა მოგივიდა?

— ერთი კვირის წინ ბედნიერი ვიყავი, — ჩაიქნია ხელი, — ახლა უბედური ვარ.

„აჰა, სხვებზე ვბრაზობდი, თავის პრობლემებზე რომ იწყებენ შეხვედრისთანავე წუწუნს და თავად ვაკეთებ იმავეს“, — გაიფიქრა, მაგრამ კუსა ხომ ქუჩაში შემთხვევით შემხვედრი ნაცნობი არაა. მეგობარია, დიდი ხნის მეგობარი, ასე რომ, მასთან წუწუნიც შეიძლება, ტირილიც, გულის მოოხებაც...

— თან რა უბედური ვარ, არ იცი, — გაიმეორა და მიხვდა, რომ ცოტაც და ტირილს დაიწყებდა.

— რა გჭირს, იაკო, ხომ მშვიდობაა? — კუსამ ხელი მოჰკიდა, სამზარეულოში შეიყვანა და თავად ჭიქას ეცა წყლისთვის.

— მორჩა ყველაფერი, — უთხრა იამ, წყლით სავსე ჭიქა გამოართვა, მოსვა და მაგიდაზე დადო, — ყველაფერი მორჩა, კუს, ავთოს დავშორდი, უფრო სწორად, დამშორ-

Cyan Magenta Yellow Black

და.

— რა გული გადამიცივე, — ღრმად ამოისუნთქა კუსამ, — ვიფიქრე, რაღაც საშინელება მოხდა-მეთქი.

— მეტი საშინელება რაღა გინდა? — მიაჩერდა ია.

— სიკვდილი, — თქვა კუსამ.

— რა სიკვდილი? — გაუკვირდა იას.

— სიკვდილია ყველაზე დიდი საშინელება, ახლობლის სიკვდილი. მეტი არაფერი. სხვას ყველაფერს ეშველება. ასე რომ, დაწყნარდი, — უთხრა კუსამ, — დაშორებებს, შერიგებებს, მერე ისევ დაშორებებს, მოკლედ, მსგავს ცხოვრებისეულ გაუგებრობებს და ტკივილებს ყოველთვის ეშველება. თავად თუ ვერა, დრო მაინც უშველის. აი, სიკვდილს კი...

— რა შუაშია ახლა სიკვდილი და ეგ შენი ფილოსოფია? — ეწყინა იას.

— უბედურად ყოფნის უფლება არ გაქვს იმის გამო, რომ ვიღაცას, თუნდაც შენთვის საყვარელ ადამიანს შორდები. მესმის, რომ ძალიან განიცდი, ცუდად ხარ, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უბედური ხარ. და საერთოდაც ძალიან ცოტას ვცხოვრობთ საიმისოდ, რომ უბედურები ვიყოთ. გაიხედე გარშემო და შენზე ათასჯერ მძიმე სიტუაციაში მყოფ ხალხს დაინახავ, — მხრები აიჩეჩა კუსამ.

— მაგრამ ჩემზე ათასჯერ ბედნიერებსაც, — მარინასთან წეღანდელი შეხვედრა გაახსენდა იას, — და რატომ? იმ ბედნიერებზე ნაკლები ვარ?

— არა, მაგრამ არც შენზე ცუდად მყოფებზე მეტი ხარ, სულ ესაა, — თქვა კუსამ, — ისე, არ მეტყვი, რატომ დაშორდი? ერთი კვირის წინ გადასარევად ჟღურტულებდი ავთოზე და ახლა რა მოხდა?

— სხვა უყვარს, ასე მითხრა, — იას ცრემლი მოადგა, მუშამბის ყვავილს კონტური შემოავლო თითით, — არა, არაფრით არ მჯერა. გამოდის, რომ ჩემთან თამაშობდა?

— და ამაში რამე არის გასაკვირი? — ჰკითხა კუსამ, — დაუჯერებელი სულაც არაა, მაგრამ ასე, უცებ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე... არა მგონია, რამე მომხდარიყო. ალბათ ვერ ხვდებოდი ბევრ რამეს. ჰო, ისე კი იყავი მაგრად გამოშტერებული, სადღაც მეცხრე ცის ზევით აფრენილი. რას შეამჩნევდი?

— ხო, მართალი ხარ. თანაც რაღაც იყო ისეთი, რის გამოც შეიძლებოდა, ჩემგან წასულიყო. მე კი მეგონა, რომ გავახარებდი, — ჩაილაპარაკა ჩუმად.

— რა? — სკამზე ჩამოჯდა კუსა და თვალებში შეხედა, — შენ, რა, ფეხმძიმედ ხომ არ ხარ?

იამ არაფერი უპასუხა, წყალი მოსვა და ფანჯარაში გაიხედა.

კუსა კუსაა, მაშინვე მიხვდა. დედაც მიხვდა, დარწმუნებულია, ეს კი ზის და სირაქლემობანას თამაშობს. თავი ქვიშაში აქვს ჩარგული და ჰგონია, ვერავინ ვერაფერს ხვდება.

— ია, ფეხმძიმედ ხარ? — გაუმეორა კუსამ.

იამ ჩანთა გახსნა, გამჭვირვალე პარკში ჩადებული ტესტი ამოიღო.

— ფეხმძიმედ ხარ! — წამოიკივლა კუსამ.

— დღეს დავრწმუნდი, — იამ მეგობარს შეხედა, — მანამდე ჩემი ეჭვები გავუმხილე, მეგონა... როგორც ჩანს, მიზეზიც ეს გახდა. არა მგონია, სხვა უყვარდეს და არ დამიწყო ახლა, ეს როგორ, თავს რატომ არ იცავდი და მსგავსი ჭკუის დარიგებები.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა კუსამ, — რა ჭკუის დარიგება, ხომ არ გაგიჟდი? გადასარევი ამბავია. ძალიან მაგარი ამბავი! მაგაზე კარგი რა უნდა მომხდარიყო, შენ კი... უბედურიო... უბედური კი არა, ბედნიერი უნდა იყო! იმას კი თავში ქვა უხლია. მთავარია, ფეხმძიმედ ხარ და ახლა ბავშვზე უნდა იფიქრო. ვაიმე, რა კარგი ამბავია!

— ჰო, კარგი იქნება, კი. დედაჩემი რომ გაიგებს, მაშინ — მით უმეტეს, — ჩაილაპარაკა იამ.

— კარგი ერთი, რა სისულელეა! თავიდან შეიძლება გაბრაზდეს და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვლება. თუ არ შეიცვლება და ნუ გეშინია, აქ არ ვარ? გადმოხვალ ჩემთან და ეგაა. ის კი, ავთო, თუ მართლა მაგის გამო დაგშორდა, ესე იგი არც შენი ღირსი ყოფილა და არც — შვილის.

კუსა წამოხტა, გაიარა, გამოიარა, მერე ისევ დაჯდა:

— ვაიმე, რა კარგი ამბავია! — ახლა ტესტს დახედა ხელმეორედ, — ხომ ნამდვილად ფეხმძიმედ ხარ?

— ნამდვილად, — გაეღიმა იას. კუსას განწყობა გადაედო.

მართლაც, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, ბავშვი ეყოლება. ეს კი, ზის და მოთქვამს. ადამიანები ხარობენ ათასნაირი ნივთებით, ამას კი ცოცხალი არსებით გახარების უნარი აღარ აქვს, თან ეს ცოცხალი არსება მის სხეულში ზის — დაუცველი, უმწეო...

— ჭკუაზე აღარ ვარ, — წამოხტა კუსა, — არა, როგორ ფიქრობ იმ იდიოტზე, ვინც ამის გამო მიგატოვა?! ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ! კარგი წითელი ღვინო მაქვს, აივანზე დავსხდეთ. მე ბევრს მოვწრუპავ, შენ — სულ ცოტას.

— დღეს ერთი ჩემი ძველი ნაცნობი შემხვდა, მარინა, — ისევ გაახსენდა იას.

— მერე?

— არაფერი, თავისთან მეპატიჟებოდა, დიდი ვერანდა მაქვს და დავსხდეთო. აივანზე გამახსენდა, — უთხრა იამ, — ისე, ხომ არ წავსულიყავით? მაინტერესებს, ახალი სახლი ჰქონია, თან გულს გადავაყოლებ. რას იტყვი?

— რატომაც არა, თუ უხერხული არაა, წავიდეთ. აბა, სად ჩემი ხელისგულისოდენა აივანი და სად ვერანდა, — იდეა მოეწონა კუსას, — თან შენთვისაც ასე აჯობებს.

— არა, უხერხული არაა, თავად მითხრა, თუ გინდა, მეგობარიც წამოიყვანეო. ისე, კარგად აუწყვია ცხოვრება. ამ დროში რომ ადამიანი გეტყვის, გადასარევად ვარო, წარმოიდგინე. ფინანსურად მართლა მშვენივრადაა, ეტყობა და ალბათ პირადშიც უმართლებს.

— სიამოვნებით წამოვალ. გარეთ გასვლა და ახალი სიტუაცია არ მაწყენს. ჰო, ღვინოს კი წამოვიღებ, მამაჩემის დაწურული საფერავია და ასეთი ნამდვილად არ ექნება.

— ძალიანაც კარგი, — მობილური აიღო იამ, მარინას დაურეკა.

— გამახარებთ მოსვლით, — მხიარულად უთხრა მარინამ და მისამართი ჩააწერინა.

„აშკარად კმაყოფილია ცხოვრებით, — გაიფიქრა იამ, — გარეგნულად ხომ ეტყობოდა და ხმაზეც კი ემჩნევა. წკრიალ-წკრიალი გაუდის. აბა, ჩემსავით კი არ ჟღრიალებს“.

მერე წმოდგა

— წავიდეთ? — ჰკითხა კუსას და ჩანთა აიღო.

ცოტა ხანში უკვე მარინას კარზე რეკავდნენ ზარს.

— ეტყობა, მართლა კარგად მისდის საქმეები შენს ნაცნობს, აქ რომ მოხვდა, — გადაუჩურჩულა კუსამ იას, თან სადარბაზოს ათვალიერებდა.

სახლი კარგ ადგილას იდგა, კარგ კი არა, გადასარევ ადგილას, ქალაქს ზემოდან გადმოჰყურებდა.

— ხომ გითხარი, — უჩურჩულა იამაც, — აი, არ მშურს, მაგრამ როგორ მოახერხა ამდენი, ეს კი მიკვირს.

— სწორედ ეგ უნდა ვკითხო, — გაეცინა კუსას, — იქნებ მასწავლოს ან ვთხოვ, ვინმე უცოლო თუ ჰყავს გარშემო, გამაცნოს. ან ჯანდაბას, ქმარი თუ ჰყავს, გადმომირიცხოს, ოღონდ ყოველთვიური სოლიდური თანხის დამატებით. აბა, ისე რად მინდა ვიღაცის ქმარი? თან პირობას მივცემ, რომ მხოლოდ ფულისკენ გავიხედავ და ქმრისკენ — არა.

— ასე არც მე ვიტყოდი უარს, — გაეცინა იასაც, — ავთოს მერე, მით უმეტეს. რა სიამოვნებით გადავუხდიდი სამაგიეროს! კუს, რა კარგია, რომ გნახე. ცოტა დავმშვიდდი. ძალიან ცუდად ვიყავი.

კუსამ გადახედა, გაუღიმა, თვალი ჩაუკრა.

ამასობაში მარინამ კარი გააღო და სტუმრები სახლში შეიპატიჟა.

დიდი ბინა იყო და ისევე ბრწყინავდა, როგორც თავად დიასახლისი.

— რა კარგი ბინაა, მარინა! — აღფრთოვანება ვერ დამალა იამ.

— მოგწონთ, არა? — მარინამ სახლს მოავლო თვალი.

— როგორ შეიძლება არ მოგვწონოს? — მის მზერას გააყოლა თვალი კუსამ, — ძალიან დიდი და გემოვნებით მოწყობილი სახლია.

— კი, ამ სახლს მხოლოდ ერთი რამ აკლია, — გაეცინა მარინას, — ოჯახური სიმყუდროვე და ისიც მალე მექნება.

— თხოვდები? — გაუღიმა იამ.

— კი, ყველაფერი გადაწყეტილია. ამ დღეებში საზღვარგარეთ მივდივართ ერთად. წარმოუდგენლად მიმართლებს, — გადახედა გოგოებს, ღვინო მოსვა, — მაგრამ, რა თქმა უნდა, მეც ჩემს ტვირთს ვატარებ.

— რას ამბობთ! — შეწუხდა კუსა.

— კი, ასეა, — ალბათ ღვინის ბრალი იყო, გულახდილობის ხასიათზე დადგა მარინა, — შვილი არასდროს მეყოლება. არადა ძალიან მინდოდა, მყოლოდა. რას არ მივცემდი, ოღონდ შვილი მყოლოდა.

კუსამ იას გადახედა. ია თავჩაღუნული იჯდა, ხმას არ იღებდა, ერთ წერტილს მისშტერებოდა.

— არა უშავს, ახლა იმდენი საშუალებაა, — გაუღიმა მარინას კუსამ.

— რა თქმა უნდა, — ხმა შეეცვალა მარინას, გაიცინა.

ზარი დარეკეს.

— ახლავე მოვალ, — ისევ გაუცინა გოგოებს, კარის გასაღებად წავიდა და მალევე მობრუნდა უკან.

— გაიცანით, ეს ჩემი საქმროა, — წარუდგინა გოგოებს...

ის იყო, ავთო, იას დანახვისგან დაბნეული, თუმცა არც იმდენად.

— გამარჯობათ, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მე ავთო მქვია, — ღიმილით წარუდგა გოგოებს.

იამ კუსას გადახედა, კუსამ — იას.

„ცუდად ვარ, — გაიფიქრა იამ, — ძალიან ცუდად ვარ. ყველაფერს წარმოვიდგენდი და ამას ვერა. ნეტავ საერთოდ არ მოვსულიყავი აქ. ახლა რა უნდა ვქნა? სკანდალი მოვაწყო? ავდგე და დემონსტრაციულად წავიდე?“.

— სასიამოვნოა, კუსა, — მოესმა ამ დროს კუსას ხმა. ავთოს უღიმოდა. ნაძალადევად, მაგრამ უღიმოდა.

„მეც ასე უნდა გავაკეთო. თავი ვაიძულო, რომ არ ვიცნობ. არადა მისი ბავშვი მიზის მუცელში. რა უცნაურია, მე უფრო ბედნიერი ვარ ახლა თუ ესენი? არა, როგორმე უნდა შევძლო და არ ვინერვიულო, — მუცლეზე დაიხედა, — აი, ამის გამო არ ვინერვიულო. დანარჩენი არაფერია, სულ არაფერი, მართლა დიდი სისულელე, — გაიფიქრა, მერე ავთოს თვალებში შეხედა და უთხრა, — სასიამოვნოა, მე ია მქვია“.

ამის გაკეთება ადვილი არ იყო, გული მოეკუმშა, მაგრამ შეძლო და გააკეთა, ოღონდ როგორ, თავადაც არ იცოდა.

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოჩშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 27 ივლისი 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვისაც ქმრისგან სითბო აკლია და ვნებას ვერ ხარჯავს, მხოლოდ მას. ასაკი 28 წლის. სახელი ლუკა. 557529886

2. ვარ 31/190/90, თბილისელი ბიჭი. დიდი სიამოვნებით გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის 175-185 სმ სიმაღლის თბილისელ ქალიშვილს 25 წლამდე სერიოზული ურთიერთობისთვის. 577437727

3. ახლო ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ გოგოს 35 წლამდე. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის. 599909457. გია, 38 წლის.

4. გავიცნობ ქალს 22-45 წლამდე შეხვედრებისთვის. 555563487. ალექსი. აფერისტები არ გამომეხმაუროთ.

5. გავიცნობ ლამაზ მანდილოსანს სამეგობროდ. გიო, ქუთაისი, 29 წლის. 557654785

6. ვარ 23 წლის ბიჭი. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ისეთს, ვისაც შეხვედრის ადგილი ექნება. ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. მიზიდავს მსუქანი ქალებიც. 555513821

7. გავიცნობ 30-40 წლის ქალს სამეგობროდ. ვარ თბილისელი, 44 წლის. მაქვს სამსახური და მყავს მანქანა. 555475805

8. ვარ 31 წლის, დასაქმებული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, სექსუალურ და ტემპერამენტიან მანდილოსანს. 555148894

9. გავიცნობ 25 წლამდე გოგონას. ნიკა. ჩემი ნომერია 514121212

10. გავიცნობ 50 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ 60 წლის თბილისელი მამაკაცი. 557415803. ნოდარი

11. ახლო ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ თბილისელ გოგოს 20-35 წლამდე. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის. 599909457. გია. 38 წლის.

12. გავიცნობ 40 წლამდე ქალბატონს, ვისაც სითბო და ალერსი აკლია. ვარ 35 წლის. დამირეკეთ, არ ინანებთ. 598800406. რომა

13. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე აჭარელ ან აჭარაში მყოფ ლამაზ, გულწრფელ გოგოს. 593973884

14. გავიცნობ ქუთაისელ მომხიბვლელ გოგონას შეხვედრებისთვის. საიდუმლოს შენახვა კარგად მეხერხება. მეუხედავები და მსუქნები არ შემეხმიანოთ. 551248825

15. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 27 წლის ბიჭი. 557969763. გიგა

16. გავიცნობ სამეგობროდ ნორმალურ ქალს. სასურველია, თბილისელი იყოს. პატარები და უაზროები ნუ გამომეხმაურებით. ვარ 30 წლის. ნიკა. 557240429

17. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის ერთგულ ქალს, გათხოვილს ან განათხოვარს. 557580019. ვისაც სერიოზული ურთიერთობა უნდა, ის შემეხმიანოს.

18. ვარ 24 წლის ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 30 წლამდე ქალს, ბათუმელს ან აჭარაში მცხოვრებს. 557647870

19. ვარ 33 წლის მამაკაცი. ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს, ბათუმელს ან ახლოს მცხოვრებს. 555231388

20. გავიცნობ სექსუალურ მანდილოსანს ურთიერთობისთვის. ვარ ათლეტური ტანის, სიმპათიური. მყავს მანქანა, ვცხოვრობ თბილისში. 593363591. დათო. გელოდებით, ლამაზებო.

21. გავიცნობ თბილისელ, დამოუკიდებელ, გამხდარ ქალბატონს. თბილი და სასიყვარულო ურთიერთობისთვის. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555854433

22. გავიცნობ შეხვედრებისთვის ქალს 35 წლამდე. 598355430

23. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს დასავლეთიდან, 30 წლამდე. დამიმესიჯეთ. 557199076

24. გავიცნობ სამეგობროდ და შეხვედრებისთვის 30-35 წლამდე ქალბატონს. ვარ 30 წლის მამაკაცი. გიო. 557229258

25. ანონიმურობის სრული გარანტიით. გავიცნობ ქალბატონს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის, განურჩევლად ასაკისა. 514315225. გიო

26. გავიცნობ პუტკუნა მანდილოსანს ახლო და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 595387337

27. ვარ 38 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი. არაერთჯერადი ურთიერთობისთვის გავიცნობ 40 წლამდე თბილისელ არამსუქან, არამატყუარა მანდილოსანს. 593908100

28. ურთიერთობისთვის გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ მანდილოსანს 36 წლამდე. ვარ სიმპათიური მამაკაცი, 39 წლის, ქუთაისიდან. დამიმესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 557994113. ჯონი

29. ვარ 53 წლის თბილისელი, ოჯახიანი მამაკაცი. გავიცნობ ქალს სამეგობროდ საქართველოს ნებისმიერი რაიონიდან, ვისაც შეუძლია ნამდვილი და ძლიერი სიყვარული.

30. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ზესტაფონის, ჭიათურის, თერჯოლა-ხარაგაულის რაიონში მცხოვრებ თუნდაც გათხოვილ ქალს. 557451540. დათო. შემეხმიანეთ.

31. გავიცნობ 40 წლამდე გოგოს. ვარ 35 წლის. 557997442. ილო.

32. ვარ 35/180/83, ევროპული სტილის თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ ასევე ევროპული სტილის ქალს განურჩევლად ასაკისა. 557317378

33. გავიცნობ 40 წლამდე მანდილოსანს სამეგობროდ, ვისაც სიყვარული შეუძლია. ვარ 42 წლის. გია. 557961142

34. გავიცნობ გოგოს სამეგობროდ. ვცხოვრობ კახეთში. 555346527

35. ვარ 50 წლის ქვრივი. არ ვსვამ, ვეწევი. გავიცნობ ქვრივ (თბილისი, გორი ან რუსთავი) ან შემთხვევით დაინვალიდებულ 50-55 წლამდე ქალბატონს. ვისაც გვერდში დგომა და მზრუნველობა სჭირდება. ბინა არ მაქვს. 591144756. მახო

36. გავიცნობ 35 წლამდე ქუთაისელ ან სამტრედიელ გოგოს. ვარ 29 წლის ბიჭი. შემეხმიანოს, ვინც რეალურად შემხვდება. დაჩი. 555700745

2017

37. გავიცნობ 36 წლამდე თბილისელ მანდილოსანს. დავარწმუნებ, რომ არ უნდა გაწყდეს მამაკაცის სინსილა. 555677253

38. სამეგობროდ გავიცნობ 30-40 წლამდე რაიონიდან ჩამოსულ სიმპათიურ, კულტურულ ქალბატონს. ვარ კარგი გარეგნობის თბილისელი მამაკაცი. 557718745. გიორგი

39. სამეგობროდ გავიცნობ ისეთ ქალიშვილ გოგოს, ვისაც გათხოვების შიში აქვს. 551509254

40. ვარ 43 წლის მამაკაცი. გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ ქალს, თუნდაც რაიონში. 551520689

41. 40 წლის სიმპათიური, თბილისელი, ცოლს გაცილებული მამაკაცი სერიოზულად და უანგაროდ ვიმეგობრებ ასაკით უფროს ქალბატონთან. 555639450

42. ვარ 32 წლის თბილისელი სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ, არამწეველ ქალიშვილ გოგოს. მყავს მანქანა. 599020285

43. გავიცნობ კარგ გოგოს კარგი ურთიერთობისთვის. ვარ 29 წლის ბიჭი, სამსახურიც მაქვს და მანქანაც. თუ ვინმეს უნდა ასეთი ურთიერთობა, მომწეროს და შეეხვდეთ. 557419050. გგგ

44. გავიცნობ ლამაზ, უკომპლექსო, არამსუქან, თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555415334

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 37/170/60, თბილისელი მამაკაცი, სუფთა წარსულით, დასაქმებული. გავიცნობ თბილისელ გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. სერიოზულს. ბავშვიანებმა თავი მეიკავეთ. 591144755

2. ვარ 28 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ გოგოს. 557613586. გოჩა

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ ოჯახის გოგოს 30-35 წლამდე. 599060494

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ეკლესიურ მშვენიერ მანდილოსანს. ვარ 44 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, დასაქმებული. ვცხოვრობ ქუთაისში. 595248912

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-30 წლამდე ჭკვიან და ლამაზ გოგოს. ვარ 32 წლის, დასავლეთიდან. ბონდო. 555901154. შემეხმიანეთ.

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს 18-35 წლამდე. ვარ 35 წლის. კახა. 577552595

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, თბილისში ბინით უზრუნველყოფილ ქალბატონს 42 წლამდე. თუნდაც განათხოვარს, ოღონდ შვილების გარეშე. 557409121

8. ვარ 64 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალბატონს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა, რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

9. ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობს თბილისში მცხოვრებ 25-35 წლის მანდილოსანს. 558270100

10. გავიცნობ 40 წლამდე დედისერთა ქალბატონს, ვისაც უნდა თბილი ოჯახი და შვილები. არასერიოზულებმა და მატყუარებმა თავი შეიკავეთ. მხოლოდ დარეკვით. 591275695

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-31 წლის განათლებულ, სუფთა წარსულის მქონე მანდილოსანს. 555757239. ლევანი

გავიცნობ კაცს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ ქვემო ქართლში მცხოვრებ 47-50 წლის მამაკაცს, ვისაც ოჯახი სურს, მწვანე-მორუხო თვალებას, ფინანსურად ძლიერს. 26 ივლისს, 7, 16 აგვისტოს, 3 დეკემბერს, 14 დეკემბერს დაბადებულები გამომეხმაურონ. 598361604

გავიცნობ კაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ წესიერ, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს 40 წლამდე. 514499559

2. ვარ 46 წლის თბილისელი ქალბატონი. იშვიათი შეხვედრებისთვის გავიცნობ 46 წლის ზემოთ სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. მომწერეთ სმს-ით თქვენ შესახებ. 557309224

3. ვარ 45 წლის ქალი. სამეგობროდ გავიცნობ შეძლებულ მამაკაცს, რომელიც დამასაქმებს. 555629927

მიყვახხახ, მენატრები

პაჩანიკა, როგორ ხარ, ჩემო საყვარელო. აქეთ ყველაფერი ძველებურადაა, ვუძლებთ, რა. მთავარია, შენ იყო მხნედ. მე შენ გვერდით ვარ და ამასაც გადავიტანთ უფლის წყალობით და ერთმანეთის სიყვარულით. მენატრები სიგიჟემდე. ჩემი ცხოვრება ხარ. წამი არაა შენზე ფიქრის გარეშე. მიყვარხარ. წრიპა

პაჩანიკა, როგორ ხარ, ჩემო საყვარელო? მე თუ მკითხავ, ყველასგან გულნატკენი, მაგრამ მეც არ ვიცი, საიდან ვპოულობ ძალას, რომ ავიტანო. დანარჩენს რომ გნახავ, მერე ვილაპარაკოთ. შენზეც რამე სასიკეთო იქნება და ერთმანეთს უნდა გავაძლებინოთ. რაც არ უნდა მოხდეს, მე შენ გვერდით ვარ. თავს მიხედე. უფლის წყალობით რამე გვეშველება. მიყვარხარ. ახალი ჩამოსული ვარ სოფლიდან და ისეთი განადგურებული ვარ, სიტყვებს და ძალას ვეღარ ვპოულობ. მიხვდები ალბათ. მიყვარხარ. მიყვარხარ. მიყვარხარ.

მადლობა

რამდენიმე ხნის წინ დამჭირდა ოპერაცია თვალზე, ამიტომ მინდა, მადლიერება გამოვხატო ექიმების, პროფესორ გიორგი ჩიჩუასა და ქალბატონ მაია ნოზაძის მიმართ, რომლებმაც თვალისჩინი დამიბრუნეს.

ნათელა ჭაბამვილი

თუ გსურთ, ახლობელს მიეულოცოთ ჩაიმე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარჯის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ – ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარჯის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 27 ივლისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნერვიული, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აღრესატისადმი მინერვიული ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

← 9

დონ. ბევრს არტისტობის გარდა არაფერი შეუძლია, ამ საქმიდან შემოსული ფულით უნდა შეინახოს ოჯახი, ამიტომ გულსატკენია, რომ თავიანთი საყვარელი პროფესია ამის საშუალებას არ აძლევთ.

— თავად როგორ შეძელით ბიზნესის აწყობა?

— პირადი კონტაქტების, ძალიან დიდი შრომის და მონდომების ფასად. ბიზნესი უყურადღებობას ვერ იტანს და თეატრში სწორედ ამის გამო არ ვარ. კინოში დროის შეთავსებას კარგად ვახერხებ და ამიტომაც კინოს ვამჯობინებ.

— თქვენთან პოპულარობა ადრეულ ასაკში მოვიდა. ამას თავბრუ არ დაგახვევთ?

— მაშინ მეორე კურსზე ვიყავი, 17 წლის და მართლაც თავბრუ დამახვია. ჩემზე ჟურნალებში დაიწერა, ტელევიზიებში დამპატიჟეს და ამ ყველაფერმა მაღლა ამაფრინა. თეატრალურში ძალიან მაღალი ქულებით ჩავირიცხე, კარგად ვსწავლობდი და სტიპენდიას 20 ლარს ვიღებდი. პოპულარობამ სწავლაში ხელი შემიშალა, ბავშვობის მეგობრებიც კი დამაკარგვინა. ყველა სადღაც მეპატიჟებოდა და ძველი მეგობრებისთვის დრო აღარ მრჩებოდა. პოპულარობამდე ეკლესიაში დავდიოდი, სტიქაროსანი ვიყავი, მაგრამ ვეღარც ამისთვის ვიცლიდი. დაახლოებით 6 თვე ასეთი აფრენები მჭირდა. მიხარია, რომ ის პერიოდი პატარა ასაკში გავიარე და დღეს ყველაფერს რეალურად ვუყურებ.

„ზუკასნაირ ტიპებს ვერ ვიტან. ის ცოლის ქონებას ერთგულ იჩგებს და ერთფეხს აფასებს. ხეები იყადრა, ცოლს ყველა ქალთან ღალატობდა!".

— თქვენსა და თქვენს ვმარს, ზუკას შორის არის რაიმე მსგავსება?

— პიროვნულად ასეთ ტიპებს ვერ ვიტან. ზუკა ოჯახის და ცოლის ბიზნესზეა დამოკიდებული. მის ქონებას კარგად ირგებს და არაფერს აფასებს. ცოლის ნათესავების კომპანიაში უფროსად დააწყებინეს მუშაობა და რეები იკადრა, ცოლს ყველა ქალთან ღალატობდა. ასეთ კაცებს ვერ ვიტან! ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ სულ სხვანაირი ვარ. საკუთარ შრომაზე ვარ დამოკიდებული, მიყვარს, როცა ყველაფერს ჩემით ვაღწევ.

— ზუკას მსგავსად, გაბამდით ჭრიან ქალთან რომანს?

— არა, ეს ძალიან ცუდი რაღაც არის და ამისგან თავს შორს ვიჭერ. ამ დროს სხვასაც ურევ ტვინს და შენც ირევი. ასეთ საქციელს არასოდეს ვამართლებ. თუ ქალი ქმარს გაშორებულია, მაშინ კი, ბატონო, მაგრამ, გამორიცხულია, გათხოვილთან გავაბა რომანი. საშინელებაა, ქალი რომ გეტყვის, ჩემი ქმარი შეხვედრაზეა და შენ გნახავო. ან თბილისში სად უნდა შეხვდე ისეთ ადგილზე, რომ ამ ამბავმა არ გაჟონოს.

— ისევ სასურველ სასიძოდ ითვლებით. რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?

— არაფერი, მარტო ვარ. თუ გამოჩნდება კარგი ადამიანი, ვინც გვერდში დამიდგება და ჩემთვის ყველაფერს გააკეთებს, რა თქმა უნდა, მისთვის ორჯერ მეტად მე დავიხარჯები და მაშინ ალბათ სერიოზულად დავფიქრდები. წუნია არ ვარ, მაგრამ ჯერჯერობით არ არის ისეთი ადამიანი, ვისთანაც სერიოზული ურთიერთობა მექნება. რა თქმა უნდა, ასეთი გამოჩნდება, მაგრამ როდის, ეგ არ ვიცი. ჩემთვის მთავარია, ერთმანეთს გავუგოთ.

— ესე იგი ჯერ გართობის დროა?

— გართობის და საქმის!

— ძალიან სერიოზულად შეყვარებული ყოფილხართ?

— კი, ეს ადრე იყო.

— რატომ დამთავრდა თქვენი ურთიერთობა?

— რა ვიცი, დამთავრდა ის ყველაფერი.

— თქვენი მიზეზით?

— მოდი, ნუ დავკონკრეტდებით.

— მგონი, ძველ სიყვარულს მისტირით...

— არა, მიმტირალის რა მეტყობა! პირიქით, უკეთესის და ახლის ძიებაში ვარ. თუმცა სიტყვა „ძიება" არ მომწონს, არავის ვეძებ, ჩვეულებრივად ვცხოვრობ და დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელსაც გავუგებ. ჯერ 25 წლის ვარ და რა მეჩქარება! ახლა მეგობრები, გართობა, სამსახური, კარიერა. პარალელურ რეჟიმში სადღაც ვიღაც შემხვდება.

— აქტიური გოგონები მოგწონთ?

— კი, პასიურ გოგოებს ვერ ვიტან. ოღონდ მისი აქტიურობა მომაბეზრებელი არ უნდა იყოს. კარგი გაგებით, გიჟები და ინიციატიანი გოგოები მიყვარს.

— ალბათ ისიც მოგეწონებათ, თუ გოგო გამოგიტყდებათ პირველი სიყვარულში.

— არა. თუ მიყვარს, მივალ და ვეტყვი, რატომ დავიტანჯო? მე ერთხელ ვეტყვი, რომ მიყვარს და მას ხუთჯერ ვათქმევინებ, რა პრობლემაა! ვცდილობ, ბედნიერი ვიყო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამისთვის ყველაფერს ვეპოტინები. არა, იმით ვხარობ, რაც დღეს მაქვს. თუ შეგიძლია, სხვებიც უნდა გააბედნიერო. ზოგს რომ დაურეკო და მოიკითხო, ისიც კი ისე უხარია... ისეთი ვიღაცისთვის დამირეკას და დაბადების დღე მიმილოცია, უთქვამს, ღევან, ძალიან გამახარეო. ადამიანებს სიამოვნებთ, როცა გახსოვს, აფასებ.

✓ ქეთი დინოშველი

ნინი ბადურაშვილის გოგონა საშობიაროდან მაამის გვარით გამოიყვანეს

იმედა ჯახიანი: „თუ არ ენდომებათ, რომ ელენე გვარად ჯუტალაძე იყოს, არც ეს არის პრობლემა!"

ომღერალი ნინი ბადურაშვილი 19 ივლისს ელენეს დედა გახდა. მომღერალმა ფიზიოლოგიურად იმშობიარა. პროცესმა ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა. ნინის შვილისთვის სახელი წინასწარ ჰქონდა შერჩეული. ამბობენ, რომ ჩვილი დედას საოცრად ჰგავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნინის მშობიარობის დროს და მის შემდეგაც ქმარი, ირაკლი კუტალაძე და მისი ოჯახის წევრები საავადმყოფოში არ გამოჩენილან. ჩვენი ინფორმაციით, ბავშვის მამა საქართველოში არ ჩამოსულა. ირაკლი კუტალაძის „ფეისბუქის" გვერდზე მხოლოდ ერთი მილოცვაა, რომელსაც მისივე მეგობარი ქეთი ციკვაძე უწერს: „ირაკლი, გილოცავ, მამა გახდი!".

ორ ოჯახს შორის დაპირისპირება ბავშვის დაბადების შემდეგ ახალ ფაზაში გადავიდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ელენე სამშობიაროდან დედის გვარით გამოიყვანეს, ნინის პაპამ, მსახიობმა იმედა კახიანმა კი „სარკესთან" ეს ფაქტი უარყო. გვითხრა, რომ ნინი და ელენე მცხეთაში, აგარაკზე არიან და დედა-შვილი თავს ძალიან კარგად გრძნობენ.

— ბატონო იმედა, მართალია, რომ ელენეს დაბადების მოწმობაში გვარად ბადურაშვილი ჩაუწერეთ?

— არა, ეს არასოდეს მითქვამს! თუ ელენეს მამას შვილისთვის გვარის მიცემის სურვილი არ ექნება, არავინ შეეხვეწება! ბავშვი დაიბადა, მაგრამ არც კი გამოჩენილა! ირაკლის ბაბუამ, გივი ჩიქვანაიამ, ნინის დაურეკა და მიულოცა. ელენეს მამას არც კი დაურეკავს, მაგრამ რას ვიზამთ! კუტალაძე ნამეტანი კარგი გვარია, მაგრამ ბაგრატიონიც რომ იყოს, თუ არ უნდა კაცს, ხომ არ შევეხვეწებით?

— ბავშვი სამშობიაროდან რა გვარით გამოიყვანეთ?

— ბავშვს დაბადების მოწმობაში ელენე კუტალაძე უწერია. ასე ყოფილა წესი, თუ ქორწინებაში ხარ, ბავშვი მამის გვარით გამოგყავს. თუ არ ენდომებათ, რომ ელენე გვარად კუტალაძე იყოს, არც ეს არის პრობლემა!

❖

არაერთი ცდის მიუხედავად, ჩვენს სატელეფონო ზარებს არც ნინომ უპასუხა და არც მომღერლის დედამ ეკა კახიანმა. ამიტომ ნინის ახლო მეგობარს და ბავშვის ნათლიას, სალომე გოგიაშვილს და ნინის ბებიას, მსახიობ ლალი ბადურაშვილს დავუკავშირდით.

სალომე გოგიაშვილი: ნინის კიდევ ერთხელ ვულოცავ დედობას! ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. დაიბადა ულამაზესი ელენე, რომელიც საოცრად ჰგავს დედას. ის ღამის 12-ის ნახევარზე მოევლინა ქვეყანას 3,2 კილო და 51 სანტიმეტრი. მეგობრები მის გვერდით ვიყავით. მშობიარობას არც მე დავსწრებივარ და არც ახლობლები, ბლოკში ის მარტო იყო. ეს არის და ეს, რისი თქმაც შემიძლია.

ლალი ბადურაშვილი: არაჩვეულებრივი გოგო გვყავს, უკვე დიდი ბებია ვარ! ვულოცავ ჩემს ნინის დედობას! მთავარია, რომ ჩემი შვილიშვილი კარგად არის!

✓ ლანა კენკაძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

თუ ღმერთს ვეძებთ, ის ყოველთვის გამოგვიცხადებს თავის თავს

ცხოვრება წმინდისა ეპიფანესი, ჯვიპროსელი ეპისკოპოსისა (ეპიფანე ჯვიპელი)

ᲓᲦეს მოგითხრობთ ისეთ საეკლესიო მოღვაწეზე, რომლის შრომაც თითქმის შეუფასებელია არა მარტო იდეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ჰიმნოგრაფიის კუთხითაც. მის კალამს უამრავი თეოლოგიური და ჰიმნოგრაფიული ნაშრომი ეკუთვნის, რომლებზეც თანმიმდევრობით უცილობლად გვექნება საუბარი. ეს გახლავთ წმინდა ეპიფანე კვიპრელი, როგორც ის არის ცნობილი საეკლესიო გადმოცემაში.

წმინდა ეპიფანე წარმოშობით როდი გახლავთ კვიპროსიდან. ის დაიბადა პალესტინაში 310 წელს, ღარიბი მიწათმოქმედის ოჯახში. მისი მშობლები სელის ძაფის წარმოებით იყვნენ დაკავებულნი. წმინდანს ჰყოლია კიდევ ერთი და, სახელად კამლიოპი. უცნობია წმინდა ეპიფანეს ბავშვობისდროინდელი სახელი.

ერთი სიტყვით, წმინდა მამა დაიბადა პალესტინის ქალაქ ელევთეროპოლის მახლობლად სამ კილომეტრში, სოფელ ვისანდუკში. ათიოდე წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და ისედაც გაჭირვებაში მყოფი ოჯახი კიდევ უფრო გაუსაძლის გაჭირვებაში ჩავარდა. დედამ პატარა ეპიფანეს დაავალა, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და ავლადიდება, წყვილი ხარ-ურემი წაეყვანა ბაზარში და გაეყიდა, რათა ოჯახისთვის აუცილებელი ნივთები და სარჩო შეეძინათ.

პატარა ეპიფანემ დედას წინააღმდეგობა გაუწია, რადგან ხარები საკმაოდ ავი ზნისანი ყოფილან და მათი ბაზარში მშვიდად გაყვანა შეუძლებელი იყო. დედას უთქვამს, წადი, ჩემო სიცოცხლევ და ნუ იდარდებ, ხარების თვინიერებაზე ჩვენი წინაპრების, აბრაამის, ისაკის და იაკობის ღმერთი იზრუნებს, ის იქნება შენი მეგზური ბაზარში მისვლაშიც და უკან დაბრუნებაშიცო.

წმინდანმაც წაიყვანა ხარები ბაზარში გასაყიდად. როცა მივიდა, მყიდველიც მალე გამოჩნდა, სახელად იაკობი. ჰკითხა ეპიფანეს, ყიდდა ხარებს თუ სხვა საქმის გამო იცდიდა ბაზრის შესასვლელთან. ეპიფანემ მიუგო, ვყიდი ხარებს და ამიტომაც ჩამოვრეკე აქამდეო. მაშინ იაკობმა ჰკითხა, რომელი რელიგიის მიმდევარი ხარო. ამაზე პატარა ეპიფანემ უპასუხა, მე ებრაელი ვარო. იაკობს გაუხარდა და უთხრა: „თუ ასეა, ერთი სარწმუნოება გვქონია და ერთი ღმერთის შვილები ვყოფილვართ, ამიტომ გვმართებს, გულწრფელები ვიყოთ ყიდვა-გაყიდვაშიც. ნურც შენ დაზარალდები და ნურც მე მაჩვენებ ზარალს, რათა ამით ჩვენი ღმერთი არ გავანაწყენოთ, რადგან ლოცვა-კურთხევით ნამოქმედარი დალოცვილია, ხოლო ნაწყევარ-ნაცოდვილარით კი დაწყევლილი“.

ამის მოსმენის შემდეგ პატარა ეპიფანეს შეეშინდა, ძია იაკობის სიტყვები წყევლად არ მექცესო და მიუგო: „აღარ მსურს, რომ გავყიდო ხარები“. რატომო, ჰკითხა იაკობმა. „იმიტომ, რომ ეს ცხოველები არ არიან თვინიერები და დამჯერები. მამა ძალით აკეთებინებდა საქმეს, ახლა კი მამა გარდაიცვალა და დედამ იძულებით გამომატანა გასაყიდად, რათა ოჯახისთვის აუცილებელი ნივთები და სარჩო შევიძინოთ. მაგრამ თქვენი სიტყვების შემდეგ, რომ ძალიან ცუდია მოყვასის მოტყუება, შემეშინდა ღმერთის და გადავიფიქრე ხარების გაყიდვა, რათა ხარების სიჯიუტის და ავი ზნეების გამო თქვენი წყევლა არ მომწეოდა და არ დავსჯილიყავი ღვთისგან“.

ამ სიტყვების მოსმენით გახარებულმა იაკობმა ბავშვი ეპიფანე გულწრფელობისათვის დაასაჩუქრა სამი არღირით (ძნელია სამი არღირის ოდენობის ზუსტი განსაზღვრა, მაგრამ საკმაო თანხა რომ იქნებოდა, ეს ფაქტია), წადი და დედას მიუტანე, რათა შეიძინოთ, რაც აუცილებელია ოჯახისთვის, ხარები კი უკან წაიყვანე, თუ ზნე გამოიცვალეს და დამშვიდდნენ, დაიტოვეთ და ამუშავეთ, რამდენიც შეგიძლებათ, თუ არადა, მაშინ ტყის პირას გაუშვით, რათა არავინ დააზიანონ თავიანთი ავი ზნითო.

დაადგა შინისკენ გზას პატარა ეპიფანე და ფიქრებში გართულს ერთი ქრისტიანი შემოხვდა, სახელად კლეოვიოსი, რომელმაც ინტერესით ჰკითხა, ბიჭუნა, ხარებს ხომ არ ყიდიო. ეპიფანემ უპასუხა, არა, არ ვყიდი, ბაზრიდან ვბრუნდები და დაღამებამდე მინდა, მივასწრო სახლში მისვლაო. ქრისტიანმა უთხრა, თუ გაყიდი, შემიძლია საფასური მოგცე და მე შევიძინო შენი ხარებიო.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ უცებ ხარებს ავმა ზნემ წამოუარა და პატარა ეპიფანეს ისე ძლიერად დასცხეს წიხლები, რომ ბავშვმა ტკივილისგან გონება დაკარგა. ხარები კი მოსწყდნენ ადგილს და გაიქცნენ. ამის მნახველმა კლეოვიოსმა მაშინვე მუხლი მოიყარა და დაიწყო ძირს დავარდნილი ეპიფანეს მოსულიერება. როცა ბავშვმა თვალი გაახილა, ეტყობოდა, რომ ტკივილი აწუხებდა. კლეოვიოსმა სამჯერ გადასახა ჯვარი ჭრილობაზე პატარა ეპიფანეს და სასწაულმაც არ დააყოვნა — ბიჭი მაშინვე გათავისუფლდა საშინელი ტკივილისაგან და სრულიად ჯანმრთელი წამოდგა ფეხზე.

ამის შემდეგ კლეოვიოსი შებრუნდა გავეშებული ხარებისკენ და მიუგო მათ: „იესო ქრისტე ჯვარცმულის სახელით გიბრძანებთ, რადგან თქვენი მხეცური საქციელით არ დაინდეთ თქვენი პატრონი და სასიკვდილოდ გაიმეტეთ, ამ ადგილიდან აღარასოდეს გაინძრეთ“. აქაც აღსრულდა ღვთის სასწაული და ხარები უსულოდ დაეცნენ ძირს სწორედ იმ ადგილას, სადაც დაზიანეს წმინდა ეპიფანე.

განცვიფრებული შესცქეროდა ეპიფანე კლეოვიოსის ნამოქმედარს და ჰკითხა: „ვინ არის იესო ქრისტე ჯვარცმული, რომლის სახელის ხსენებისას აღესრულა ესოდენ დიდი სასწაული?“. ამაზე უპასუხა კლეოვიოსმა ინტერესით მომზირალ ეპიფანეს: „ეს იესო ქრისტე არის ღვთის ძე, რომელიც ჯვარს აცვეს ებრაელებმა“. ამ სიტყვების გამგონე ყმაწვილ ეპიფანეს შეეშინდა და არ უთქვამს, რომ თვითონაც ებრაელი იყო. შინისკენ დაადგა გზას, ხოლო კლეოვიოსმა თავისი გზით განაგრძო სიარული. შინ მისულმა ეპიფანემ დედას დაწვრილებით მოუთხრო, რაც თავს გადახდა.

გავიდა ცოტა დრო, დედამ შეკრიბა შვილები და უთხრა მათ: „ჩემო შვილებო, ვიდრე მამათქვენი ცოცხალი იყო, ჩვენს მიწას ამუშავებდა, ზედ მოსავალი მოჰყავდა და მოწეული მოსავლით საზრდოობდა ჩვენი ოჯახი. ახლა კი ეს მოსავალიც აღარ გვაქვს, მშივრები ხომ არ დავიხოცებით, წადი, ეპიფანე, იქნებ ვინმე ღვთისმოსავ მოხელეს დაემოწაფო, რამე ხელობა ისწავლო და გამოადგე შენს დასაც და ჩვენს ოჯახსაც“.

მართლაც, ქალაქ ელეფთეროპოლში იყო ერთი ებრაელი რჯულის მოძღვარი, მოსეს რჯულში ფრიად განსწავლული, სახელად ტრიფონი და გადაწყვიტა, მას დამოწაფებოდა. მანაც დაიმოწაფა ეპიფანე და, როგორც შვილს, ისე ექცეოდა. როცა ტრიფონი გარდაიცვალა, მისი ქონება ყმაწვილ ეპიფანეს დარჩა. მალე ეპიფანეს დედაც გარდაეცვალა და თავისი და თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად. ბედნიერად ცხოვრობდნენ ტრიფონის დანატოვარ სახლში, ვიდრე მათი ცხოვრება ერთ მოღვაწე ბერთან შეხვედრამ არ შეცვალა.

გზად მიმავალ ეპიფანეს შემოხვდა მოგზაური ბერი, სახელად ლუკიანოსი. ის ხელობით იყო მწერალი, კალიგრაფი, რომელიც წერდა ლამაზად და ამით თავსაც ირჩენდა და იმდენი ჰქონდა, რომ გაჭირვებულებსაც ეხმარებოდა. ეპიფანეს მოეწონა მონაზვნის საქმიანობა და გადაწყვიტა, თვითონაც შეესწავლა კალიგრაფია.

ერთხელ გზად მიდიოდნენ ლუკიანე და ეპიფანე და შემოხვდათ გაჭირვებული, რომელმაც მიაძახა ლუკიანეს: „ღვთის კაცო, შემეწიე მე, გლახაკს, ვინაიდან სამი დღე სრულიად მშიერ-მწყურვალი დავიარები“. რადგან იმ დროს არაფერი ებადა, ლუკიანემ თავისი სამოსი მისცა და უთხრა გაჭირვებულს, შეგიძლია გაყიდო და იმ ფულით შეიძინო საკვები, რაც ასე აუცილებელი არის შენთვისო.

ამის შემდეგ ეპიფანემ საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ შემოსეს ზეციერმა ანგელოზებმა მონაზონი ლუკიანე. ამის მნახველმა ეპიფანემ საბოლოოდ გადაწყვიტა, თვითონაც ქრისტიანი გამხდარიყო. თუ როგორ, ეს არ იცოდა. გაანდო თავისი სურვილი ლუკიანეს და ტრიფონის მიერ დანატოვარ სახლშიც მიიყვანა, რათა ეჩვენებინა მისთვის თავისი საცხოვრებელი. სახლში მიყვანისას გამოუტყდა იმასაც, რომ უნდოდა, ქრისტიანობის მიღების შემდგომ მონაზვნის სქემით შემოსილიყო.

ამაზე ლუკიანემ მიუგო, თუ უპოვარი არ შეიქმნები, ვერც მონაზონი გახდები, ამიტომ კარგად დაფიქრდი, მოდგმით ებრაელს რამდენად გსურს ჯერ ქრისტიანობა და ამის შემდეგ შეგიძლება აღთქმა მისცე ღმერთს უპოვრებისთვისო. ეპიფანემ უთხრა: „მამაო, მსურს, ქრისტიანი ვიყო. შეგიძლია?“. პასუხად ლუკიანესგან შემდეგი მიიღო: „ჯერ შენი და დააბინავე, პატრონს ჩააბარე და როცა საბოლოოდ გადაწყვეტ ამქვეყნიურისგან გათავისუფლებას, მაშინ ეპისკოპოსისგან შეგიძლია გახდე ქრისტიანიც“.

გადაწყვეტილება გაქრისტიანების შესახებ ეპიფანემ თავის დასაც გაანდო და არათუ დადებითი პასუხი მიიღო, ეპიფანეს მსგავსად თვითონაც მოისურვა, გაქრისტიანებულიყო, რადგან ბავშვობიდან გულით ეწადა, ქრისტიანი ყოფილიყო. ეპისკოპოსის კურთხევით, და-ძმა კათაკმევლობისთვის უნდა მოემზადებინა თვით მამა ლუკიანეს, რომელიც თითქმის ყოველდღე აკითხავდა სახლში ეპიფანეს და მის დას.

დადგა ის დღეც, როცა და-ძმა ქრისტეს ნათელს უნდა ზიარებოდნენ. ეპისკოპოსის კურთხევით ეპიფანეს მიმრქმელი გახდა მამა ლუკიანე, ხოლო ეპიფანეს დის კი მონაზონი, ერთ-ერთი მონასტრის იღუმენი ვერნიკი. მალე და-ძმამ თავიანთი ქონება გაჭირვებულებს ჩამოურიგეს, მონასტრებსაც შესწირეს და თვითონაც მიაშურეს მონასტრებს თავთავიანთ მიმრქმელებთან (ნათლიებთან) ერთად. მამა ეპიფანე 16 წლის იყო, როცა მონაზვნის სქემით შეიმოსა და სწორედ მაშინ ეწოდა სახელად ეპიფანე.

ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

„ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔᲗ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲒᲘᲑᲝᲫᲔᲑᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ!“

■ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ

ქრისტიანის ცხოვრება ცოდვებთან მუდმივ ბრძოლას და მათზე გამარჯვებას გულისხმობს. ამაში მას უფლის სიყვარული და მორჩილების უნარი ეხმარება. ტაძარი მორწმუნისთვის ის თავშესაფარია, სადაც სულიერ სიმშვიდეს და იმედს პოულობს. ღვთის სიყვარულით და ეკლესიის დახმარებით ქრისტიანი საბოლოო მიზანს, მარადიულ ცხოვრებას ეზიარება. უფლის გზაზე სიარული სიძნელეების გადალახვაა, ადამიანს მრავალი კითხვა უჩნდება, რომელმაც შეიძლება დააბრკოლოს, მართლმადიდებლურ მრწამსს აეცდინოს. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ** (სხირტლაძე) ყველა ქრისტიანისთვის მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრა.

— მამაო, რას გულისხმობთ ახალგაზრდობაზე რამდენად ღვთისმოშიში და მორწმუნენი არიან ისინი?

— ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ყველა მათგანში არის ღვთის შიში და პატივისცემა, ოღონდ განსხვავებული ოდენობით. ეკლესიაში ბევრი ახალგაზრდა დადის და ლოცულობს, მათი დიდი ნაწილი ესწრება წირვებს, მარხულობს და აღსარებას

„ᲦᲕᲗᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲗᲣ ᲒᲕᲥᲜᲔᲑᲐ, ᲦᲛᲔᲗᲡ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲕᲘᲧᲕᲐᲰᲔᲑᲗ, ᲕᲔᲰᲪ ᲛᲘᲕᲰᲕᲔᲑᲘᲗ. ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲰᲘᲡᲘᲐ, ᲰᲝᲪᲐ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲒᲔᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ, ᲨᲔᲣᲰᲐᲪᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ ᲒᲐᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ, ᲨᲔᲜ ᲯᲘ ᲛᲐᲗ ᲦᲝᲪᲐᲕ“.

აბარებს, რაც სასიხარულოა. საბჭოთა კავშირის პერიოდში რწმენა ღამის დავკარგეთ, ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი, ქართველი ერის უდიდესი გამოცდა. საბედნიეროდ, ქართველებში ღვთის სიყვარული იმდენად ძლიერად იყო გამჯდარი, ვერავინ მოახერხა ჩვენში მისი ჩაკვლა. ძალიან სასიხარულოა, რომ ეკლესიაში ახალგაზრდები ჭარბობენ, ვინაიდან ეს ის თაობაა, რომელმაც უფრო უნდა განამტკიცოს ქრისტიანული მრწამსი. ყოველი ჩვენგანი, ყოველი ქრისტიანი მტკიცედ უნდა იდგეს ქრისტიანული მრწამსის სადარაჯოზე.

— ახალგაზრდები ხშირად ბილწსიტყვაობენ. რას ეტყვით მათ?

— ბილწსიტყვაობა იმათთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც შორს არიან ღვთისაგან. ყველაზე დიდი ცოდვაა მშობელი დედის აუგად მოხსენიება, რაც ძალიან ბევრს აქვს ჩვეად. ჭეშმარიტი ქრისტიანი, ღვთისმორწმუნე ადამიანი საკუთარ დედას შეურაცხყოფას არასოდეს მიაყენებს, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ დედა არის წმინდა, უბიწო არსება.

— ადამიანი დიდი სიყვარულით უნდა იყოს აღვსილი, რომ ეკლესიური ცხოვრება გაუადვილდეს?

— რა თქმა უნდა. იქ, სადაც არ არის სიყვარული, ადამიანებზე ეშმაკი იმარჯვებს და ბატონობს მათზე. სიყვარული მრავალი სახისაა, მაგრამ ყველაზე ძლიერი და წმიდა უფლის სიყვარულია. ადამიანი, რომელსაც ღმერთი არ უყვარს, სამარადისოდ განწირულია ჯოჯოხეთისთვის. მისი სული დემონს ეკუთვნის და ყოველი მისი საქციელი შორს არის ეკლესიის სწავლებისაგან. ვისაც უფლის სიყვარული არ შეუძლია, არც მოყვასის სიყვარული ძალუძს და ვისაც მოყვასი არ უყვარს, ვერც უფალს შეიყვარებს. „უკუეთუ იყუარებოდეთ ურთიერთსა, მე თქვენთანა ვარ...“, — გვასწავლის უფალი.

— რა არის სიკეთილი და უნდა გვეშინოდეს თუ არა მისი?

— სიკვდილი ამქვეყნიდან, წუთისოფლიდან მარადიულ სამყაროში გადასვლაა. ეს წუთისოფელი გამოცდაა, რომლის ჩასაბარებლადაც ღვთის მრწამსის და სწავლების მიხედვით უნდა ვიცხოვროთ. თუ ადამიანი თავის ცხოვრებას უფლის სიყვარულსა და მისდამი ლოცვაში ატარებს, სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან ამ სიყვარულისა და რწმენისათვის უფალი მას მარადიულ სასუფეველში თავის გვერდით, თავის სიახლოვეს, ანგელოზთა შორის უბოძებს ადგილს. ღმერთმა ყოველივე სიბრძნით შექმნა. სული ვერ ძღება ბუნების მშვენიერების ხილვით. თუ აქ ღმერთმა ასეთი სილამაზე შექმნა, რაღა იქნება იქ, სადაც ღმერთი თავად მკვიდრობს? იქ საუკუნო განსვენებაა! ჩვენს მამასთან, ღმერთთან ერთად სიხარული გველის.

პავლე მოციქული სამოთხის შესახებ ჩინებულად მოგვითხრობს: „რა ლამაზია და მშვენიერია ღვთის სასუფეველი! მიწიერი მშვენიერება მას ვერ შეედრება!“. სამოთხეში არის ისეთი სილამაზე, რომლის მსგავსი ადამიანის თვალს არ უნახავს და კაცის ყურს არ სმენია ის უტკბესი გალობა, რომელსაც ანგელოზთა გუნდები სამოთხეში გალობენ.

ნეტავ, ვიცოდეთ, რა არის სამოთხე! მისი მშვენიერების აღქმა ადამიანს არ შეუძლია. იქ ანგელოზთა და წმინდანთა გუნდები დაუსრულებლად გალობენ! იქ მარადიული, უსასრულო პასექია! იქ სულები ერთმანეთს მხიარულად ელაპარაკებიან, საუბრობენ იმაზე, თუ როგორ დააღწიეს თავი ჯოჯოხეთს უფლის შეწევნით და ამ ნეტარ სამყოფელში განსასვენებლად მოხვდნენ. რა არის სამოთხე? ის უჭკნობი ყვავილებითა და ღვთაებრივი სურნელებით აღსავსე ადგილია. ღვთის სიყვარული უფლის დაუდუმებელი დიდებისმეტყველება და, რაც მთავარია, საუკუნო ცხოვრებაა. ასე რომ, ღვთის საყვარელნო შვილებო, დამიჯერეთ, ამისთვის ბრძოლა ღირს. არადა, რა უმნიშვნელოა ჩვენი ბრძოლა

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲮᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲰᲕᲔᲗ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲰᲘᲗᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲣᲗᲐᲰᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲪᲝᲪᲐᲗᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲛᲐᲣᲚᲔᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲤᲘᲥᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲐᲘᲢᲐᲜ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲡ. ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲢᲐᲜᲐ, ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲯᲘᲓᲔᲕ ᲔᲗᲘ ᲡᲐᲗᲝᲜᲝᲑᲐᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲰᲡᲝᲕᲓᲔᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ — ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲘᲗᲛᲘᲜᲝᲗ ᲡᲘᲧᲔᲚᲘᲐᲓ, ᲘᲒᲘ ᲪᲮᲝᲜᲓᲔᲡ!“.

იმ ბედნიერებასთან და სიხარულთან შედარებით, რომელსაც სამოთხეში მოხვედრით მოგვანიჭებს უფალი. არადა, ჩვენ ჩვენი ცხოვრებით სრულებითაც არ ვცდილობთ, ბრძოლით მოვიპოვოთ ეს ულამაზესი და უტკბესი ადგილი. ყოვლის შემძლებო და შემოქმედო ღმერთო, გაგვათავისუფლე ყველაზე ცუდი ვნების — ამპარტავნებისაგან (რომელ ცოდვასაც ყველაზე მეტად მე ვყავარ დამონებული), რომ სიმდაბლის მეგზურობით უტკბესი სამოთხე დავიმკვიდროთ!

— ძირითადად რა პრობლემებით მოდიან ადამიანები ეკლესიაში და რას ნანობენ?

— სხვადასხვა პრობლემა აქვთ, მაგრამ ეკლესიაში უფრო სულიერ დახმარებას ითხოვენ. ბევრს დიდი ბრძოლები აქვს. ზოგს მშობლების მხრიდან აქვს პრობლემა და თავშესაფარს ეკლესიაში ჰპოვებს. ცდილობენ, აღსარებითა და ზიარებით იცხოვრონ. სინანულის თანხლებით ნათქვამი აღსარება ნათლობის ტოლფასია.

— საინტერესოა, როდის უფიქრდება პირიფენება თავის ცხოვრებას?

— თუ ადამიანი თავის თავში დაინახავს ცოდვებს, ის ამ ყველაფერზე მერე ხელს იღებს. გააჩნია, როდის ეწვევა მას ღვთის მადლი. უფალი როდის დაუშვებს მოწყალებას, ეს იმაზეა დამოკიდებული. ყველაფერი ღმრთის განგებით ხდება. დღეს ადამიანები ყველანაირად ძალიან გაღიზიანებულები არიან. აღსარებაში ხშირად ამბობენ, ვღიზიანდები, ნერვული ვარ, ვმრისხანებო. არ არსებობს, ეს არ ეწეროთ აღსარებაში. დღევანდელი ცხოვრება ისეთია, ადამიანის ფსიქიკაზე ყველაფერი მოქმედებს, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა აგვიყოლიოს. ყველაფერს მშვიდად უნდა შევხვდეთ. შეიძლება მართალი ხარ, მაგრამ იმას ნუ გამორიცხავ, რომ დამნაშავეც იყო. საკუთარი თავი ცოტათი მაინც დაადანაშაულე. მაშინ დაფიქრდები და იოლად აიტან საყვედურს. უსამართლობის ატანა, მოთმინება კიდევ ერთი სათნოებაა. ადამიანს მუდმივად უნდა ახსოვდეს სიტყვები — ვინც დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს!

„ᲦᲕᲗᲘᲗᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲘᲑᲘᲰᲓᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲡᲣᲚᲘ ᲕᲔᲰ ᲫᲦᲔᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲘᲠᲕᲘᲗ. ᲗᲣ ᲐᲥ ᲦᲛᲔᲗᲗᲛᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲰᲐᲦᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲦᲛᲔᲗᲘᲗᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲑᲡ? ᲘᲥ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲐ! ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲦᲛᲔᲗᲗᲗᲐᲜ ᲔᲗᲘᲗᲐᲓ ᲡᲘᲮᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ“.

— ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲓᲘᲐ

Cyan Magenta Yellow Black

მამა გიორგი: „იყო დღეები, როცა მე და ჩემი ფეხმძიმე ცოლი ულუკმაპუროდ ვიყავით“

ეკანოზი მამა გიორგი (დორეული) იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სტიქაროსნობა ხვდათ წილად. 11-12 წელი მისი უწმინდესობის გვერდით გაატარა და გასაკვირი აღარ იყო, ამის შემდეგ სასულიერო პირის მძიმე და ეკლიან გზას რომ დაადგა. ამ გზაზე, როგორც ხდება ხოლმე, დაბრკოლებაც ბევრი შეხვდა. იყო მომენტები, როდესაც არჩევანის წინაშე იდგა — გაეგრძელებინა ეკლესიისკენ გზა თუ სხვა მხარეს წასულიყო. 1999 წელს დიაკვნად აკურთხეს, ერთი წლის შემდეგ კი მოძღვრად. 13 წელია, რაც ვაკის ყოვლადწმინდა სამების ეკლესიაში მსახურობს. ამ ტაძრის კურთხევა და მისი მღვდლად ხელდასხმა ერთ დღეს მოხდა. მამა გიორგი პატარაობიდან მღეროდა, ერთ-ერთ ხალხურ საკრავთა ანსამბლშიც იყო, მაგრამ შემდეგ თავი მიანება. დღეს მამა გიორგი ისევ ამღერდა. მის მიერ შესრულებული „მთიელთა სატრფიალო“ უკვე ბევრმა შეიყვარა.

— მამა გიორგი, ცხოვრების რა ეტაპზე დაადექით ეკლესიისკენ მამავალ გზას?

— 1988 წლიდან უფლის განგებით ეკლესიის წიაღში აღმოვჩნდი. მეათე კლასის მოსწავლე ვიყავი, ტაძარში სიარული რომ დავიწყე. მშობლების თაობაც გვიბიძგებდა ამისკენ, ალბათ იმიტომ, რომ მაშინ მე და ჩემს თანატოლებს გარდატეხის პერიოდი გვედგა. მე ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ნატვრის თვალში“ ვიყავი, რომელსაც ჯემალ ადამაშვილი ხელმძღვანეობდა. ბატონი ჯემალი სიონის საკათედრო ტაძრის მგალობელთა შერეულ გუნდში მღეროდა. ჩემი მომავალი ცხოვრება ამ ანსამბლმა და ხელმძღვანელის ფაქტორმაც განაპირობა.

1988-89 წლებში საქართველოში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი, უწმინდესი დიმიტრიოსი ჩამობრძანდა. სიონში დიდი საზეიმო დახვედრა გაიმართა, სადაც ჩვენი ანსამბლის ხელმძღვანელმა მე და ჩემი მეგობარი მამუკა სვანიძე მგალობლებთან დაგვაყენა. სტიქაროსანი პატარა ბიჭები რომ დავინახეთ, გაკვირვებულები ვუყურებდით. არ ვიცოდით, ვინ იყვნენ და ჩვენც გაგვიჩნდა სურვილი, მათნაირები გავმხდარიყავით. მამა ზურაბს (სირაძე) ვთხოვეთ, მის უწმინდესობასთან შევეყვანეთ. კარგად მახსოვს დიალოგი, რომელიც ჩვენ შორის გაიმართა. ძალიან თბილად შეგვხვდა. ჯერ ჩემს მეგობარს გამოჰკითხა გვარ-სახელი, მერე მე. ჩემი გვარი და სახელი რომ ვუთხარი, პატრიარქმა მკითხა: „ხემსური ხარ?“ მე ვუთხარი, არა-მეთქი. მას გაეღიმა და მითხრა: „კი, კი, შენ ხემსური ხარ“. აქედან დაიწყო ჩემი გზა ეკლესიისკენ.

— როდის შეიმოსეთ პირველად სტიქარით?

— სტიქარით ისეთ მნიშვნელოვან დღეს შევიმოსე, რომ არასოდეს დამავიწყდება. ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრების დღე იყო. 24 დეკემბრის საღამოს ამ თარიღთან დაკავშირებული საზეიმო მსახურება ჩატარდა.

მე ტაძრად რამე დიდ განსაცდელს არ მივუყვანივარ. ხშირად მახსენდება უფლის სიტყვები წმინდა წერილიდან: „განა თქვენ გამომარჩიეთ მე. არამედ მე გამოგარჩიეთ თქვენ“. უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება მღვდელმსახურებაში, უფალი ირჩევს ადამიანებს. ერთი ფილოსოფოსი ამბობს: „ზოგმა ბედი მოიპოვა ბრძოლაში, ზოგსაც ბედი თვითონ გამოეცხადა“. მე ბედი არ გამომცხადებია, უფლის, მისი უწმინდესობის დახმარებითა და გვერდში დგომით მოვედი აქამდე.

მე მთის კაცი ვარ. პატარაობიდან ვხედავდი, როგორ სცემდნენ ჩემი წინაპრები თაყვანს თავიანთ წმინდანებს. ჩემი სულიერება ამან კიდევ უფრო გააღრმავა. რწმენა

„ის დღეები, რომელიც მისი უწმინდესობის გვერდით გავატარე, ჩემთვის ყოველთვის ყველაზე ძვირფასი იქნება. მე და ჩემი თანატოლები ცოცხალი წიგნის გვერდით ვიყავით. მის ყველა ქცევასა და პატარა მიმიკასაც კი თუ დააკვირდები და ისწავლი, ცხოვრებაში ძალიან გამოგადგება“.

და სიყვარული საქმის გარეშე წარმოუდგენელია. ვინც ნამდვილად ღვთისმოშიშია, უფალს ნებისმიერ არეულობასა და განსაცდელში ეძებს.

— როგორი იყო თქვენი ცხოვრება მისი უწმინდესობის გვერდით?

— ძალიან საინტერესო წლები გახლდათ. ჩემს ცხოვრებაში გარდატეხის, კაცად ქცევისა და არჩევანის პერიოდი ერთმანეთს დაემთხვა. ეკლესიის იდეოლოგიაზე ჩამოვყალიბდი და გავიზარდე. ეს ბედნიერი წლები უფალმა მაჩუქა, ამიტომაც სულ ვამბობ, რომ ის დღეები, რომელიც მისი უწმინდესობის გვერდით გავატარე, ჩემთვის ყოველთვის ყველაზე ძვირფასი იქნება. მე და ჩემი თანატოლები ცოცხალი წიგნის გვერდით ვიყავით. მისი უწმინდესობის ყველა ქცევასა და პატარა მიმიკასაც კი თუ დააკვირდები და ისწავლი, ცხოვრებაში ძალიან გამოგადგება.

1990 წელს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სოხუმში ბრძანდებოდა, სადაც მე და სხვა სტიქაროსნებიც ვიყავით. მაშინ პირველი თავდასხმა ჩვენს დელეგაციაზე განხორციელდა გუდაუთაში, მაგრამ ეს დიდად არ გაჟღერებულა. ბეწვზე გადავრჩით. მისი უწმინდესობის მიმართ დიდი აგრესია მოდიოდა. საერთოდ, სტიქაროსნობა ისეთ დროს მომიწია, რომ ბევრი ცხელი დღე გამოვიარე. პატრიარქის გვერდით 11-12 წელი გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ მისმა უწმინდესობამ იმ არეულ დროში ბევრი პრობლემის გადაჭრა შეძლო და თავის მრევლს მუდამ გვერდით ედგა, ხალხმა ეს ბოლომდე ვერ დაუფასა. სამწუხაროდ, გვაქვს 1989 წლის 9 აპრილის მაგალითი, როდესაც ერმა თავის სულიერ მამას არ დაუჯერა. დღესაც მოგვიწოდებს ჩვენი უწმინდესი სიყვარულისა და სიმშვიდისკენ, მაგრამ ზოგჯერ არ ვუჯერებთ, რასაც ყოველთვის ცუდი შედეგი მოჰყვება ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის.

— როცა სტიქარი პირველად ჩაიცვეთ, თუ წარმოგიდგინათ, რომ მღვდელი გახდებოდით?

— ვიცოდი, რომ სასულიერო პირი გავხდებოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ სასულიერო სემინარიაში ჩავბარე. ჩემს სამღვდელო გზაზე დადგომაში დიდი როლი ითამაშეს მამა ელიზბარმა (ოდიშვილი), მამა ღვთისომ (შალიკაშვილი), არქიდიაკონმა დემეტრემ (დავითაშვილი). ახალგაზრდობაში ძალიან დავუახლოვდი მეუფე ზოსიმეს (შიოშვილი) და ახლაც ვაგრძელებ მასთან ურთიერთობას. ეს არის სულიერების სიმაღლეზე მყოფი უნიკალური პიროვნება და ყველას ვურჩევ, პირადად გაიცნონ. ასეთი მნიშვნელოვანი ხალხის გვერდით გაიარა ჩემი ცხოვრების იმ 24 წელმა, რომელიც ეკლესიის წიაღში მაქვს გატარებული. უკვე იმდენად ჩართული ვიყავი საეკლესიო ცხოვრებაში, სხვა არჩევანზე არც მიფიქრია. შემდგომ წლებში იყო გარკვეული სახის შემოტევები და შეიძლებოდა სხვა გზისკენ გადამეხვია, მაგრამ ეს არ გავაკეთე.

— შემოტევებში რას გულისხმობთ?

— დიაკვნად 1999 წლის 30 მაისს მაკურთხეს. წელიწადნახევრით ადრე სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი თეოდოსი იყო ჩამობრძანებული. სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ჩემი დიაკვნად კურთხევა, უკვე ყველაფერი მზად იყო — კაბა, სარტყელი... მაგრამ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა იყო პიროვნებებს შორის, რაზეც დაწვრილებით საუბარი არ მსურს და კათოლიკოს-პატრიარქმა გადაწყვიტა, ჩემი კურთხევა დროებით შეჩერებულიყო. ეს დროებითობა კი წელიწადსა და 9 თვეს გაგრძელდა. სწორედ მაშინ იყო განსაცდელები. მე უკვე მეუღლე მყავდა, ბავშვს ველოდებოდით და მატერიალურად გვიჭირდა. მკითხველს არ ეგონოს, რომ ვნუწუნებ. მე მთის კაცი ვარ და განსაცდელს ვაჟკაცურად ვიტან. ამ ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ სხვისთვის მაგალითად გამოდგეს. ჩემთან აღსარებაზე მოსულთ ხშირად უთქვამთ, მამაო, თქვენ რა იცით, გაჭირვება რა არისო. არადა ძალიან კარგად ვიცი. მოკლედ, მძიმე წლები გამოვიარე. დღეები ისე გადიოდა, რომ მე და ჩემი ფეხმძიმე მეუღლე ულუკმაპუროდ და უკაპიკოდ ვიყავით. ამ დროს მეგობრებისა და ახლობლებისგან ბევრი შემოთავაზება მქონდა, საღმე მემუშავა. მე კი ვპასუხობდი: „ვინც

Cyan Magenta Yellow Black

ღმერთი, ეკლესია და პატრიარქი მიატოვა, შორს ვერავინ წავიდა“. რაც მთავარია, ამ დროს ჩემი მეუღლე გვერდით მედგა და გაჭირვება და განსაცდელი ერთად გადავიტანეთ.

არ არსებობს განსაცდელი, რომელსაც ლოცვით, რწმენითა და შრომით ვერ გადალახავ. მისი უწმინდესობისგან ხშირად გამიგონია, ადამიანი სიღარიბეს არ უნდა მიეჩვიოსო. ამით ჩვენი პატრიარქი იმას კი არ ამბობს, რომ უნდა გამდიდრდე და სული და ხორცი დაივიწყო. ამ სიტყვებში გულისხმობს, რომ როცა წინ ცარიელი ჭიქა გიდგას, მის ასავსებად უნდა იბრძოლო. ჭაობში დგომას არ უნდა მიეჩვიო.

— გახსნის დღიდან ვაკის ყოვლადწმინდა სამების ტაძრის მღვდელმსახური ხართ. ალბათ ეს ტაძარი თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

— რა თქმა უნდა, მე ხომ ფეხი ამ ტაძარში ავიდგი. 24-25 წელი საკმაოდ დიდი დროა ეკლესიის წიაღში ყოფნისათვის. ამ წლებში რამდენადაც ვიჩაგრებოდი, იმდენად ვხედავდი უფლის გვერდში დგომას, განსაკუთრებით ყოვლადწმინდა სამების. ვაკეში ამ წმინდანის სახელობის ეკლესია რომ შენდებოდა, არავინ იცოდა, მღვდელმსახურებად ვინ დაინიშნებოდნენ. არადა იქ მსახურების სურვილი ბევრს ჰქონდა. მაშინ მე დიაკვანი ვიყავი და სიონში ვმსახურებდი.

2000 წლის 28 ოქტომბერს, თბილისობაზე ეს ტაძარი მის უწმინდესობას უნდა ეკურთხებინა. ერთი კვირით ადრე ჩვეულებრივ სიონში ვიყავი. ის სცენა ცხადად მახსოვს: მღვდელმთავრის ტახტს ვუყურებდი, სადაც დედა ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზების ხატებია, ზემოთ კი მაცხოვრის ხატია. ფიქრებში ვიყავი წასული და ამ დროს ერთ-ერთმა დიაკვანმა მითხრა, პატრიარქი გეძახისო. პატრიარქმა გამომიცხადა, შემდეგ შაბათს ტაძრის კურთხევაა და შენც მოემზადეო. გახსნის დღეს კი მღვდლად მაკურთხეს. მადლობა უფალს, რომ ასე მოხდა. ვაკის ყოვლადწმინდა ტაძარი და მე თითქოს ერთ დღეს დავიბადეთ. ერთადერთი მოძღვარი ვარ, რომელიც ამ ეკლესიის ტრაპეზში აკურთხეს მღვდლად. უკვე 13 წელია, აქ ვმსახურებ.

— თქვენი ნამღერი „მთიელთა სატრფიალო“ მსმენელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორ ჩაწერა ეს სიმღერა?

— სტუმრიანი ოჯახი მაქვს. ჩვენი ვახშამი მუსიკალური ინსტრუმენტების გარეშე გამორიცხულია. 4-5 ინსტრუმენტზე თავადაც ვუკრავ. ეს სიმღერა თავდაპირველად ცეკვისთვის იყო ჩაფიქრებული. არის ასეთი ანსამბლი „თარიკონი“, რომლის ქორეოგრაფიც რატი ტვილდიანია. სწორედ მან დადგა ცეკვა „მთიელთა სატრფიალო“. ხმის ჩამწერ სტუდიაში იმ დროს მივედი, როცა ამ მუსიკაზე მუშაობდნენ. კი მომერიდა, მაგრამ რატის შევთავაზე, მე ხომ არ ვიმღერო-მეთქი. ხევსურები და მთიულები ფხიზლები ცუდად მღერიან. რატის ვუთხარი, რომ მთლად ფხიზელზე ხმას ზევით ვერ ავწევდი, ეს კი ძალიან ცეცხლოვანი სიმღერაა. უცებ მომიტანეს კახური ღვინო და რამდენიმე ჭიქის დალევის შემდეგ სიმღერაც ჩავწერე. მგონი, მეტყობა კიდეც ხმაზე, რომ მაინცდამაინც ფხიზელი არ ვარ. რა ვქნა, სხვანაირად მართლა ვერ ვიმღერებდი. ზურა დათიკაშვილის ხმა უკვე ჩაწერილი ჰქონდათ, ჩემი მიამატეს და სიმღერაც მზად იყო.

— მის უწმინდესობას თუ აქვს „მთიელთა სატრფიალო“ მოსმენილი და თუ იცით, როგორ აფასებს თქვენს ამღერებას?

— სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ მას ეს ფაქტი მოეწონება. წლების წინ მე და მეუფე ზენონს, როცა სტიქაროსნები ვიყავით, გვეტყოდა ხოლმე, იმღერეთო. ერთ რამეს ხშირად ვამბობ: არც ჩემი სიმღერა უშლის ხელს მღვდლობას და არც ჩემი მღვდლობა უშლის ხელს ქართველობას. ამ ქართველობაში ლექსიც შედის, სიმღერაც და კაი ყმობაც. ჩვენ ჯერ კაცებად ვიბადებით და გზას მერე ვირჩევთ. ქართველობაზე დიდი პრეტენზია მაქვს. ბოდიშს მოვიხდი, თუ ეს ძალიან ხმამაღალი ნათქვამია.

„მისი უწმინდესობისგან ხშირად გამიგონია, ადამიანი სიღარიბეს არ უნდა მიეჩვიოსო. ამით ჩვენი პატრიარქი იმას კი არ ამბობს, რომ უნდა გამდიდრდე და სული და ხორცი დაივიწყო. ამ სიტყვებში გულისხმობს, რომ როცა წინ ცარიელი ჭიქა გიდგას, მის ასავსებად უნდა იბრძოლო. ჭაობში დგომას არ უნდა მიეჩვიო“.

**— სიმართლე რომ გითხრათ, ეს ლექსი ალბათ ბევრ ადამიანს ეტკივა.

ლაბირინთი



გააფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

ჭარხალი ნიგვზით

მასალა:
პატარა ზომის ჭარხლები — 1 კგ
ნიგოზი — 200 გ
ხახვი — 1 თავი
ნიორი — 2 კბილი
ქინძი — 1 კონა
მარილი — გემოვნებით

მომზადება: პატარა ზომის ჭარხალი მოხარშეთ კანიანად, შემდეგ კანი მოაცალეთ. ჭარხლებს გულები ამოჭერით.

გატარებულ ნიგოზს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, დაჭყლეტილი ნიორი და შეაზავეთ მარილით.

ამოჭრილი ჭარხლის გულები გახეხეთ, შეურიეთ ნიგოზს და დაუმატეთ აკეპილი ქინძი.

ამ შიგთავსით ჭარხლები ამოავსეთ, გარედან ნიგოზი წაუსვით, დაალაგეთ ფართო ლანგარზე და სუფრასთან მიიტანეთ.

სალათა ჯაზაჯუჩად

მასალა:
კომბოსტო — 1 კგ
სტაფილო — 1 კგ
ხახვი — 1 კგ
ბულგარული წიწაკა — 1 კგ
პომიდორი — 1 კგ
კიტრი — 1 კგ
მარინადისათვის:
მარილი — 5 ჩ.კ.
შაქარი — 5 ჩ.კ.
ზეთი — 1 ჭიქა
ძმარი — 1 ჭიქა

მომზადება: დაჭრილ ბოსტნეულს მარინადის მასალა მოასხით და 1 საათი გააჩერეთ. შემდეგ ქვაბში მოათავსეთ და 10 წუთი ადუღეთ. სალათა ცხელივე გადაანაწილეთ ქილებში, გაასტერილეთ და მოხუფეთ. ქილები გაგრილებამდე გააჩერეთ შემდეგ კი ბნელ, გრილ ადგილზე შეინახეთ.

ძროხის ხორცი ნეაპოლურად

მასალა:
ძროხის რბილი ხორცი — 500 გ
მაკარონი — 100 გ
კარაქი — 2 ს.კ.
გახეხილი ყველი — 100 გ
ტომატი-პასტა — 2.ს.კ.
თეთრი ღვინო — 2 ს.კ.
მწვანილი, მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ხორცი ულუფებად დაჭერით, დაბეგვეთ და მარილითა და პილპილით შეაზავეთ. ტაფაში 1 ს.კ. კარაქი გაადნეთ და ხორცი შეწვით, დაუმატეთ ღვინო და ტომატი-პასტა. მაკარონი მარილწყალში მოხარშეთ. გადაიტანეთ ფართო ლანგარზე, მოასხით 1 ს.კ. გამდნარი კარაქი, მოაყარეთ გახეხილი ყველი, მოაწყვეთ შემწვარი ხორცი, მოასხით ტაფაში დარჩენილი წვენი. შეაზავეთ მარილითა და პილპილით და ბოლოს აკეპილი მწვანილი მოაყარეთ.

ხორცი ფენოვან პერანგში

მასალა:
ღორის ხორცი — 1 კგ
ფენოვანი ცომი — 500 გ
კვერცხი — 1 ცალი
ზეთი — 2 ს.კ.
მარინადისთვის:
მშრალი წითელი ღვინო — 2 ჩ.ჭ.
მდოგვი — 2 ს.კ.
დაფქული შავი პილპილი — 2 ჩ.კ.
მარილი — გემოვნებით
შიგთავსისთვის:
ყველი — 250 გ
ბულგარული წიწაკა — 2 ცალი

მომზადება: შიგთავისთვის ყველი დააქუცმაცეთ და შეურიეთ წვრილად დაჭრილი ტკბილი წიწაკა. ხორცი ჩაჭერით მთელ სიგრძეზე და გადახსენით წიგნივით, დაბეგვეთ და შიგნით მოათავსეთ ყველის მასა. გვერდები შეაერთეთ და შეკარით ხის ჩხირებით.

მარინადის ინგრედიენტები ერთმანეთს შეურიეთ, მოასხით ხორცს და გააჩერეთ 2 საათი მაცივარში. შემდეგ ხორცი ამოიღეთ მარინადიდან, შეაშრეთ და შეწვით მაღალ ცეცხლზე შეწითლებამდე, შემდეგ დაუწიეთ ცეცხლს და ცოტა ხანს კიდევ გააჩერეთ.

ცომი გააბრტყელეთ, შუაში დადეთ ხორცი, ცომი ხორცის გვერდიდან ჩაჭერით ზოლებად და შემოაწანით ხორცს ისე, რომ დაიფაროს. ცომს წაუსვით ათქვეფილი კვერცხი, შედგით ღუმელში და 200 გრადუსზე 30 წუთის განმავლობაში გამოაცხვეთ. სუფრაზე მიტანის წინ დაჭერით ულუფებად.

ატმის ნამცხვარი ბეზეთი

მასალა:
ატამი — 1 კგ
კარაქი — 200 გ
კვერცხი — 3 ცალი
შაქარი — 200 გ
სოდა — 1 ჩ.კ.
ფქვილი — 400-450 გ
არაჟანი — 1 ს.კ.
ატმის ლიქიორი — 1 ს.კ.
ვანილი — გემოვნებით
საფანელი და ცოტა კარაქი — ფორმაზე მოსასმელად
ბეზესთვის:
შაქარი — 1 ჭიქა
კვერცხი (ცილა) — 4 ცალი

მომზადება: ფორმას კარაქი წაუსვით და საფანელი მოაყარეთ. ცომისათვის კარაქი და შაქარი ათქვიფეთ, დაუმატეთ კვერცხი, არაჟანში არეული სოდა, ატმის ლიქიორი, ვანილი და ფქვილი. ცომი მოათავსეთ ფორმაში, ზემოდან დააწყვეთ გაფცქვნილი, დაჭრილი ატამი და 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში შედგით.

ცალკე ათქვიფეთ 4 კვერცხის ცილა და 1 ჭიქა შაქარი. დაახლოებით 20 წუთში ბისკვიტი ღუმელიდან გამოიღეთ, ზედ ბეზე მოათავსეთ და ისევ შეაბრუნეთ. ღუმელში მანამ გააჩერეთ, სანამ ბეზე ოქროსფერს არ მიიღებს.

Cyan Magenta Yellow Black

ქაღალდის ყვავილები

ასეთი ყვავილები შეგვიძლია ინტერიერის სამშვენისებად გამოვიყენოთ, მაგალითად, წიგნების თაროებისთვის, საწერი მაგიდისთვის, სუფრის გასაწყობად... მათი დამზადება უმარტივესია.

დაგჭირდებათ: მაკრატელი, ლითონის სამაგრი (თუ სამაგრი არ გაქვთ, შეგიძლიათ მძივი გამოიყენოთ. ასეთ დროს წებოც დაგჭირდებათ), ერთი ფერის ფურცელი, წიგნის ფურცლები. წიგნის ფურცლის „დაძველება“, ანუ ელფერის შეცვლა თუ გინდათ, ღია ფერის ყავაში უნდა ჩადოთ ცოტა ხნით და მერე გააშროთ.

გამოვჭრათ ფურცლებისგან სასურველი ზომის წრეები. წრეებს შემოვაჭრათ გვერდები ისე, რომ ყვავილებს დაემსგავსონ. გამოჭრილი ყვავილები სამაგრის საშუალებით დავამაგროთ ერთმანეთზე. თუ სამაგრი არ გვაქვს, მაშინ წებოს საშუალებით დავამაგროთ და შუაში დავაწებოთ მძივი. მზა ყვავილები დავკუჭოთ და გავასწოროთ.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

6	2	3	5	4	7	8	1	9
4	5	8	9	1	3	6	7	2
7	9	1	2	8	6	5	4	3
2	1	6	7	9	4	3	8	5
3	8	9	1	6	5	7	2	4
5	4	7	8	3	2	9	6	1
9	7	2	6	5	1	4	3	8
8	6	4	3	2	9	1	5	7
1	3	5	4	7	8	2	9	6

№ 2

5	4	3	2	7	9	8	1	6
7	1	2	6	3	8	4	9	5
9	8	6	4	5	1	7	3	2
4	2	9	5	1	6	3	8	7
1	6	7	8	2	3	5	4	9
3	5	8	9	4	7	6	2	1
6	7	1	3	8	2	9	5	4
2	3	5	7	9	4	1	6	8
8	9	4	1	6	5	2	7	3

ეს იცოდით?

❖ ლეგენდარულ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს, როცა ის კოლეჯში მეორე კურსზე სწავლობდა, სიდაბლის გამო კალათბურთის გუნდში მიღებაზე უარი უთხრეს.

❖ ინგლისელი კარიერისტების 89% დარწმუნებულია, რომ სამსახურებრივი რომანი სასარგებლოა ჯანმრთელობისა და კარიერისთვისაც.

❖ მსოფლიო მასშტაბით, მამაკაცების 63%-ს მიაჩნია, რომ ბავშვს მამაც უნდა უვლიდეს.

❖ ერთი წლის განმავლობაში ამერიკელები შინაური ცხოველების მოსავლელად 5,4 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავენ.

❖ შესაძლებელია, ბამბუკის ხე 24 საათში 1 მეტრითაც კი გაიზარდოს სიმაღლეში.

❖ ერთი წლის განმავლობაში ერთი ხე დაახლოებით 120 კილოგრამ ჟანგბადს გამოყოფს, რაც ორი ადამიანის სუფთა ჰაერით მომარაგებისთვის სრულიად საკმარისია.

❖ მაშინ, როცა მსოფლიოს უმეტეს ნაწილში შავი კატა უიღბლობასთან ასოცირდება, აზიელების ცრურწმენით ის ბედნიერების მომტანად ითვლება.

❖ ვარდისფერი ფლამინგოსთვის ყველაზე კომფორტული პოზა ცალ ფეხზე დგომაა.

❖ საფრანგეთის ყველა მეფეს, ტრადიციისამებრ, სენ-დენის ტაძარში კრძალავდნენ.

❖ ნეფერტიტი ტუტანხამონის დედა იყო.

❖ მსოფლიოში არსებულ დიალექტებთან შედარებით, ჩინურ დიალექტ მანდარინზე ყველაზე ბევრი ადამიანი ლაპარაკობს.

❖ 1399 წლამდე ინგლისელი მეფეები ფრანგულად ლაპარაკობდნენ.

❖ მინესოტას შტატში არსებულ სუპერმარკეტ „მოლ ოვ ამერიკას“ ყოველწლიურად იმაზე მეტი ადამიანი სტუმრობს, ვიდრე დისნეი ლენდსა და დიდ კანიონს.

❖ მსოფლიოში უძველესი მოქმედი უნივერსიტეტი იტალიის ჩრდილოეთით, ქალაქ ბოლონიაში მდებარეობს. იგი ჯერ კიდევ 1088 წელს დაარსდა.

❖ ლეგენდის თანახმად, მეფე არტურის მრგვალი მაგიდის ირგვლივ 150 ადამიანი ეტეოდა.

Cyan Magenta Yellow Black



ლედი გაგა ქუჩაში ბიუსტჰალტერით დადის

ლედი გაგასგან სცენაზე შოკი არავისთვის უცხო არ არის, მაგრამ ახლა ის ხალხს ქუჩაშიც აკვირვებს. ეპატაჟური მომღერალი ქუჩაში საცვლების ამარა სეირნობს. ტოპის ნაცვლად ბიუსტჰალტერით დადის და საყვარელ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს არ ღალატობს. არადა, თებერვალში ფეხზე გადატანილი ოპერაციის გამო ექიმებმა ლედი გაგას მაღალი ქუსლები სასტიკად აუკრძალეს. მომღერლისთვის კი აკრძალვების დარღვევა ყველაზე დიდი აზარტია.

— ვერავინ დამარწმუნებს, მაღალ ქუსლებზე უარი ვთქვა. საჭმელზე უფრო ვიტყვი უარს, ვიდრე ქუსლებზე, — ამბობს ლედი გაგა.

ბენ აფლეკი მეოთხე შვილს ელოდება

ვარსკვლავური წყვილი ბენ აფლეკი და ჯენიფერ გარნერი მეოთხე შვილს ელოდებიან. არადა, მათ მესამე შვილს ჯერ ერთი წელიც არ შესრულებია. ვარსკვლავურ ოჯახში მოსალოდნელი მატების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა: „ბენი და ჯენიფერი არ ჩერდებიან. ჯენიფერი მეოთხე შვილის გაჩენაზეც დათანხმდა. ბენს ყოველთვის უნდოდა, ოთხი შვილის მამა ყოფილიყო“, — წერს ბრიტანელი ჟურნალისტი.

ჯენიფერ გარნერმა დიდი ხანია, ოჯახის გამო კარიერა დათმო. წყვილის უფროსი შვილი, ვიოლეტი, 7 წლისაა, შუათანა სერაფინა კი 4-ის, უმცროს სემუელს, როგორც უკვე ვთქვით, სულ მალე ერთი წელი შეუსრულდება. მეოთხე ბავშვის სქესს ცოლ-ქმარი არ ახმაურებენ. გახარებულმა ბენ აფლეკმა ჟურნალისტებს უთხრა: „ჯენიფერი სიურპრიზებით სავსე ქალია, ყოველდღე მაოცებს. ახლახან ისე გამახარა, არც კი მჯერა, რომ ამ ნაბიჯზე წავიდა. მადლობა მას ასეთი სიყვარულისთვის“.

ვარსკვლავთსიახლენი

40 წლის ჰაიდი კლუმმა შიშველი ფოტოები გამოფინა

ყოფილი მოდელი, ახლა ტელევარსკვლავი, ოთხი შვილის დედა, ჰაიდი კლუმი ყველას უმტკიცებს, რომ 40 წლის ასაკშიც შეუდარებელია. ცოტა ხნის წინ თავის პირად ბლოგზე პიკანტური სურათები გამოფინა, რომლებზეც მკერდმოშიშვლებულია გამოსახული, მუცელზე კი ღიმილიანი სახე აქვს ნიჟარებით დახატული. ფოტოს აწერია: „გაიღიმეთ“.



ჰაიდის ნამდვილად გასაღიმებლად აქვს საქმე. აღმოჩნდა, რომ ძალიან უყვარს მკერდმოშიშვლებულს გარუჯვა. 40 წლის ასაკში ჰაიდის საოცრად გლუვი კანი და სპორტული მუცელი აქვს. ამ ყველაფერს ყოფილი მოდელი რეგულარული ვარჯიშით და კარგი გენეტიკის წყალობით ახერხებს.

უახლოეს მომავალში ჰაიდი შეიძლება გათხოვდეს კიდეც. მისი რჩეული 45 წლის პირადი მცველი მარტინ კრისტენია. ქორწილი მხოლოდ მაშინ შედგება, თუ მარტინი საქორწინო კონტრაქტს მოაწერს ხელს, სხვა შემთხვევაში, ჰაიდი გათხოვების წინააღმდეგია. კონტრაქტში კი დიდი ასოებით წერია, რომ გაყრის შემთხვევაში მამაკაცი ერთ ცენტსაც ვერ მიიღებს ცოლისგან. მარტინი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

მხოლოდ PSP-ში ყოველ სამშაბათს

✓ ყველა მედიკამენტი სპეც ფასად სპეც დღეს!

✓ 100-ზე მეტი ყოველდღიური მოვლისა და ჰიგიენის საშუალებები ექსკლუზიურად დაბალ ფასად!

PSP №1
ჩემი ოჯახის აფთიაქი



ბილაინი®

გაიაქტიურე «ბილაინ MIX»

და გათავისუფლდი ზედმეტი ფიქრებისგან!

MIX S
150 წუთი
1500 მბ
1500 სმს
***110*71#**
10 ლარი

MIX M
250 წუთი
2500 მბ
2500 სმს
***110*72#**
20 ლარი

MIX L
1000 წუთი
10 გბ
10000 სმს
***110*73#**
45 ლარი

«ბილაინ MIX»-ის მოქმედების ვადა - 30 დღე
წუთები ყველა ადგილობრივ ქსელზე

11 01 01

www.beeline.ge